

გორის სასწავლო უნივერსიტეტი

GORI TEACHING UNIVERSITY



სამეცნიერო შრომების კრებული

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

№3



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2012

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2012 წლის 24 თებერვალს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

შენიშვნის სახით დავძენთ, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში.

The Collection consists with the scientific works presented by the academic staff at the Scientific Conference on February 24, 2012 at NPLE-Gori Teaching University.

Herewith, we note that the works presented at the history section are published in the collection by NPLE-Gori Teaching University History and Archaeology Centre.

**სარედაქციო კოლეგია:**

გიორგი სოსიაშვილი  
გიორგი ხორბალაძე  
ალექსანდრე მღებრიშვილი  
ნუგზარ აბრამიშვილი  
ვიანორ ახალაია  
ქეთევან ბარბაკაძე  
ციური ბაქრაძე  
თამარ გოგოლაძე  
ციური დურული  
კლარა ელჩიბეგაშვილი  
დავით ჩოჩიშვილი  
ზურაბ ზერაკიძე  
ხათუნა კაკაურიძე  
მარიამ კობერიძე  
მალხაზ ლომსაძე  
ელდარ მამისტვალიშვილი  
ლევან მიდოდაშვილი  
ჯემალ ქირია  
შოთა ქურდაძე  
პაატა ქურდაძე  
მარიკა შერაზადიშვილი  
გედევან ხელაია  
გიორგი ყაზიშვილი

**Editorial Board:**

Giorgi Sosiashvili  
Giorgi Khorbaladze  
Alexander Mgebrishvili  
Nugzar Abramishvili  
Vianor Akhalaia  
Ketevan Barbakadze  
Tsiuri Bakradze  
Tamar Gogoladze  
Tsiuri Duruli  
Klara Elchibegashvili  
David Chochishvili  
Zurab Zerakidze  
Khatuna Kakauridze  
Mariam Koberidze  
Malkhaz Lomsadze  
Eldar Mamistvalishvili  
Levan Midodashvili  
Jemal Kiria  
Shota Kurdadze  
Paata Kurdadze  
Marika Sherazadishvili  
Gedevan Khelaia  
Giorgi Kazishvili

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

- ბაქრაძე ციური - არასრულწლოვან დამნაშავეთა ნებისყოფის ჩამოყალიბების ზოგიერთი გზები და საშუალებანი - 7
- გოგიაშვილი მზია - ფიზიკური მზაობა, როგორც ბავშვის სკოლისათვის მომზადების წინაპირობა - 11
- ტოლიაშვილი აკაკი - ქართულ-ამერიკული პედაგოგიური აზროვნების აქტუალური საკითხები - 13
- ტოლიაშვილი ბექა - ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა ურთიერთობის საკითხისათვის - 15
- ქურდაძე პაატა - მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ახალი ცნობიერების აღზრდა - 17
- ქურდაძე შოთა - „რწმენა“ ცნების გაგებისათვის - 21

### ზ უ ს ტ ი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- აზმიაფარაშვილი მაია - მცენარეში ნიტრატების დაგროვების თავისებურებანი შიდა ქართლის პირობებში - 23
- ზერაკიძე ზურაბ, ალექსიძე ლელა - ძალდებული შეფასებები ბანახის ზომათა სივრცეში - 27
- იაშვილი ალექსანდრე - ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების ახალი ქართული ეროვნული მოდელი და სამოქმედო გეგმა - 30
- მუმლაძე მალხაზ, ზერაკიძე ზურაბ - დეფორმაციული დაკვანტვის ერთი მეთოდი - 32
- მშვიდლობაძე თინათინ - კომპიუტერული საშუალებები მულტიმედიურ სისტემებში - 34
- ტიელიძე ზურაბ, ტიელიძე ზურაბ - საქართველოს წყლის რესურსები და საგადასახადო სისტემის როლი მის დაცვაში - 36
- ტიელიძე ზურაბ - საქართველოს მიწის რესურსების ზოგიერთი ეკონომიკურ-ეკოლოგიური საკითხი - 40

### ბ ი ზ ნ ე ს ი და მ ა რ თ ვ ა

- ბიბილაშვილი ლია - თვითშემეცნება და ფასეულობების განვითარების საფეხურები - 44
- ბიძინაშვილი დავით - თავლის ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში - 48
- გიგუაშვილი გიული - შრომის მოტივაციის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციები - 52
- მამულაშვილი ლელა - ტურიზმი - მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორი - 57
- ნანიტაშვილი მანანა - მომხმარებლის ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტი - 60
- ქობულაშვილი თამაზ, ედიშერაშვილი გია - ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები სამხრეთ საქართველოში (ასპინძის რაიონის მაგალითზე) - 67
- ხიზანიშვილი სალომე - თანამედროვე შრომითი ორგანიზაციები და კომუნიკაციის პრობლემები - 71
- ხორგუაშვილი თეა - ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში - 75
- ჭიოტაშვილი დავით, ანესაშვილი თეა - სადაზღვევო ორგანიზაციების სტრატეგიული მართვა - 78

### ს ო ც ი ა ლ უ რ ი მეცნიერებანი და სამართალი

- ბალახაშვილი ივანე - მფლობელობის რეგულირება - 81
- ვანიშვილი შალვა - ხულიგნობა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულია - 89
- მღებრიშვილი ალექსანდრე - რეცენზიის ზოგიერთ ჟანრულ თავისებურებათა შესახებ - 92
- ოდიკაძე რობინზონ - გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ - დროის კვალდაკვალ - 99
- სალხინაშვილი მაკა - ენერგეტიკის რეგულირების საზღვარგარეთული მოდელების სამართლებრივი ასპექტები - 103
- ჩიტაძე ხალიანა - სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება - 108

## ლინგვისტიკა

- კობერიძე მარიამ - პერმანსიულობის სემანტიკის აღმნიშვნელი მორფემები ქართული ენის დიალექტებში – 113
- ოთინაშვილი ნიკოლოზ - ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან – 115
- ოქროპირიძე ნინო - გერმანული და ქართული ანდაზების შინაარსობრივი თანხვედრის საკითხისათვის – 119
- ხოჯევანიშვილი ელენე - დავით ბატონიშვილის შეხედულებანი ორთოგრაფიის საკითხებზე და მათი ასახვა „მცირე ღრამმატიკაში“ – 123

## ლიტერატურა

- გოგოლაძე თამარ - ვაჟა-ფშაველას სატრფიალო ლირიკის გააზრებისათვის – 128
- დათუაშვილი ანა - მსგავსი პერსონაჟები ვაჟა-ფშაველასა და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში (სიმბოლოები და ალეგორიები) – 134
- იმნაძე ანა - ჩრდილოეთ კავკასიის თემა ქართულ მწერლობაში (ზოგადი მიმოხილვა) – 137
- ოქროპირიძე ზურაბ - მსგავსი პოეტური სახე ფრაზეოლოგიზმები დარიანულ ლირიკასა და ელენე დარიანის საარქივო მასალებში – 142
- სიღამონიძე თამარ - გალაკტიონის მერი (მითი და რეალობა) – 149
- ცერცვაძე მარინე - სიკვდილის ესთეტიკურად გამოხატვის გზა XX საუკუნის II ნახევრის ორ ქართულ მოთხრობაში – 154
- ჭამბურიძე ნელი - „გამეცნიერებული“ მინდიას ტრაგედია – 159
- ხინჩაგაშვილი ნათელა, ხირსელი ელენე - КОНЦЕПТ "КРАСОТА" В РАССКАЗЕ Ф. СОЛОГУБА "КРАСОТА" – 162
- ხორბალაძე გიორგი - ცხოვრებისეული პასაჟების ინტერპრეტაცია მწერლის შემოქმედებაში მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის სრულყოფისათვის (კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე) – 165

## CONTENTS

### *Education*

- Bakradze Tsiuri** - *SOME WAYS AND MEANS HOW TO FORM THE WILLS OF THE CRIMINAL UNDER-AGE TEENAGERS* – 7  
**Gogiashvili Mzia** - *PHYSICAL READINESS AS PRECONDITION OF CHILD'S PREPARATION FOR SCHOOL* – 11  
**Toliashvili Akaki** - *URGENT QUESTIONS OF GEORGIAN-AMERICAN PEDAGOGICAL THINKING* – 13  
**Toliashvili Beka** - *FOR THE QUESTION OF THE REALTION OF PSYCHOLOGICAL AND PEDAGOGICAL SCIENCES* – 15  
**Kurdadze Paata** - *FORMING AN INDEOLOGY AND BRINGING UP NEW CONSCINUESS* – 17  
**Kurdadze Shota** - *FOR UNDERSTANDING THE NOTION „FAITH”* – 21

### *Exact and Natural Sciences*

- Azmaiparashvili Maia** - *NITRATE ACCUMULATION IN PLANT CHARACTERISTICS OF SHIDA KARTLI* – 23  
**Zerakidze Zurab, Aleksidze Lela** - *OPTIMAL CONSISTENT ESTIMATES IN BANACH SPACE OF MEASURES* – 27  
**Iashvili Aleksandre** - *STRATEGY AND ACTION PLAN FOR CHILDREN AND YOUNGSTERS* – 30  
**Mumladze Malkhaz, Zerakidze Zurab** - *ONE METHOD OF DEFORMATION QUANTIZATION* – 32  
**Mshvidobadze Tinatin** - *COMPUTER MEANS FOR SUPPORT OF AUDIO AND VIDEO OF TECHNOLOGIES* – 34  
**Tielidze Zurab, Tielidze Zurab** - *GEORGIAN WATER RESOURCES AND TAXATION SYSTEM ROLE IN SAVING THEM* – 36  
**Tielidze Zurab** - *SOME ECONOMIC-ECOLOGICAL ISSUES OF UTILIZING LAND RESOURCES OF GEORGIA* – 40

### *Business and Management*

- Bibilashvili Lia** - *STAGES OF THE DEVELOPMENT OF SELF COGNITION AND VALUES* – 44  
**Bidzinashvili David** - *HONEY BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS AND PROSPECTS IN GEORGIA* – 48  
**Giguashvili Giuli** - *THE CLASSICAL AND MODERN CONCEPTIONS OF MOTIVATION* – 52  
**Mamulashvili Leila** - *TOURISM - THE FACTOR OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE WORLD* – 57  
**Nanitashvili Manana** - *THE PSYCHOLOGICAL ASPECT OF CONSUMER BEHAVIOR* – 60  
**Kobulashvili Tamaz, Edisherashvili Gia** - *PERSPECTIVES OF DEVELOPING OF ECOTOURISM BUSINESS IN THE SOUTH GEORGIA (ASPINDZA REGION)* – 67  
**Khizanishvili Salome** - *MODERN LABOUR ORGANIZATIONS AND COMMUNICATION PROBLEMS* – 71  
**Khorguashvili Tea** - *THE CALCULATION METHODOLOGY OF INFLATION IN GEORGIA* – 75  
**Tchiotashvili David, Anesashvili Tea** - *STRATEGIC MANAGEMENT OF INSURANCE COMPANIES* – 78

### *Social Sciences and Law*

- Balakhashvili Ivane** - *OWNERSHIP REGULATION* – 81  
**Vanishvili Shalva** - *HOOLIGANISM IS A SERIOUS CRIMINAL OFFENCE* – 89  
**Mgebrishvili Aleksandre** - *ABOUT SOME OF THE GENRE PECULIARITIES OF REVIEWING* – 92  
**Odikadze Robinzon** - *NEWSPAPER “SOVIET OSSETIA” – CHRONOLOGY* – 99  
**Salkhinashvili Maka** - *LEGAL ASPECTS OF FOREIGN MODELS OF ENERGY REGULATION* – 103  
**Chitadze Khaliana** - *THE LEGAL REGULATION OF CONSTRUCTION ACTIVITIES* – 108

### *Linguistics*

**Koberidze Mariam** - *MORPHEMES IN THE GEORGIAN LANGUAGE DIALECTS* – 113

**Otinashvili Nikoloz** - *TOPONIMICAL NOTES FROM KSANI GORGE* – 115

**Okropiridze Nino** - *FOR THE QUESTION OF SEMANTICALLY COINCIDENCE OF GERMAN AND GEORGIAN PROVERBS* – 119

**Khojvanishvili Elene** - *DAVIT BATONISHVILI'S VIEWS ON THE QUESTIONS OF ORTHOGRAPHY AND THEIR DESCRIPTION IN „SMALL GRAMMAR”* – 123

### *Literature*

**Gogoladze Tamar** - *FOR UNDERSTANDING AMOROUS POETRY OF VAZHA-PSHAVELA* – 128

**Datuashvili Ana** - *RESEMBLED CHARACTERS IN THE LITERARY OUTPUTS OF VAZHA PSHAVELA AND GODERDZI CHOKHELI (SYMBOLS AND ALLEGORIES)* – 134

**Imnadze Ana** - *THE NORTH CAUCASUS IN GEORGIAN LITERATURE (GENERAL OVERVIEW)* – 137

**Okropiridze Zurab** - *SAME POETIC TYPE-IDIOMS IN DARIANULI LYRIC AND IN THE ARCHIVE MATERIALS OF ELENE DARIANI* – 142

**Sidamonidze Tamar** - *GALAKTIONI'S MERI (MYTH AND REALITY)* – 149

**Tsertsvadze Marine** - *AESTHETIC WAY OF EXPRESSING DEATH IN TWO GEORGIAN STORIES OF THE II HALF OF THE XX CENTURY* – 154

**Champuridze Nelly** – *MINDIA'S TRAGEDY* – 159

**Khinchagashvili Natela, Khirseli Elene** - *CONCEPT OF “ BEAUTY” IN A STORY “BEAUTY” AUTHORED BY FYODOR SOLOGUB* – 162

**Khorbaladze Giorgi** – *INTERPRETATION OF VITAL PASSAGES FROM THE CREATIVE WORKS BY THE WRITER FOR COMPLETION OF PSYCHOLOGICAL PORTRAIT (KONSTANTINE GAMSAKHURDIA, NODAR DUMBADZE)* – 165

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა E d u c a t i o n

### არასრულწლოვან დამნაშავეთა ნებისყოფის ჩამოყალიბების ზოგიერთი გზები და საშუალებანი

*ციური ბაქრაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი*

ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის ბუნების შესწავლას, მისი ფორმირების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა წვდომას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ობიექტურ ღირებულებებზეა მიმართული, მის მიზანს ობიექტური ღირებულების შექმნა, დაცვა და შენახვა შეადგენს. ნებისყოფა ინდივიდში გარეგანი აღმზრდელობითი ზემოქმედების შედეგად ყალიბდება. ობიექტურ ღირებულებებთან მიმართებაში აღზრდისა და ორგანიზებული გარემოს ზემოქმედების გზით მოზარდს უშუალოდ უნარი აკეთოს არამხოლოდ ის, რაც მას ამჟამად უნდა, რისი მოთხოვნილებაც მას აქვს, არამედ ისიც, რასაც მისგან მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესები.

როცა მოზარდი ჩაბმულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, მასში სოციალურად მისაღები ქცევები და ნორმები ფიქსირდება, დადებითი სოციალური შინაარსის მატარებელი ნებისყოფა მტკიცდება. ასეთი უნარი ყოველთვის ობიექტურად ღირებულების მქონე მიზნის განხორციელებისკენ მიიმართება. მასში სხვაგვარად მოქმედების უნარი არცაა მოცემული, მას სხვაგვარად აქტივობის განვითარება არც შეუძლია. „ნებისყოფის სუბიექტი მიჰყვება რა ობიექტური ღირებულების მქონე მიზნებს, მას მრავალი შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიზანშეწონილი გზებითა და საშუალებებით დასაკმაყოფილებლად“. [1. 240]

მაგრამ, სათანადო აღმზრდელობითი ზემოქმედების უკმარისობის გამო, მოზარდი ზოგჯერ ვერ ერთვება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში, ვერ მიჰყვება სოციალურად მისაღები ქცევების ნორმებს, არ ფიქსირდება მასში დადებითი ზნეობრივი წესები, იწყება საზოგადოებისაგან მისი განსხვავება, წარმოიქმნება ერთგვარი სიცარიელე, რომლის შესავსებად აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებიდან გადახრილ ჯგუფებთან დაკავშირება, გზა ეხსნება ზნეობრივად გაუმართლებელი აქტივობის უნარის განვითარებას, დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტის ფორმირებას, ასეთ ვითარებაში იქმნება მცირე სოციალური ჯგუფები, მოქმედებათა საკუთარი სტანდარტებით. სწორედ ამ სტანდარტების ინტერიორიზაცია აყალიბებს მოზარდში მიუღებელი შინაარსის მატარებელ ნებისყოფას, რომელიც დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური ფაქტორის როლში გვევლინება.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა უმეტეს შემთხვევაში იმპულსურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება ნებისყოფის სუბიექტის აქტიური ჩარევით ხორციელდებოდეს და მის საფუძველში სოციალურად მიუღებელი შინაარსის მქონე ნებისყოფა იყოს მოცემული. არასრულწლოვან დამნაშავეთა მნიშვნელოვან ნაწილს, რაც ცხინვალის №1 მწვანედალსაზრდელო სპეციალურ სკოლაში ჩემი პედაგოგიური მრავალწლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან მივიღე, აშინებთ სიმნელებთან შეხვედრა, როგორც კი დაბრკოლებას წააწყდებიან, ისინი მაშინვე წყვეტენ მოქმედებას, მათ უძნელდებთ კონკრეტულ სამუშაოზე ყურადღების ხანგრძლივად შეჩერება, უჭირთ სამუშაოს დაწყება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ისინი ხშირად მოქმედებას იწყებენ მოუფიქრებლად, სიტუაციის კარნახით და არა წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, ადვილად ექცვიან სხვისი გავლენის ქვეშ, მიჰყვებიან სხვის კარნახს საკუთარი განსჯის გარეშე დაუფიქრებლად ეთანხმებიან სხვის შეხედულებებს.

არასრულწლოვან დამნაშავეთა მნიშვნელოვან ნაწილს მომავალი გაურკვეველად და უიმედოდ ეჩვენებათ, ისინი ხშირად უიმედოდ უყურებენ მომავალს, მათ გადაწყვეტილების გამოტანისას მერყეობა ახასიათებთ, დროულად ვერ გამოაქვთ გადაწყვეტილება, ამიტომ თავიანთ მოქმედებაში განიცდიან მარცხს, წარუმატებლობას, მათ საკუთარი თავის მიმართ რწმენა აკლიათ.

არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში სათანადო წარმატების მიღწევა აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. „დაბალი წარმატების მქონე მოზარდები ვერ ახერხებენ ან მწვანედალს ახერხებენ დასახული მიზნის შესრულებას, განზრახვის სისრულეში მოყვანას“ [2.154]. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ მოზარდების წარუმატებლობა

სწავლასა და შრომაში უფრო ხშირად არის არა ინტელექტუალური და ფიზიკური განვითარების სისუსტე, არამედ ნებისყოფის განვითარების დაბალი დონე, მისი სისუსტე. სუსტი ნებისყოფის მოზარდს უძნელდება ფსიქიკური პროცესების – მეხსიერების, ყურადღების, აზროვნების განზრახვასთან დაკავშირებული საკითხების მართვა, არასაინტერესო საქმიანობისათვის ამ ფუნქციების ამოქმედება და გამოყენება, მაშინ, როცა მოზარდი ამ ფუნქციებს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში წარმატებით იყენებს. იგი მომენტალური სიამოვნების მისაღებად საკმაო ნიჭსა და ყურადღებას ავლენს. „აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსები ხშირად იმდენად ძლიერია, რომ იგი მოზარდს ინსტრუქციის მოთხოვნებს მთლიანად ამოუგდებს ცნობიერებიდან და მას თავის აქტივობას სულ სხვა მიმართულებით წარამართვინებს“ [3.7].

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზნეობრივად მიუღებელი პიროვნული თვისებები უცებ არ ყალიბდება. ისე არ ხდება, რომ პატიოსანმა ადამიანმა სადამოს დაიძინოს და დილით არამზადამ გაიღვიძოს. ასევე შეუძლებელია ზნეობრივად გაუმართლებელ თვისებათა აღმოფხვრა დროის მცირე მონაკვეთში. აქტივობის სხვა მოდელების მსგავსად პიროვნების ყოფაქცევის ცვლილებანი მიჰყვება სწავლების კანონებს და ჩნდება თანდათანობით. განსხვავებული მიკროსიტუაციები მოზარდში ერთიანი შინაგანი მოდელის შექმნას აფერხებენ და უარყოფითი სუბიექტის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. აღმზრდელთა მიერ განსხვავებულ მოთხოვნათა წაყენება მათში შინაგან კომფლიქტს წარმოშობს. რაც უფრო ძლიერია შინაგანი კონფლიქტი, მით უფრო დამახასიათებელია მოზარდის სულიერი სამყაროს გაორება, მისი ქცევა არაადეკვატური ხდება, მის აქტივობაში იზრდება სიკეთესა და ბოროტებას შორის მერყეობის ამპლიტუდა.

შინაგანი კომფლიქტები, რომელსაც მოზარდი დანაშაულისაკენ მიჰყავს, არის გარეგანი არათანმიმდევრული ზემოქმედებისა და წინააღმდეგობრივი სასიცოცხლო გამოცდილების შედეგი. თუ აღმზრდელს მოზარდის ქცევის მიმართ სხვადასხვა აზრი აქვთ, საკითხი უნდა განიხილოს ბავშვის თანადაუსწრებლად, ამიტომ მშობლები, მასწავლებლები, უფროსი ასაკის ადამიანები, ვიდრე მოზარდის მიმართ რაიმე აღმზრდელითა ღონისძიებას გაატარებდნენ, მანამ წინასაწარ უნდა შეთანხმდნენ ამ ქმედების მიზანშეწონილობაში და შემდგომ მოახდინონ ამ ქცევების რეალიზაცია.

სამწუხაროდ ხშირად აღმზრდელები არ თანხმდებიან ერთიან ღონისძიებათა გატარებაში. სკოლასა და ოჯახს შორის შეინიშნება წინააღმდეგობა, ზოგჯერ ოჯახი სკოლას თავის მოწინააღმდეგედ აღიქვამს, ხშირად ანალოგიური შეხედულება აქვს სკოლას ოჯახის მიმართაც, ამის შედეგად მათი ავტორიტეტი მოსწავლეთა თვალში ეცემა და ამიტომ მათი აღმზრდელითი ეფექტი ერთობ დაბალია.

როგორც ცნობილია, აბსოლუტურად ცუდი ადამიანები არ არსებობენ, მთლად უარყოფითი თვისებების მქონე არ არის თვით „ფსევდომოკიდებული“ დამნაშავეც კი, რომ არაფერი ვთქვათ არასრულწლოვან დამნაშავეებზე. მათ სულიერ სამყაროში ყოველთვის არის დადებითი საწყისის ელემენტები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სოციალური ნორმების დარღვევისაგან გაფრთხილება და სამართალდარღვევათა გამოსწორება. „დადებით პიროვნულ თვისებათა სფეროში პირველი ადგილი უჭირავს აღმზრდელისადმი სიყვარულს, რომელიც დიდ როლს თამაშობს არასრულწლოვან დამნაშავეთა ხელახალი აღზრდისათვის“ [4.250].

მოსწავლის ნებისყოფის აღზრდაში მნიშვნელოვან როლს აღმზრდელის ავტორიტეტი ასრულებს. გარეგანი ზემოქმედება გამტარიანია იმ შემთხვევაში, როცა მას ავტორიტეტული აღმზრდელი წარმართავს. სხვის რჩევა-დარიგებას იგი შინაგანად მხოლოდ იმისგან იღებს, ვისაც ენდობა, ვისი შეფასების სამართლიანობაც სწამს. თუ აღმზრდელი არ სარგებლობს ბავშვთა შორის ნდობითა და ავტორიტეტით, მაშინ მისი რჩევა-დარიგება სასურველ შედეგს არ იძლევა, მოზარდის სულიერ სამყაროზე დადებით აღმზრდელით გაკლენას ვერ ახდენს.

როცა ოჯახსა და სკოლაში „თბილა“, მოსიყვარულე ურთიერთობა მოზარდის ნებისყოფის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. ამ შემთხვევაში იგი ნაკლები ალბათობით ხვდება ისეთ სიტუაციაში, სადაც მან შეიძლება ჩაიძინოს დანაშაული, რადგან იგი დროისა და საქმიანობის მეტ ნაწილს მათთან ატარებს. „დადებითი სოციალური შინაარსის მატარებელი ნებისყოფის აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს უფროსების მიერ მოზარდის მიმართ სიყვარულსა და დადებით დამოკიდებულების რეზონულ განაწილებას. უცხოურ ლიტერატურაში აღწერილია ფაქტი, რომ, ოჯახში მშობლების მიერ შვილების მიმართ სიყვარული გონივრულად ვერ განაწილდა, ბავშვი დანაშაულის გზას დაადგა“ [5.50].

სასჯელი სოციალურად მიუღებელი ქცევის აკრძალვისა და სავალდებულოს დაძალის მკაცრ ზომას წარმოადგენს. მაგრამ, დასჯის აღმზრდელითი ეფექტურობისაგან მთავარი ის კი არ არის, რომ იგი მოზარდისათვის უსიამოვნების მომგვრელია, არამედ ის, თუ ფსიქოლოგიურად რას ნიშნავს ის მისთვის – შეურაცხყოფას, სამაგიეროს გადახდას თუ მასზე ზრუნვას, მისი გამოსწორებისაკენ მიმართულ



ლონისძიებას. სასჯელი მაშინ არის დადებითად მოქმედი, როცა არასრულწლოვანი სასჯელის სამართლიანობას გრძნობს და ხედავს, რომ სასჯელი მისდამი მიმართულია როგორც სიკეთე, როგორც მისი გამოსწორებისათვის გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიება. უსამართლოდ გამოყენებულ სასჯელს მივყავართ მავნე შედეგებამდე, მოზარდის გაბოროტებამდე, აღმზრდელის მიმართ მტრულ დამოკიდებულებამდე. უსამართლოდ დასჯის თუნდაც ერთ შემთხვევას შეუძლია არარაობად აქციოს ხანგრძლივი აღმზრდელობითი მუშაობით მოპოვებული დადებითი შედეგები. სასჯელმა რომ მიზანს მიაღწიოს, ნებისყოფის მიზნის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყოს, საჭიროა არასრულწლოვანი დანაშაულს გრძნობდეს და ჰქონდეს წარმოდგენილი რისთვის ისჯება. იძულებითი ზომების გამოყენებას საფუძვლად უნდა დაედოს მოზარდის შინაგანი თანხმობა, იმის შეგნება, რომ მან მართლაც დაარღვია ზნეობრივი ქცევის ნორმები, ჩაიდინა დანაშაული და რომ სასჯელი მიმართულია მისდამი როგორც სიკეთე, როგორც დადებითი აღმზრდელობითი ზემოქმედება.

პედაგოგიურ პრაქტიკაში სასჯელის მრავალი სახეა გამოყენებული, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება დაჯგუფდეს სამ მთავარ კლასად: 1. განსჯა-განხილვით, ანუ შთაგონებითი სასჯელი, როგორცაა: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური და სხვა. 2. ბუნებრივი ზემოქმედების, ანუ რეციპროკული სასჯელი – იგი აიძულებს მოზარდს თვითონ მან მოახდინოს ზნეობრივად მიუღებელი ქცევის აწმყოში ლიკვიდაცია და იმოქმედოს ნებისყოფის მიზნის მიმართულებით. მაგალითად: თუ მოზარდმა მასწავლებელს რვეულში ნაჩქარევად დაწერილი დავალება გადასცა, მასწავლებელი ხელმეორედ აწერინებს მას. ან თუ თანაკლასელს გაარტყა, აიძულებენ ბოდიში მოუხადოს მას და სხვა. 3. შეზღუდვითი ანუ გამოსყიდვითი სახის სასჯელში პიროვნების ქცევის უარყოფითი შეფასება გამოხატულია არა სიტყვიერ ფორმაში, არამედ გარკვეული მოქმედებისაგან შეზღუდვის სახით.

წაქეზება ინდივიდის ქცევის დადებით შეფასებას გულისხმობს. ის სტიმულს აძლევს მოზარდის მიზანშეწონილ მოქმედებას, ასევე ნებისყოფის აღზრდის დამხმარე საშუალებაა, როცა მას ჯერ კიდევ არ მოეპოვება სპციალურად მისაღები ქცევის ფიქსირებული განწყობები, მაშინ აღზრდის მიმართულებით წამახალისებელ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ, როგორც წესი, წამახალისებელი ღონისძიებანი გამოიყენება უკვე შესრულებულ მოქმედებაზე, ნებისმიერი ქცევის განხორციელებით მიღწეულ წარმატებაზე. ის უკვე მოპოვებული დადებითი შედეგის განმტკიცების მიზნით გამოიყენება და იმ ქცევის ობიექტურ ღირებულებებზე მიუთითებს, რომლის გამო წახალისების ფაქტი მოხდა.

მაგრამ წამახალისებელ ღონისძიებათა გატარებაზე აღმზრდელმა თავი უნდა შეიკავოს მოზარდის უნარის მიხედვით წაქეზებაზე, ე.ი. ისეთ ფსიქიკურ თვისებათა წაქეზებაზე, რომლის ავკარგიანობა თვითონ ინდივიდზე არაა დამოკიდებული, მაგ., კარგი მეხსიერების გამო, ხატვის მაღალი უნარის გამო და ა.შ. უნარის გამო მოზარდის წაქეზება დადებით ეფექტს ვერ იძლევა. იგი თვითდაკმაყოფილების გრძნობას წარმოშობს და სუბიექტს წინსვლის სურვილს უკარგავს. ამდენად აღმზრდელმა მოზარდი უნდა შეაქოს უნარისა და ნიჭის გამო, რაც მასზე არაა დამოკიდებული, არამედ თავისი ნიჭისა და უნარის განვითარების სისტემატური მუშაობისათვის, საკუთარ თავში ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის. წამახალისებელი ღონისძიება მიზანშეწონილია მას შემდეგ, როცა მოზარდმა დავალება წარმატებით შეასრულა და თავი გამოიჩინა ამა თუ იმ საქმის შესრულებისას.

წახალისების ზომების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ის გარემოება, რომ მოზარდი დადებითად იქცეოდეს არა ქებისა და ჯილდოსათვის, არამედ იმისათვის, რომ მას სარგებლობა მოაქვს როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას მოზარდთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი. წამახალისებელი ზომების გამოყენებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს არასრულწლოვან დამნაშავესთან, საჭიროა მისთვის დამახასიათებელ პიროვნულ ნიშან-თვისებათა ცოდნა, უნდა გამოვყოთ მასში დადებითი ღირსებანი და გამოვიყენოთ ისინი პიროვნების მოსამაგრებლად. აუცილებელია წახალისების გზით მივმართოთ მოზარდი თავისი შესაძლებლობების თვითშეცნობისაკენ. დადებით ღონისძიებებზე დაყრდნობით გამოვუცხადოთ მას ნდობა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მიზანშეწონილი აქტივობისათვის. დამნაშავე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შერწყმით ყალიბდება. მოზარდის ხელახლა აღზრდა და გამოსწორება ცხოვრების ობიექტური პირობების შეცვლით იწყება. ყოველივე მისი ნებისყოფის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

ნებისყოფის სუბიექტის აღზრდა, მოზარდში ვალდებულების შეგნების ჩამოყალიბება მარტო მიუღებელი ქცევის აკრძალვით შეუძლებელია, თუკი იგი რაიმე მისაღები ქცევის ფორმებთან არ იქნება დაკავშირებული. მხოლოდ აკრძალვამ შესაძლებელია საუკეთესო შემთხვევაში მიუღებელი ქცევისაგან თავის შეკავების უნარი გამოუმუშაოს მოზარდს, ამით კი ცხადია, მოვალეობის შეგნების აღზრდის საქმე ვერ წაიწვედა წინ. ამიტომ ვალდებულების შეგნების აღზრდის ინტერესები მოითხოვს, რომ მოზარდს

გარკვეული მოქმედების აკრძალვის პარალელურად სავალდებულო მიზნები დაეძალოს, ნებისყოფის ნორმების მიხედვით მოქმედება მოეთხოვოს.

#### ლიტერატურა:

1. Д. Миллер, Планы и структура поведения, 1999.
2. К. Корнилов, Воспитание воли и характера, 1997.
3. შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, 1998.
4. ნ. ფეტერი, მოტივაციური თეორია, 1995.
5. ც. ბაქრაძე, ფრთხილად, შენ წინ ძნელად აღსაზრდელია, 1989.

### რეზიუმე

ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის ბუნების შესწავლას, მისი ფორმირების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა წვდომას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა უმეტეს შემთხვევაში იმპულსურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება ნებისყოფის სუბიექტის აქტიური ჩარევით ხორციელდებოდეს და მის საფუძველში სოციალურად მიუღებელი შინაარსის მქონე ნებისყოფა იყოს მოცემული. არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში სათანადო წარმატების მიღწევა აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს. სამწუხაროდ ხშირად შეინიშნება სკოლასა და ოჯახს შორის წინააღმდეგობა, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს მოზარდის ფორმირებაში.

მოზარდის ნებისყოფის აღზრდაში გამოიყენება წახალისებისა და დასჯის მეთოდები, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება სიფრთხილეს საჭიროებს, რათა უკუშედეგი არ მივიღოთ. დამნაშავე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების შერწყმით ყალიბდება. მოზარდის ხელახლა აღზრდა და გამოსწორება ცხოვრების ობიექტური პირობების შეცვლით იწყება, ყოველივე კი მისი ნებისყოფის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

## SOME WAYS AND MEANS HOW TO FORM THE WILLS OF THE CRIMINAL UNDER-AGE TEENAGERS

Tsira Bakradze, Doctor of pedagogical Science  
RESUME

To study the character of will and any behavior, to have a view in physiological regularity of formation a great theoretical and practical means.

The behavior of the criminal under-age teenagers in many cases have impulsive character but sometimes it may act by active involve of subject of will, which would be based on society-unaccepted will. For improving and re-bringing up and getting appropriate success, it needs to use radically formation in educational work.

Unfortunately, there are some misunderstands between school and family, which brings a deplorable result in formation of teenagers.

In formation of teenager's will are used methods of punishment and encouragement but all of these ones should be used with great care to avoid the wrong result.

The criminal is formed by joining subjective and objective factors. To re-bringing up and improve the teenager it needs to change objective terms.

As it is known, there are not almost cruel people or criminals. In their spiritual world, we can always find initial positive elements. In the case of positive personal behavior, the first place takes to have a deep respect for educators, who pays a great part of re-bringing up the criminal teenagers.

The educator's authority plays the main role in upbringing the will of the student. If children do not trust in their teachers and they do not have enough authority in their students' view in this case their advices can not have positive affect on the spiritual world of teenagers.

## ფიზიკური მზაობა, როგორც ბავშვის სკოლისათვის მომზადების წინაპირობა

*მზია გოგიაშვილი, აკადემიური დოქტორი*

სკოლისათვის ბავშვის მომზადება გულისხმობს მის ზოგად და სპეციალურ მზადყოფნას სწავლისათვის. ზოგადი მზაობა განისაზღვრება ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებით, ხოლო სპეციალური - იმ ცოდნით, წარმოდგენებითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია სასწავლო საგნების შესასწავლად (მშობლიური ენის, მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის და სხვ.). მხოლოდ კომპლექსური მიდგომა ამ საკითხისადმი უზრუნველყოფს სკოლისათვის ბავშვის სრულყოფილად მომზადებას.

სკოლისათვის ბავშვის ფიზიკური მომზადების სრულყოფისათვის საჭიროა ბავშვის ფიზიკური მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მისი ფიზიკური თვისებებისა და სამოდრაო უნარ-ჩვევების განვითარებაზე (სკოლამდელთა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად). /1., გვ. 56/

სკოლისათვის ბავშვის ეფექტიანობას უზრუნველყოფს ფიზიკური ვარჯიშები, კერძოდ, სპეციალურად შერჩეული მოძრაობის თამაშების სისტემური გამოყენება სამოდრაო უნარ-ჩვევების გასამტკიცებლად და ფიზიკური თვისებების გასავითარებლად საბავშვო ბაღსა და ოჯახში.

სკოლამდელ ასაკში თამაში ქცევის ძირითადი ფორმაა, მისი სწორი ორგანიზაციით კი მიიღწევა ბავშვის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება. სწორედ ამიტომაც მოძრაობის თამაში ბავშვის მრავალმხრივად განვითარების საუკეთესო საშუალებაა, რის შედეგადაც განვითარებით ბავშვს ფიზიკურად და ამით სრულყოფთ სწავლისათვის მის მთლიან მზაობას. ფიზიკური ჯანმრთელობა გულისხმობს ბავშვის სიმაღლის, წონის, ორგანიზმის სისტემების ნორმალურ მდგომარეობას, რაც უზრუნველყოფს გარემო პირობებისადმი ასევე ნორმალურ ადაპტაციას. ფიზიკური ჯანმრთელობა ითვალისწინებს ბავშვის სტატიკური დატვირთვის დაძლევის უნარსაც, რისთვისაც აუცილებელია ე. წ. „კუნთური კორსეტი“. იგი ხელს უწყობს სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ხანგრძლივი სასწავლო მეცადინეობისათვის მოსწავლის მოსამზადებლად. ჯანმრთელობის განმტკიცებას ბევრად ეხმარება სპეციალურად ორგანიზებული ფიზიკური ვარჯიშები, ისინი აუმჯობესებენ ბავშვის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ფუნქციონირებას, დადებით გავლენას ახდენენ მის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. /2. გვ. 99/

უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გამოიყენოს ათვისებული მოძრაობითი არსენალი. სამოდრაო აქტივობა უნდა იქცეს ბავშვის ბუნებრივ მოთხოვნილებად.

სკოლამდელთა სამოდრაო აქტივობას უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის ძირითადი საშუალებების და ყველა ორგანიზაციული ფორმის კომპლექსური გამოყენება.

მოძრაობის თამაშობების მიზანმიმართული, გეგმაზომიერი გამოყენება (ძირითადი მოძრაობების სირთულის თანმიმდევრული გაზრდისა და სააღმზრდელო დაწესებულების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით) უნდა იწვევდეს მნიშვნელოვან დადებით ძვრებს სკოლამდელთა სამოდრაო უნარ-ჩვევების დაუფლებასა და ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ამან კი ხელი უნდა შეუწყოს სკოლამდელთა მომზადებას სასკოლო სწავლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნები და საბავშვო ბაღის აღმზრდელებს მივცეთ რეკომენდაციები, რომ:

- სკოლაში სწავლისათვის ბავშვის მომზადება მრავალმხრივი, მიზანმიმართული პედაგოგიური პროცესია. ამ პროცესში ფიზიკურ მომზადებას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.
- სასკოლო ცხოვრების პირობებთან ადაპტირებისათვის ბავშვის ფიზიკური მზაობა - ეს არის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური თვისებებისა და სამოდრაობითი უნარ-ჩვევების განვითარების დადგენილი დონე, ხოლო ფიზიკური მომზადება არის აღსაზრდელთა ქცევის სპეციალური მოწყობა ამ დონის მისაღწევად ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- მოძრაობის თამაში, როგორც სკოლამდელთა ქცევის წამყვანი ფორმა, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან ერთად (მეცადინეობა, დილის ტანვარჯიში, გასეირნება და სხვ.) განიხილება როგორც ბავშვის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელი საშუალება. ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს ქართული ხალხური თამაშობები.

- საბავშვო ბაღისა და ოჯახის თანამშრომლობა, აღსაზრდელოთა მშობლებთან შეთანხმებული მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება ასევე ერთ-ერთი პირობაა სასკოლო საქმიანობაში 6-წლიანი ბავშვის აქტიური, უმტკივნეულო ჩართვისათვის.

- ბავშვმა მოძრავი თამაშისა და სხვა ფიზიკური ვარჯიშობისას უნდა გამოამჟღავნოს მეტი აქტივობა, მოძრაობა და კოორდინაციის მეტი სიზუსტე, პასუხისმგებლობა გუნდური ინტერესების დაცვისადმი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროგრამით გათვალისწინებული ფიზიკური ნორმატივების უკეთ შესრულებას და ბოლოს, სკოლამდელთა ძირითადი მოძრაობების ფორმირება-დახვეწა და საამისოდ მოძრავი თამაშობების გამოყენება სასკოლო ცხოვრებისათვის ბავშვის ფიზიკური მომზადების ისეთი საშუალებაა, რომელთა გარეშე ეს პროცესი სრულყოფილი არ იქნება და ვერც სასურველ ეფექტს მოგვცემს.

აქედან გამომდინარე, საბავშვო ბაღის აღზრდელებმა, სკოლისათვის ბავშვის მთლიან მომზადებაში უნდა მიაღწიონ მის ფიზიკურ მზაობას, რომელიც განიხილება როგორც წარმატებითი სწავლების წინამძღვარი.

- საბავშვო ბაღის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, განსაკუთრებით უფროსში, აუცილებელია სამოძრაო აქტივობის გაზრდისათვის ხელის შეწყობა. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს მრავალფეროვანი ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება-დაუფლებას.

- ბავშვის ფიზიკურ სრულყოფას უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის ყველა საშუალების (ჰიგიენური ფაქტორების, გარემო ბუნებრივი ძალების, ფიზიკური ვარჯიშების) და ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმის (მეცადინეობის, გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, გასეირნების, სპორტული გართობის, დღესასწაულისა და სხვა) სისტემატური გამოყენება. ფიზიკურ ვარჯიშებში მოძრავ თამაშს უნდა დაეთმოს წამყვანი ადგილი.

- ფიზიკური აღზრდის ყველა ორგანიზაციულ ფორმას თავისი სპეციფიკური ფუნქცია აქვს, მაგრამ მხოლოდ მათი ურთიერთკავშირი, კომპლექსური გამოყენება უზრუნველყოფს სკოლამდელი ასაკის ბავშვის მრავალმხრივ და, რაც მთავარია, ფიზიკურ განვითარებას, რომელსაც განვიხილავთ როგორც სასკოლო სწავლისათვის მის ფიზიკურ მომზადებას.

- ფიზიკური თვისებებისა და სამოძრაო უნარ-ჩვევების გასავითარებლად რეკომენდირებულია სპეციალურად შერჩეული მოძრავი თამაშების შესწავლა, რომელთა თანმიმდევრობა დაფუძნებულია ძირითადი მოძრაობების თანდათანობით გართულებაზე.

- ძირითადი მოძრაობების შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ციკლური მოძრაობების დაუფლებას (სიარული, რბენა, ცოცვა). ასეთი სახის ვარჯიშების შესრულებით უკეთესად რეგულირდება ბავშვის ნერვული, გულსისხლძარღვთა, სუნთქვითი სისტემები, რაც აიხსნება ამ მოძრაობების სტრუქტურის თავისებურებებით. ციკლური მოძრაობების დაუფლება თავის მხრივ, ეხმარება აციკლური და შერეული ტიპის მოძრაობების ათვისებას, რომელიც თხოულობს უფრო რთულ მოძრაობათა კოორდინაციასა და ნებისყოფის დამაბვას (ტყორცნა, ხტომები). /3. გვ. 41/

- მოძრავი თამაში ბავშვს უნდა ეძლეოდეს მისი სირთულე-სიადვილის მიხედვით, რადგან თამაშს ახასიათებს რთული სამოძრაო მოქმედებები. ყურადღება უნდა მიექცეს თითოეული ბავშვის დატვირთვის, გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ფიზიკური შესაძლებლობები, ასაკი. კითხვა-პასუხის მეშვეობით უნდა გავიგოთ, ესმით თუ არა მათ თამაშის შინაარსი, მისი წესები. ადვილად შესრულების შემთხვევაში ვართულებთ თამაშს, მაგალითად ვცვლით ტემპს, მოთამაშეთა რაოდენობას, სათამაშო მოედნის ფართობს და სხვ.

- სკოლამდელთა ჰარმონიული, ზნეობრივი აღზრდისათვის აუცილებელია ხალხური თამაშობების აქტიური სწავლება, კერძოდ ქართული ხალხური თამაშობებისა, რომლებიც აცნობენ ბავშვს ქართულ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს და ამით უყალიბებენ პატრიოტულ გრძნობებს. /4. გვ. 10/

- სკოლისათვის ბავშვის მოსამზადებლად რეკომენდირებულია ოჯახთან თანამშრომლობა, მშობლების პედაგოგიზაცია, რათა აღსაზრდელებს შევუქმნათ ყველა პირობა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის.

საბავშვო ბაღის აღზრდელებმა სკოლისათვის ბავშვის მთლიან მომზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმონ მის ფიზიკურ მზაობას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ სრულყოფას და განიხილება როგორც სკოლისათვის ფიზიკური მომზადების საშუალებაც და პირობაც, როგორც წარმატებითი სწავლების წინამძღვარი.

### ლიტერატურა:

1. საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელთათვის, რედ. ნ. სამხარაძე, ლ. მექვაბიშვილი, თბ., 2000.
2. ფალავანდიშვილი მ., გოგიაშვილი მ., მოძრავი თამაში, როგორც ბავშვის ფიზიკური განვითარების საშუალება. საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მომხმე“, №7, თბ., 2004.
3. გოგიაშვილი მ., ფიზიკური თვისებების აღზრდა-განვითარება, როგორც სკოლამდელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საშუალება, საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მომხმე“, №7, თბ., 2004.
4. შიშნიაშვილი ნ., ქართული ხალხური მოძრავი თამაშობანი, ა. რობაქიძის რედ., თბ., 1958.

### რეზიუმე

საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა ბავშვის სკოლისათვის მთლიან მომზადებაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმონ მის ფიზიკურ მზაობას, რომელიც ოჯახთან თანამშრომლობით, მშობლების პედაგოგიზაციით და ყველა იმ პირობის შექმნით მიიღწევა, რაც ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული.

### PHYSICAL READINESS AS PRECONDITION OF CHILD'S PREPARATION FOR SCHOOL

Mzia Gogiashvili, Academic Doctor

### RESUME

The teachers of nursery school should pay a considerable attention to a child's physical readiness in his or her whole preparing for school. It should be achieved by collaboration with family and parents. And all the conditions necessary for child's physical and psychical health should be done by them.

### ქართულ-ამერიკული პედაგოგიური აზროვნების აქტუალური საკითხები

*აკაკი ტოლიაშვილი, სრული პროფესორი*

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაუმჯობესებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ბუნებრივია გამოიწვია მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების, გამოცდილებების გაზიარება. ამის საფუძველი მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება იყო. ამ პერიოდიდან საინტერესოდ გამოიკვეთა პედაგოგიური ურთიერთობებიც. გარკვეულწილად ეს პროცესი ადრეც დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ეს კარგად ჩანს ექსპერიმენტულ კვლევებშიც, რომლებიც მიმდინარეობდა იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. შეფარვით ზოგჯერ კიდევ გამოკვეთილად იწინააღმდეგებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მკვლევართა რიგი გამოცდილებანი. ეს პროცესი ახლაც გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას მემკვიდრეობით ძალზედ ბევრი „ერგო“ ევროპული, კერძოდ გერმანული პედაგოგიკიდან 90-იანი წლებიდან და დღესაც დიდია გავლენა ამერიკული პედაგოგიკის, რომელიც ამა თუ იმ ფორმით აისახება ჩვენს პედაგოგიურ ცხოვრებაში.

თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების უამრავი პედაგოგიური პროგრამა მხოლოდ სწავლების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტებით განისაზღვრება. შეცვლილია თვით ტერმინიც პედაგოგიკა, ტერმინით - განათლება. ასეა ჩვენთანაც.

ნაშრომი - კლასის მართვა (კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებელთათვის რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, გამოიცა

საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განათლების ცენტრის მიერ 2009 წელს) ინტერესს იწვევს თავის თვალსაზრისით. უამრავი პროგრამა, რომელიც აშშ-ს განათლების სისტემაში ინერგება, ეხება როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის პასუხისმგებლობას. ზემოთხსენებული ნაშრომის პირველივე გვერდზე მითითებულია, რომ „მასწავლებელი კალსში მრავალ ფუნქციას ასრულებს მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კლასის მართვა. შეუძლებელია სწავლისა და სწავლების დონე ეფექტური იყოს კლასში, რომელსაც მასწავლებელი კარგად არ მართავს. როცა მოსწავლეები უწესრიგოდ და უპატივისმცემლოდ იქცევიან და როცა მათ ქცევას კონკრეტული წესები არ აწესრიგებს, კლასში ქაოსია. ქაოსურ სიტუაციაში მოსწავლეებიც ზარალდებიან და მასწავლებელიც... თუ მასწავლებელს კლასის ეფექტურად მართვა შეუძლია, სწავლა და სწავლება გაცილებით წარმატებულია“. [გვ. 1]

მოცემული საკითხის (ე.ი. მასწავლებლის წამყვანი როლის შესახებ) დასადასტურებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი კვლევა ჩატარებიათ. 1997 წელს ს. პოლრაითმა, სანდრა ჰორნმა, უილიამ სანდერსმა დაახლოებით 60 000 მოსწავლე გამოკითხეს. შედეგებით დაუდასტურებიათ, რომ მასწავლებელს ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

მკვლევარები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ „მოსწავლე რომელიც ეფექტურ მასწავლებელთან მუშაობს, მნიშვნელოვან აკადემიურ წარმატებას აღწევს. თუმცა რთულია ამ პროცესის დინამიკის წვდომა... ეფექტური მასწავლებელი ბევრ ფუნქციას ერთდროულად ასრულებს. ეს ფუნქციები სამ ძირითად სფეროდ ერთიანდებიან: 1) სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და გამოყენება. 2) სასწავლო გეგმის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე. 3) კლასის მართვის მეთოდების ეფექტური გამოყენება და სხვ.

ამერიკულ პედაგოგიაში უამრავი პროგრამა ეთმობა მოსწავლის პასუხისმგებლობასაც, მაგ., ბავშვის განვითარების პროექტი (ბათისტიჩი, უიტსონი, სოლომონი, შაფსი, 1991 წ) პროგრამები, რომლებიც ისახავენ ბავშვებისთვის თვით რეგულაციასა და პასუხისმგებლობის სწავლების მიზანს, ასეთი პროგრამა მაგალითად ძალადობის პრევენცია ქაროლან ქელის (1997 წ) მიხედვით, პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებენ საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობას და სხვ.

თუ დავუკვირდებით ექსპერიმენტებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მათ ნიადაგზე მიღებულ პროგრამებს, უნდა დავსვათ ყველასთან შესაბამისად კითხვა – შეუწყობს თუ არა ხელს საქართველოში პედაგოგიური მეცნიერების განვითარებას ეს ექსპერიმენტები, როგორი შედეგები გვექნება მომავალში? რასაკვირველია უცხოური პროგრესული გამოცდილებების დანერგვა საქართველოში ძალზედ კეთილშობილური საქმეა, მაგრამ როგორც ჩვენი სულმნათი იაკობი გავსწავლის – იგი მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს, თუ ეს ასე არ იქნება ეს ალბათ ძვირად დაგვიჯდება, ამის პრაქტიკა გასული საუკუნის მეორე ნახევარშიც კარგად იწვინა, რომლის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას კვლავ მრავალი წელი დასჭირდება. როგორც არც თუ დიდი ხნის წინ გარადცვლილი ჩვენი ერთ-ერთი დიდი მამულიშვილი ბრწყინვალე მეცნიერი და უბადლო პიროვნება აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი 1988 წელს წერდა: „სასწავლო, სააღმზადდლო ექსპერიმენტალური პროგრამის შედგენა და შემოწმება მკაცრ მეცნიერულ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს, ყოველთვის გვახსოვდეს გაფრთხილება: ადამიანი საცდელი ბაჭია არ არის.“ ეს კიდევ უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩატარების დროს.

მე მგონია ახლაც ღირს დაფიქრება იმაზე, რაზედაც ბრძენი თანამემამულე ამ ოცი წლის წინ მიგვითითებდა.

### ლიტერატურა:

1. რობერტ ჯ. მარზანო, იანა ს. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, კლასის მართვა: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისათვის, ქართული გამოცემა, თბ., 2009;
2. ბელა გომელაური, მამუკა თავხელიძე, ევროპული დიდაქტიკა, თბ., 2002.

## რეზიუმე

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაუმჯობესებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა კავშირებმა გამოიწვია მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების გამოცდილების გაზიარება, დანერგვა. საინტერესოდ იწყებს განვითარებას პედაგოგიური ურთიერთობებიც. ამის თვალსაჩინოდ შეიძლება განვიხილოთ მთელი რიგი პედაგოგიური კვლევები აშშ-ში, რომლებიც ინერგება და გამოიყენება საქართველოში.

ითარგმნება, იბეჭდება და ვრცელდება ბევრი საინტერესო მეცნიერული, პედაგოგიური ლიტერატურა, ეს კი აუცილებელია, რადგანაც პედაგოგიკა მეცნიერული მონაცემების გარეშე ვერ განვითარდება.

## URGENT QUESTIONS OF GEORGIAN-AMERICAN PEDAGOGICAL THINKING

Akaki Toliashvili, Full Professor

### SUMMARY

At the end of XX century and the beginning of XXI century the improved political-economical connections between the U.S.A and the Republic of Georgia caused to share the achievements of science and culture. It is beginning to develop interestingly even pedagogical relationships. Prominent of this we can discuss the whole pedagogical researches in the U.A.S, which are inculcate and used in the Republic of Georgia. A lot of interesting scientific and pedagogical literature is translating, publishing and expanding. It is necessary because the pedagogy will not develop without the scientific findings.

## ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა ურთიერთობის საკითხისათვის

*ბექა ტოლიაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ნებისმიერი მეცნიერებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საკვლევო სფეროს საზღვრების დადგენა და დაცვა. არსებობენ მეცნიერების დარგები, რომლებიც მომიჯნავედ ითვლებიან და ერთმანეთს გარკვეული კუთხით ავსებენ და საერთო საკვლევო საკითხებით არიან დაკავშირებული. აუცილებელია ის საზღვრები, რომელიც თითოეულისათვის არის განკუთვნილი, ხელშეუხებელი იყოს და არცერთი მათგანი მეორეს ხარჯზე არ დაკნინდეს და შეიზღუდოს. ამდაგვარ მომიჯნავე მეცნიერებებად შეიძლება ჩაითვალოს პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. დღეისათვის აქტიურია ტენდენცია პედაგოგიკის ფსიქოლოგიით ჩანაცვლების და პედაგოგიკაში ფსიქოლოგიზმის შეჭრის.

აღნიშნული პრობლემა ძალზედ საინტერესოდ არის განხილული ქართველი მეცნიერების: დ. უზნაძის, შ. ჩხარტიშვილის, ა. ბოჭორიშვილის და სხვათა შრომებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიმიტრი უზნაძის მითითებები პედაგოგიური მეცნიერების ფსიქოლოგიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იგი აღნიშნავს - „პედაგოგიური დასკვნები, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ისინი პედაგოგიურ დებულებებს წარმოადგენენ, მაშასადამე, როდესაც ფსიქოლოგია ასეთ დასკვნებს აკეთებს, იგი ფსიქოლოგიის საზღვრებს სცილდება და პედაგოგიკის ფარგლებში იჭრება, იგი პედაგოგიკის საქმის გაკეთებას ცდილობს. მოკლედ ფსიქოლოგიზმი პედაგოგიკაში მცდარ თვალსაზრისს წარმოადგენს და ფსიქოლოგიისთვის პედაგოგიური დასკვნების გამოტანის დავალება ნიშნავს სწორედ ფსიქოლოგიზმის შეტანას ფსიქოლოგიაში.“ (დ. უზნაძე, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა, 1941)

აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი წერს, რომ ფსიქოლოგიზმი „ორი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს უკანონო აქტთან“. „ფსიქოლოგიზმი ერთ შემთხვევაში ნიშნავს ფსიქოლოგიის შეჭრას სხვა მეცნიერებაში, ფსიქოლოგიური ცნებების გამოყენებას იქ, სადაც ამას არ აქვს გამართლება; საქმე გვაქვს ცნებათა აღრევასთან, რაც მეცნიერებას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს“. „მეორე მნიშვნელობა ფსიქოლოგიზმისა ეხება არა ფსიქოლოგიური მეცნიერების შეჭრას სხვა მეცნიერებაში, არამედ ფსიქიკის შერევას სხვა მეცნიერების კვლევის საგანში. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ყოველგვარი სინამდვილე, რომელიც შემეცნებით ურთიერთობაში მოდის ადამიანთან, ფსიქიკის ფენაში გაივლის და ამ სინამდვილით შენიღბული ევლინება შემეცნებელ სუბიექტს. ეს ქმნის უდიდეს სიძნელეს შემეცნების წინაშე. სინამდვილის მრავალფეროვნება ერთ ენაზე, ფსიქიკის ენაზე ითარგმნება, არსებითად ფსიქიკის სახეს იღებს, ფსიქიკად იქცევა. ზოგი მოაზროვნე იქამდე მიდის, რომ ერთადერთ მოცემულობად ფსიქიკურ მოვლენებს თვლის და ნამდვილ მეცნიერებად მხოლოდ ფსიქოლოგია მიაჩნია. სხვა მეცნიერებაც, ამ შეხედულების თანახმად, ფსიქიკურს იკვლევს და ამდენად არსებითად ფსიქოლოგიის განშტოებას წარმოადგენს“.

„ფსიქოლოგიზმის საფრთხესთან საქმე გვაქვს მაშინაც, როცა აღიარებულია არაფსიქიკური სინამდვილის არსებობა, მაგრამ მის გამოცდილებაში, ემპირიაში შემოსასვლელად მისი ფსიქიკად გარდაქმნა ითვლება აუცილებელ პირობად... მაშასადამე, თუ დავუშვებთ, რომ რომელიმე არაფსიქოლოგიური მეცნიერების საკვლევი ობიექტის არსებობისა და ნიშანთვისების შესახებ შემმეცნებელს ეცნობება მხოლოდ ფსიქიკური პროცესის საშუალებით, ფსიქოლოგიზმის საფრთხე ამ მეცნიერებაში რეალურ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ფსიქოლოგიზმის დაძლევის გარეშე აქ უსაფუძვლოა არაფსიქოლოგიური მეცნიერების თავისთავადობაზე, სევერენტულობაზე ლაპარაკი.“

ა. ბოჭორიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ფსიქოლოგიზმი საფრთხეს უქმნის და მიუღებელია არა მარტო ფსიქოლოგიისაგან განსხვავებულ, თავისი სპეციფიური საკვლევი საგნის მქონე სხვა მეცნიერებებისათვის, ფსიქოლოგიზმი თვით ფსიქოლოგიისთვისაც მიუღებელია. ბოჭორიშვილი წერს: „არც ფსიქოლოგიას უნდა სკეპტიციზმი და რელიატივიზმი, რომლიდან თავდასაცავადაც არსებობს ყოველთვის მხოლოდ ერთი საშუალება - ლოგიკური უეჭველობა და თავისთავადობა, ფსიქოლოგიზმი არა მარტო პედაგოგიკის მეცნიერებისთვის არის როგორც ირაციონალიზმი, ბრმა ემპირიზმი და ანომალიური ელემენტი ისევე დამღუპველია ფსიქოლოგიისთვის.“

პროფ. შ. ჩხარტიშვილის აზრით პედაგოგიკა და ფსიქოლოგია სხვადასხვა მეცნიერებებია, „პედაგოგიკის მკვლევარი არ უნდა გადავიდეს, ცხვირი არ ჩაჰყოს სხვა მეცნიერებების სფეროებში, რადგან ასეთი ნაბიჯი არ რჩება დაუსჯელი“, მაგრამ ეს პრინციპი პრაქტიკულად ვერ სრულდებოდა, მკვლევარები „ხშირად კარგავენ სწორ ორიენტაციას, სტოვებენ კვლევა-ძიების საკუთარ გზას და შეუძმნეველად გადადიან სხვისი, კერძოდ ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის კვლევის სფეროში“.

ხშირად პედაგოგი ფიქრობს, თითქოს ფსიქოლოგია მოწოდებული იყოს ასწავლოს პედაგოგიკას, თუ როგორ გადაჭრას პედაგოგიური საკითხები, სამწუხაროდ ფსიქოლოგსაც ასე ესმის პედაგოგიკის მიმართ დახმარების ამოცანა და ჩვეულებრივ ასე იქცევიან. როდესაც ფსიქოლოგი რაიმე ფსიქოლოგიურ საკითხს იკვლევს, მაგალითოდ აზროვნების ან ნებისყოფის საკითხს, იგი მიღებული შედეგების გადმოცემით როდი კმაყოფილდება, არამედ პედაგოგიური დასკვნების მოცემასაც ცდილობს.

განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ ორივე მეცნიერების მკვლევარებსა და პრაქტიკოს პედაგოგებს, როცა საქმე პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს ეხება. პედაგოგიური ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის მეცნიერთა მოსაზრებებით და ყველა თვლის, რომ იგი ფსიქოლოგიური მეცნიერებაა. პედაგოგიური ფსიქოლოგია შეიქმნა პედაგოგიურ პრაქტიკასთან ფსიქოლოგიის დაახლოების ხარჯზე და იგი შეისწავლის სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს (სწავლება და აღზრდა ხომ პედაგოგიკის მეცნიერების საგანია). ბავშვის ფსიქოლოგია და განვითარების ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებს დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. თუ როგორ მიმდინარეობს გარკვეულ ასაკობრივ საფეხურებზე ფსიქიკის განვითარება და ფსიქიკური ახალწარმონაქმნების გაჩენა. შესაბამისად არ უნდა მოიხსნას ზღვარი ბავშვის ფსიქიკის კანონზომიერებების კვლევასა და პედაგოგიკის კვლევის სფეროს შორის.

ამრიგად, როცა ვასკვნით და ვითვალისწინებთ, ფსიქოლოგია არის მეცნიერება ფსიქიკის შესახებ, პედაგოგიური მეცნიერება კი მეცნიერება აღზრდის შესახებ, მუდამ უნდა გავითვალისწინოთ ამ ორი მეცნიერების როლო და ადგილი პრაქტიკულ კვლევაში, რომ არ მოხდეს აღრევა მთელი რიგი პრინციპებისა; პრინციპებისა, რომლის გარეშე არ არსებობს არცერთი მეცნიერება, მომიჯნავე იქნებიან ისინი თუ დამოუკიდებელი.

#### ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა“, თბ., 1941.
2. ა. ბოჭორიშვილი, „ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში“, თბ., 1965.
3. შ. ჩხარტიშვილი, „პედაგოგიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგია“, თბ., 1971.
4. შ. ჩხარტიშვილი, „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, ნაწ. 1, თბ., 1965.
5. შ. ჩხარტიშვილი, „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, ნაწ. 2, თბ., 1975.



## რეზიუმე

მეცნიერების ყველა დარგისათვის განკუთვნილია მისთვის დამახასიათებელი კვლევის სფერო და შესწავლის საგანი. აუცილებელია ამ სფეროებისა და საზღვრების დაცვა, არ უნდა მოხდეს ერთი მეცნიერების კვლევის არეალის გაფართოება, მეორეს შეზღუდვის და კვლევის ობიექტის წართმევის ხარჯზე. ეს მოვლენა საზიანოა როგორც ერთი, ასევე მეორე მეცნიერული მიმართულებისათვის. აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას შორის, რაც უსათუოდ საყურადღებო და საგანგაშოა.

### FOR THE QUESTION OF THE REALTION OF PSYCHOLOGICAL AND PEDAGOGICAL SCIENCES

**Beka Toliashvili**, Associate Professor

### RESUME

All the sciense subject own typical searching sphere and studying subject. It is very important to defend these spares and bound, it is not possible to happen to widen one science sphere for only to bereave the second subject rights. It is very harmful event, both of these subjects direction. This problem is very important for pedagogy and psychology. That is why it is extremely important and alarming news.

## მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ახალი ცნობიერების აღზრდა

*პაატა ქურდაძე, სრული პროფესორი*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღზრდაში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას უდიდესი როლი ენიჭება. ყოველი პიროვნება გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელია. სანამ კონკრეტულად შევხებოდეთ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების გენეზისს, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მსოფლმხედველობის არსი. თვით ტერმინიდან გამომდინარე, მსოფლმხედველობა ნიშნავს ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს ხედვას, მის აღქმას. ზოგიერთი ავტორის განმარტებით, მსოფლმხედველობა ფართო გაგებით ნიშნავს გარე სამყაროს შესახებ ადამიანის ფოლოსოფიურ, ეთნიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ, მატერიალურ და პოლიტიკურ შეხედულებათა ჯამს. აქედან გამომდინარე, მსოფლმხედველობის არსი ემთხვევა ფილოსოფიის ძირითად პრობლემას – რა უძველეს საფუძვლად სამყაროს შექმნისა და განვითარების კანონზომიერებას და როგორ მიმართებაშია მასთან ადამიანი, პიროვნება და აქედან გამომდინარე მისი ცნობიერება.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პედაგოგიკა მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში საბჭოთა პერიოდში ეფუძნებოდა, ნაწილობრივ დღესაც ეფუძნება, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, რომელიც აღიარებს იმას, რაც ემპირიულად გრძნობათა ორგანოების მეშვეობით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში, ხოლო ყველა დანარჩენს უარყოფს. მის საპირისპიროდ იდეალისტური მსოფლმხედველობა კი პირიქით, აღიარებს სულის არსებობას და ჭეშმარიტად თვლის იდეათა სამყაროს და ამ სამყაროდან მოსულ აზრებს, რომელნიც ტვინში არ არ წარმოიქმნება. იდეალისტული თეორია უარყოფს მატერიალურ სამყაროში არსებულ კანონზომიერებას და თვლის, რომ ცდაზე დამყარებული მეცნიერება არ არის სრულყოფილი. ეს ორი იდეოლოგია ტრადიციულად განიხილებოდა ცალკე, მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა, რაც არ იყო მართებული, რამეთუ ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებს ჭეშმარიტების რეალურ ასახვას.

რეალობა კი, როგორც ცნობილია, არ შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალური, ხილულით და არც უხილავი სულიერი, ანუ იდეათა სამყაროთი. სინამდვილეში ისინი ორივენი არსებობენ და გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე.

მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიხედვით ადამიანი განიხილება მხოლოდ ფიზიკურ ორგანიზმად, რომელიც თავის ქცევებს მართავს. ე.წ. მოაზროვნე მტერიის, ტვინის მეშვეობით. არა და დიდი ხანია კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანი მხოლოდ ფიზიკურ ელემენტთა მოწესრიგებული და სისტემური ორგანიზაცია არ არის (ასეთი მხოლოდ კომპიუტერიზირებული რობოტია, რომლის ინტელექტის ელემენტარულ დონეზე შექმნის სამუშაოები უკვე მიმდინარეობს). მის შემადგენლობაში განუყოფელია ფიზიკური და სულიერი სფეროები და ისინი ერთმანეთს განაპირობებენ.

სრულყოფილი პედაგოგიური თეორია გვერდს არ უნდა უვლიდეს ყოველივე ზემოთ თქმულს. ის უნდა ითვალისწინებდეს როგორც ფიზიკურ ხილულ სამყაროსთან, ასევე უხილავ სამყაროსთან ადამიანის მიმართებას და ახალგაზრდა თაობის აზრდისას უნდა ითვალისწინებდეს ორივე სამყაროს კანონზომიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეალობიდან, ჭეშმარიტებიდან მოწვეტილი აღმოჩნდება. ეს საკითხი კარგად ესმოდა ბევრ კლასიკოს პედაგოგს. აი, რას წერს ამის შესახებ გამოჩენილი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი: „ადამიანური ცოდნა, შეძენილი მხოლოდ შეგრძნებითა და განსჯით, არასრულყოფილი და ფრაგმენტურია“. მისი ღრმა რწმენით, არსებობს სამყარო ხილული და უხილავი, ხოლო მათი ერთიანობა ქმნის სამყაროს სრულ მთლიან სურათს. <sup>(1)</sup>

იგულისხმება, რომ ადამიანი ამ ორივე სამყაროს წარმომადგენელია. აქედან გამომდინარე, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ადამიანში უნდა განხორციელდეს სამყაროს შესახებ ერთიანი, მთლიანი აღქმის საფუძველზე და არა პირიქით.

როგორც ცნობილია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ადამიანის მწამსი და რწმენა. გამოკვლევების შედეგად დიდი ხანია დადგენილია, რომ ადამიანის რწმენა და შეხედულებანი დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან: შეგნებასთან, ხასიათთან, გრძნობებთან, ეროვნული სულის ისტორიულ კულტურულ გამოცდილებასთან და ა.შ. ასევე რწმენა გარკვეულწილად დამოკიდებულია შიშზე, გარესამყაროში მიმდინარე აუხსნელ მოვლენებზე, რომელნიც ზოგჯერ სასწაულად აღიქმება. ჩვენი აზრით, როგორც ამის პროგრესულად მოაზროვნე მრავალი ავტორი აღნიშნავს, შეხედულებანი და რწმენა, უპირველეს ყოვლისა, ცოდნაზე ყველაზე მეტად დაფუძნებული. როდესაც ცოდნაზე ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში იგულისხმება ცოდნა მთლიანი სამყაროს შესახებ, სადაც გააზრებულია როგორც ხილული, ასევე უხილავი სამყაროს ერთიანობაში წარმოდგენა და განხილვა.

ხილული სამყაროს შესახებ ცოდნას მოსწავლეები საბჭოთა პერიოდშიც საკმაოდ კარგ დონეზე ღებულობდნენ. მართალია, ხარვეზები და ჩამორჩენა იყო კიბერნეტიკაში და გენეტიკაში, მაგრამ მთლიანობაში ემპირიულ, ცდაზე დამყარებულ ცოდნას ბუნების კანონზომიერების შესახებ საბჭოთა სკოლა იძლეოდა, რაზეც მეტყველებს ყოფილი იმპერიის, განსაკუთრებით ომის შემდგომი პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. უხილავი სამყაროს შესახებ კი ათეისტური აღზრდის გამო, არაფერი ისწავლებოდა, თუმცა გასაიდუმლოებულ დახურულ ლაბორატორიებში ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში, საკმაოდ საფუძვლიანი მუშაობა მიმდინარეობდა ე.წ. პარამოვლენებზე, რომელნიც სწორედ უხილავი სამყაროს კანონზომიერების შესწავლას ეხებოდა.

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით დღეისათვის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში?

მართალია, ათეისტური აღზრდის ნაცვლად შემოვიღეთ რელიგიური აღზრდა, მაგრამ ამ საგნის სწავლება ჯერ კიდევ ჯეროვან დახვეწას მოითხოვს. ამასთანავე ბუნების მოვლენათა შესწავლაში საკვანძო საკითხების განხილვისას ჯერ კიდევ ისევ შემოვიფარგლებით მხოლოდ მატერიალურ-ევოლუციური თეორიებით, რაც საკითხის განხილვას ცალმხრივობის ხასიათს აძლევს. კარგი იქნება, თუ ასეთი საკითხების განხილვისას, მაგალითად, ისეთსას, როგორიცაა სამყაროს ქმნადობა, სიცოცხლის წარმოშობა და სხვა. მოსწავლეებს გავაცნობთ როგორც ევოლუციურ, ასევე კრეაციულ თეორიებს, რაც საშუალებას მისცემს მათ შეექმნათ სრული წარმოდგენა ხსენებულ საკითხებზე, ეს კი შემდგომი საფუძველი იქნება მათი მრწამსისა და შეხედულებათა ჩამოყალიბებისა.

სამყაროს შექმნის შესახებ, როგორც ცნობილია, არსებობს ორი თეორია: ევოლუციური და კრეაციული. ევოლუციურ თეორიას მოსწავლეები ეცნობიან საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისას, ხოლო რაც შეეხება კრეაციულ თეორიას, რომელიც არ ითვალისწინებს ევოლუციურ მომენტებს სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ და მეცნიერული დასაბუთებით ემთხვევა ბიბლიურ აზრს. სკოლაში მის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ვაწვდით მოსწავლეებს. ამ ორ თეორიას შორის ლოგიკური კავშირების დამყარებას ცდილობს მრავალი მკვლევარი და მათ შორის ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი პროფ. ა. კოსტავა, რომლის აზრითაც ევოლუციონიზმი კრეაციონიზმის ერთი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ახალი თეორია სამყაროს შექმნის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს ზემოთ ხსენებულ ორივე მომენტს, ასეთი თეორიის სახელწოდებად შეიძლება გამომდგარიყო, როგორც ამას ბატონი ა. კოსტავა უწოდებს - „მეტაკრეაციონიზმი“. (2)

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოსწავლეებს მოკლედ გავაცნოთ ის ასტრო-ფიზიკური თეორიები და გამოკვლევები, რომლებიც ყველაზე მეტად მიღებულია მსოფლიო მასშტაბით, სამყაროს ქმნადობის შესახებ და მიუთითოთ იმ პარალელებზე, რომელნიც ბიბლიური ქმნადობის ძირითად მომენტებს ემთხვევა. განსაკუთრებით საყურადღებოა გამოკვლევები და თეორიები სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, სადაც ნათლად ჩანს, რომ დარვინის თეორია ამ საკითხის შესახებ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. აქ ზემოთხსენებულის საილუსტრაციოდ კარგი იქნება მოვიყვანოთ ბუნების მკვლევართა აზრი, მაგალითად, ალბერტ აინშტაინის ცნობილი გამოთქმა: „რაც მეტს ვსწავლობ ბუნებას, მით მეტად ვშემდეგი მოწიწებით, გაკვირვებით შემომქმედის საქმიანობის მიმართ“. ან კიდევ, ასევე გამოჩენილი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ა. კომპტონის სიტყვები: „რწმენა იწყება იმ ცოდნისაგან, რომ უმაღლესმა გონმა შექმნა სამყარო და ადამიანები. ჩემთვის არ არის ძნელი ვირწმუნო ეს იმიტომ, რომ გონის არსებობის ფაქტი-უდავოა, წესრიგი სამყაროში, რომელიც აისახება ჩვენი მხედველობის წინაშე, თვითვე ადასტურებს ყველაზე უდიდეს და ამაღლებულს ამტკიცებს ჭეშმარიტებას: „დასაწყისში იყო ღმერთი“. (2)

რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილ გამონათქვამებში, ისინი ეყრდნობიან თავიანთ გამოკვლევებს. ასეთი სახის გამოკვლევები გრძელდება დღესაც, რაც უფრო აახლოებს ერთმანეთთან რელიგიასა და მეცნიერებას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ყველაზე მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ცოდნაზე სამყაროს შექმნისა და მოწყობის კანონზომიერების შესახებ. ჩვენი, როგორც აღმზრდელის ვალია მივაწოდოთ მოსწავლეებს ის ცოდნა, რომლის საფუძველზეც შემდგომ მათ ჩამოუყალიბდებათ ესა თუ ის მსოფლმხედველობა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სკოლის პროგრამაში მოცემული ყველა საგანი, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო ემპირიულ მომენტებზე და წმინდა ევოლუციურ კანონზომიერებებზე, არამედ სამყაროს მოწყობის კრეაციულ საფუძველებზე.

ახლა მოკლედ განვიხილოთ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ისეთი ძირითად აუცილებლობა, როგორცაა რწმენა და მრწამსი. შეიძლება ითქვას, რწმენა არის ბუნების მოვლენათა კანონზომიერების ხედვა, შეხედულებათა მთელი სისტემა გარე სამყაროს რეალურ აღქმაში, სადაც ასევე იგულისხმება ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენათა შეფასებანი, ხოლო მრწამსის განმარტება, რომელიც რწმენას ეფუძნება, შეიძლება ასეთნაირად გამოითქვას: მრწამსი არის რწმენაზე დაყრდნობით, მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულებანი გარე სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. იგი პიროვნებისათვის სულიერი სიმდიდრის ნაწილს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, ის არის ძირითადი ორიენტირი ადამიანის ქმედებაში და მის ცხოვრებაში. მრწამსი აღმოცენდება საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი ქმედითი ხასიათისაა, ვითარდება და იხვეწება პიროვნების სრულყოფასთან ერთად. აქედან გამომდინარე მრწამსი გარკვეულწილად ადამიანის ცნობიერების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს, ანუ მეორენაირად რომ ვთქვათ, მრწამსის ცვლილება იწვევს ცნობიერების ცვლილებას და გარკვეულწილად ამ ცნობიერების შემაჯამებელი ნაწილია. თუ ჩვენ დავინტერესდებით ეროვნულით, აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი მრწამსით, ისიც ისევე, როგორც ინტეგრირებული პიროვნული მრწამსის ნაერთი, საზოგადოებაში აღმოცენდება და ვითარდება ისტორიულ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარებისას მოცემული კონკრეტული ერისა და ქვეყნისათვის დამახასიათებელი კულტურული ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, შეხედულებების მიხედვით. ამ

უკანასკნელმა შეიძლება ისტორიულ განვითარებაში მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელი მრწამსი გარკვეულწილად შეცვალოს, მაგრამ ხასიათით ის მაინც ერთნაირია ყველა ერისა და ქვეყნისათვის. ასე მაგალითად, მონათმფლობელურ საზოგადოებაში არსებობდა გარკვეული მრწამსი, რომელიც აყალიბებდა ეგრეთწოდებულ მონათმფლობელურ ცნობიერებას. ის ძირითადად ერთნაირი იყო რომის იმპერიაშიც და აზიის ქვეყნებშიც, მაგრამ ამ ქვეყნების ძირითადი დამახასიათებელი მენტალიტეტის მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. სოციალისტურმა ექსპერიმენტულმა ფორმაციამ რუსეთის იმპერიაში და ამ იმპერიაში შემავალი ქვეყნების ცნობიერებაში გარკვეულად მოახდინა სახეცვლილება მრწამსისა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის განსხვავდებოდა ამ დროისათვის მსოფლიოში არსებული კაპიტალისტური წყობის ქვეყანათა მრწამსისაგან, მაგრამ ქვეცნობიერებაში ის ისევე ფეოდალური რჩებოდა. ნაწილობრივ რჩება დღეისთვისაც, როდესაც ჩვენ ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებას. აუცილებელია ამ ცნობიერების ახლით შეცვლა ახალ ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ცნობიერებით.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, აქ ძალდატანება არ შეიძლება. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება პლულარიზმს უნდა ეფუძნებოდეს, რასაც ცნობილი ამერიკელი პედაგოგი პ. ვეგნერი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნავს, მაგრამ ამ პროცესში არის ისეთი მომენტები, სადაც აუცილებელია პედაგოგის აღმზრდელის ჩარევა. ქართულ-ეროვნულ იდეოლოგიაში სასურველია სხვა დანარჩენთან ერთად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ყურადღება გამახვილებული იყოს დღემდე ქვეცნობიერში შემორჩენილი ფეოდალური მრწამსის ცვლილებაზე ახალი საბაზრო ეკონომიკის მრწამსით და მის ბაზაზე ახალი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზედმეტი ღირებულების კანონის ღრმად გააზრებული გაგებით.

ჩვენ მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ ზედმეტი ღირებულების გარეშე წარმოება, საბაზრო ეკონომიკა ვერ განვითარდება, უბრალოდ ვერ იარსებებს.

საბაზრო ეკონომიკაში წარმატებით იმოღვაწევენ ისეთი მოქალაქე, რომელიც შეიარაღებული იქნება სამყაროს აღქმის რეალურად სრული მსოფლმხედველობით, ახალი ცნობიერებით. ასეთი მოქალაქე უნდა აღიზარდოს იმ რწმენით, რომ თუ მას ექნება სათანადო ცოდნა იგი შეძლებს თავის ნიჭსა და უნარებზე დაყრდნობით აწარმოოს მსოფლიოში კონკურენტუნარიანი პროდუქცია ყველა დარგში, როგორც ამას ჰეგელი აღნიშნავდა, გაიუმჯობესოს თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და ასევე ხელი შეუწყოს მის ირგვლივ არსებულ საზოგადოებას, მიაღწიოს წარმატებას სოციალურ სფეროში. ეს ყოველივე კი, საბოლოო ჯამში, განაპირობებს მთელი ერისა და ჩვენი სახელმწიფოს შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას, რასაც თან მოჰყვება კულტურული და სულიერი დახვეწა, საერთო განვითარება და გაძლიერება.

### ლიტერატურა:

1. პედაგოგიკის ისტორია, საქ. პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, რედაქტორი ნ. ვასაძე, თბ., 1991.
2. ა. კოსტავა, „მეტაკრეაციონიზმი“, თბ., 2002.
3. ზ. ცუცქირიძე, „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“, ნაწილი 1. თბ., 1997.

### რეზიუმე

სტატიაში მოკლედ განხილულია მსოფლმხედველობის როლი პიროვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. ამ მიმართებით ავტორი თვლის, რომ მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ როგორც მატერიალისტურ-ევოლუციური, ასევე იდეალისტურ-კრეაციული თეორიები, სამყაროს შექმნისა, მისი განვითარების ძირითადი კანონზომიერების შესახებ.

ავტორის აზრით ჩვენს ქვეცნობიერში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი საბჭოთა დამახინჯებული ცნობიერება სამყაროს შესახებ, ადამიანის ფილოსოფიურ, ეთნიკურ, ზნეობრივ და სოციალურ სფეროში. ის აუცილებლად თვლის ამ ცნობიერების შეცვლას ახალი ცნობიერებით, რადგან საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მშენებარე ახალ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ესაჭიროება ახალი ცნობიერების მატარებელი პიროვნება, რომელიც შეიარაღებული იქნება თანამედროვე მეცნიერული ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით, რათა ააშენოს ეკონომიკურად, კულტურულად და სულიერად ძლიერი ქვეყანა.

**FORMING AN IDEOLOGY AND BRINGING UP NEW CONSCIOUSNESS**  
**Paata Kurdadze, Full Professor**  
**RESUME**

In the article it's discussed a role of consciousness in the formation and education of a person. The author thinks that we have to teach our students as materialistic – evolutive, as idealist – creative theories about the main regularity of the world formation and its development.

The author thinks that in our consciousness there is still old soviet ugly knowledge about the world, in the sphere of person's philosophical, ethnic, moral and social aspects. He thinks that this consciousness must be changed in to a new one.

Being market economic conditions in Georgia. The country needs people with new consciousness, armed with new. Contemporary knowledge, skills and values to build another powerful country in cultural and spiritual aspects.

**„რწმენა“ ცნების გაგებისათვის**

*შოთა ქურდაძე, სრული პროფესორი*

ცნება „რწმენა“ ღვთიური მოძღვრების მნიშვნელოვანი საკვანძო ტერმინია.<sup>1</sup> ბასილ დიდი არჩევს კაცობრივსა და სულისა წმიდისაჲ თქმულ რწმენას<sup>2</sup>. ეფრემ მცირე მოერიდა რწმენის შინაარსობრივი მოცემულობის განმარტებას და მკითხველსა და მსმენელს ურჩევს უზენაესი შეიცნონ „გულის კმის ყოფასა და სახისმეტყველებით“.<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი რწმენას „დაჯერებას“ უწოდებს.<sup>4</sup> აკად. დიმიტრი უზნაძე რწმენას ადამიანის აზროვნების სპეციფიკურ აქტად მიიჩნევს, რომელიც საგანს ან მოვლენას გამოყოფს ... და საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს.<sup>5</sup> ქართველი თანამედროვე ენათმეცნიერების მოსაზრებით „რწმენა-რისამე მიჩნევა დამაჯერებლად, უეჭველად, აუცილებლად, დაჯერებაა.“<sup>6</sup> ფილოსოფოს ვალერიან რამიშვილის შეხედულებით „რწმენა არის საკუთარი მსოფლგაგების, ჭეშმარიტებისა და ზებუნებრივი ძალების უტყუარი განცდა“.<sup>7</sup> პროფ. რამაზ სირაძე აღნიშნავს - ძველ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით აგიოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანში“ უზენაესი შეიძლება შეიცნოს „ფანტაზიით, ანუ მორწმუნეთა თანაშემოქმედებით“.<sup>8</sup>

როგორც ვხედავთ, რწმენის ცნების შინაარსს მეცნიერების სხვადასხვა დარგები განსხვავებულად მოიაზრებენ.

სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებათა გამო ამ ცნების შინაარსი, მნიშვნელობა ნაკლებად იყო და არის შესწავლილი. არადა დოკუმენტურად დასტურდება პედაგოგიკური მეცნიერების ინტერესი ისტორიულად და, მით უმეტეს დღეს, ამ ცნების სრულყოფილად შესწავლისა და მისი მიზნობრივად პრაქტიკულად გამოყენებისა...

ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ორი ათას წლის დროინდელ საჯარო სახელმძღვანელოში - „ბიბლიაში“ ღვთიური მოძღვრების სწავლა-სწავლების ზოგადპედაგოგიკურ პრინციპად რწმენა მიუჩნევიან.

ჩვენი ვარაუდი ეფუძნება, ერთი მხრივ, მოციქულთა შთამაგონებელ სიტყვიერ, ანუ ვერბალურ სწავლებას და მეორე მხრივ, პირობითად თუ ვიტყვით, იგავებითა და არაკებით გაშუალებულ-ალეგორიულ დამოდვრას.

ვფიქრობთ, მასწავლებელთათვის ღვთიური მოძღვრების სწავლებისას გარკვეული შთამაგონებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონებოდა ამგვარ მიმართვასა თუ რჩევას ღვთიური რწმენის ცნობიერად ჩამოყალიბებაში. გავეცნოთ კონკრეტულ მასალებს: „ითხოვდეთ და მოგეცემათ, ეძიებდეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგებებთ“ (მათ.77).

იაკობ მოციქული მორწმუნეებს ურჩევს: „ზენაარი შეიძლება შეიმეცნოთ წრფელი რწმენითა და თქვენზე ღირსეული საქმიანობით“. „ჩემო ძმებო, რა სარგებელია, თუ ვინმე იტყვის, რომ რწმენა აქვს, საქმენი კი არ გააჩნია? განა ამ რწმენას შეუძლია მისი ხსნა? ასევეა რწმენაც: თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია“.

„საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“. (იაკ. 14,17,24).

ამგვარი საიგავო-საარაკო ამბავი, ეპიზოდი არაერთია ბიბლიაში. დავაკვირდეთ ცრუწინასწარმეტყველთა ნაყოფით გაცნობა-სწავლების ამბავს: „ერიდეთ ცრუწინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან, ნაყოფით იცნობთ მათ. განა ეკლიდან ყურძენს კრეფენ ან ბირკავიდან ლედვს? ასე ყოველი კარგი ხე ნაყოფსაც კარგს იძლევა, ხოლო ყოველი ცუდი ხე ნაყოფსაც ცუდს იძლევა... ყველა ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს ჭრიან და ცეცხლში აგდებენ“ (მათ, 7).

აშკარაა, მათე მოციქული ასეთი ხატოვანი დამოდვრით მორწმუნეებს ბევრად უფრო გაადვილებულად და ნათლად აცნობს, ასწავლის ადამიანთა პოზიტიურსა და უარყოფითი ქცევების კონკრეტულ მახასიათებლებს.

ბიბლიაში მოციქულები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ადამიანთა გონივრულ, მოსაწონ ქცევებს. ამ შემთხვევაში ისიც კარგად ჩანს, რომ ადამიანთა ყოველ ქცევას ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა უნდა ამშვენებდეს.

პავლე მოციქული კორინთელთ ასწავლის: „წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“. (პავ. 13,1).

მორწმუნეთა ასეთი გაწონასწორებული ურთიერთობისა და პატივისცემის ქმედების საფუძველი ღვთიური რწმენის, მადლის მტკიცედ დაცვა ყოფილა. „...შემოსარტყელეთ თქვენი გონების წელნი, იფხიზლეთ და იესო ქრისტეს გამოცხადებაში თქვენთვის მოსაცემი მადლის სრული იმედი იქონიეთ“.

როგორც გამოგონი შვილები, ნუ აპყვებით თქვენი უმეცრების დროინდელ გულისთქმებს.

არამედ თვითონაც იყავით წმიდანი ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ.“

რადგან წერია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე“. (პეტ. I, 13).

ამრიგად, განხილული დოკუმენტური წყაროების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცნება „რწმენა“ იყო და არის ღვთიური მოძღვრების გაგება-ათვისების ზოგად-პედაგოგიკური პრინციპი, რომლის თავდაპირველი საწყისები ასახულია ბიბლიაში.

ვფიქრობთ, ეს ვარაუდი უფრო დამაჯერებლად იქნება წარმოდგენილი მონოგრაფიის შემდგომ თავებსა და პარაგრაფებში.

### ლიტერატურა:

1. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, თბ., 1997.
2. ბასილ დიდი, თბ., 1947.
3. ძველი საქართველო, თბ., 1913-1914.
4. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
5. დიმიტრი უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956.
6. ქართული ენის განმარტების ლექსიკონი, თბ., 1960.
7. ვალერიან რამიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2010.
8. რამაზ სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 2007.

## რეზიუმე

ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ორი ათასი წლის დროინდელ საჯარო სახელმძღვანელოში „ბიბლიაში“ ღვთიური სწავლა-სწავლების ზოგადიდაქტიკური პრინციპად რწმენა მიუჩნევიან.

ეს ვარაუდი ეფუძნება, ერთი მხრივ, მოციქულთა შთამაგონებელ სიტყვიერ, ანუ ვერბლურ სწავლებას და მეორე მხრივ, იგავებითა და არაკებით გაშუალებულ-ალეგორიულ-ხატოვან დამოდვრას.

**FOR UNDERSTANDING THE NOTION „FAITH”**  
**Shota Kurdadze, Full Professor**  
**RESUME**

In the thousand years old public book reached to us - „The Bible” faith has been considered as general didactic principle of the divine studying and teaching.

This assumption is based on the one hand inspirational oral or verbal teaching of the Apostles and on the other hand indirect –allegoric – figurative edification by fables and tales.

***ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი***  
***Exact and Natural Sciences***

**მცენარეში ნიტრატების დაგროვების თავისებურებანი შიდა ქართლის პირობებში**

*მაია აზმაიფარაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

მწვანე მცენარის კვებისა და ზრდის საიდუმლოების ახსნა დიდი ხნის მანძილზე იპყრობდა ადამიანთა ყურადღებას. ამ მიმართულებით საყურადღებოა ანტიკური საბერძნეთის მატერიალისტი ფილოსოფოსების ქადაგება, რომ მცენარის სიცოცხლისათვის საჭიროა წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი. ამ მეტად ზოგად მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. მართლაც, ყველაზე უდიდესი ცეცხლიდან - მზისაგან ხომ ყველა მცენარე ებულობს სინათლესა და სითბოს, ნიადაგიდან იღებს მინერალურ მარილებს, ჰაერიდან - ნახშირორჟანგს, ხოლო წყალი ცოცხალი მცენარის მასის  $\frac{3}{4}$  შეადგენს. ამ პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, არ იყო შექმნილი მცენარის კვების თეორია. პრაქტიკულად მოსავლის გადიდების მიზნით ქიმიური საშუალებების გამოყენება - დიდი ხნით ადრე იღებს სათავეს, ვიდრე ქიმია ჩამოყალიბდებოდა, როგორც მეცნიერება. ქიმია, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-18 ს. მე-2 ნახევარში, როდესაც მ. ლომონოსოვმა აღმოაჩინა მასის შენახვის კანონი (1748 წ.)

ქიმიზაცია არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ცნობილია, რომ მემცენარეობის პროდუქციის მატების ნახევარზე მეტი განპირობებულია სასუქების გამოყენებით. ამჟამად დედამიწის ყოველი მეოთხე მცხოვრები იკვებება მინერალური სასუქების გამოყენების წყალობით. დედამიწის მოსახლეობამ 6,5 მილიარდს გადააჭარბა. საკვებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უნდა იზრდებოდეს მაღალი ტემპებით. ამჟამად მოხდა სახანავად პოტენციურად ვარგისი მიწის რესურსების სრული რეალიზაცია. მოსახლეობისათვის საკვების მკვეთრი ზრდის ერთადერთი გზა სახნავის ყოველი ჰექტარის უფრო ინტენსიური გამოყენებაა. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია სასუქების გამოყენების ზრდასთან. მაგალითად: თუ 1980 წელს მსოფლიოს მიწათმოქმედება იყენებდა 111,7 მლნ ტონა მინერალურ სასუქს, 2000 წლისათვის ამ მაჩვენებელმა მიაღწია 307 მლნ ტონას, ე.ი. გაიზარდა თითქმის სამჯერ. (თ. ურუშაძე, „აგროეკოლოგია“, თბილისი, 2001).

სასუქების გამოყენება - ეს არის ბუნებაში ადამიანის აქტიური ჩარევა. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორია ცოცხალი ორგანიზმების არსებობის პირობებზე მათი ზემოქმედება, ანუ ვიცოდეთ აგროქიმიის ეკოლოგიური ასპექტები.

აგროქიმიის ეკოლოგიური პრობლემები არის ბიოსფეროს შენარჩუნების საერთო პრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. მნიშვნელოვანმა აღმოჩენებმა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა მეცნიერებებში შექმნა ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენების წინაპირობა, ამან კი გამოიწვია ეკოლოგიური კრიზისის საშიშროება.

დღეს სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ნიადაგების ჰაერის და ბუნებრივი წყლების გაჭუჭყიანებამ ტოქსიკური ნაერთებით, მათმა შემდგომმა გადაადგილებამ ტროფული ჯაჭვებით და დაგროვებამ მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანში საბოლოო შედეგად შეიძლება გამოიწვიოს მცენარეების, ცხოველების ცალკეული სახეობებისა და თვით ადამიანის დაღუპვა.

ჩვენს პლანეტაზე გაძლიერდა გარემოს გაჭუჭყიანების პროცესი, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა განვითარებულ ქვეყნებში. მეცნიერული გამოკვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დადგენილია, რომ მოსავლიანობის გადიდების ყველაზე მძლავრ და რადიკალურ საშუალებას ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება წარმოადგენს. ამერიკელ მეცნიერთა გაანგარიშებით, მოსავლის მატების 41 % სასუქებზე მოდის. გერმანელი მკვლევარები მინერალურ სასუქებს მიაწერენ მოსავლის მატების 50 %, ხოლო ფრანგი მეცნიერები - 50-70 %. (ო. ზარდალიშვილი, თ. ურუშაძე, „სასუქების გამოყენება და გარემო“, თბილისი, 1992).

სასუქი იყოფა ორ ჯგუფად: მინერალურ და ორგანულ სასუქებად. მინერალური სასუქებიდან განოციერების სისტემაში გამოიყენება აზოტიანი, ფოსფორიანი, კალიუმიანი სასუქები. ასევე რთული კომპლექსური სასუქები და მიკროელემენტების შემცველი (ბორი, მანგანუმი, თუთია), ხოლო ორგანულიდან - ნაკელი, ბიოჰუმუსი ან ბიოკომპოსტი, ტორფი, მწვანე სასუქები, კომპოსტები. როგორც მინერალური, ისე ორგანული სასუქების ჭარბი რაოდენობით გამოყენება იწვევს ეკოსისტემის გაჭუჭყიანებას. მაგალითად: კარბონატულ ნიადაგებზე აზოტიანი სასუქების გამოყენების დროს, თუ დროულად არ მოხდა მათი ჩაკეთება ნიადაგში, ადგილი აქვს აქროლებას არაპროდუქტიული დანაკარგების სახით, ხოლო შედარებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე ხდება მათი ინტენსიური ჩარეცხვა და წყლის გამდიდრება ნიტრატული აზოტით. ორგანული სასუქების ჭარბი რაოდენობით გამოყენება (ნაკელი (აზოტი 0,5 %), ტორფი 1,8 %) იწვევს ნიტრატული აზოტით გამდიდრებას, ასევე უმჯობესდება მიკრობიოლოგიური პროცესები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს აბიოტურ ფაქტორებზე. (თ. ურუშაძე, დ. ხომასურიძე, „პრაქტიკული აგროეკოლოგიაში“, თბილისი, 2010).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აზოტი - სიცოცხლის ძირითადი მატარებელი. დიდია ბიოლოგიური აზოტის მნიშვნელობა. იგი წარმოადგენს არა მარტო საკვები ელემენტების დაგროვების წყაროს, არამედ ბიოსფეროს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის უძლიერეს ფაქტორს.

აზოტი პერიოდული სისტემის მე-5 ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტია. იგი 1772 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა მეცნიერმა დ. რუზერფორდმა. ფრანგმა მეცნიერმა ლავუაზიემ იმის გამო, რომ აზოტი წვასა და ჟანგვას ხელს არ უწყობს, 1775 წელს მას „სიცოცხლისათვის უვარგისი“ უწოდა.

აზოტი ბუნებაში მოიპოვება როგორც ნაერთებით, ისე თავისუფალი; აზოტი ჰაერის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, მისი შემცველობა ჰაერში 78 %-ია. ყოველ ჰექტარ ფართობზე არსებულ ჰაერში 70 ათას ტონაზე მეტი მოდის, რაც სინთეზური აზოტიანი სასუქების მისაღები ამოუწურავი ნედლეულია. (ო. ზარდალიშვილი, თ. ურუშაძე, „სასუქების გამოყენება და გარემო“, თბილისი, 1992).

განუზომლად დიდია აზოტის როლი მიწათმოქმედებაში. აზოტი მცენარეთა კვების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, ნიადაგში მისი შემცველობა ხშირად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის დონეს. აზოტი შედის ყველა მარტივი და რთული ცილების შედგენილობაში. აზოტს შეიცავს ნუკლეინის მჟავები, რომელსაც ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაში განსაკუთრებული როლი აქვს. შედის აგრეთვე ქლოროფილის შემადგენლობაში, ფოსფატიდებში, ალკალიიდებში, ზოგიერთ ვიტამინში, ფერმენტებსა და მრავალ სხვა ორგანულ ნაერთში.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აზოტისა და აზოტიანი ნაერთების კვლევამ უფრო ღრმა და ყოველმხრივი ხასიათი მიიღო. საკმარისი აღარაა მარტო ისეთი ფაქტების აღრიცხვა, როგორცაა აზოტიანი ნაერთების გავლენა მოსავლიანობის რაოდენობრივ მატებაზე, ცალკეულ ორგანოთა მორფოლოგიურ ცვალებადობაზე, სიმწიფის დაჩქარება-შენელებაზე და სხვა.

დღეს აზოტიანი ნაერთების გავლენა ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე, გარემოს გაჭუჭყიანებაზე და ა.შ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნიტრატებით გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა.

ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში საკვებთან ერთად მოხვედრილი ნიტრატები, კუჭ-ნაწლავის მიკროორგანიზმთა მეშვეობით ნიტრიტებად გადადგება, რაც გაცილებით ტოქსიკურია, ვიდრე ნიტრატები. ნიტრიტები, ურთიერთქმედებენ რა სისხლის ჰემოგლობინთან, წარმოქმნიან მეტაჰემოგლობინს, რომელსაც ვერ გადააქვს ჟანგბადი ფილტვებიდან ქსოვილებში. ჭარბი რაოდენობით დაგროვილი ნიტრატები სისხლს უკარგავენ მის ერთ-ერთ ძირითად ბიოლოგიურ ფუნქციას - გადაიტანოს და მოამარაგოს ქსოვილები ჟანგბადით.



მეტაჰემოგლობინი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებში. თუ ბავშვის ორგანიზმში მეტაჰემოგლობინი ჰემოგლობინის 20-25%-ია, იწყება ჰაერის მკვეთრი უკმარისობის ნიშნები. ბავშვებში მეტაჰემოგლობინი და აქედან გამოწვეული მძიმე დაავადება პირველად 1945 წელს აღინიშნა. მიზეზი იყო სასმელ წყალში ნიტრატების მაღალი შემცველობა. უფრო ხშირად მეტაჰემოგლობინი მაშინ ვითარდება, როდესაც ნიტრატების შემცველობა სასმელ წყალში 100 მგ/ლ-ს ჭარბობს.

აზოტიან სასუქებს გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში, ხელს უწყობს მცენარის ცილების, ვიტამინების, წებოვარას და სხვა ნივთიერებათა დაგროვებას. ამასთან აზოტიანი სასუქების გამოყენების წესების დარღვევას მოსდევს მთელი რიგი უარყოფითი შედეგი - მცენარეში ჭარბი რაოდენობით გროვდება ნიტრატული აზოტი, რაც ადამიანსა და ცხოველში მთელ რიგ დაავადებებს იწვევს. ხდება აზოტის დაგროვება და სასმელი წყლის გაჭუჭყიანება. ნაწილი აზოტისა ქროლდება აზოტის ჟანგეულების, ამიაკის სახით, რაც იწვევს ატმოსფეროს გაბინძურებას და გარკვეულ გავლენას ახდენს ოზონის შრეზე.

ნიტრატების დასაშვები ნორმა ადამიანის ყოველ კგ წონაზე 5 მგ-ს შეადგენს. ზრდასრული მსხვილფეხა პირუტყვისათვის დღე-ღამის რაციონში ნიტრატების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 250 მგ/კგ-ს. საკუთრივ ნიტრატები არატოქსიკურებია, მაგრამ პროდუქტების შენახვის პროცესში ადამიანისა და ცხოველთა ორგანიზმში, კერძოდ კუჭში, გარდაიქმნება ტოქსიკურ ნიტრატებად, რომელიც უერთდება ჰემოგლობინის ორვალენტთან რკინას და გადაჰყავს ის სამვალენტთანში, რის შედეგადაც მიიღება მეტაჰემოგლობინი, რომელსაც არ აქვს ჟანგბადის გადატანის უნარი, მეტაჰემოგლობინის შემცველობის გადიდება სისხლში 10 %-მდე იწვევს ადამიანის მოწამვლის სიმპტომებს, რასაც თან ახლავს ჰაერის ძლიერი უკმარისობა. ნიტრატები შედის არაგაცვლით რეაქციაში ჰემოგლობინთან და წარმოიქმნება ნიტროჰემოგლობინი. ამ ნაერთსაც არ აქვს ჟანგბადის გადატანის უნარი, რის გამოც ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილები განიცდის ჟანგბადით შიმშილს. ნიტრატები და ნიტროზონაერთები იწვევს აგრეთვე სისხლის ჰემოგლობინის დაშლას. ნიტროზამიდებს აქვს კანცეროგენული, მუტაგენური და ემბრიოტოქსიკური მოქმედების უნარი, ცხოველების საკვებში ნიტრატების შემცველობა საზიანოა პირუტყვისათვის.

მცენარეში ნიტრატების დაგროვება ძლიერდება მაშინ, როცა დაქვეითებულია ფოტოსინთეზის აქტივობა. ამ შემთხვევაში ნახშირწყლების სინთეზი და ნიტრატების ამონიაკად გარდაქმნა შემცირებულია.

ნიტრატებით დაბინძურებული მცენარეების ფოთლებს მკვეთრად გამოხატული მუქი მწვანე შეფერილობა აქვს, რაც განპირობებულია მასში აზოტის შემცველი პიგმენტის - ქლოროფილის - დიდი რაოდენობით წარმოქმნით. ასეთ მცენარეზე განვითარებული ნივთიერების კანი, კანქვეშ მოთავსებული რბილობის ნაწილი და ზოგჯერ რბილობიც სიმწიფის პერიოდშიც ღია მწვანე შეფერილობის რჩება. არაჭარბი აზოტოვანი კვების დროს მცენარის ფოთლებს ნორმალური მწვანე შეფერილობა აქვთ.

შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი არის ნიტრატებით დაბინძურებული პროდუქტების გემური თვისებების დაქვეითება, რაც აიხსნება, ერთის მხრივ, შაქრების შემცველობის შემცირებით, მათი დაჟანგვის გაძლიერებით და დაჟანგვის შემდეგ დიდი რაოდენობით ორგანული მჟავას წარმოქმნით. ნიტრატებით დაბინძურებულ პროდუქტში განსაკუთრებით დაბალია ცხიმების, ეთერზეთების და სხვა არომატის, სუნების მიმცემი შენაერთების რაოდენობა, ხოლო აზოტის ცილოვანი და არაცილოვანი შენაერთების შემცველობა მაღალია, რის გამოც ეს პროდუქტები ადვილად ღებება და არ ინახება.

ნიტრატების ჭარბად დაგროვებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები შეიძლება გამოწვეულ იქნეს სხვა ფაქტორების მოქმედებითაც. მაგალითად: 1. მკვახე ნაყოფების დაკრეფისას - მწვანე შეფერილობა და არადაამაკმაყოფილებელი გემური თვისებები; 2. რწყვის ნორმებისა და ვადების დარღვევისას - ინტენსიური ღებობა, გემური თვისებების და შენახვისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპეციალისტების ჩარევის გარეშე, რთულია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ნიტრატებით დაბინძურებული და გარემო ფაქტორების არახელსაყრელი მოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებები.

აზოტიანი სასუქებისაგან მაქსიმალური ეფექტის გამო, გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე შესამცირებლად და ნიტრატებით ნაკლებად დაბინძურებული, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების წესები ყოველი კონკრეტული ზონისათვის, აზოტიანი სასუქების ფორმების, შეტანის დოზების ვადების, წესების გათვალისწინებით.

მცენარეში ნიტრატები გროვდება აზოტის გადაჭარბებული მოხმარებისას, როდესაც დაგროვება აჭარბებს ასიმილაციას, სხვა მკარო და მიკროელემენტებთან არადაბალანსირებულ აზოტოვან კვებასთან,

ფერმენტ ნიტრატრედუქტაზისას აქტივობის დაქვეითებისას, თესლების გაღივებისას ცილების ჰიდროლიზის და ამონიუმის დაგროვებისას, რომელიც დაჟანგვისას გადადის ნიტრატულ ფორმაში. აზოტის ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია ვიცოდეთ კვების პროდუქტებში ნიტრატების ზღვრულად დასაშვები შემცველობა და მოვახდინოთ მასზე მკაცრი კონტროლი. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ნიტრატების ჭარბი დაგროვება ბოსტნეულ კულტურებში, რადგანაც საკვებად ადამიანი იყენებს ძირითადად ვეგეტატურ ნაწილებს.

ნიტრატებს ყველაზე დიდი რაოდენობით აგროვებს ბოლოკი, ჭარხალი, სალათა, ისპანახი, ხოლო მცირეს - პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი, ნიორი, ბარდა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს გორის აგრარული ბაზრის მცენარეული პროდუქტები: კარტოფილი, კომბოსტო, ბადრიჯანი, სუფრის ჭარხალი, ბოლოკი, სტაფილო, პომიდორი, კიტრი, ხახვი, მწვანილი და სალათა. ჩვენს მიერ განისაზღვრა მცენარეში ნიტრატები გრისის მეთოდით. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ნიტრატები დასაშვებ ნორმაზე მეტია შემდეგ პროდუქტებში: ისპანახი, ბოლოკი, სალათა, სტაფილო, პომიდორი მწვანილი.

საანალიზოდ მომზადებული მცენარეული მასალიდან მიღებული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ნიტრატების შემცველობა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურებში

ცხ. 1

პროდუქტის დასახელება	ნიტრატების შემცველობა საკვებ პროდუქტებში	ნიტრატების შემცველობის დასაშვები ნორმები საქართველოში მგ/კგ-ში
კარტოფილი	200	250
კომბოსტო თავხვეულა	450	500
ბადრიჯანი	150	250
ისპანახი	2000	1500
სუფრის ჭარხალი	1000	1400
სტაფილო	300	300
ბოლოკი	1050	1000
პომიდორი	100	60
კიტრი	200	150
ხახვი თავიანი	50	60
ხახვი საფოჩე	300	400
მწვანილი	1800	1000
სალათა	2500	2000

ნიტრატების დაგროვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა განხორციელდეს: აზოტის ოპტიმალური ნორმის გაანგარიშება მოსავლის დონისა და ნიადაგში არსებული მარაგის გათვალისწინებით; ყურადღებით შეირჩეს აზოტიანი სასუქების ფორმები; აზოტიანი სასუქები შეტანილ უნდა იქნეს წილადობრივად; შეირჩეს ისეთი ბოსტნეული კულტურების ჯიშები, რომლებიც ნაკლები რაოდენობით აგროვებენ ნიტრატებს; შეწყდეს ისეთი მელიორანტებისა და პესტიციდების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ ნიტრატების დაგროვებას; ურწყავ პირობებში 20-30 % შემცირდეს აზოტიანი სასუქების ნორმა და საჭიროების შემთხვევაში უარი ითქვას მათ შეტანაზე; სათბურებში არ უნდა დაიშვას ნათესების ჩასქელება, რადგან ეს იწვევს დაჩრდილვას და ნიტრატების დაგროვების გაძლიერებას.

ქიმიზაციის ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას გადასაწყვეტია რამდენიმე საკითხი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, მიწათმოქმედების მაღალი კულტურა, სასუქების გამოყენების ახალი, უფრო ეფექტური ტექნოლოგიების დამუშავება, ქიმიზაციის საშუალებების კომპლექსური გამოყენება და ა. შ.

#### ლიტერატურა:

1. თ. ურუშაძე, აგროეკოლოგია, თბ., 2001, გვ. 154-160.
2. ო. აბდლაძე, მ. აზმაიფარაშვილი, თ. ურუშაძე, გ. ქაჯაია, (ავტორთა კოლექტივი), 100+ კითხვა-პასუხი გამოყენებით ეკოლოგიაში თბ., 2011, გვ. 112-114.
3. გ. ქაჯაია, ეკოლოგია (გამოყენებით ეკოლოგის საკითხები), თბ., 2009;
4. ო. ზარდალიშვილი, თ. ურუშაძე, სასუქების გამოყენება და გარემო, თბ., 1992, გვ. 53.
5. ი. მარმანია, აგროქიმია, თბ., 1991, გვ. 675-677.

## რეზიუმე

დღეს აზოტიანი ნაერთების გავლენა ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე, გარემოს გაჭუჭყიანებაზე და ა.შ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ნიტრატებით გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემა.

აზოტიანი სასუქებისაგან მაქსიმალური ეფექტის გამო, გარემოს დაბინძურების მინიმუმამდე შესამცირებლად და ნიტრატებით ნაკლებად დაბინძურებული, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მკაცრად იქნეს დაცული ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების წესები ყოველი კონკრეტული ზონისათვის, აზოტიანი სასუქების ფორმების, შეტანის დოზების ვადების, წესების გათვალისწინებით.

აზოტის ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია ვიცოდეთ კვების პროდუქტებში ნიტრატების ზღვრულად დასაშვები შემცველობა და მოვახდინოთ მასზე მკაცრი კონტროლი. ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ნიტრატების ჭარბი დაგროვება ბოსტნეულ კულტურებში, რადგანაც საკვებად ადამიანი იყენებს ძირითადად ვეგეტატურ ნაწილებს.

ნიტრატებს ყველაზე დიდი რაოდენობით აგროვებს ბოლოკი, ჭარხალი, სალათა, ისპანახი, ხოლო მცირეს - პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი, ნიორი, ბარდა. ჩვენს მიერ განისაზღვრა მცენარეულ პროდუქტებში ნიტრატები გრისის მეთოდით.

## NITRATE ACCUMULATION IN PLANT CHARACTERISTICS OF SHIDA KARTLI

Maia Azmaiparashvili, Associate Professor

### RESUME

The impact on living organisms in the coming nitrogen compounds progresses that require special attention to the environment pollution. The urgency of the environmental pollution problem with nitrates. Excessive use of nitrogen in plant nitrates are collected when the accumulation exceeds assimilation. Nitrogen fertilizers from the maximum effect due to environmental pollution to a minimum to reduce the nitrates are less polluted and environmentally sound agriculture-agricultural products to be strictly necessary to ensure the protection of organic and mineral fertilizers are the rules for each specific zone.

Nitrogen is essential to know the environmental problem of nitrates in food products and the maximum permissible content of their control.

In this particular thereat is the excessive accumulation of nitrates in vegetable crops, as they feed are used mainly in vegetative parts. The nitrates in the plant grisis method. Laboratory for were taken from the agricultural market of herbal products: potatoes, cabbage, eggplant, spinach, beetroot, carrots, tomatoes, cucumbers, onions, salad.

## ძალდებული შეფასებები ბანახის ზომათა სივრცეში

*ზურაბ ზერაკიძე, სრული პროფესორი  
ლელა ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი*

ვთქვათ,  $(E, S)$  არის ზომადი სივრცე.

განსაზღვრება 1.  $(E, S)$  ზომად სივრცეზე განსაზღვრულ ალბათურ ზომათა  $(\mu_i)_{i \in I}$  ოჯახს,  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  ეწოდება სტატისტიკური სტრუქტურა.

განსაზღვრება 2.  $(E, S)$  ზომად სივრცეზე განსაზღვრულ ალბათურ ზომათა  $(\mu_i)_{i \in I}$  ოჯახს ეწოდება ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ , თუ პარამეტრთა  $I$  ოჯახის ყოველი ორი განსხვავებული  $i$  და  $j$  ელემენტებისათვის  $\mu_i$  და  $\mu_j$  ზომები არიან ორთოგონალურები.

განსაზღვრება 3.  $(E, S)$  ზომად სივრცეზე განსაზღვრულ ალბათურ ზომათა ოჯახს ეწოდება სუსტად განცალკეობადი  $(W, S)$ , თუ არსებობს  $E$  სივრცის ზომად ქვესიმრავლეთა ისეთი  $(X_i)_{i \in I}$  ოჯახი, რომ

$$(\forall i, j) \left( i \in I \ \& \ j \in J \rightarrow \mu_i(X_j) = \begin{cases} 1, & i = j \\ 0, & i \neq j \end{cases} \right).$$

განსაზღვრება 4.  $(E, S)$  ზომად სივრცეზე განსაზღვრულ ალბათურ ზომათა ოჯახს ეწოდება ძლიერად განცალკეობადი  $(S, S)$ , თუ არსებობს  $E$  სივრცის ზომად ქვესიმრავლეთა ისეთი დიზუნქტიური ოჯახი  $(X_i)_{i \in I}$ , რომ  $(\forall i)(i \in I \rightarrow \mu_i(X_i) = 1)$ .

ვითყვით, რომ  $(E, S)$  ზომად სივრცეზე განსაზღვრულ ალბათურ ზომათა  $(X_i)_{i \in I}$  ოჯახისათვის არსებობს  $i$  პარამეტრის ძალდებული შეფასება  $(C, E)$ , თუ არსებობს ისეთი ზომადი ასახვა  $g: E \rightarrow I$ , რომ  $(\forall i)(i \in I \Rightarrow \mu_i\{x: g(x) = i\} = 1)$ .

შენიშვნა 1. ადვილი შესამჩნევია შემდეგ იმპლიკაციათა მართებულობის დადგენა:  $(C, E) \rightarrow (S, S) \rightarrow (W, S) \rightarrow \{E, S, \mu_i, i \in I\}$ .

ვთქვათ  $M^\sigma$  არის ნამდვილი წრფივი სივრცე ყველა ნიშანცვლადი სასრული ზომებისა  $S$ -ზე.

განსაზღვრება 5.  $M_\beta \subset M^\sigma$  წრფივ ქვესივრცეს ეწოდება ბანახის ზომათა სივრცე, თუ

1)  $M_\beta$  შეგვიძლია განვსაზღვროთ ნორმა ისე, რომ  $M_\beta$  იქნება ამ ნორმის მიმართ ბანახის სივრცე და ყოველი ორთოგონალური  $\mu, \nu \in M_\beta$  ზომებისათვის და ნებისმიერი ნამდვილი  $\lambda \neq 0$  რიცხვებისათვის სრულდება შემდეგი უტოლობა:  $\|\mu + \lambda \nu\| \geq \|\mu\|$ ;

2) თუ  $\nu \in M_\beta$  და  $|f(x)| \leq 1$ , მაშინ  $\nu_f(A) = \int_A f(x) \nu(dx) \in M_\beta$  სადაც  $f(x)$  არის  $S$ -ზომადი ნამდვილი ფუნქცია და  $\|\nu_f\| \geq \|\nu\|$  სამართლიანია შემდეგი თეორემა (იხ. 2).

**თეორემა 1.** ვთქვათ  $M_\beta$  არის ბანახის ზომათა სივრცე. მაშინ არსებობს ისეთი წყვილ-წყვილად ორთოგონალური ალბათური ზომათა ოჯახი ამ სივრციდან, რომ  $M_\beta = \bigoplus_{i \in I} M_\beta(\mu_i)$ , სადაც  $M_\beta(\mu_i)$  არის ბანახის სივრცე  $\nu$  ელემენტებისათვის, რომლებსაც აქვს სახე:

$$\nu_i(B) = \int_B f(x) \mu_i(dx), \quad \int_E |f(x)| \mu_i(dx) < +\infty \text{ და ამ ელემენტების ნორმებია } \|\nu_i\|_{M_\beta(\mu_i)} = \int_E |f(x)| \mu_i(dx).$$

**თეორემა 2.** ვთქვათ  $M_\beta = \bigoplus_{i \in N} M_\beta(\mu_i)$ , სადაც  $N = \{1, 2, \dots, n, \dots\}$  მაშინ იმისათვის, რომ არსებობდეს  $i \in I$

პარამეტრებისათვის ძალდებული შეფასება აუცილებელი და საკმარისია თანადობა  $f \rightarrow l_f$  მოცემული ფორმულით  $\int_E f(x) \nu(dx) = l_f(\nu)$ ,  $\forall \nu \in M_\beta$  იყოს ურთიერთცალსახა, სადაც არის  $l_f(\nu)$  წრფივი

ფუნქციონალი  $M_\beta$ -ზე,  $f \in F(M_\beta)$  ( $F(M_\beta)$  არის -ების ისეთი სიმრავლე,  $f$  რომელთათვისაც  $\int_E f(x) \mu(dx)$  სასრულია  $\forall \mu \in M_\beta$ ).

**აუცილებლობა.** რადგან არსებობს  $i \in I$  პარამეტრების ძალდებული შეფასება შენიშვნა 1-დან გამომდინარეობს, რომ სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სუსტად განცალკეობადია. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ისეთი  $S$ -ზომადი სიმრავლეები  $\{X_i, i \in N\}$ , რომ  $\mu_i(E - X_i) = 0$  და  $\mu_i(X_j) = 0$ ,  $j \neq i$  ფუნქციას  $I_{X_i}(x) \in F(M_\beta)$  შეუსაბამოთ უწყვეტი წრფივი ფუნქციონალი  $l_{x_i}$  ფორმულით  $\int_E I_{X_i}(x) \mu_i(dx) = l_{x_i}(\mu_i) = \|\mu_i\|_{M_\beta(\mu_i)}$ . ფუნქციას  $f(x) = \sum_{i \in I} g_i(x) I_{X_i}(x) \in F(M_\beta)$  შეუსაბამოთ

უწყვეტი წრფივი ფუნქციონალი  $\int f(x) \nu(dx) = l_f(\nu) = \|\nu\| = \sum_{i \in N} \|\mu_i\|_{M_\beta(\mu_i)}$ , სადაც  $\nu = \sum_{i \in N} \int_E g_i(x) \mu_i(dx)$ .

ამით აუცილებლობა დამტკიცებულია.

**საკმარისობა.** რადგან ყოველი  $f \in F(M_\beta)$  შეესაბამება უწყვეტი წრფივი ფუნქციონალი  $l_f$  ფორმულით  $\int_E f(x)\nu(dx) = l_f(\nu)$ . აღვნიშნოთ  $I_f \subset I$  ისეთი თვლადი სიმრავლე, რომლისთვისაც  $\int_E f(x)\mu_i(dx) = 0 \quad \forall i \notin I_f$ .

ვთქვათ  $l_{f_{\psi_1}}$  ფუნქციონალს შეესაბამება  $f_{\psi_1} \in F(M_\beta)$  ფუნქცია, მაშინ ყოველი  $\psi_1, \psi_2 \in M_\beta(\mu_i)$ -თვის გვაქვს შემდეგი ტოლობა  $\int_E f_{\psi_1}\psi_2(dx) = l_{f_{\psi_1}}(\psi_2) = \int_E f_{\psi_1}(x)f_2(x)\mu_i(dx) = \int_E f_1(x)f_2(x)\mu_i(dx)$ .

უკანასკნელი ტოლობიდან ცხადია, რომ  $f_{\psi_1} = f_1$  თითქმის ყველგან  $\mu_i$  ზომის მიმართ. ვთქვათ

$f_i(x) > 0$  თითქმის ყველგან  $\mu_i$  ზომის მიმართ და  $\int_E f_i(x)\mu_i(dx) < \infty$ ,  $\mu_i^*(c) = \int_c f_i(x)\mu_i(dx)$ , მაშინ

$\int_E f_{\mu_i^*}(x)\mu_i(dx) = l_{f_{\mu_i^*}}(\mu_i) = 0 \quad \forall j \neq i$ . ვთქვათ  $C_i = \{x : f_{\mu_i^*}(x) > 0\}$ , მაშინ  $\int_E f_{\mu_i^*}(x)\mu_i(dx) = l_{f_{\mu_i^*}}(\mu_i) = 0$ ,

$\forall j \neq i$ . საიდანაც გამომდინარეობს, რომ  $\mu_j(C_i) = 0 \quad \forall j \neq i$  და  $\mu_i(E - C_i) = 0$  ე.ი. სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  სუსტად განცალგებადია.

განვიხილოთ შემდეგი სიმრავლეები  $\tilde{C}_i = C_i - C_i \cap \left( \bigcup_{k \neq i} (E - C_k) \right)$ . ცხადია, რომ  $\tilde{C}_i \cap \tilde{C}_j = \emptyset$

ყოველი  $\forall j \neq i$  და  $\mu_i(\tilde{C}_j) = 0$  და  $\mu_i(E - C_i) = 0$  ე.ი. სტატისტიკური სტრუქტურა  $\{E, S, \mu_i, i \in I\}$  ძლიერად განცალგებადია. განვიხილოთ ფუნქცია  $g(x)$  განსაზღვრული შემდეგი ფორმულით  $g(x) = i$ , თუ  $x \in C_i$ ,  $i = 1, 2, \dots, n, \dots$  მაშინ  $\mu_i(x : g(x) = i) = 1 \quad \forall i \in N$ . ამით თეორემა 2 დამტკიცებულია.

#### ლიტერატურა:

1. M. Ibramkhalilov, A.V. Skorokhod, Consistent estimates of the parametrs of random processes. (Russian) Kiev, 1980.
2. Z. S. Zerakidze, Banach space of measures. probability theory and mathematical statistics. V. II. Mokslas, vilnius, 1990. p. 609-616.

### რეზიუმე

ნაშრომში დამტკიცებულია პარამეტრების მალდებულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები ბანახის ზომათა სივრცეში.

#### OPTIMAL CONSISTENT ESTIMATES IN BANACH SPACE OF MEASURES

Zurab Zerakidze, Full Professor  
Lela Aleksidze, Associate Professor  
RESUMÉ

The present paper approves the necessary and sufficient conditions of the parameters optimal consistency existing in Banach space of measures.

## ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების ახალი ქართული ეროვნული მოდელი და სამოქმედო გეგმა

*ალექსანდრე იაშვილი, სრული პროფესორი*

საქართველოს მთავრობა აღიარებს სპორტის მნიშვნელობას მოზარდების ფიზიკური და ფსიქო-სოციალური განვითარების თვალსაზრისით, ახალგაზრდების ფართოდ ჩაბმას სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სოციალურ ინტეგრაციას, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას.

სპორტული აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას.

სპორტი ზრდის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, შეგნებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში დემოკრატიული და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სწორედ ამიტომ მიაპყრო ჩვენი ყურადღება საქართველოს პრეზიდენტმა სკოლებში სპორტის მასობრივად დანერგვის აუცილებლობას, რასაც ემსახურება საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გეგმის მიღება არის დროული და უაღრესად საჭირო დოკუმენტი, მასში ასახული ღონისძიებათა კომპლექსი კი მიმართულია არა მარტო მომავალ სპორტსმენთა გამოსავლენად, არამედ მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და გონებრივი განვითარებისათვის. დოკუმენტი არის ამ დარგში არსებული ამჟამინდელი სიტუაციის ყველაზე სრულყოფილი აღწერილობისა და რეკომენდაციების კრებული, რომელიც შესაძლებელია სახელმძღვანელოდ იქნას გამოყენებული სპორტის დარგის სპეციალისტებისათვის.

ეს ის დოკუმენტია, რომლის განხორციელებაც ძალიან მნიშვნელოვან და სასიკეთო ძვრებს გამოიწვევს ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას შესწავლილი იქნა საქართველოში არსებული მდგომარეობა, მსოფლიოს გამოცდილება, მოსწავლეთა ფიზიკური განათლებისა და ბავშვთა სპორტისადმი არსებული ევროპული მიდგომები. ქართულ მხარესთან ერთად აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპელი ექსპერტებიც, მათი შეფასებით ახალი დოკუმენტი სკოლებში ფიზიკური განათლების რეფორმის და ქართული სისტემის ევროპულ სტანდარტებზე მორგების საფუძველია.

ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განყოფილებისაგან შედგება, სადაც წარმოდგენილია ის ღონისძიებები, რომელიც უნდა გაატაროს განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებმა.

ახალ დოკუმენტში ნათლად არის ასახული იმ სასიკეთო ძვრების შესახებ, რომლის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის მოზარდთა სპორტში მასობრივი ჩაბმის სწორად დაგეგმვას და სწორ ორგანიზაციას.

პირველად ჩატარდა საქართველოს სკოლებში არსებული სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული ანალიზი, რამაც სრული წარმოდგენა შექმნა არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვაზე.

ერთიანი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შეიქმნა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელმაც ევროპულ ექსპერტთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. პირველად იქნა განათლების სამინისტროსადმი შეთავაზებული მოსწავლეთა ერთიანი საყოველთაო საშუალებით სისტემა, რომელიც ოთხ ეტაპს მოიცავს.

სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოხდება სკოლების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. გეგმასი გამოკვეთილი არის ხელისუფლების მიერ სპორტის განვითარებისათვის იმ ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს:

1. ყოველ პიროვნებას მიეცეს საშუალება სპორტში ჩაბმისათვის, კერძოდ:
  - უზრუნველყოს ახალგაზრდობა ფიზიკური და სპორტული განათლების მიღებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლების შესაძლებლობით;

- შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე უზრუნველყოს სპორტში ჩაბმისა და უსაფრთხო, ჯანსაღ გარემოში ასპარეზობის შესაძლებლობით;
- უზრუნველყოს შესაბამისად დაინტერესებული და სათანადო უნარის მქონე პირთა ფიზიკური განვითარების გაუმჯობესება, პირადი პოტენციალის გამოვლენა და აღიარებული ოსტატობის მიღწევა.

2. დაიცვას და განავითაროს სპორტის მორალური და ეთიკური საფუძვლები, სპორტში გაერთიანებულ პირთა ღირსება და უსაფრთხოება, უზრუნველყოს სპორტისა და სპორტსმენთა დაცვა ყოველგვარი პოლიტიკური, კომერციული და ფინანსური ექსპლუატაციისაგან, ისევე, როგორც შეურაცხმყოფელი ან ღირსების დამთრგუნველი შემთხვევისაგან მედიკამენტების, დოპინგის ბოროტად გამოყენების ჩათვლით.

ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ბავშვებისა და ახალგაზრდობის უფლებას ჩაებან და გაერთონ სპორტული თამაშით.

სპორტული აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი ხელს უწყობს ბავშვის გონებრივად და ფიზიკურად ჰარმონიულ განვითარებას, დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული პიროვნული თვისებების გამომუშავებას, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზიარებასა და შეგნებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში დემოკრატიული და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესების განვითარებას.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, თბ., 1996;
2. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები), თბ., 2002;
3. გზამკვლელების კრებული სპორტის სახეობებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. თბ., 2010;
4. საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თბ., 2011;
5. [www.sportandyouth.ge](http://www.sportandyouth.ge)

### რეზიუმე

სპორტის შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 2003-2015 წლებში განვითარების კონცეფციის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის პატრონაჟით 2011 წელს მიღებული იქნა საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში სპორტის შემდგომი განვითარებისათვის ეს არის ერთ-ერთი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ბავშვთა და მოზარდთა შორის სპორტის მასობრივად დანერგვის გზები.

აღნიშნული დოკუმენტის მიღებისათვის სამჯერ გაიმართა პარლამენტის სხდომა, გარდა ამისა გეგმის მომზადებაში მონაწილეობდნენ ევროპელი ექსპერტები. დოკუმენტში გაანალიზებულია მსოფლიოს გამოცდილება და მოწონებულია ევროპის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

გეგმაში მოცემული ღონისძიებების გატარება ევალება განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს, ხოლო პრაქტიკული ხორცმესხმა ევალებათა სპორტის დარგის მუშაკებს.

## STRATEGY AND ACTION PLAN FOR CHILDREN AND YOUNGSTERS

Aleksandre Iashvili, Full Professor

### RESUME

In the work „strategy and action plan for children and youngsters“, on the basis of the law about sports, and conception of developing physical education in 2003-2015 years the chairman of parliament David Baqradze set a law

in 2011 year national strategies and action plan about children's and youngster's physical development and their mass introduction in sports activities.

It must be mentioned that this is one of the most universal documents in which is mentioned children's and youngster's mass introduction ways, into sports activities. In order to set this law parliament had been gathered three times. Besides that on the plans had been working European experts, in this document world experience and is highly evaluated by a European group.

Action plan specifics in separate paragraphs relevant measures to be accomplished by specific ministries or entities including the Ministry of Education and Science, the Ministry of sport and youth affairs and the Ministry of Labor. Health and Social Affairs and the usage in practice is due to sports workers.

### დეფორმაციული დაკვანტვის ერთი მეთოდი

*მაღბაზ მუმლაძე, სრული პროფესორი  
ზურაბ ზერაკიძე, სრული პროფესორი*

ვთქვათ,  $H$  ჰილბერტის სივრცეა და  $\{\omega_\alpha\}_{\alpha \in I}$  მისი ორთონორმირებული ბაზისი. როგორც ცნობილია [1], ყოველი ყოველი  $x \in H$  ვექტორისათვის ადგილი აქვს ტოლობას

$$x = \sum_{\alpha} (x \cdot \omega_{\alpha}) \omega_{\alpha},$$

სადაც  $\omega_{\alpha} \in \{\omega_{\alpha}\}_{\alpha \in I}$  და  $(x \cdot \omega_{\alpha})$  სკალარული ნამრავლებიდან შეიძლება მხოლოდ თვლადი რაოდენობის ნამრავლი არ არის ტოლი ნულის.

ვთქვათ,  $U$  რაიმე  $C^*$  ალგებრაა  $H_U$  მოცემული ალგებრის უნივერსალური წარმოდგენის [2] შესაბამისი ჰილბერტის სივრცე,  $a \in U$ .

$$a(\omega_{\alpha'}) = \sum_{\alpha} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha}) \omega_{\alpha},$$

ყველა  $\omega_{\alpha'} \in H$  ვექტორისათვის.

ცხადია, კომპლექსურ რიცხვთა  $\{(a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha})\}$ ;  $\omega_{\alpha'}, \omega_{\alpha} \in \{\omega_{\alpha}\}_{\alpha \in I}$  ერთობლიობა ცალსახად

განსაზღვრავს  $a$  ელემენტის შესაბამის ოპერატორს, რომელიც ასევე  $a$  სიმბოლოთი აღვნიშნოთ.

აღნიშნული ერთობლიობა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც უსასრულო მატრიცი, რომლიდანაც სტრიქონების და სვეტების რაოდენობაა  $card I$  და თითოეულ სტრიქონში მდებარე რიცხვებიდან მხოლოდ თვლადი რაოდენობაა ნულისაგან განსხვავებული, ამასთან, რიცხვების ამ თვლადი რაოდენობისაგან შედგენილი მწკრივი კრებადია იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ამ რიცხვების როგორი მიმდევრობისაგან შევადგენთ მწკრივს. აღვნიშნოთ ეს უსასრულო მატრიცები  $A_{\alpha}$  სიმბოლოთი.

განვიხილოთ ოპერატორები, რომელებიც განსაზღვრულია მატრიცებით:  $\{(a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha})\}$ ,  $\omega_{\alpha'}, \omega_{\alpha} \in \{\omega_{\alpha}\}_{\alpha \in I}$ , სადაც  $(a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha}) = 0$ , როდესაც  $\alpha' \neq \alpha$ . ვუწოდოთ ასეთ

ოპერატორებს დიაგონალური ოპერატორები ჰილბერტის  $H$  სივრცის  $\{\omega_{\alpha}\}_{\alpha \in I}$  ბაზისში.

**თეორემა:** დიაგონალური ოპერატორები გადანაცვლებადია.

**დამტკიცება:** ვთქვათ,  $a$  და  $b$  დიაგონალური ოპერატორებია,  $\{(ab(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha})\}$ ;  $\omega_{\alpha'}, \omega_{\alpha} \in \{\omega_{\alpha}\}_{\alpha \in I}$

ერთობლიობა, ანუ უსასრულო მატრიცი განსაზღვრავს  $ab$  ნამრავლს.  $(b(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha}) = 0$ , როდესაც  $\alpha' \neq \alpha$ ;  $b(\omega_{\alpha}) = (b(\omega_{\alpha}) \cdot \omega_{\alpha})$

და



$$a(b(\omega_\alpha)) = (b(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) a(\omega_\alpha) = (b(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) (a(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) \omega_\alpha.$$

ასევე  $(a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) = 0$ , როდესაც  $\alpha' \neq \alpha$ ;  $a(\omega_\alpha) = (a(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha)$

და

$$b(a(\omega_\alpha)) = (a(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) b(\omega_\alpha) = (a(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) (b(\omega_\alpha) \cdot \omega_\alpha) \omega_\alpha.$$

როგორც ვხედავთ:

$$b(a(\omega_\alpha)) = a(b(\omega_\alpha)) = ab(\omega_\alpha) = ba(\omega_\alpha),$$

ამგვარად  $ab = ba$ . თეორემა დამტკიცდა.

ამ თეორემიდან გამომდინარეობს, რომ მოცემულ ბაზისში დიაგონალური ოპერატორები ქმნიან კომუტაციურ  $C^*$ - ალგებრას.

ვთქვათ,  $a$  ოპერატორს  $\{\omega_\alpha\}_{\alpha \in I}$  ბაზისში შეესაბამება

$$A_a = \{(a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha)\}; \quad \omega_{\alpha'}, \omega_\alpha \in \{\omega_\alpha\}_{\alpha \in I}$$

მატრიცი,  $b$  ოპერატორს  $B_b = \{(b(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha)\}; \quad \omega_{\alpha'}, \omega_\alpha \in \{\omega_\alpha\}_{\alpha \in I}$  მატრიცი.

$$\begin{aligned} ab(\omega_{\alpha'}) &= \sum_{\alpha'' \in I} (ab(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha''}) \omega_{\alpha''} = b(a(\omega_{\alpha'})) = \\ &= \sum_{\alpha \in I} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) b(\omega_\alpha) = \sum_{\alpha \in I} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) \sum_{\alpha'' \in I} (b(\omega_\alpha) \cdot \omega_{\alpha''}) \omega_{\alpha''} = \\ &= \sum_{\alpha'' \in I} \sum_{\alpha \in I} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) (b(\omega_\alpha) \cdot \omega_{\alpha''}) \omega_{\alpha''} \end{aligned}$$

მაშასადამე:

$$\sum_{\alpha'' \in I} (ab(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha''}) \omega_{\alpha''} = \sum_{\alpha'' \in I} \sum_{\alpha \in I} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) (b(\omega_\alpha) \cdot \omega_{\alpha''}) \omega_{\alpha''}$$

და

$$(ab(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_{\alpha''}) = \sum_{\alpha \in I} (a(\omega_{\alpha'}) \cdot \omega_\alpha) (b(\omega_\alpha) \cdot \omega_{\alpha''}).$$

აქედან კი გამომდინარეობს, რომ  $A_{ab} = A_a A_b$ .

აღვნიშნოთ  $U C^*$ - ალგებრის ელემენტთა, რაიმე დაფიქსირებულ ბაზისში, შესაბამის ოპერატორთა მატრიცების  $C^*$ - ალგებრა  $M^U$  სიმბოლოთი, ხოლო ამ ალგებრაში შემავალ დიაგონალურ მატრიცთა  $C^*$ - ქვეალგებრა  $M_0^U$  სიმბოლოთი.

განვიხილოთ ხარისხოვან მწკრივთა  $M_{[[t]]}^U C^*$ - ალგებრის [3]  $\overline{M}_{[[t]]}^U C^*$ - ქვეალგებრა, რომელიც შედგება ისეთი კრებადი ხარისხოვანი მწკრივებისაგან, რომელთა ნულოვანი ხარისხის შესაკრები დიაგონალური მატრიცია.

ვთქვათ  $t$  ცვლადი სიდიდეა, რომელიც მნიშვნელობას ღებულობს  $\{k A_{1_U}\} \subset$  სიმრავლიდან, სადაც  $k \in (0,1]$  ნამდვილი რიცხვია,  $A_{1_U}$  კი  $U C^*$ - ალგებრის ერთეულოვანი ელემენტი. ცხადია,  $\overline{M}_{[[t]]}^U$  ალგებრის ელემენტთა მნიშვნელობანი ცვლადის  $t_0 = k_0 A_{1_U}$  მნიშვნელობაზე, სადაც  $k_0 \in (0,1]$  რაიმე ნამდვილი რიცხვია, შეადგენენ  $M^U$  ალგებრის  $M_{k_0}^U C^*$ - ქვეალგებრას. როდესაც  $k \rightarrow 0$ , მაშინ  $M_k^U \rightarrow M_0$ .

თითოეული ეს  $M_k^U$  ალგებრა იზომორფულია  $U C^*$ - ალგებრის რაიმე  $U_k C^*$ - ქვეალგებრის, სადაც  $k$  ღებულობს მნიშვნელობას  $(0,1]$  შუალედიდან. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ:  $U_1 = U$ . ცხადია, როდესაც  $k \rightarrow 0$ , მაშინ  $U_k \rightarrow U_0$ .

ამგვარად ჩვენ ავაგეთ უწყვეტი პროცესი, რომლის დროსაც არაკომუტაციური  $C^*$ -ალგებრა გადადის კომუტაციურ  $C^*$ -ალგებრაში, რასაც მათემატიკურ ფიზიკაში დეფორმაციული დაკვანტვა ეწოდება [4].

მაშასადამე, ზოგადი  $C^*$ -ალგებრის უნივერსალური წარმოდგენის საშუალებით შეიძლება ავაგოთ უწყვეტი დეფორმაცია არაკომუტაციური  $C^*$ -ალგებრისა კომუტაციურ  $C^*$ -ალგებრაში.

#### ლიტერატურა:

1. Н. Данфорд, Дж. Т. Шварц Линейные операторы, Общая теория. Издательство иностранной литературы, Москва, 1962.
2. Ж. Диксмье  $C^*$ -алгебры и их представления. Издательство Наука, Москва 1974.
3. Н. Бурбаки Коммутативная алгебра. Издательство Мир, Москва. 1971.
4. A Conne Noncommutative Geometry, Boston, MA: Academic Press 1994.

### რეზიუმე

ნაშრომში  $C^*$ -ალგებრათა უნივერსალურ წარმოდგენათა თეორიის საშუალებით აგებულია უწყვეტი დეფორმაცია არაკომუტაციური  $C^*$ -ალგებრისა კომუტაციურ  $C^*$ -ალგებრაში, რასაც „დეფორმაციული დაკვანტვას“ უწოდებენ.

### ONE METHOD OF DEFORMATION QUANTIZATION

Malkhaz Mumladze, Full Professor

Zurab Zerakidze, Full Professor

#### SUMMARY

In applying the theory of universal representations of  $C^*$ -algebras constructed a continuous deformation of non-commutative  $C^*$ -algebra to a commutative  $C^*$  algebra, which is called “a deformation quantization”.

### კომპიუტერული საშუალებები მულტიმედიურ სისტემებში

*თინათინ მშვიდლობაძე, ასოცირებული პროფესორი*

სასწავლო პროცესში მულტიმედიის მეთოდების მოდერნიზაცია ტრადიციული სასწავლო მეთოდების პოტენციალით სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა.

მულტიმედია არის აპარატულ და პროგრამულ საშუალებათა კომპლექსი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ურთიერთობა დაამყაროს კომპიუტერთან სასურველი გარემოს მიხედვით: ხმა, ვიდეო, გრაფიკა, ტექსტი, ანიმაცია და ა. შ. მულტიმედია საშუალებას აძლევს მომხმარებელს შექმნას „ფანტასტიკური სამყარო“ - (ვირტუალური რეალობით), მასთან ინტერაქტიური ურთიერთობით. ურთიერთობა ხდება მომხმარებლისათვის მისაღები ენით - პირველ რიგში ხმოვანი და ვიდეო სახით.

ინტერაქტიურობა გულისხმობს ვირტუალურ სამყაროს რეალურ ობიექტთან რეალურ დროში ურთიერთქმედებას. მმართველი ზემოქმედება უნდა იყოს მრავალმოდულური ე. ი. მხედველობითი, ხმის გამოყენებით. აღნიშნული მოთხოვნების სარეალიზაციოდ თანამედროვე მულტიმედიურ სისტემებში გამოიყენება სხვადასხვა სახის ხმოვანი და ვიდეოტექნოლოგიები (ხმოვანი სისტემები, „კვადრო“, სტერეოდისკლეი) უსადენო ინტერფეისებით.

კომპიუტერული საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ხმოვან ტექნოლოგიებს იყოფა: ხმოვან ბარათებად (კარტები) და აკუსტიკურ სისტემებად, ხმოვანი ნაბეჭდი ფირფიტები (კარტები) sound blaster, sound cards გამოიყენება ინფორმაციის შექმნის, ჩაწერის და მისი აღდგენის დროს (მუსიკა, სიტყვა,

ხმაურის ეფექტი). ხმას, რომელიც იქმნება ხმოვანი ნაბეჭდი ფირფიტების მეშვეობით, უწოდებენ სინთეზატორებს. ჩაწერის რეჟიმში ხმა გარდაიქმნება ანალოგოციფრული გარდამქმნელის მეშვეობით ციფრულ მიმდევრობად, რომელიც იწერება კომპიუტერის მეხსიერებაში. აღდგენის რეჟიმში პირიქით ციფრო-ანალოგური გარდამქმნელი ციფრულ მიმდევრობას გარდაქმნის ხმაში – ანალიზატორი.

სტანდარტული ფუნქციონალურად ნაბეჭდი ფირფიტა შეიცავს რამდენიმე მოდულს: ჩაწერისა და აღდგენის მოდული, ხმის სინთეზატორი, ინტერფეისების მოდული. არსებობს FM და WT სინთეზატორები, ხმოვანი კარტების და MIDI ფაილების გამაფართოებლები. ხმოვანი კარტები შეესაბამება სტანდარტს Basic General MIDI, იგი მიერთებულია PCI ინტერფეისთან. ვიდეო ინფორმაციასთან მუშაობის დროს საჭიროა გვექნოდეს ფუნქციონალურად სხვადასხვა მოწყობილობა. ამ შემთხვევაშიც, ანალოგიურად ხმოვანი ინფორმაციისა, საჭიროა ვიდეო სიგნალის გარდაქმნა ციფრულ მიმდევრობად. ვიდეო ინფორმაციის ციფრულ ინფორმაციაში გარდაქმნა შესაძლებელია ანალოგო-ციფრული გარდამქმნელების მეშვეობით, რომელიც დამუშავებული და რეალიზებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში [1].

ვიდეოსიგნალის საშუალო მნიშვნელობის ფორმირება წარმოებს შემდეგი სახით: ვიდეოსიგნალი მიეწოდება ვიდეოსიგნალის ციფრულ ფორმაში გარდამქმნელ ბლოკს, სადაც ხდება ანალოგური სახით წარმოდგენილი ვიდეოსიგნალის გარდაქმნა ციფრული სახით (დისკრეტული მნიშვნელობით). მიღებული ციფრული ინფორმაცია მართვის ბლოკის გავლით მიეწოდება ინტერფეისს და ჩაიწერება ოპერატიული მეხსიერების მოწყობილობაში. შემდგომში შესაძლებელია მისი ასახვა დისპლეის ეკრანზე. ვიდეოსიგნალის გარდაქმნა ციფრულ ფორმაში დამოკიდებულია გარდამქმნელის პრეციზიულობაზე და შესაბამისად მისი გარდაქმნის მოთხოვნილ სიზუსტეზე, რომლის რეგულირება შესაძლებელია წინასწარ შერჩეული პარამეტრებით.

ვიდეოკონტროლერი (ვიდეოადაპტერი) წარმოადგენს შიდასისტემურ მოწყობილობას, რომელიც გარდაქმნის მონაცემებს და სიგნალს მონიტორზე ასახვით, შესაბამისი მართვით. სტანდარტული ვიდეოკონტროლერი შეიცავს გრაფიკულ კონტროლერს, ვიდეომეხსიერებას, რომელშიც ინახება მონიტორზე ასახული ინფორმაცია, მუდმივი მეხსიერების მიკროსქემებს, გარდამქმნელებს. კონტროლერი (სპეციალიზებული პროცესორი) აფორმირებს მმართველ სიგნალებს მონიტორისათვის და აკონტროლებს ვიდეომეხსიერებიდან გამოსულ გამოსახულებას.

ვიდეოკონტროლერში არის მუდმივი მეხსიერების ორი ტიპის მიკროსქემა: რომელიც შეიცავს ვიდეო-BIOS – შეტანა-გამოტანის ბაზურ სისტემას, რომელსაც იყენებს ცენტრალური პროცესორი ვიდეოკონტროლერის გასაშვებად და ნიშნების ცვალებად ცხრილებს, რომელიც გამოიტანება მონიტორის ეკრანზე.

პრაქტიკაში ვიდეოსისტემების გამოყენების ფართო სპექტრი საჭიროა სხვადასხვა შესაძლებლობის სისტემების არსებობის გამო, ბინარული გამოსახულების გამოცნობისა და დამუშავების სისტემებიდან - მრავალტონურ და შერეული გამოსახულებების გამოცნობისა და დამუშავების სისტემებამდე. ვიდეოსისტემების შესაძლებლობები განისაზღვრება მასში რეალიზებული მონაცემების დამუშავების მეთოდებითა და ალგორითმებით, აგრეთვე გამოყენებული პროგრამული ტექნიკური საშუალებების მწარმოებლობით. ბრტყელი მონიტორებისათვის გამოიყენება SXGA (ციფრული მოდიფიკაციით SVGA) და DVI ტიპის კონტროლერები [2].

ვიდეო ნაბეჭდ ფირფიტაზე – ვიდეოკონტროლერზე უნდა იყოს მოთავსებული მიკროსქემა გრაფიკული აქსელერაციით, რომელიც აჩქარებს ვიდეოინფორმაციის შესრულების პროცესს. ვიდეოადაპტერი ფირფიტები (video grabber) არის ორი ტიპის: frame grabber, captyre board. ვიდეო ინფორმაციის გადაცემისას უნდა მოხდეს მათი შეკუმშვა, რომელსაც ეწოდება კოდეკი (CODEC, DECoder). ფართო გავრცელება ჰპოვა შემდეგმა კოდეკებმა: Motion JPEG, INDEO (Intel viDEO), Cinepak და სხვ. გამოიყენება ვიდეოკარტები მძლავრი გრაფიკული პროცესორებით (GeForce FX5200 VIVO, Radeon 900 VIVO და სხვ.), ტიუნერები – TV Tuner (Aver Media 2003, Pinnacle PCTV და სხვ.).

აღწერილი ხმოვანი და ვიდეო ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მულტიმედიური სისტემები თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების შემთხვევაში, რომელთა გამოყენება აამაღლებს მისი მოქმედების ეფექტიანობას.

#### ლიტერატურა:

1. გაბედავა ო., ანოდირებული ფირფიტების წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემა, სტუ. თბ., 2008;
2. Бройдо В. Л., Ильина О. П. Архитектура ЭВМ и систем, Питер, 2006.

## რეზიუმე

განხილულია მულტიმედიურ სისტემებში გამოყენებული კომპიუტერული საშუალებები ხმოვანი და ვიდეოტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად. მოცემულია ძირითადი ტექნიკური საშუალებების ჩამონათვალი, რომლის მეშვეობითაც ხდება აღნიშნული ტექნოლოგიების რეალიზაცია, რაც მეტად აქტუალურია თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების დროს.

### COMPUTER MEANS FOR SUPPORT OF AUDIO AND VIDEO OF TECHNOLOGIES

Tinatin Mshvidobadze, Associate Professor

#### SUMMARY

Use of multimedia systems of computer means providing sound and videotecnologies is considered. The list of the basic means by means of which there is a realization of the specified technologies is given. Use of the above-stated technologies actually at designing modern management information systems.

### საქართველოს წყლის რესურსები და საგადასახადო სისტემის როლი მის დაცვაში

*ზურაბ ტიელიძე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი  
ზურაბ ტიელიძე, ეკონომიკისა და ბიზნესის მაგისტრანტი*

საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ განძსა და ეროვნულ სიმდიდრეს წყლის რესურსები წარმოადგენს, რომლებიც წარმოდგენილი არიან შიდა წყლების სახით (მდინარეები, ტბები, ხელოვნური წყალსაცავები, ჭაობები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები). ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 26 ათას კმ-ს აღწევს. ამ მდინარეების 99,4% მცირე სიგრძისაა (25 კმ-ზე ნაკლები). საქართველოს მდინარეების ჯამური წლიური ჩამონადენი 65800 მლნ. კუბ. მეტრს შეადგენს, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული ჩამონადენი - 56500 მლნ. კუბ. მეტრი.

წყლის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული და ძირითადად დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი. საქართველოს მდინარეები მიეკუთვნებიან ორ ძირითად აუზს, რომლებსაც ლიხის ქედი ყოფს. შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება დაახლოებით 18109 მდინარე, ეს საქართველოს მდინარეთა საერთო რაოდენობის 70 %-ია, ხოლო კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება 7951 მდინარე (30%). ჰიდროლოგიურად შესწავლილია 555 მდინარე შავი ზღვის აუზში და 528 მდინარე კასპიის ზღვის აუზში.

აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარე ქმნის მტკვრის ერთიან სისტემას და ჩაედინება კასპიის ზღვაში, დასავლეთ საქართველოს მდინარეები კი დამოუკიდებლად ერთვებიან შავ ზღვას. საქართველოს უდიდესი მდინარეა მტკვარი. საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მისი შუა წელია (400 კმ), სათავე მდებარეობს თურქეთში და ჩაედინება კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის გავლით. დასავლეთ საქართველოს მდინარეებს შორის ყველაზე უდიდესი და წყალუბვი მდინარე რიონია. იგი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზეა მოქცეული, დიდი კავკასიონის მთებში იღებს სათავეს და ქუთაისისა და ფოთის გავლით შავ ზღვაში ჩაედინება.

საქართველოში 860-მდე ტბაა, უმეტესობა ძალიან პატარაა, ამიტომაც ტბების საერთო ფართობი 170 კვ.კმ-ს არ აღემატება (ქვეყნის ტერიტორიის 0.24%), მათი უმეტესობა მტკნარია. საქართველოში ფართობით ყველაზე დიდია ფარავანის ტბა, წყლის მოცულობით კი - ტაბაწყურის, სიღრმით - რიწის (იგი უღრმესია ამიერკავკასიის ტბებს შორის). ტბების მნიშვნელობა მათ წყალშენახვითი, კლიმატმარეგულირებელ თუ საკურორტო-რეკრეაციული ნიშნებით განისაზღვრება.

**ჭაობებს** საქართველოში განსაკუთრებით დიდი ფართობი (225 ათასი ჰა) უკავია კოლხეთის დაბლობზე. დასავლეთიდან საქართველოს აკრავს შავი ზღვა, რომლის სანაპირო ზოლის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 315 კმ-ია. ჭაობების მნიშვნელობა მათ კლიმატმარეგულირებელ, ეკოლოგიურ და ამჟამად უკვე ტურისტულ-რეკრეაციულ დანიშნულებაში მდგომარეობს.

**მეინვარები** განლაგებულნი არიან კავკასიონის მაღალმთიანეთებში და წარმოადგენენ საქართველოს დიდი მდინარეების უმრავლესობის ძირითად მასაზრდოვებელ წყაროს.

ჰიდროელექტროსადგურებსა და ირიგაციულ სისტემებს **43 წყალსაცავი** ემსახურება. მათგან 35 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. წყალსაცავები დიდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში. ამჟამად საქართველოში ელექტროენერჯის 75 %-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურებში გამოიმუშავდება. ქვეყნის აღმოსავლეთ, უფრო მშრალ ნაწილში ირიგაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის.

**მიწისქვეშა წყლები.** საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს (**მტკნარი, მინერალური და თერმული**), რომლებიც ხასიათდება დიდი რესურსებით, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და, მყარი წიაღისეულისაგან განსხვავებით, დროში განახლებადობით.

**მტკნარი მიწისქვეშა წყლები** წარმოადგენენ ყველაზე მჭირვას წიაღისეულს და სასმელად ვარგისი, უმაღლესი ხარისხის წყლების, ყველაზე საიმედოდ დაცულ წყაროს. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უპირველეს მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და, სწორედ, ამიტომაც ითვლება უნიკალურ წიაღისეულად, რომელთა რაოდენობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18000 მლნ. კუბ. მეტრს შეადგენს. საერთო საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგები დაახლოებით 10600 მლნ.კუბ. მეტრია. მიწისქვეშა მტკნარი წყლების ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილს - 95 %-ს (571,7 კუბ. მ/წმ - 49,4 მლნ. კუბ. მ/დღ.ღამეში) შეადგენს სასმელი წყლები, რომლებიც ფართოდ, მაგრამ არათანაბრად არიან გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათი საერთო რაოდენობის 63,4% - (362,5 კუბ. მ/წმ) მოდის დასავლეთ საქართველოზე, 24,1% - (137,9 კუბ. მ/წმ) აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 12,5% - (71,3 კუბ.მ/წმ) კი - სამხრეთ საქართველოზე. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წყლებისა ხასიათდება მარილების ძალზე დაბალი შემცველობით (200-300 მილიგრამამდე ლიტრზე). ასეთი წყლები, გარდა სასმელად და ჩამოსასხმელად ვარგისიანობისა, მათი სიხიბტიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა უაღკოპოლო, თუ ალკოჰოლიანი სასმელების ჩამოსასხმელად. მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საერთო რესურსების დაახლოებით მესამედი ნაწილი დეტალურად არის შესწავლილი და მათი მარაგები დამტკიცებულია სახელმწიფო კომისიაში 145,5 კუბ.მ/წმ რაოდენობით. რომელთაგანაც 48% (63,9 კუბ.მ/წმ) მოდის დასავლეთ საქართველოზე, 45%, (60,3 კუბ.მ/წმ) აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 6,7% (6,7 კუბ.მ/წმ) სამხრეთ საქართველოზე. ყველა კატეგორიის დამტკიცებული მარაგების გათვალისწინებით, ერთ სულ მოსახლეზე მოდის სასმელი წყალი 2,2 კუბ.მ/დღ.დ. ოდენობით, ხოლო მაღალი (სამრეწველო) კატეგორიის მიხედვით - 0,88 კუბ.მ/დღ.დ. დასაშვები ნორმატივების მიხედვით, პერსპექტივაში (მოსახლეობის 5 მლნ-მდე გაზრდის შემთხვევაში), ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა 2,5-ჯერ მეტია ქვეყნის შორეულ პერსპექტიულ მოთხოვნილებაზე, ე.ი. ჭარბი რესურსი შეადგენს 150 კუბ.მ/წმ.

სასმელი დანიშნულების მტკნარი მიწისქვეშა წყლები - გავრცელებულია როგორც ულტრამტკნარი, ასევე მტკნარი მიწისქვეშა წყლების ტიპები. საქართველოს პერსპექტიული მოთხოვნილება ამ რესურსზე შეადგენს მთელი გამოვლენილი მოცულობის მხოლოდ 40%.

**მინერალური წყლები (სასმელი და სამკურნალო დანიშნულების).** არსებული მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მინერალური წყლების გამოსავლების საერთო რაოდენობა 160 ათ. კუბ. მეტრზე მეტი ჯამური სადღეღამისო დებიტით, 2 ათასს აჭარბებს. დღეისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე გეოლოგიურად შესწავლილია მინერალური წყლების ორმოცზე მეტი საბადო. გამოვლენილი და მარაგების სახელმწიფო კომისიაში დამტკიცებული მინერალური წყლების სამრეწველო მარაგები დღე-ღამეში 43,5 ათ.კუბ.მეტრს შეადგენს.

უდიდესი ნაწილი დამტკიცებული მარაგებისა (25 ათ.კუბ.მ/დღ.დ.) მოდის 17 საბადოს სამკურნალო წყლებზე, რომლებიც გამოიყენება გარეგანი მოხმარებისათვის (სამკურნალო აბაზანები) - მაგ. წყალტუბო, მენჯი და სხვა. როგორც სასმელი, ასევე სამკურნალო დანიშნულების მინერალური წყლების გამოყენების სფერო ძალიან ფართოა როგორც საგემოვნო, ისე სამკურნალოდ მათი გამოყენების პერსპექტივის განსაკუთრებული მრავალფეროვნების გამო.

მინერალური წყლების ნაწილი რომელთა დამტკიცებული სამრეწველო მარაგები 7 ათ.კუბ.მ/დღ.დ. შეადგენს, ორმაგი მოხმარებისაა - გამოიყენება ადგილზე სასმელ-სამკურნალოდ და სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის (ბორჯომი, ნაბეღლავი), ასევე სამკურნალო აბაზანებში (კურორტებზე).

მინერალური წყლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა დამტკიცებული მარაგები 6 ათას კუბ. მეტრს აჭარბებს დღეღამეში, გამოიყენება მხოლოდ სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის (მაგ., საირმე, მიტარბი). ეს არის ძირითადად ნახშირმჟავა (ნახშირორჟანგის), სხვადასხვა ქიმიური შედგენილობისა და სამკურნალო თვისებების მქონე წყლები, რომელთა საერთო მინერალიზაცია 1,5-11,0 გ/ლ-ის ფარგლებშია. სამრეწველო ჩამოსხმის მიზნებისათვის გამოსაყენებელი მინერალური წყლებიდან უნდა გამოიყოს ჯგუფი დაბალმინერალიზებული (1,0-2,5 გ/ლ) ე.წ. სუფრის წყლებისა. ამ ტიპის წყლებზე მსოფლიოს ბაზარზე მოთხოვნილება ძალზე დიდია, მათი მარაგების სახელმწიფო კომისიაში დამტკიცებული სამრეწველო მარაგები აღემატება 3 ათ.კუბ.მ/დღ.დ., რომელთა დიდი ნაწილი განლაგებულია საქართველოს მაღალმთიანეთში (ყაზბეგი, უწერა, მესტია).

**თერმული წყალი** არის დედამიწის სიღრმული სითბოს ამომტანი ზედაპირზე. გეოთერმული სითბო, რომელიც განახლებადი ენერჯის ერთ-ერთი უმრეტი წყაროა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყველაზე იაფი და ეკოლოგიურად სუფთა სითბური ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით.

გეოთერმული წყლების მოხმარების სპექტრი საკმაოდ ფართოა. ისინი გამოიყენება როგორც სამკურნალო-საყოფაცხოვრებო, ისე ენერგეტიკული დანიშნულებით მოხმარებისათვის. თერმული წყლების ჯამური საბალანსო ენერგეტიკული პოტენციალი 300 მეგავატს აჭარბებს. მას იყენებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობასა და ბალნეოლოგიაში. საქართველოს ტერიტორიაზე თერმული წყლები არათანაბრად არის განაწილებული. გამოვლენილი გეოთერმული რესურსების უდიდესი ნაწილი თავმოყრილია საქართველოს მთათუშეთში (რიონისა და მტკვრის დეპრესია), გამოსავლების სიხშირით მეორე ადგილზეა აჭარა-თრიალეთი, ხოლო კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე დაფიქსირებულია თერმული წყლების ერთეული გამოსავლები. ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 30-108 გრადუსი c ტემპერატურის მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი (წყაროები) და ხელოვნური (ჭაბურღილები) ცალკეული და ჯგუფური გამოსავლები. მათი ჯამური დებიტი შეადგენს 160 ათ.კუბ.მ/დღ.დ. გეოთერმული შესწავლის დონის მიხედვით, წიაღში არსებული წყლების მარაგები, თვითდენის პირობებში, შეადგენს 350-400 მლნ.კუბ.მ/წელიწადში. მათგან, დღეისათვის გამოვლენილია (თბილისის, ზუგდიდის, ოჩამჩირის, სენაკის, ხობის, გალის, სამტრედიის, სოხუმის რაიონებში) და მარაგების სახელმწიფო კომისიაშია დამტკიცებული სამრეწველო კატეგორიებში, თერმული წყლების საექსპლუატაციო მარაგები 126 ათ. კუბ.მ/დღ.დ. ოდენობით, რაც საერთაშორისო მარაგების მხოლოდ 20%-ს შეადგენს. თერმული წყლების პროგნოზული რესურსების შესაძლო თერმოენერგეტიკული პოტენციალი, 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტურია (ტპს) წელიწადში, ან 500 მლნ. კუბური მეტრი საწვავი აირისა წელიწადში.

**წყლის რესურსების დაცვა.** საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია: წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი (აბინძურებს 344,1 მლნ.კუბ. მეტრს /წელიწადში- დაბინძურების 67%); თბოენერგეტიკა (აბინძურებს 163,8 მლნ.კუბ.მეტრს/წელიწადში-31%) და მრეწველობა (აბინძურებს 9,6 მლნ.კუბ. მეტრს /წელიწადში -2%).

ამდენად, ზედაპირული წყლების ძირითადი დამბინძურებელია კომუნალური სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით წყლის გამწმენდ არცერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არცერთ ქალაქში. პირველადი მექანიკური გაწმენდა ხორციელდება მხოლოდ თბილის-რუსთავის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობაზე. შედეგად, ზედაპირული წყლის ობიექტებში აღინიშნება მნიშვნელოვანი დაბინძურება.

საქართველოს მდინარეები ძირითადად დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე ლითონებით (მდინარე მამაკერა, ბოლნისის რაიონი; მდინარე ყვირილა ჭიათურა-ზესტაფონის მონაკვეთზე), ხოლო შავი ზღვის აჭარის რეგიონის მდინარეები - ნავთობპროდუქტებით.

მადნეულის სამთო-მომპოვებელი კომბინატი საქართველოს მრეწველობის ფლაგმანია. იგი დღესაც მოქმედი საწარმოა, სადაც ინტენსიურად გრძელდება სამთო-მომპოვებელი სამუშაოები და ამასთან, ირღვევა ეკოლოგიური ნორმატივები. კერძოდ, სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, რომ კარიერის წყლები, გადმოტუმბვის პროცესში, ხვდებიან მდინარე კაზრეთულაში, შემდეგ კი მდ. მამაკერადან გამომდინარე სარწყავი სისტემების მეშვეობით ხვდება ბოლნისის რაიონის სოფლების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. მეორე, კარიერის აღმოსავლეთით მიმდებარე ფერდზე დაყრილი გადასახსნელი ქანები, რომელთა ინტენსიური გარეცხვა ატმოსფერული ნალექებით იწვევს მათ ბიოქიმიურ და

ელექტროქიმიურ დაშლას და აქედან გამომდინარე განაპირობებენ ფოლადურის ხეობის დაბინძურებას მძიმე მეტალებით, რაც ახდენს მთელი ეკოსისტემის: ნიადაგის, წყლის, მცენარეებისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების დაბინძურებასა და მოწამლვას. ამასთან, შესაბამისი სამსახურების ადრე ჩატარებული კვლევებით შესწავლილი და ფართოდ გამოუქმებული იყო კაზრეთულასა და მაშავერას ხეობის დაბინძურების მასშტაბები და თითქმის უგულვებელყოფილი იყო მდ. ფოლადურის პრობლემატიკა. მაგალითად: მეცნიერთა კვლევებმა დაადგინეს, რომ მდ. მაშავერას ხეობაში – სოფ. რკიანეთში დათესილი ხორბალი ნორმაზე რამდენიმეჯერ მეტ დოზას შეიცავდა სხვადასხვა რადიონუკლიდს, მათ შორის: კადმიუმს (Ca109), ბისმუტს (Bi211), თორიუმს (Th234) და ნიკელს (Ni237).

ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის წარმოების პროცესის თანხვედრილად, რაც მდგომარეობს მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებაში, საკმაოდ ბინძურდება მდინარე ყვირილაც, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას (უპირველესად ქ. ზესტაფონს) და რეგიონის ბიომრავალფეროვნებას.

საკმაოდ პრობლემური ეკოლოგიური ვითარებაა შექმნილი შავი ზღვის სანაპირო-საკურორტო ზოლში, სადაც არასრულყოფილი მფილტრავი მოწყობილობების ან მათი საერთოდ არარსებობის პირობებში ჩამდინარე მდინარეები (მ. შ. დასახლებულ პუნქტებში მოხმარებული ტექნიკური წყალი) და სხვადასხვა გზებით მოხვედრილი ნავთობპროდუქტები აბინძურებს ზღვას.

წყლის რესურსების მართვა საქართველოში კანონებით "გარემოს დაცვის შესახებ", "წყლის შესახებ", "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", "საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ", გარემოს დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტებით, რეგულირდება და საჭიროა ამ საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების მკაცრი დაცვა ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ. თუმცა დღემდე არ არსებობს (ვერ მოვიძიეთ) მასალები, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს, რომ რომელიმე მსხვილ საწარმოს, რომელსაც განსაკუთრებული "ღვაწლი" მიუძღვით გარემოს დაბინძურებაში, გადაიხადოს გადასახადი (ჯარიმა) წყალსატევების დაბინძურებისათვის.

აუცილებლობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და თუნდაც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების საქმეში განსაკუთრებული როლი შეუძლია შეასრულოს საგადასახადო (საჯარიმო) სისტემამ და მისმა ნორმალურმა ფუნქციონირებამ. ანუ ბუნებრივი გარემოს ნორმაზე მეტად გაბინძურებისათვის შესაბამის წარმოება-დაწესებულებებს თუ კანონით გარკვეული რაოდენობით გადასახადების გადახდა დაეკისრებათ და ეს კანონი პრაქტიკულად იმოქმედებს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავუშვათ, რომ მოქმედებს ორი სამთოგამამდიდრებელი კომბინატი და თითოეული მათგანი წელიწადში უშვებს 200 000 ტონა ერთნაირი სახის პროდუქციას – ფერადი ფითონის კონცენტრატს. წარმოების დანახარჯები ორივე საწარმოში ერთნაირია და შეადგენს 50 მლნ. ლარს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები კი – 55 მლნ. ლარია. ანუ თითოეულის წლიური მოგება უტოლდება 5 მლნ. ლარს.

გარემოს დაცვის მიზნით I ქარხნის წარმოების ხელმძღვანელობამ არავითარი ღონისძიება არ გაატარა და ერთი წლის განმავლობაში ფერადი ლითონის კონცენტრატის გამოშვების პროცესში გამოიყო და მდინარეში ჩაიღვარა 10 000 ტონა მავნე ნივთიერებები. II ქარხნის დირექციამ კი, გარემოს დაცვა-გაუნჯობის – წყლის გაბინძურების ნორმების ფარგლებში მოთავსების მიზნით, კომბინატში დაამონტაჟა ფილტრები და სხვადასხვა მოწყობილობები, რითაც მავნე ნივთიერებების გარემოში გამოყოფის წლიურმა ოდენობამ შეადგინა მხოლოდ 1000 ტონა და ნორმის ფარგლებს მიუახლოვდა, სამაგიეროდ ამით აღნიშნული საწარმოს წლიური დანახარჯები 1 მლნ. ლარით გაიზარდა და მისი მოგების ოდენობა 4 მლნ. ლარამდე შემცირდა.

ასეთ პირობებში, ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, უფრო მომგებიანია I კომბინატი, ანუ ის, რომელიც გარემოს უფრო მეტად აჭუჭყიანებს. ცხადია ამ შემთხვევაში არცერთი საწარმოს ხელმძღვანელობაც არ შეეცდება გაილოს დანახარჯები მომავალში გარემოს დაცვითი ღონისძიებების გასატარებლად, რადგან აღნიშნული ღონისძიება კომბინატის წლიურ ეფექტიანობას – მოგებას 1 მლნ. ლარით (20 %-ით) ამცირებს.

ახლა ვნახოთ თუ რა ეკონომიკური შედეგი მოყვება ამავე კომბინატების საქმიანობას თუკი მათ, გადასახადების სახით, ყოველი ტონა მავნე ნივთიერებების გარემოში გამოყოფისათვის დაუწესდებათ 200 ლარი. ამ შემთხვევაში I კომბინატს მოუწევს წელიწადში 10 ათასი ტონა მავნე ნივთიერების გამოყოფისათვის 2 მლნ. ლარის გადახდა, ხოლო II კომბინატს კი, რომელმაც მავნე ნივთიერებების გამოყოფის წლიური ოდენობა 1000 ტონამდე შეამცირა, 200 ათასი ლარის გადახდა.

ესე იგი, საბოლოოდ, I კომბინატში წლის ბოლოს მოგება იქნება 3 მლნ. ლარი ( $5-2=3$ ), ხოლო II კომბინატში კი მოგება მხოლოდ 200 ათასით შემცირდება და 4,8 მლნ. ლარს გაუტოლდება, ანუ, იგი 1, 8 მლნ. ლარით მეტი იქნება I კომბინატთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ანუ ჯანსაღი საგადასახადო სისტემის შემოღება-რეალიზაციის პირობებში, ნებისმიერი საწარმოს ხელმძღვანელობა უეჭველად გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს ბუნებრივი გარემოს დაცვა-გაჯანსაღების მიზნით.

#### ლიტერატურა:

1. გიორგი მელიქაძე, „საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი და სივრცულ-დროითი მოდელირება ეკოლოგიური და სეისმური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით“, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006.
2. პარმენ ლემონჯავა, ეკონომიკის ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 1987.
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2003 წ.
4. რუსუდან დონდუა, მადნეულის ქალკოპირიტული კონცენტრატის გადამუშავება ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული მეთოდით. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2006.

#### ვებგვერდები:

<http://www.gida.org.ge>  
<http://water.gov.ge/geo/statistics/water-resources>  
<http://ka.wikipedia.org/wiki>  
<http://www.google.ge> (საქართველოს წყლის რესურსები)

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს შიდა წყლების რესურსები და მათი ეკოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. ავტორების აზრით წყლების გაბინძურების თავიდან აცილება და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება უნდა მოხდეს ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით – ქვეყნის საგადასახადო სისტემის სრულყოფითა და კანონების აღსრულებით, რაც დაკავშირებულია გარემოს დამაბინძურებლებზე გადასახადების გადახდის დაკისრებასთან.

## GEORGIAN WATER RESOURCES AND TAXATION SYSTEM ROLE IN SAVING THEM

Zurab Tielidze, Doctor of Geography

Zurab Tielidze, Master of Economics and Business

### RESUME

Some issues of Georgian water resources and their ecological condition are discussed in this work. According to the authors, by using economic methods-improving country taxation system and executing laws (that are related to establishing fine for environment polluters), water pollution will be avoided and the environment will be kept healthy.

### საქართველოს მიწის რესურსების ზოგიერთი ეკონომიკურ-ეკოლოგიური საკითხი

*ზურაბ ტიელიძე, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი*

მიწა სოფლის მეურნეობაში მთავარი საწარმოო საშუალებაა, რომელზედაც ხდება სასოფლო-სამეურნეო (ს/ს) კულტურების, დარგების, სხვადასხვა შენობა-ნაგებობების, საგზაო ქსელის, მინდორსაცავი ტყის ნარგავებისა და სხვა ელემენტების რაციონალური განლაგება. მიწა წარმოადგენს ყოველგვარი წარმოების აუცილებელ მატერიალურ პირობას და გამოიყენება ყველა დარგში. მიწის გამოყენების ხასიათი, მასშტაბი, ფორმა და სფერო მეურნეობის ცალკეულ დარგებში განსხვავებულია. იგი გამოიყენება აგრეთვე მრეწველობის მომპოვებელ დარგებში, მათ წიაღში არსებულ მადნეულთა



სასარგებლო მოპოვების მიზნით; დაახლოებით ასეთივე ხასიათის გამოყენება აქვს მიწას ტრანსპორტისათვის, საქალაქო მეურნეობაში და ადამიანის მატერიალური საქმიანობის სხვა დარგებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიწა განსაკუთრებულ როლს მთავრად სოფლის მეურნეობაში ასრულებს.

მიწა წარმოადგენს რა უმნიშვნელოვანეს საწარმოო საშუალებას სოფლის მეურნეობაში, სხვა საწარმოო საშუალებებისაგან განსხვავებით, ხასიათდება გარკვეული თავისებურებით: მიწის ფონდებისგან საზღვრულობა, შეუცვლელიობა, გადაუტანლობა, ნაყოფიერება და ნიადაგის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მსგავსი ნიშან-თვისებებით დახასიათება.

სრულიად განსაკუთრებული როლი ენიჭება მიწის რესურსებს სოფლისა და ტყის მეურნეობაში, სადაც იგი გვევლინება, როგორც მათი განვითარების ბაზა და ამავე დროს, როგორც შრომის მთავარი საშუალება. მიწის გარეშე ს/ს პროდუქციის წარმოების პროცესი შეუძლებელია. როდესაც ადამიანი ზემოქმედებს მიწაზე, როგორც შრომის საშუალებაზე, იგი იყენებს მის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს, ამიტომაც მიწათმოქმედებაში შრომის საბოლოო შედეგი - პროდუქციის მოსავლიანობის დონე, დამოკიდებულია ნიადაგის ნოყიერი ფენის სისქეზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, ქიმიური და ორგანული ნივთიერებების არსებობაზე და ა. შ.

საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში, ბოლო ხანებში, არ რეგისტრირდება მიწები და არ ხდება მიწის ბალანსის შედგენა. ს/ს დანიშნულების მიწის ფართობი 2004 წლის მონაცემებით შეადგენდა 3025.8 ათას ჰა-ს, ხოლო საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2010 წლის მონაცემებით აღრიცხულია მხოლოდ 802.1 ათასი ჰა. ასე, რომ დღეს დანარჩენი 2223.7 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების სავარგულის ბედი უცნობია. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა სოფლად ქმნის მძიმე კრიზისულ ტუაცასა და არასახარბიელო სოციალურ ფონს.

აგროსექტორის უარყოფით მუხტად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაცია. აღნიშნული უწყების ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებზეა გადანაწილებული (სოფლის მეურნეობის, იუსტიციის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების), თუმცა ისეთ ძირითად ფუნქციას, როგორცაა მიწის აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენა, ფაქტობრივად, არცერთი სამინისტრო არ ასრულებს. არადა ძნელი წარმოსადგენია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგის მართვის უმაღლეს სტრუქტურებში მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები არ აინტერესებდეთ. კემოდ: თუ როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები (ს/ს სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის ოდენობის დასადგენად), ს/ს დანიშნულების მიწის რა რაოდენობა გამოიყო ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველს შეადგენს.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მიწა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, ს/ს სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალური მართვის რეკომენდაციები.

დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მიწის ფონდის უკანასკნელი ბალანსის მიხედვით ქვეყნის საერთო მიწის ფონდიდან (7.6 მლნ ჰა) ს/ს დანიშნულების მიწა შეადგენდა 3771.2 ათას ჰა-ს, საიდანაც 3025.8 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდიოდა (მათ შორის სახნავი 802.1 ათასი ჰა. მრავალწლიანი ნარგავები - 263,5 ათასი ჰა, სათიბი - 149. 5ათასი ჰა, სამოვარი - 1796.6 ათასი ჰა. ამასთან, სავსებით უცნობია, 2004 წლის შემდგომ პერიოდში რა ხასიათის რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა მიწის სერთო ფონდის სტრუქტურაში, რა რაოდენობის ს/ს დანიშნულების მიწა დარჩა ქვეყანაში და ვინ არიან საქართველოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მფლობელები.

საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს მიწის ხარისხობრივ აღრიცხვას (მიწების ბონიტირება), მიწის ეკონომიკურ შეფასებას, რასაც აკეთებდა თავის დროზე საქართველოს მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი. დღეს საქართველოში მხოლოდ მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემა ფუნქციონერებს, რომელიც ბაზარზე მიწის ყიდვა-გაყიდვისა და სხვა ანალოგიური (მაგალითად, მიწების გაჩუქება) ფაქტების მოწესრიგება ევალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი. ანუ, მიწის ფონდის რაოდენობრივ-ხარისხობრივი

მდგომარეობის შესწავლის გარეშე შეუძლებელია გამოავლენილი იქნას მიწასთან დაკავშირებული ნებისმიერი უარყოფითი მოვლენა, რის გარეშე ვერავითარი ღონისძიება ვერ გატარდება მიწის მართვის სფეროში არსებული ნეგატიური პროცესის ამოსაფხვრელად. მიწის ფონდზე, უპირველეს ყოვლისა ს/ს სავარგულებზე, მონიტორინგი კი უნდა განახორციელოს სახელმწიფომ, მისმა სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მიწის სახელმწიფო კადასტრის ინფორმაციულ მომსახურებას და კონტროლს მიწის გამოყენებასა და დაცვაზე. მანვე პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რა პრობლემებია მიწების ნაყოფიერების გაუარესების თვალსაზრისით და რა ღონისძიებებია გასატარებელი მის აღსაკვეთად;

- როგორია ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების მიმდინარეობა;

- რა ღონითა და ტემპებით მიმდინარეობს მიწის დაჭაობების ან გაუდაბნოების პროცესი;

- როგორია მიწების დაბინძურების დონე ტოქსიკური ნივთიერებებით, პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და ა.შ.;

- როგორია ნიადაგში ჰუმუსის შემადგენლობა;

- როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში.

ამ კითხვებზე პასუხების გაცემა კი მონიტორინგის შესაბამისი სამსახურის გარეშე შეუძლებელია. არადა დღეისათვის საქართველოში ეროზიულ იპროცესების მოქმედების სფეროშია დაახლოებით 350 ათას ჰა-მდე ინტენსიური სავარგული და მეორად დაჭაობებას განიცდის (კოლხეთის დაბლობზე) 140 ათასი ჰა-ზე მეტი ს/ს სავარგული. გარე კახეთში კი გაუდაბნოებისა და დამლაშების ფაქტის წინაშეა 220 ათას ჰა-მდე ფართობი და ა.შ.

საქართველოში გაუმართლებლად მიგვაჩნია ს/ს მიწების იჯარით გაცემის შეზღუდვა ადგილობრივ გლეხებზე და მასობრივი გაყიდვა უცხოელებზე (უმჯობესი კი იყო მათზე მიწების გრძელვადიანი იჯარით გაცემა), რამაც ადგილობრივ მიწათმოქმედს მიწების იჯარით დამუშავების შესაძლებლობა წაართვა.

ქვეყანაში დღეისათვის კერძო საკუთრებას შეადგენს 948,9 ათასი ჰექტარი მიწა, სადაც შედის მოქალაქეებზე რეფორმამდე არსებული საკარმიდამო კოლექტიური მეზაღეობის მიწები და რეფორმის შემდეგ მათზე დამატებით გადაცემული მიწის ფართობი და ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან ყოფილ მოსარგებლებზე კერძო საკუთრებად გამოცხადებული 14,6 ათასი ჰექტარი. სახელმწიფო საკუთრებას კი შეადგენს 6679,5 ათასი ჰექტარი, აქედან: ს/ს დანიშნულების 2822,3 ათასი ჰექტარი (აქ აღირიცხება სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო დაწესებულებები, საცდელ-სასელექციო სადგურები, ს/ს საწარმოები, კოოპერატივები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, დამხმარე მეურნეობები და გლეხური, ფერმერული მეურნეობები), ს/ს დანიშნულების მიწის ფართობები საწარმოო ბრუნვიდან გამოსვლის შემდეგ (როდესაც ს/ს სავარგული-სახნავი, მრავალწლოვანი კულტურებით დაკავებული მიწები, ბუნებრივი სათიბები და ბუნებრივი საძოვრები) ვეღარ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, ანუ აღარ, ან მცირე მასშტაბით იძლევა მემცენარეობის ან მეცხოველეობის პროდუქტის მიღების შესაძლებლობას. საჭიროა აღნიშნული მიწის რეკულტივაციის პირობების შესრულების კაცრიკ ონტროლი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების დროს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვისა და გამოყენების მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა და მათი მოთხოვნების აუცილებელ შესრულებაზე ზედამხედველობის გამკაცრება.

მიწის რაციონალური გამოყენებისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობაში აუცილებელია შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა კომპლექსური მექანიზაციის, ქიმიზაციის, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების, ტერიტორიების გაწყლიანებისა და ჭარბტენიანი მიწების დაშრობის და სხვათა სახით, რაც უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას, განსაკუთრებით მისი ეფექტიანი, ეკონომიკური ნაყოფიერების სისტემურ ზრდას.

ყველამ უნდა გაითვალისწინოს და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მიწა-ნიადაგი არის სუბსტრატი, საიდანაც ადამიანი იღებს იმ ყველაფრის უდიდეს ნაწილს, რაც აუცილებელია მისი რსებობისათვის. ადამიანმა შეიძლება ბევრ რამეზე თქვას უარი, მაგრამ გამოინაკლისია საკვები. თითქმის ყოველგვარი საკვები კი ნიადაგიდან მოდის ან უშუალოდ უკავშირდება მას.

ნიადაგის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ნებისმიერი ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოსთვის. ეს არის სახელმწიფოებრივი პრობლემა, რადგან საქართველოში, სადაც ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების

შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები. საქართველო ტერიტორია მოიცავს 7628,4 ათას ჰექტარს, საიდანაც ს/ს სავარგულს უჭირავს (39,7%), აქედან: სახნავი: მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 26,7%, მრავალწლიანი ნარგავები - 8,7%, სათიბი - 4,8, საძოვარი - 59,7%. სასოფლო-სამეურნეო სავარგულში აღირიცხა აგრეთვე საკარმიდამო მიწაზე განლაგებული საცხოვრებელი, სამეურნეო შენობებით და ეზოებით დაკავებული 20,1 ათასი ჰექტარი (0,7%). ქვეყნი ტერიტორიის 60,3% ანუ 4602,6 ათასი ჰექტარი დაკავებულია ტყე-ბუჩქნარით, წყლით, გზებით, შენობა-ნაგებობებით და სხვა გამოუყენებელი (კლდეები, ხრამები, ქვიშრობები, ეროზირებული დამეწყრილი, მყინვარები, სასაფლაოებით დაკავებული) ფართობებით.

გარემოსდაცვითი ხაზით მიწისა და მიწის რესურსების მართვის ერთ-ერთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს პერსპექტივაში მიწის რესურსების მდგომარეობის შესწავლის, აღრიცხვისა და ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება. აღნიშნული ღონისძიების გატარება უქვევლია ხელს შეუწყობს საქართველოს მიწის რესურსების ეფექტიან გამოყენებას და განაპირობებს ქვეყნის სასურსათო ნედლეულით მომარაგების პრობლემის გადაჭრას.

#### ლიტერატურა:

1. ოქროცვარიძე ზურაბ, "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამალღების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში." საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2006;
2. გიორგი მელიქაძე, „საქართველოს ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი და სივრცულ-დროითი მოდელირება ეკოლოგიური და სეისმური პრობლემის გადაწყვეტის მიზნით“, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა სადოქტორო დისერტაცია; თბ., 2006;
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, 2003.

#### ვებგვერდები:

<http://www.gida.org.ge>  
<http://www.forum.ali.ge/index.php?/topic/>  
<http://www.google.ge> (საქართველოს მიწისრესურსები)  
<http://www.undp.org.ge/index.php?>  
<http://ka.wikipedia.org/wiki>  
[www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს მიწის რესურსების თანამედროვე მდგომარეობა. დღეისათვის არაა მოწესრიგებული მიწების რეგისტრირებისა და მისი ბალანსის შედგენის საკითხები. ქვეყანას არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს მიწის ხარისხობრივ აღრიცხვას, მიწის ეკონომიკურ შეფასებას. ამის გამო არ ხდება მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება. მიწის მართვის სფეროში ღნიშნული პრობლემების მოგვარება ავტორის აზრით, მომავალში განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას.

## SOME ECONOMIC-ECOLOGICAL ISSUES OF UTILIZING LAND RESOURCES OF GEORGIA

Zurab Tielidze. Doctor of geography

### RESUME

The present condition of Georgian land resources is discussed in this work. The issues of registering land and making its balance isn't in order nowadays. The country doesn't have the perfect state cadastre which should include land quantitative registration as well as its qualitative registration, land economic analysis. That's why there is no rational utilization of the land resources. According to the author, solving the above mentioned problems in the land management field will result in effective utilization of agricultural lands.

*ბიზნესი და მართვა*  
*Business and Management*

**თვითშემეცნება და ფასეულობების განვითარების საფეხურები**

*ლია ბიბილაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

წარმატებულმა მენეჯერებმა კარგად იციან საკუთარი შესაძლებლობები და მუდამ მზად არიან, შეიძინონ სათანადო უნარ-ჩვევები, რათა იყვნენ წარმატებულნი. იმისათვის, რომ მართო სხვები, პირველ რიგში უნდა შეგეძლოს საკუთარი თავის ფლობა. საკუთარი თავის ცოდნა განსაზღვრავს ადამიანის საქციელს.

„საკუთარი თავის ცოდნას“ მიაკუთვნებენ ისეთ ფილოსოფოსებს, როგორებიც იყვნენ სოკრატე, პლატონი, პლუტარქე. ჯერ კიდევ ჩვ. წაღ-მდე 42 წელს ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა თქვა: „მთავარი ის კი არ არის, რას ფიქრობენ, რომ ხარ, არამედ ის, თუ სინამდვილეში ვინ ხარ“. თვით შემეცნება დროისა და სტრესის მენეჯმენტთან ერთად გვადლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ საკუთარი „მე“-ს მართვის იერარქია. საკუთარი თავის მენეჯმენტი დამოკიდებულია თვითშემეცნებაზე, თუმცა სხვა უნარ-ჩვევებიც მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული.

ინდივიდუალური პრიორიტეტებისა და მიზნების დასახვა ეხმარება პიროვნებას, მიმართულება მისცეს თავის ცხოვრებას, ხოლო დროისა და სტრესის მენეჯმენტი - ადაპტაცია განიცადოს და მოაწყოს თავისი გარემო.

პირველი სიმპტომები, როდესაც პრობლემა წარმოიშვება საკუთარი თავის მართვის დროს, არის დროის სიმცირე და მიღებული სტრესი. ეს სიმპტომები მჭიდროდაა დაკავშირებული უფრო ფუნდამენტალურ პრობლემასთან, რომელიც ეხება თვითშემეცნებას და არასათანადო პრიორიტეტებს. თვითშემეცნების შესახებ ცოდნის გაღრმავება საშუალებას გვადლევს, გავაუმჯობესოთ ცხოვრება უფრო ხანგრძლივი ვადით, გავაუმჯობესოთ ადამიანთაშორის ურთიერთობების უნარ-ჩვევები, უკეთ გავუგოთ სხვებს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მენეჯერული თვალსაზრისითაც.

თვითშემეცნება აუცილებელია ყველა ჩვენი საქციელის განსაზღვრის დროს, რადგან ის არის ჩვენი წარსული გამოცდილების, დაკვირვების, ფასეულობებისა და მიზნების ერთობლიობა. იგი განსაზღვრავს ხასიათს, რომელიც უყალიბდება პიროვნებას.

ცოდნა, რომელსაც ვფლობთ საკუთარი თავის შესახებ, მნიშვნელოვანია ჩვენი მენეჯერული უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად. ჩვენ არ შეგვიძლია განვაფიქროთ ახალი შესაძლებლობები, თუ არ გვეცოდინება ჩვენი ამჟამინდელი შესაძლებლობების დონე.

მეორეს მხრივ, ცოდნა ინდივიდუალური თვისებისა და ქცევის შესახებ შეიძლება, უფრო ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს გაუმჯობესებისათვის, ვიდრე დამხმარე. ამის მიზეზია ის, რომ ადამიანები ეწინააღმდეგებიან საკუთარ პიროვნულ ზრდას და საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გაღრმავებას. ისინი ცდილობენ, თავიდან აიცილონ დამატებითი ინფორმაცია საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების დაცვის მიზნით. ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ახალი ინფორმაცია აღმოჩნდება უარყოფითი და გამოიწვევს მათი მხრიდან გაღიზიანებას, არასრულყოფილების და სირცხვილის გრძობას.

ჩვენ თავიდან ვიცილებთ პიროვნულ ზრდას მხოლოდ იმიტომ, რომ გვემინია, შეიძლება არ აღმოვჩნდეთ ის, ვინც გვინდა, რომ ვიყოთ სინამდვილეში.

ასე რომ, ერთი მხრივ, თვითშემეცნება არის წინაპირობა და მოტივაცია გაუმჯობესებისა და პიროვნული ზრდისკენ, თუმცა იგი, ასევე შეიძლება, აღმოჩნდეს ხელისშემშლელი ფაქტორი. მან შესაძლოა, შეაჩეროს პიროვნული ზრდის პროცესი უფრო მეტი (რეალური) ინფორმაციის გაგების შიშის გამო.

ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანები დიდ როლს ასრულებენ საკუთარი თავის შემეცნების გაღრმავებასა და გაუმჯობესებაში. თითქმის შეუძლებელია ცოდნის გაღრმავება, თუ ჩვენ ვიქნებით

ჩაკეტილნი საკუთარ თავში და არ გვექნება გახსნილი, ღია ურთიერთობები გარშემომყოფებთან. ვიდრე არ მოვინდომებთ, ღია და გახსნილ ურთიერთობების დამყარებას სხვა ადამიანებთან, მათთან პიროვნული ასპექტების განხილვას, რომლებიც ბუნდოვანი და გაურკვეველნი გვეჩვენება, უფრო მცირე იქნება პიროვნული ზრდის ალბათობა. ჩვენი ანარეკლი სარკეში გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ ინფორმაცია საკუთარი გარეგნობის შესახებ, ხოლო ჩვენი თავის ანარეკლი სხვა ადამიანებში ჩვენი ქცევის, თვისებების, ხასიათისა და სხვა მახასიათებლების შესახებ.

ესე იგი, თვითშემეცნებასთან დაკავშირებული ცოდნის მართვა შესაძლებელია, თუ შევძლებთ, კონტროლი გავუწიოთ, რა ინფორმაციას ვიღებთ და როდის; ასევე სხვებსაც მივცემთ საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ ამ ცოდნის გაღრმავებაში უფრო გახსნილი ურთიერთობების დამყარებისა და მათგან საპასუხო შეფასებების მიღებით. გარდა იმ მხარდაჭერისა, რომელსაც ვიღებთ სხვებისგან თვითგახსნის პროცესში, ჩვენ ვიღრმავებთ ცოდნას საკუთარი თავის შესახებ და აგრეთვე თავიდან ვცივლებთ მგრძობიარე ხაზის გადაკვეთას ინფორმაციის მიერ.

არსებობს თვითშემეცნების შემდეგი ასპექტი:

- პიროვნული ფასეულობები;
- შემეცნებითი სტილი;
- დამოკიდებულება ცვლილებებისადმი.

პირველ რიგში განვიხილოთ პიროვნული ფასეულობები, რადგან ეს არის ქცევისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა და ძირითადი ფაქტორი. ფასეულობები არის ადამიანის ყველაზე სტაბილური მახასიათებელი. ფასეულობები წარმოადგენენ საფუძველს, რომელსაც ემყარება დამოკიდებულებები და პრიორიტეტები. ისინი უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილებების მიღების, ცხოვრების მიმართულების დადგენასა და პიროვნული მიდრეკილებების დროს. ის, რაც ჩვენ ვართ ამჟამად, წარმოადგენს ძირითადი ფასეულობების შედეგს, რომელიც ჩვენ განვავითარეთ ცხოვრების განმავლობაში. ორგანიზაციებსაც გააჩნიათ ფასეულობები, რომლებსაც უწოდებენ ორგანიზაციულ კულტურას (განვიხილავთ მოგვიანებით). კვლევების თანახმად, პიროვნებები, რომელთა ფასეულობები ემთხვევა ორგანიზაციების ფასეულობებს, არიან უფრო პროდუქტული და კმაყოფილი.

არსებობს ტერმინალური (საბოლოო, უმაღლესი) და ინსტრუმენტული (გამოყენებული როგორც იარაღი-მიკუთვნებითი) ფასეულობები. ესენია:

ტერმინალური ფასეულობები	ინსტრუმენტული ფასეულობები
კომფორტული ცხოვრება (ქონება, სიმდიდრე)	პატივმოყვარეობა
მიზნის მიღწევის შეგრძნება	ნიჭიერება
მშვიდობიანი სამყარო (ომების, კონფლიქტების გარეშე)	მხიარულება
ლამაზი სამყარო	სისუფთავე
თანასწორუფლებიანობა	მამაცობა (იცავს თავის მრწამსს)
ოჯახის უსაფრთხოება	მიმტევებლობა (მზადაა აპატიოს ყველას)
თავისუფლება	სარგებლიანობა
ბედნიერება (კმაყოფილების გრძნობა)	პატიოსნება
შინაგანი ჰარმონია	შემოქმედებითობა
სიამოვნება (სასიამოვნო, სახალისო ცხოვრება)	ლოგიკურობა
საკუთარი თავის პატივისცემა	მოკრძალებულობა
(საკუთარი თავის დაფასება, საკუთარი თავის მნიშვნელობის შეგნება)	
სოციალური აღიარება	ზრდილობიანობა
მეგობრობა	პასუხისმგებლობა
სიბრძნე	საკუთარი თავის კონტროლი

ერთ-ერთი გამოკვლევის მიზანი იყო, გამოველინათ, თუ რა თვისებები ფასობდა ყველაზე მეტად სხვადასხვა ორგანიზაციებში. მენეჯერებს დაურიგდა ინსტრუმენტული ფასეულობების ნუსხა.

დასახელებული იქნა „პასუხისმგებელი“, „პატიოსანი“ – (89%), „ნიჭიერი“- (65%), „შემოქმედებითი უნარი“ - (55%), „ლოგიკური“ – (49%).

ადამიანებს განსხვავებული ფასეულობები გააჩნიათ. მაგალითად, ბიზნეს სკოლის სტუდენტები უფრო მეტად აფასებენ „შესაძლებლობებს“, „პატივმოყვარეობას“, „პასუხისმგებლობას“ და „თავისუფლებას“, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი ადამიანები. ისინი უფრო დაბალ საფეხურზე აყენებენ ისეთ ფასეულობებს, როგორცაა „სარგებლობა მოუტანოს სხვას“, „სოციალური უსამართლობის გადალახვა“ და ა.შ. ყველაზე წარმატებულმა მენეჯერებმა დაასახელეს ფასეულობები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ეკონომიკურ (მდიდრული ცხოვრება) და პოლიტიკურ (სოციალური აღიარება) ფასეულობებს.

ძირითადად მენეჯერები აფასებენ ისეთ თვისებებს, როგორცაა „მიზნის მიღწევის გრძნობა“, „საკუთარი თავის პატივისცემა“, „კომფორტული ცხოვრება“ და „დამოუკიდებლობა“. გასაკვირი არც არის, რომ ხშირად აკრიტიკებენ ბიზნეს სკოლის სტუდენტებს და მენეჯერებს, როგორც „საკუთარ თავზე ორიენტირებულს“. მენეჯერებს ახასიათებთ უფრო პიროვნული, ვიდრე სოციალური, ფასეულობები. მაგრამ პერსონალური და სოციალური ფასეულობები, როგორცაა სამართლიანობა და სარგებლიანობა, დამახასიათებელი იქნება ადაპტირებადი მენეჯერებისათვის მომავალში.

ფასეულობებს გავლენა აქვთ ადამიანების ქცევაზე. თუმცა, არა მხოლოდ პიროვნული და წარმატებაზე ორიენტირებული ფასეულობები განსაზღვრავენ მენეჯერების წარმატება-წარუმატებლობას. მეცნიერთა აზრით, ქმედება (საშუალებანი სასურველი მიზნის მისაღწევად) წარმოადგენს ადამიანის ფასეულობების მოწიფულობის დონის ნაყოფს. ადამიანები, ძირითადად განსხვავდება თავისი ფასეულობების განვითარების დონით. ფასეულობების განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ადამიანები ფლობენ განსხვავებულ ინსტრუმენტულ ფასეულობებს.

მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ ფასეულობებისა და ზნეობის განვითარების თეორიას.

#### **ფასეულობათა განვითარების მოდელი**

მოდელი ყურადღებას ამახვილებს მსჯელობის სახეობაზე, რომელზეც დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიღება რაიმე საკითხის შესახებ, რომელსაც აქვს ზნეობრივი/მორალური მნიშვნელობა. მოდელი შედგება სამი ზნეობრივი დონისგან:

1. საკუთარ თავზე ორიენტირებული დონე;
2. შესაბამისობის დონე;
3. პრინციპული დონე.

ეს საფეხურები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ადამიანს არ შეუძლია გადავიდეს მესამე დონეზე მეორე დონის გავლის გარეშე. ყოველი საფეხური წარმოადგენს განვითარების უფრო მაღალ საფეხურს.

1. **საკუთარ თავზე ორიენტირებული დონე** – მოიცავს 1-ელ და მე-2 საფეხურებს. ინსტრუმენტული ფასეულობები დაფუძნებულია პიროვნულ საჭიროებებზე და მოთხოვნილებებსა და ქმედებების შედეგებზე. მაგ.: რაიმე ქმედება შეიძლება, შეფასებული იქნას როგორც სწორი და არასწორი, იმის მიხედვით, თუ რა სარგებელს მოუტანს ან რა სასჯელს ააცილებს თავიდან ადამიანს. არ იქნება ვინმესთვის რაიმე უარყოფითი შედეგის მომტანი. 1000 ლარის მოპარვა უფრო ცუდია, ვიდრე 10 ლარისა იმიტომ, რომ დანაკარგი შეიძლება უფრო მძიმე აღმოჩნდეს სხვისთვის.
2. **შესაბამისობის (კომფორმისტული) დონე** – მოიცავს მე-3 და მე-4 დონეებს. საკითხებისა და ქმედებების შეფასება დამყარებულია შესაბამისობასა და მხარდაჭერაზე საზოგადოების მოლოდინსა და წესებისადმი. ეს დონე მოიხსენება როგორც „კანონი და წესრიგი“, აქცენტი კეთდება კანონისა და ნორმებისადმი შესაბამისობაზე. სწორი და არასწორი საქციელი ან ქმედება განისაზღვრება არსებული კანონების შესაბამისად. თუ პიროვნება იქნება კანონმორჩილი, იგი დაიმსახურებს პატივისცემას სხვებისგან, რაც მისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა. 1000 და 10 ლარის მოპარვა ერთნაირად არასწორია იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში ირღვევა კანონი.
3. **პრინციპული დონე** - მოიცავს მე-5 და მე-6 დონეებს. გულისხმობს ყველაზე სრულყოფილი შეფასების უნარს და ყველაზე სრულყოფილ ინსტრუმენტულ ფასეულობებს. სწორისა და არასწორის შეფასება ხდება შინაგანად დაწესებული პრინციპების მიხედვით. მსჯელობა ან შეფასება ხდება იმ პრინციპებისა და მთავარი ფასეულობების მიხედვით, რომელიც ადამიანმა განავითარა პირადი გამოცდილების შედეგად.

ამ ფასეულობებისა და დონეების ცოდნა გადამწყვეტია საკუთარი თავის უფრო უკეთ გაგებისა და სამსახურში ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს. განსაკუთრებით, ეს ეხება მმართველებს. მათ ხშირად უწევთ პიროვნული სტანდარტების დათმობა კომპანიის ინტერესების გამო.

რა თქმა უნდა, ძალზედ რთულია უნივერსალური ფასეულობების განვითარება, რომელიც არ შეიცვლება სიტუაციის ცვლილებასთან ერთად. აქ არ არსებობს რაიმე მზა რეცეპტი.

#### **შემეცნებითი სტილი**

შემეცნებითი სტილი მოიცავს ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღების, გადამუშავების და პასუხის გაცემის ფაქტორებს. ადამიანები განსხვავდებიან იმით, როგორ მოიპოვებენ ინფორმაციას და როგორ ახდენენ მის შეფასებას.

ყოველდღიურად ადამიანი საკმაოდ დიდი რაოდენობის ინფორმაციას იღებს. მას შეუძლია, ინფორმაციის მხოლოდ ცოტაოდენ ნაწილს დაუთმოს თავისი ყურადღება და დროის გარკვეული მონაკვეთი. მას უწევს სტრატეგიის შემუშავება, რათა მოახდინოს ინფორმაციის მიღება და გადამუშავება. ეს სტრატეგიები მეტწილად ინდივიდუალურია და თავისთავად არც ერთი სტრატეგია არ არის კარგი ან ცუდი. ასევე ყველას არ აქვს შემუშავებული თანმიმდევრობითი სტრატეგიები, რომელიც შემდგომში ხდება მისი შემეცნებითი სტილის ნაწილი. თუმცა ადამიანთა 80% (ხშირ შემთხვევაში შეუგნებლად) მაინც ავითარებს ინფორმაციის მოპოვებისა და გადამუშავების სასურველ სტრატეგიებს, რომელიც ხდება მისი შემეცნებითი სტილი.

#### **ცვლილებებისადმი დამოკიდებულება**

იმისათვის, რომ უფრო მეტი სარგებლობა მივიღოთ ჩვენი შემეცნებითი სტილის ძლიერი მხარეებიდან, უნდა ვიცოდეთ ცვლილებებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ვინაიდან, ის გარემო, რომელშიც მენეჯერებს უწევთ მოღვაწეობა, უფრო და უფრო ქაოტური ხდება, უფრო კომპლექსური და ინფორმაციით დატვირთული. ინფორმაციის გადამუშავების ჩვენი შესაძლებლობები ოდნავ მაინც შეზღუდულია ჩვენი დამოკიდებულებით ცვლილებებისადმი.

დღევანდელი გარემო ხასიათდება ძლიერი ინფორმაციული ნაკადით და უფრო მეტი კომპლექსურობით. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა თანამედროვე მენეჯმენტის გარემო. ამ გარემოში მენეჯერებს უწევთ გადაწყვეტილებების უფრო სწრაფად მიღება, ვინაიდან ინფორმაციის რაოდენობა და სისწრაფე დღითიდღე იზრდება.

მეორეს მხრივ, ადამიანის გონებას შეუძლია, ინფორმაციის მხოლოდ გარკვეული რაოდენობა გადაამუშაოს ერთსა და იმავე დროს, და უფრო მეტი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს არასრული და ბუნდოვანი ინფორმაციის საფუძველზე. მენეჯერებს მართვა უწევთ გაურკვეველი და ქაოსური სიტუაციების დროს, ასე რომ შემეცნებითი სტილი ბევრად არის დამოკიდებული ამ ცვლილებების ორიენტაციაზე.

#### **ლიტერატურა:**

1. ე. ჩოხელი, სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2009;
2. გ. პირმისაშვილი, ორგანიზაციების ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, 2011;
3. ო. ეჯიბაძე, სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2002.

#### **ინტერნეტ-რესურსები:**

1. [www.ec.org](http://www.ec.org)
2. [www.inf.org](http://www.inf.org)
3. [www.wb.org](http://www.wb.org)

## **რეზიუმე**

თვითშემეცნება აუცილებელია ყველა ჩვენი საქციელის განსაზღვრის დროს, რადგან ის არის ჩვენი წარსული გამოცდილების, დაკვირვების, ფასეულობების და მიზნების ერთობლიობა. იგი განსაზღვრავს ხასიათს, რომელიც უყალიბდება პიროვნებას.

## STAGES OF THE DEVELOPMENT OF SELF COGNITION AND VALUES

Lia Bibilashvili, Associate Professor

### RESUME

The self-knowledge is inevitably define for all our action, because it is our past knowledge of life, observation, invaluable and the whole complex of purposes. It defines character, which is forming the person. Subject: The development steps of self-knowledge and invaluable.

## თავლის ბიზნისის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

*დავით ბიბინაშვილი, სრული პროფესორი*

თავლის სასწავლომომქედი თვისებების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას უამრავ სამკურნალო, გამაჯანსაღებელ, გამახალგაზრდავებელ თვისებას მიაწერენ. დედოფალი კლეოპატრა თავლს სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად იყენებდა.

ბევრი ადამიანი თავლის ნამდვილი მოყვარულია, მაგრამ უმრავლესობას ის მხოლოდ ავადმყოფობის დროს ახსენდება. ძველი ბერძნები თავლს ჯადოსნურ ელექსირს უწოდებდნენ, რომელიც სიცოცხლეს ახანგრძლივებს. თუ ყოველდღიურად სამ კოვზ თავლს მიირთმევთ, არამარტო იმუნიტეტს გაიმაგრებთ, არამედ სილამაზესა და ახალგაზრდობას შეინარჩუნებთ და ჭარბი წონისგანაც გათავისუფლდებით.

საქართველოში ძირითადად სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. მეფუტკრეს, რომელსაც 10-დან 20 ოჯახამდე ფუტკარი ჰყავს, მოყვარულად ითვლება. თუ ფუტკრის რაოდენობა ოც ოჯახს აღემატება, მეწარმეს შეუძლია, უკვე პროფესიონალურ მეფუტკრეობაში სერიოზული ნაბიჯი გადადგას.

ექსპერტების შეფასებით, მსოფლიო მეფუტკრეობის მასშტაბისათვის ეს რეკორდული მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. იმ ქვეყნებში, სადაც ეს დარგი განვითარებულია, პროფესიონალად ის მეფუტკრე ითვლება, რომელსაც ფუტკრის 300 ოჯახი ჰყავს. აქ, რა თქმა უნდა, განსახილველია ისიც, თუ რა პოტენციალი გააჩნია ქვეყანას ამ მიმართულებით. მაგალითად, მექსიკასა და ბრაზილიაში პროფესიონალებად ის მეფუტკრეები ითვლებიან, ვინც 500-1000 ოჯახამდე ფუტკარს უძღვება. საქართველოს პოტენციალი აქვს, თუმცა ამ მასშტაბებამდე მიღწევა ჯერჯერობით სამომავლო პერსპექტივად რჩება.

საქართველოში უფრო სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. დღეისათვის მხოლოდ რამდენიმე მეფუტკრეა, რომელიც 300-დან 700 ოჯახამდე ფუტკრის სკას ფლობს. ისინი მეფუტკრეობის დარგში გარკვეულ ამინდს ქმნიან, მაგრამ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ. ტექნოლოგიები რომ განავითარონ და ქვეყნის შიდა მომხმარებელს პროდუქცია შესთავაზონ, ამისთვის საკმაოდ ძვირადღირებული ტექნოლოგიებია საჭირო.

ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი მეფუტკრეობის განვითარების კუთხით შპს «მეთაფლიამ» ოთხი წლის წინ გადადგა. ამ კომპანიამ თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მარკეტებში საკუთარი პროდუქციის სათანადო შეფუთვით შეტანა შეძლო.

«საქმიანობა სამი წლის წინ, ფაქტობრივად, ჯიბის ფულით დავიწყეთ, მაგრამ საქართველოს ბაზარზე ფეხის მოკიდება შევძელით. თანამედროვე შეფუთვით დაფასოებული თავლი მომხმარებელს ძირითადად დედაქალაქში, ქუთაისში და რუსთავში, „პოპულის“ ქსელების მეშვეობით მივაწოდეთ. ჩვენი პროდუქცია ასევე იყიდება „გუდვილის“ და „ვეჯინის“ ქსელში. მოსახლეობას რამდენიმე სახეობის თავლი შევთავაზეთ, რომელიც როგორც ჩვენს საფუტკრეებში, ისე ჩვენი თანამოაზრეების მიერ არის წარმოებული. ეს არის მასის, აკაციის, მდელის თავლი, მიღებული ადგილწარმოშობის მიხედვით. ასევე დავამზადეთ ცაცხვის თავლი. სკები ალპურ ზონაშიც გვაქვს - ამ რეგიონში მიღებული თავლის ფასი შედარებით მაღალია, - ამბობს შპს „მეთაფლიას“ გენერალური დირექტორი როლანდ ზირაქაშვილი.



კომპანია „გეო ნატურალი“ ბაზარზე სამი წლის წინ შემოვიდა. კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი იაშვილი ამბობს: „საწარმო 2008 წელს, მცირე მოცულობის კაპიტალით დაარსდა. საწარმო ბაზა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონშია, კერძოდ, ამბროლაურის რაიონში. ბიზნესის განვითარებაში ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის განვითარების გრანტი დაგვეხმარა, რომლის დაფინანსებაც მოვიპოვეთ, და ამის საფუძველზე მოხდა წარმოების მოცულობის გაზრდა. ამ ეტაპზე ხუთიდან ათ ტონამდე თაფლს ვაწარმოებთ. ძირითადად ბითუმად ვყიდით. ფასს გაყიდული მოცულობის მიხედვით ვაწესებთ. ქართული თაფლის საბაზრო ფასები საქართველოში ათი ლარიდან თხუთმეტ ლარამდეა.“

მომხმარებელმა ქართული თაფლი ძალიან კარგად მიიღო. ეს პირველი პროდუქტია, რომელიც ადგილობრივ დახლებზე უცხოური პროდუქციის გვერდით გამოჩნდა. „ქსელში უკვე რამდენიმე ტონა თაფლს ვყიდით და, როგორც რეალიზაციიდან ირკვევა, მოსახლეობამ ეს შეთავაზება კარგად მიიღო. ამის მიუხედავად, ფინანსურ სიმძნელებს განვიცდით, რადგან თაფლი სწრაფად რეალიზებადი პროდუქტი არ არის. ქსელში თვეების განმავლობაში დევს და იმისათვის, რომ ბაზარი პროდუქციით გვაჯეროთ, დიდი რაოდენობით თანხები გვჭირდება, რაც ბრუნვის ზრდას შეუწყობს ხელს,“ - ამბობს ზირაქაშვილი.

მეფუტკრეობის დარგის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ საბანკო სისტემა სოფლის მეურნეობის დაკრედიტებას რისკების გამო ერიდება, ამის გარეშე კი მეფუტკრეობაში რაიმე სერიოზული ნაბიჯის გადადგმა პრაქტიკულად შეუძლებელია. ბანკებს ურჩევნიათ ის დარგები დააფინანსონ, საიდანაც თანხის ამოღების უფრო მეტი გარანტიები არსებობს. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში, სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოცულობა საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ ბანკმა კრედიტი გასცეს, ამ სფეროს მცოდნე საკრედიტო ოფიცერი უნდა ჰყავდეს, რომელიც ამ საკითხებში ერკვევა და მეწარმეს რეკომენდაციას აძლევს. ფაქტობრივად, ბანკები ამ სფეროს მომსახურებაზე ორიენტირებულნი არ არიან. სოფლის მეურნეობის სექტორისათვის სესხებს ძირითადად „პროკრედიტ ბანკი“ გასცემს.

დარგის სწრაფად განვითარებას ისიც აფერხებს, რომ მეფუტკრეობა, სხვა დარგებისგან განსხვავებით, პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ თანხებს თითქმის არ ტოვებს, რადგან შიდა ბაზარზე თაფლის საბითუმო ფასები საკმაოდ მაღალია. როცა მეწარმე საბოლოო პროდუქტს მომხმარებელს დაფასობული სახით აწვდის, სარეალიზაციო ხარჯები იმდენად მაღალია, რომ მას მცირე მოგება რჩება. მაგრამ როცა პროდუქტს თვითონ აწარმოებს, მოგება უკვე სოლიდურია. ამის გამო, ჩვენთან სამოყვარულო მეფუტკრეობა უფრო განვითარებულია, ვიდრე მსხვილი წარმოება.

თაფლის აქტიური რეალიზაცია ახალი წლის სეზონზე და ზამთრის თვეებში ხდება, თუმცა იმპორტიორების პროდუქცია მარკეტების დახლებზე მთელი წელი დევს. თაფლის იმპორტირება საქართველოში, ძირითადად, გერმანელი მომწოდებლების მიერ ხდება. ფრანკფურტში მდებარეობს მეფუტკრეობის ცენტრი, სადაც მსოფლიო მომწოდებლებისგან დიდი რაოდენობით თაფლი შედის. ყველაზე დიდი მომწოდებლები ამ ბაზარზე არიან არგენტინა, ბრაზილია და მექსიკა. ამ მიმართულებით საკმაოდ დინამიკურად ვითარდება ჩინეთის ბაზარი. სწორედ ფრანკფურტში ხდება თაფლის დაფასობა და დაკუთავიერება. ამიტომ გერმანია მსოფლიო ბაზარზე თაფლის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელია. გერმანულ თაფლად წოდებული ეს პროდუქტი საქართველოს ბაზარზეც იყიდება. გერმანულის გარდა, სუპერმარკეტების დახლებზე გვხვდება ესპანური და ფრანგული თაფლი. უცხოური პროდუქციის ფასები ადგილობრივთან შედარებით სამჯერ მაღალია, მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, ხარისხით და გემო-თვისებებით ქართული თაფლი გამოირჩევა. ეს ლოგიკურია, რადგან კავკასიონის კალთებზე იმდენი მცენარეა, რომ მისგან უფრო კარგი ხარისხის თაფლის მიღებაა შესაძლებელი. გაყიდვების მაჩვენებლით სავაჭრო ქსელში ქართულ თაფლს 20-25 პროცენტი უჭირავს, დანარჩენი კი უცხოურ პროდუქტზე მოდის.

ტარა და კადრები - ეს არის ორი პრობლემა, რომელიც თაფლის ბიზნესის განვითარებას აფერხებს. შუშის ტარას ქართველი მეფუტკრეები უცხოეთში ყიდულობენ. საგულისხმოა, რომ საქართველოში საკმაოდ დიდი კომპანია - ქსნის მინის ქარხანა მუშაობს, მაგრამ ეს საწარმო ძირითადად კორპორაციულ კლიენტებზეა ორიენტირებული და მცირე შეკვეთებს არ ასრულებს. ფაქტობრივად, ეს ქარხანა მცირე მეწარმეებისათვის არ არსებობს. ტარის გარეშე დარჩენილი მეფუტკრეები სომხეთში ჩადიან და შესაფუთ მასალას იქაურ შუშის მწარმოებლებს უკვეთავენ. ამ შემთხვევაშიც მინიმალური შეკვეთა 100 ათასი უნდა იყოს, რათა მეწარმემ შესაფუთი მასალა მიიღოს.

საკმაოდ მწვავედ დგას ამ სფეროში კადრების საკითხიც. მეწარმეებს მეფუტკრეობის დარგში ცვლა არ ჰყავთ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თვითნასწავლი მეფუტკრე პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება. ასეთი სასწავლებლები საქართველოში არ ფუნქციონირებს. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით, აღმოსავლეთ საქართველოში კაჭრეთის პროფესიული განათლების ცენტრი შეიქმნა. დასავლეთ საქართველოში, სხვადასხვა ზონაში არის ასეთი ცენტრები, მაგალითად, ახალციხეში, ქვემო ქართლის ზონაში. ერთი პერიოდი (2010 წ.) გორის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე,

სახელობო პროფესიული პროგრამების ფარგლებში შეიქმნა მეფუტკრეთა მოსამზადებელი ჯგუფი, რომელმაც ერთი ნაკადი მსმენელებისა მოამზადა და გამოუშვა, თუმცა მას შემდეგ აღარ მომხდარა მიღება აღნიშნულ სპეციალობაზე. ამ ცენტრებში მოხდება კადრების მომზადება, მათ შორის მეფუტკრე კადრებისაც. ეს არის დროულად გადადგმული ნაბიჯი, რადგან კადრები, მეფუტკრეობის გარდა, სოფლის მეურნეობის მთელ სფეროს სჭირდება. კადრების ნაკლებობას ყველა მეწარმე განიცდის, მათ შორის მცირე მეწარმეებიც, რადგან მცირე მეწარმეობა არ არის მხოლოდ საოჯახო ბიზნესი, ის რამდენიმე ათეული ადამიანის დასაქმებასაც ნიშნავს.

საქართველოს მოსახლეობამ გასულ წელს 15 კილოგრამი ფუტკრის რძე მოიხმარა. ამ პროდუქტზე მოთხოვნა თანდათან იზრდება, მაგრამ ბაზარზე არსებული დეფიციტის დაძლევა ვერ ხერხდება. როგორც ექსპერტები განმარტავენ, რძის წარმოება ტექნოლოგიურად სპეციფიურია. ფუტკრის რძეს სპეციალურ ლაბორატორიებში ამზადებენ და აქვს გარკვეული ტექნოლოგიური რეჟიმი. რძის წარმოებისათვის საჭიროა სათანადო პირობები. „სადედე ჭიები ცალკე ჯამებში გადაგვაქვს, 72 საათში ამ ჯამებში ფუტკრის რძე გვხვდება. შეგვაქვს ისევ ლაბორატორიებში და სპეციალურ სამედიცინო ჭურჭელში ვათავსებთ, რომელიც რამდენიმე წუთში უნდა შევავსოთ. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, რადგან ჰაერთან კონტაქტის შემთხვევაში პროდუქტის ხარისხი მცირდება. ფუტკრის რძე ჟანგვას განიცდის. პროდუქტს ვათავსებთ 15-გრამიან ქილებში და ვდებთ მაცივრის ქვედა თაროზე, სადაც ტემპერატურა 0-დან 5 გრადუსამდეა,“ - ამბობს შპს „მეთაფლიას“ გენერალური დირექტორი როლანდ ზირაქაშვილი.

საქართველოში დედაფუტკრის რძეზე მოთხოვნა ყოველ წელიწადს ორმაგდება, მაგრამ ეს იმდენად მცირეა, რომ შეიძლება საუბრად არ ღირდეს. იაპონია 1 800 ტონას იყენებს წელიწადში, ჩვენ - 15 კილოგრამს, მაგრამ ორი-სამი წლის წინ 2-3 კილოგრამს ვიყენებდით. ფუტკრის რძის მოხმარებას ყოველ წელიწადს ვაორმაგებთ. ამ პროდუქტის განვითარებას სტიმულს აძლევს შპს „მეთაფლია“, რომელმაც გასულ წელს 10 კილოგრამამდე ფუტკრის რძე აწარმოა, რაც მოხმარების სრული პროცენტია. ფუტკრის რძის აქტიური მომხმარებლები არიან ევროკავშირის ქვეყნები და იაპონია. რძეს იყენებენ საკვებად, როგორც დღეგრძელობის და ჯანმრთელობის წყაროს. ფუტკრის რძე ჰორმონალური პროდუქტია და უკუჩვენება მხოლოდ ჯირკვლების და სისხლძარღვთა დაავადების შემთხვევაში აქვს. სხვა შემთხვევაში გამოიყენება ყველა დაავადების დროს, როგორც სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკისათვის. ასევე, ამ პროდუქტის გამოყენება სხვა ქიმიოთერაპიასთან ერთად ხდება.

ფუტკრის რძის წარმოების მოცულობა იმდენად მცირეა, რომ ამ პროდუქტით სააფთიაქო ქსელის მომარაგება ვერ ხერხდება. საქართველოში, „მეთაფლიას“ გარდა, ფუტკრის რძეს აწარმოებს კიდევ ორი-სამი მეფუტკრე, მთლიანობაში პროდუქტის მოცულობა 15 კილოგრამამდე გროვდება. ეს იმდენად მიზერულია, რომ მისი გამოყენება ფარმაცევტულ წარმოებაში შეუძლებელია. ამიტომ ის ნედლი სახით იყიდება. როგორც ექსპერტები ამბობენ, შესაძლოა მისი ეოფილიოზირება, მაგრამ ყველაზე მეტი ეფექტი მის ნედლად გამოყენებას აქვს.

ბაზარზე ახალი შემოთავაზებით ინდემწარმე თამაზ ღლონტი გამოდის, რომელსაც საქართველოში ფიჭიანი თაფლის წარმოებაზე ექსკლუზიური უფლება აქვს. „ვცხოვრობ გურიაში, მაღალმთიან სოფელ აკეთში. 200 ოჯახი ფუტკრის სკა მაქვს. „ელკანას“ წვერი ვარ. ამ ეტაპზე ევროპულ საერთაშორისო ბიოსერტიფიცირებაზე ვდგავარ.“

ინდემწარმე საკუთარ ნაწარმს - ფიჭიან თაფლს „ელკანას“ საშუალებით მაღალი კლასის სასტუმროების ქსელში ყიდის. მისი პროდუქტი მაღაზიებშიც იყიდება. როგორც თამაზ ღლონტი განმარტავს, მისი პროდუქტია დეფიციტურია და სეზონური, რაც იმის საშუალებას არ აძლევს, რომ დიდი მოცულობა აწარმოოს. „ფიჭიან თაფლს გაზაფხულზე ვაწარმოებ და ადგილობრივ ბაზარზე ვყიდი. საერთაშორისო ბაზარზე, საქართველოდან ევროპაში თაფლის პროდუქტები არ გადის. თაფლის რეალიზაციის პრობლემა არ მაქვს, თუმცა საწარმოო პროცესს ძალიან დამაბული მუშაობა სჭირდება. პროდუქტის ფასი ადგილობრივ ბაზარზე 14 ლარია, ევროპულ ბაზარზე კი ის 14 ევრო ღირს.“

საქართველოში წარმოებული მეფუტკრეობის პროდუქტები ევროპის ბაზარზე გასასვლელად მზად არ არის, რადგან ამ პროდუქტის წარმოშობის სერტიფიცირება არ მომხდარა. ლაბორატორიული მოთხოვნები, რომელსაც ევროპული ბაზარი ადგენს, საქართველოს ბაზარზე არ არის. როგორც პროფესიონალი მეფუტკრეები ამბობენ, ევროპულ სტანდარტზე რომ იმუშაო, უნდა იყოს: თავად საფუტკრეში შესაბამისი წესრიგი; საწარმოო ჯაჭვი მწარმოებლიდან ლაბორატორიამდე, და ბოლოს, მომხმარებელამდე სათანადოდ უნდა იყოს დაცული. მთელი სისტემა დასალაგებელია. ეს საკმაოდ რთული საკითხია. სისტემის გაჯანსაღებას მხოლოდ მეწარმე ვერ შეძლებს.

ქართული თაფლი ექსპორტზე არ გადის და, შესაბამისად, GPS DA GPS+ პრეფენაციებით არ სარგებლობს. ქართულ თაფლზე სერიოზული მოთხოვნაა აზერბაიჯანში.

ქართული თავლი ექსპორტზე ერთ-ერთმა წამყვანმა ბიზნესმენმა რამდენიმე წლის წინ ინგლისში გაიტანა, მაგრამ მთლიანად უკან დააბრუნებინეს. ევროკავშირის ქვეყნებში თავლის ხარისხთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი მოთხოვნებია. როგორც ექსპერტები ამბობენ, მომავალშიც არ ვიქნებით მზად იმისათვის, რომ ქართული თავლი ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს. აქ საკითხის კომპლექსურად გადაწყვეტის პრობლემა დგას, რომელშიც შედის როგორც პროდუქციის ანალიზი, ისე მისი ტარა.

ცნობილია, რომ ევროკავშირის ბაზარზე თავლი 200-კილოგრამიანი მინის ქილებით შედის. საქართველოში ტარამასალა ისედაც არ იმოგება და თურქეთიდან ცარიელი მინის ქილების შემოტანა საკმაოდ ძვირია. მისი შევსება თავლით და მერე უკან გატანის ფასი პროდუქტის თვითღირებულებას გადააჭარბებს. აზერბაიჯანსა და სომხეთში ქართული თავლის გატანის პერსპექტივა არსებობს, რუსეთის ბაზარი კი ამ მიმართულებით დაკეტილია, რადგან ამ ბაზარზე შესვლა მაღალი ფასის გამო შეუძლებელია. მსოფლიო ბაზარზე რუსული თავლი უფრო იაფია, ვიდრე ქართული. ქართული თავლი ადგილზეც ძვირი ღირს, ვინაიდან ამ პროდუქტის დეფიციტი არსებობს. საქართველო იმდენ თავლს ვერ აწარმოებს, რომ შიდა მოხმარება დააკმაყოფილოს. ადრე ამ დეფიციტს რუსეთიდან შემოსული თავლი აბალანსებდა. დღეისათვის ის უცხოეთიდან შემოდის და ქართული თავლი არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში ვარდება. როგორც ექსპერტები განმარტავენ, აზერბაიჯანის ბაზარზე ქართული თავლის შეტანა შესაძლებელია. სომხეთში ამ კუთხით არის მონოპოლისტი ორგანიზაცია და, თანაც, საგზაო ინსპექცია გზებზე პრობლემებს ქმნის. რაც შეეხება თურქეთს, რომელიც ჩვენი პირველი სავაჭრო პარტნიორია, ამ ქვეყანაში თავლის იმპორტი წარმოუდგენელია, რადგან ქვეყნის მთავრობა ადგილობრივი მეფუტკრეობის განვითარებას და საქართველოს ბაზარზე თავისი ნაწარმის იმპორტის მოცულობის გაზრდას ცდილობს.

ჯერჯერობით ღია რჩება ქართული თავლის სერტიფიცირების საკითხი. სერტიფიცირებაზე შესაბამისი ოგანიზაციები მუშაობენ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატის მიღება სოლიდური თანხა ღირს. თუმცა, როგორც „ელკანას“ ექსპერტებმა განუცხადეს, საქართველოში არის უკვე შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც თავლის სერტიფიცირებას ახორციელებს. „ელკანა“ ბიოთავლსაც აწარმოებს და ამ პროდუქტის სერტიფიცირებაც მიმდინარეობს.

ვფიქრობ მეფუტკრეობის „ინდუსტრიას“ საკმარისი მოტივი გააჩნია, რაც მათ გამოყენებას სასურველს ხდის თავლის ბიზნესში. ამიტომ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებასთან ერთად, მთავარი პრიორიტეტი მაინც თავლის ხარისხი და გემოა. საჭიროა შესაბამისი ბიზნესგარემოს შექმნა, ამისათვის კი უნდა მოხდეს შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრა.

როგორც ვხედავთ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანას თავლის ბიზნესის სახით უმნიშვნელოვანესი რესურსი გააჩნია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის, რისთვისაც საჭიროა ქვეყნის ხელისუფლებამ ამ მიმართებით დასახოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

#### ლიტერატურა:

1. <http://economy.ge>
2. <http://geostat.ge>
3. <http://mof.ge>
4. <http://conference.ge>

### რეზიუმე

თავლის სასწაულმომქედი თვისებების შესახებ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მას უამრავ სამკურნალო, გამაჯანსაღებელ, გამაახალგაზრდავებელ თვისებას მიაწერენ. ბევრი ადამიანი თავლის ნამდვილი მოყვარულია, მაგრამ უმრავლესობას ის მხოლოდ ავადმყოფობის დროს ახსენდება.

საქართველოში ძირითადად სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. მეფუტკრეს, რომელსაც 10-დან 20 ოჯახამდე ფუტკარი ჰყავს, მოყვარულად ითვლება. თუ ფუტკრის რაოდენობა ოც ოჯახს აღემატება, მეწარმეს შეუძლია, უკვე პროფესიონალურ მეფუტკრეობაში სერიოზული ნაბიჯი გადადგას.

ექსპერტების შეფასებით, მსოფლიო მეფუტკრეობის მასშტაბისათვის ეს რეკორდული მაჩვენებელი ნამდვილად არ არის. იმ ქვეყნებში, სადაც ეს დარგი განვითარებულია, პროფესიონალად ის მეფუტკრე ითვლება, რომელსაც ფუტკრის 300 ოჯახი ჰყავს. აქ, რა თქმა უნდა, განსახილველია ისიც, თუ რა პოტენციალი გააჩნია ქვეყანას ამ მიმართულებით. მაგალითად, მექსიკასა და ბრაზილიაში პროფესიონალებად ის მეფუტკრეები ითვლებიან, ვინც 500-1000 ოჯახამდე ფუტკარს უძღვება.

საქართველოს პოტენციური აქვს, თუმცა ამ მასშტაბებამდე მიღწევა ჯერჯერობით სამომავლო პერსპექტივად რჩება.

## HONEY BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS AND PROSPECTS IN GEORGIA

David Bidzinashvili, Full Professor

### RESUME

Honey sastsaulmomkedi features of the oldest known droidanaa. Many people have a real moqvarulia honey, but most of the time, remembers only the illness.

In Georgia, mostly amateur meputkreobaa developed. Meputkres a 10 - to 20 families have bees, as a lover. If the number of bees is more than twenty families, entrepreneurs can have a professional bee-keeping is a serious step to take.

The experts said the scale beekeeping for this indicator is not a record. In countries where this industry is developed, it is a professional meputkre as the bee has 300 families. There are, of course, also gansakhilvelia what country has the potential in this regard. For example, Mexico and Brazil are considered propesionelebad The Beekeepers, who leads the bee families 500-1000. The potential, however, the magnitude of this achievement is the future prospect.

## შრომის მოტივაციის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციები

*გიული გიგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომისადმი მის დამოკიდებულებას, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს კიდევ თითოეული ჩვენთაგანის წარმატებას. გამომდინარე იქიდან, რომ შრომით აქტივობას საფუძვლად უდევს შრომითი მოტივაცია, იკვეთება მისი შესწავლის მნიშვნელობა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

მოტივაცია მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან - „მოტივი“, რომელიც გულისხმობს რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევ მიზეზებს, გადატანითი მნიშვნელობით კი მოსაზრებას, საბუთს რისიმე სასარგებლოდ. მოტივაცია (აქტივიზაცია) შრომის მაქსიმალურ სტიმულირებას ნიშნავს და მომუშავეთა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად გამოიყენება. იგი ითვალისწინებს ეფექტური შრომის მოტივების შესწავლას და მენეჯერის მიერ თითოეული მუშაკისა და მთელი კოლექტივის შრომისადმი სტიმულების მიზანმიმართულ გამოყენებას. როგორც მაიკლ მესკონი განმარტავს, „მოტივაცია ესაა პროცესი მიმართო საკუთარი თავი და სხვები მოქმედებისკენ, რათა მიაღწიო პირად ან ორგანიზაციის მიზნებს.“ [1- 366 გვ.]

შრომითი მოტივაციის თემას ლოგიკურად უკავშირდება მოთხოვნილებების ცნება. ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს (1908-1970) თეორიის თანახმად, ადამიანის მოთხოვნილებები არატოლფასოვანია, აქვთ რთული, არაერთმნიშვნელოვანი სტრუქტურა და იყოფა ორ ჯგუფად: საბაზისოდ და წარმოებულად. საბაზისო მოთხოვნილებებს აქვთ მუდმივი ხასიათი და თავისი იერარქია. წარმოებული კი იცვლება და არა აქვს იერარქია.

საზოგადოებისათვის უკვე კარგადაა ცნობილი მასლოუს პირამიდა, სადაც მეცნიერმა საბაზისო მოთხოვნილებები დაყო ხუთ აღმავალ დონედ:

I დონე - ფიზიოლოგიური და სექსუალური მოთხოვნილებები (წყალი, საკვები, გვარის გაგრძელება);

II დონე - არსებობის მოთხოვნილება (უსაფრთხოება, დაცულობა, სტაბილურობა, ხვალისდელი დღის რწმენა);

III დონე - სოციალური მოთხოვნილებები (ერთობლივი შრომა, კოლექტივთან კავშირი, გარშემომყოფთა ყურადღება, მათზე ზრუნვა);

IV დონე - პრესტიჟის მოთხოვნილებები (პატივისცემა, სტატუსი, სამსახურებრივი ზრდა);

V დონე - სულიერი მოთხოვნილებები (შემოქმედება, თვითგამოხატვა).

პირველი ორი დონის მოთხოვნილებები თანდაყოლილია და პირველადი ეწოდება. შემდეგი სამი დონე მეორადია და აქვს შექმნილი ხასიათი. ყოველ დონეზე მოთხოვნილებების ფასეულობა განსხვავებულია. უფრო მაღალი დონის მოთხოვნილება არსებითად აქტუალური ხდება მხოლოდ წინა დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ.

წარმოებული მოთხოვნილებები - ეს არის კეთილდღეობის, სამართლიანობის, წესრიგის, ყველასათვის ერთნაირი კანონებისა და მორალის წესების არსებობის მოთხოვნილებები. წარმოებულ მოთხოვნილებებს აქვთ ერთნაირი ფასეულობა და ამიტომაც არაიერარქიულია.

ა. მასლოუს თეორიის მიხედვით, პერსონალის მოთხოვნილებების შესწავლა მენეჯერს აძლევს შესაძლებლობას მუშაკთა მოტივაციის გასაგებად, მათი დასაბუთებული სტიმულირებისა და აქტივაციისათვის. ამ თეორიას ძირითადად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ადამიანთა მოთხოვნილებებში ინდივიდუალურ განსხვავებებს. კარგმა ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს ხელქვეითთა სწორი მოტივაცია, მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებების გაცნობიერების გზით. [2]

მოტივაციის თეორია, რომელიც ეკუთვნის დ. მაკკლელანდს, აქცენტს აკეთებს უმაღლესი დონის მენეჯერებზე. დ. მაკკლელანდის თეორიის მიხედვით ადამიანებს ახასიათებთ სამი სახის მოთხოვნილება: ძალაუფლების, წარმატებისა და თანამონაწილეობის. [1-გვ. 371]

მოთხოვნილებებზე დაფუძნებული კიდევ ერთი მოდელი დაამუშავა ფ. ჰერცბერგმა გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში. მან ფირმისა და ადმინისტრაციის პოლიტიკა, მუშაობის პირობები, გამომუშავება, პიროვნებათშორისი ურთიერთობები გააერთიანა „ჰიგიენურ ფაქტორებში“, ხოლო წარმატება, დაწინაურება, მუშაობის შედეგების აღიარება, პასუხისმგებლობის მაღალი დონე, შემოქმედებითი და საქმიანი ზრდის შესაძლებლობები - მოტივაციაში. ფ. ჰერცბერგის ჰიგიენური ფაქტორები დაკავშირებულია იმ გარემოსთან, რომელშიც სრულდება სამუშაო, მოტივაცია კი - თვითონ სამუშაოს ხასიათთან. [1- გვ. 372]

ფ. ჰერცბერგის თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოტივაციის შესწავლაში, მაგრამ ვერ შეძლო მოტივაციაზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინება. მოტივაციის მექანიზმის ასახსნელად გარე სამყაროს მრავალრიცხოვანი ქცევითი ასპექტებისა და პარამეტრების განხილვა უკავშირდება მოტივაციის პროცესუალური თეორიების შექმნას, რომლის ფუძემდებლები აღიარებენ ადამიანთა მოთხოვნილებების არსებობას, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ადამიანის ქცევას განსაზღვრავს აგრეთვე აღქმა, მოლოდინი და შერჩეული ქცევის შესაძლო შედეგები. განსხვავებენ სამ ძირითად პროცესუალურ თეორიას, კერძოდ, მოლოდინის თეორიას, სამართლიანობის თეორიას და პორტერ-ლოულერის მოდელს, რომელიც მოიცავს მოლოდინის და სამართლიანობის თეორიების ელემენტებს. ამ მოდელის თანახმად, მიღწეული შედეგები დამოკიდებულია მუშაკთა მიერ დახარჯულ სამუშაო ძალაზე, მათ უნარსა და დამახასიათებელ თავისებურებებზე, აგრეთვე თავიანთი როლის შეცნობაზე.

პორტერ-ლოულერის თეორიით შედეგიან შრომას მივყავართ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამდე, რაც ეწინააღმდეგება მენეჯერთა უმეტესობის შეხედულებებს, რომელთა მიხედვით დაკმაყოფილებას მივყავართ შრომაში მაღალი შედეგების მიღწევასთან. პრაქტიკამ დაადასტურა პორტერ-ლოულერის შეხედულება იმის თაობაზე, რომ შრომის მაღალი შედეგიანობა სრული დაკმაყოფილების მიზეზია და არა შედეგი. პორტერ-ლოულერის მოდელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოტივაციის არსის გაგებაში. მან აჩვენა, რომ მოტივაცია არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უბრალო ელემენტი და რომ მენეჯმენტის სიტუაციაში ძალისხმევის, უნარის, შედეგის, გასამრჯელოს, დაკმაყოფილების და აღქმის კავშირის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია შრომის მწარმოებლობის ამაღლებაში.

მეცნიერები გამოყოფენ შრომითი მოტივაციის სამ სახეს:

1. შრომითი კმაყოფილება;
2. შრომაში ჩართულობა;
3. ორგანიზაციისადმი ერთგულება.

შრომითი კმაყოფილება არის ადამიანის შრომისადმი ზოგადი სახის შეფასებითი დამოკიდებულება, რომელიც გამოხატავს რეალურად მიღწეულ და სუბიექტურად სასურველ შედეგებს შორის სხვაობას.

შრომაში ჩაბმულობა გულისხმობს პროფესიული საქმიანობისადმი ადამიანის იდენტიფიკაციას, მუშაობში მის ენერგიულობას და საქმიანობის ხარისხისადმი პირადი ღირსების განცდას.

ორგანიზაციისადმი ერთგულებაში იგულისხმება მუშაკის მიერ საორგანიზაციო მიზნების გაზიარება, მათ მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანის მოტივაცია და დაწესებულების წევრად ყოფნის სურვილი.

ბოლო პერიოდში მკვლევართა ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი საკითხი: შრომით კმაყოფილებასა და, სერთოდ, ადამიანის ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირის დადგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით, არსებობს სამი თვალსაზრისი:

1. შრომითი კმაყოფილება ცხოვრების სხვა სფეროებში მეტ-ნაკლები უკმაყოფილობის კონპენსირებას იძლევა (კონპენსაციის პრინციპი);
2. ცხოვრების ერთი რომელიმე სფეროთი კმაყოფილება ან უკმაყოფილება ვრცელდება სხვა სფეროებზე, რის გამოც ადამიანი შრომის თუ არასამუშაო დროის მიმართ თანაბარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს (გენერალიზაციის პრინციპი);
3. ცხოვრების დანაწევრებული ხასიათიდან გამომდინარე, სამუშაო და არასამუშაო დროის სფეროების მიმართ ადამიანის განცალკევებულად დამოკიდებულების განცდა (სეგმენტაციის პრინციპი).

შრომითი მოტივების ხერხები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად:

1. ეკონომიკური;
2. არაეკონომიკური (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა საორგანიზაციოდ და მორალურად);

მოტივაციის ეკონომიკური ხერხის გამოყენების შემთხვევაში ადამიანები იღებენ გარკვეულ სარგებელს, რაც ამაღლებს მათ კეთილდღეობას. სარგებელი შესაძლებელია იყოს პირდაპირი (მაგალითად, ფულადი), ან არაპირდაპირი (დამატებითი თავისუფალი დრო, სხვა სამუშაოთი დაკავების შესაძლებლობა). პირდაპირი ეკონომიკური მოტივაციის ძირითადი ფორმაა ხელფასი. ჩვეულებრივ, ის დამოკიდებულია დაკავებულ თანამდებობაზე, მუშაობის სტაჟზე, დახარჯული შრომის რაოდენობაზე და ხარისხზე. თუმცა, მასზე მოქმედებს წმინდა საბაზრო ფაქტორებიც. მაგალითად, მოთხოვნა შრომის ბაზარზე, ტერიტორიული ასპექტები, საკანონმდებლო ნორმები. ძირითადი ხელფასის გარდა, მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს დამატებითი ხელფასი (რომელიც გაიცემა პროფესიონალიზმის, უნარის, კვალიფიკაციის საფუძველზე) და განსხვავებული სახის დანამატები, რომლებიც კომპენსაციურ ხასიათს ატარებს. შრომის ანაზღაურების მოქმედ მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს პრემიების სისტემა (მოტივაციის ეკონომიკური ხერხი). პრემიის და ხელფასის გარდა, არსებობს ფულადი დაჯილდოების კიდევ ერთი სახე, რომელიც ატარებს გარკვეულ მოტივაციურ ეფექტს - შემოსავლებში მონაწილეობა.

მოტივაციის საორგანიზაციო ხერხს განეკუთვნება:

1. მიზნებით მოტივაცია;
2. სამუშაოთი გამდიდრების მოტივაცია;
3. ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის მოტივაცია.

რასაკვირველია, დიდი, რთული და საინტერესო მიზნები ხიზლავს ადამიანს, აღძრავს ბრძოლის, შეჯიბრის ჟინს, მაღალი შედეგების მიღწევისკენ მისწრაფებას. შრომის გამდიდრების მოტივაცია იმ აზრს ატარებს, რომ ადამიანს ჰქონდეს უფრო შინაარსიანი, საჭირო, საინტერესო სამუშაო, სოციალურად მნიშვნელოვანი, პროფესიული და თანამდებობრივი ზრდის ფართო პერსპექტივით. ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის მოტივაცია გულისხმობს პრობლემათა გადაჭრისას მუშაკისთვის ხმის უფლების მიცემას, მის ჩართვას შემოქმედებით პროცესში, მისთვის უფლებების და პასუხისმგებლობის რეალურ დელეგირებას.

მოტივაციის მორალურ ხერხს განეკუთვნება აღიარება, რომელიც შეიძლება იყოს პიროვნული ან საჯარო. საჯარო აღიარებას თან ახლავს “ეკონომიკური” ხასიათის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: პემიებით დაჯილდოება, ტურისტული საგზურები, სტაჟირება. მორალური მოტივაციის სპეციალური ფორმაა შექება და კრიტიკა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ლიდერებისათვის დაწინაურების მოტივაცია. გარდა იმისა, რომ ამ დროს იღებენ გაცილებით მეტ ხელფასს (ეკონომიკური მოტივი), უფრო საინტერესო და შინაარსიანი სამუშაო (საორგანიზაციო მოტივი), გამოვლინდება და აისახება პიროვნების დამსახურება და ავტორიტეტი (მორალური მოტივი). თუმცა, მიუხედავად ამისა, მოტივაციის აღნიშნული ხერხი შეზღუდულია, თანამდებობის რაოდენობისა, თუ ხელმძღვანელობის უნარის, ან, თუნდაც, მისი სურვილის არარსებობის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი მოტივაციის წარმატებას განსაზღვრავს საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. იგი ეფუძნება:

1. ორგანიზაციის საქმიანობის ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას;
2. მომუშავე პერსონალის ქცევის მამოტივირებელი სტრუქტურების არსებობას;
3. თვითონ მენეჯერის უნარსა და შესაძლებლობას.

ადამიანებზე გამიზნული ზემოქმედების აუცილებლობა ცნობილი იყო გაცილებით ადრე, ვიდრე სიტყვა „მოტივაცია“ გაჩნდებოდა მენეჯმენტის ლექსიკაში. მეფეები ადამიანებზე ან მახვილს აღმართავდნენ, ან ჯილდოს გადასცემდნენ მათ. ასეთი მიდგომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო XIX საუკუნის ბოლოსაც კი. მეცნიერული მართვის სკოლის წარმოშობამ მოტივაციის პოლიტიკა უფრო ეფექტიანი გახადა. ფ. ტელიორმა და მისი მიმდევრებმა განსაზღვრეს „საკმარისი დღიური გამომუშავების“ ცნება და წამოაყენეს წინადადება უფრო მეტად აენაზღაურებინათ მათი შრომა, ვინც მეტ პროდუქციას აწარმოებდა. შრომის შედეგების მიხედვით განხორციელებულმა მოტივაციამ დიდი წარმატებები მოუტანა კომპანიებს და იმავდროულად გაზარდა მშრომელთა კეთილდღეობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართვაში ფსიქოლოგიური მოტივების გამოყენების აუცილებლობის აღიარება, რასაც XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ელტონ მეიომ, რომელიც შეეცადა ერთმანეთთან დაეკავშირებინა მეცნიერული მართვის თეორია და ფსიქოლოგია. „ადამიანისეული ფაქტორები, განსაკუთრებით კი სოციალური ურთიერთქმედება და ჯგუფური ქცევები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ინდივიდუალური შრომის მწარმოებლურობაზე“ - ეს «ადამიანური ურთიერთობის» კონცეფციის უმნიშვნელოვანესი დასკვნაა. შრომის მოტივაციის როგორც შინაარსობრივი, ასევე პროცესუალური ფსიქოლოგიური თეორიები წარმოიშვა XX საუკუნის 40-იან წლებში და მათი განვითარება დღესაც გრძელდება.

თანამედროვე თეორიებში მოტივაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი ცნება, როგორცაა მორალური ატმოსფერო. საქმიანობის შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის, თუ როგორ გრძნობს ადამიანი სამუშაოზე თავს. მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება არა მხოლოდ მათი კომპეტენტურობით, ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურით და რესურსებით განისაზღვრება, არამედ ისეთი სუბიექტური ფაქტორებით, როგორცაა: სამართლიანობა, გარკვეულობა, დამსახურების სათანადოდ აღიარება, გულისხმიერება, რაც პერსონალის და შესაბამისად, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე არსებით გავლენას ახდენს.

ამრიგად, პერსონალის სისტემური მოტივაცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს: ხელფასს, სამუშაოთა სწორ განაწილებას, კარიერულ პერსპექტივასა და პროფესიულ განვითარებას, ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრობას, მორალურ წახალისებას, სამუშაო გარემოს, მეგობრულ ატმოსფეროს, სოციალურ უზრუნველყოფას და სხვა. [4]

თანამედროვე კონცეფციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაინხარდ შპრენგერის თეორია, რომელიც „მოტივაციის მითებში“ ცალსახად აცხადებს, რომ „ეკონომიკური მოტივები სრულიადაც არაა საკმარისი ადამიანთა ქცევის ხასიათის ასახსნელად...“ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნდობის ფაქტორს, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „ნდობა თავისთავად ვერ წყვეტს მენეჯერის ყველა პრობლემას. ნდობა მხოლოდ ჭიშკარია, რომელიც პერსონალთან ეფექტიანი ურთიერთობის ასაწყობად გვიხსნის გზას. შემდეგი ნაბიჯი კი ამ მიმართულებით ხელქვეითების მოტივაციასთან არის დაკავშირებული.“ მოტივაციად მიჩნეულია მენეჯერის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი ადამიანისა და ფირმის ინტერესების დამთხვევა. ნდობის გარეშე მოტივაცია შეუძლებელია, მაგრამ ნდობა პიროვნულ ხასიათს ატარებს და ჯერ კიდევ არ ნიშნავს პირად დაინტერესებას ფირმის მიზნების მიღწევით. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ თვითონ მენეჯერი უნდა იყოს მოტივირებული. ანუ პერსონალის მოტივაციის პირობების უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ნდობის მქონე მოტივირებულ მენეჯერს, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ თანამშრომლებს ენდობა.

დღევანდელ საქართველოში არსებულ ბიზნეს-გარემოში ორი, ერთიმეორის მიმართ საწინააღმდეგო ტენდენცია მოქმედებს. მენეჯერების ახალი თაობის ძირითადი ფასეულობებია „ანაზღაურება“ და „სტატუსი საზოგადოებაში“, ანუ დასავლურ სამყაროში XX საუკუნის 70-იანი წლებში არსებული ფასეულობები. ბიზნესსამყაროში გავრცელებულია მოსაზრება, რომ თანამშრომლისათვის საუკეთესო ჯილდო ფულია. რა თქმა უნდა, ფულის საშუალებით თანამშრომლის ნაშრომის მიმართ მოწონების გამოხატვა მიზანშეწონილია, მაგრამ ფული არ არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც მას ბოლომდე დახარჯვისკენ და თვითრეალიზაციისკენ უბიძგებს. დღეს ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება პერსონალური კმაყოფილება. რაც მეტად ვითარდება ტექნოლოგიები, მით მეტად უმძაფრდებათ ადამიანებს პირად ცხოვრებასა და სამსახურში მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრების სურვილი. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლები თავს გუნდის წევრებად გრძნობდნენ და მათ ენდობოდნენ. ალბათ დამეთანხმებით, რომ „ადამიანებისადმი ნდობის გამოცხადება გუნდური მუშაობის აუცილებელი პირობა და ეკონომიკური ეფექტიანობის უმთავრესი მოტივა; უნდობლობა კი - შრომითი მოტივაციის დაუძინებელ მტრად შეიძლება მივიჩნიოთ“.

დღევანდელ ბიზნესგარემოში ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ დიდ კომპანიებში მმართველებს ძირითადად ვირტუალური ურთიერთობა აქვთ თანამშრომლებთან. აქედან გამომდინარე, მენეჯერებს ნაკლები შანსი აქვთ თანამშრომლის შრომა ობიექტურად შეაფასონ და დაინახონ თითოეულის მიერ ორგანიზაციის განვითარებაში შეტანილი წვლილი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლებთან შესაძლებლობის ფარგლებში ხშირ, სასიამოვნო, არასამუშაო გარემოში შეხვედრას.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და, ამავდროულად, ეფექტიანი გზა, რომელიც გორის სასწავლო უნივერსიტეტშიცაა დანერგილი თანამშრომელთა მოტივირებისათვის, არის კოლეგების ერთმანეთის შეფასებისა და პერიოდულად (მაგალითად, სემესტრში ერთხელ) წარმატებული თანამშრომლის გამოვლენის უფლების მიცემა. ასეთი მეთოდის გამოყენებით ერთდროულად ორი მიზნის მიღწევაა შესაძლებელი - ორგანიზაციის თანამშრომლები თავს დაფასებულად გრძნობენ (რადგან მათი შეფასების მიხედვით ვლინდება წარმატებული თანამშრომელი) და მოტივირებულად მუშაობენ პრემიის მოლოდინში. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის დაარსებაც, რასაც თან ფულადი პრემიაც ახლავს. მსოფლიო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ დაჯილდოებისა და აღიარების პროგრამები მამოტივირებელი სამუშაო გარემოს უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

თანამშრომელთა მოტივირების როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე კონცეფციებისა და თეორიების კიდევ ერთხელ გადახედვა, მოტივირების მეთოდების გაცნობა ვფიქრობ, ბიძგს მისცემს ქართულ კომპანიებს მოიფიქრონ და დანერგონ შესაბამისი მარტივად ადმინისტრირებადი და შემოქმედებითი, თანამშრომლებისთვის მისაღები პროგრამები, რაც მათი წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად შეიძლება იქცეს. ადამიანური რესურსების ეფექტიანი პოლიტიკა წარმოუდგენელია შრომითი მოტივაციისა და სტიმულირების გარეშე.

#### ლიტერატურა:

1. М. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури; Основы менеджмента. Пер. с англ. М.;1994г., с. 366-385.
2. Маслоу А. Мотивация и личность, 3-е изд, 2008 г.
3. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯმენტის საფუძვლები; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2008. გვ. 101.
4. <http://ipt-conf.ge/wp-content/uploads/2011/04/6-19.pdf>

### რეზიუმე

სტატიაში „შრომის მოტივაციის კლასიკური და თანამედროვე კონცეფციები“ გაანალიზებულია შრომის მოტივირების საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა, კერძოდ, ა. მასლოუს, დ. მაკკლეანდის, ფ. ჰერცბერგის, მ. მესკონის, ე. მეიოს, ფ. ტელიორის და სხვათა მიერ ჩამოყალიბებული ცალკეული დებულებები და კონცეფციები; მოტივირების თანამედროვე მეთოდები, რომელთა გაცნობა და გათვალისწინება კომპანიების წარმატების აუცილებელ პირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

## THE CLASSICAL AND MODERN CONCEPTIONS OF MOTIVATION

Giuli Giguashvili, Full Professor

### RESUME

The article, "The classical and modern conceptions of motivation," analyzes the labor motivation of scientists, in particular, A. Maslow, D.MakKleland, F.Hercberg, M. Meskon, E. Meio, F. Taylor and others formed by the separate provisions and concepts; Modern methods to motivate them to learn and take into account a company's success can be regarded as a necessary condition.



## ტურიზმი - მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორი

*ლეილა მამულაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ადამიანები ოდითგანვე მოგზაურობდნენ გარკვეული რისკის ფასად. გარკვეულ ეტაპზე, როდესაც მოთხოვნილება მოგზაურობებზე გაიზარდა, წარმოიშვა ამ მომსახურების მწარმოებლებიც. ყოველივე ამან მიგვიყვანა განსაკუთრებული ფენომენის – ტურიზმის – ფორმირებამდე, რომლის პროდუქცია შეიძლება შევიძინოთ და გავყიდოთ სამომხმარებლო ბაზარზე. ტურიზმის წარმოშობამ მოითხოვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება, ტურისტთა მომსახურებისათვის კვალიფიცირებული კადრების არსებობა და ტურისტული სამეურნეო სუბიექტების მიზანმიმართული მართვა. ყოველივე ამან განაპირობა ტურიზმის განვითარების აუცილებლობა სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგად. ტურისტთა მომსახურებისათვის განკუთვნილი პროდუქტის მწარმოებლები გაერთიანდნენ “ტურიზმის” დარგში. ტურიზმი არ წარმოადგენს პირველადი დანიშნულების სასიცოცხლო საქონელს, ამიტომ ადამიანის არსებითი მოთხოვნილებების ობიექტად ის მხოლოდ შემოსავლებისა და საზოგადოების სიმდიდრის გარკვეული დონის პირობებში გვევლინება.

ტურიზმის სოციალური და ეკონომიკური დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ეკონომიკურ მახასიათებლებს:

- ტურიზმი არის სხვადასხვა ტურისტული მარშრუტებით ადამიანთა გადაადგილება და მისი შედეგი;
- მოგზაურობა გულისხმობს იმ ქვეყნიდან ან რეგიონიდან გამგზავრებას, სადაც ტურისტი მუდმივად ცხოვრობს;
- ტურიზმი – ეს არის ინდივიდთა ისეთი მოგზაურობა, რომელიც არ მოიცავს საქმიანობას მოგების მიზნით.

გაეროს მიერ მიღებული ტურიზმის თანამედროვე განსაზღვრება მდგომარეობს შემდეგში: *ტურიზმი* მოიცავს ადამიანთა საქმიანობას, რომლებიც მოგზაურობენ და იმყოფებიან მათი ჩვეული გარემოს ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილებში ერთ წელიწადზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში დასვენების, საქმიანი ან სხვა მიზნებით. “ტურიზმისა და კურორტების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად “ტურიზმი-ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების ან სხვა მიზნით”. “ტურისტი-ფიზიკური პირია, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი ან სხვა მიზნით, არანაკლებ 24 საათისა და არაუმეტეს ერთი წლის ვადით და რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან”. აღნიშნული განმარტება ეფუძნება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მიერ დამტკიცებულ საერთაშორისო მგზავრთა სქემას. ტურისტული პროდუქტის რეალიზაცია ხორციელდება მომსახურების ფორმით. ტურისტული მომსახურება, როგორც საერთოდ მომსახურება არის გარკვეული სამომხმარებლო ღირებულების არსებობა, რომელიც გამოიხატება სასარგებლო ეფექტში და გაწეულ შეიძლება იქნას როგორც ნივთობრივი, ასევე არანივთობრივი ფორმით.

მომსახურების წარმოების მითითებული ორი საშუალება განაპირობებს მომსახურების ორ ტიპს. მომსახურების პირველი ტიპი – ეს ისეთი მომსახურებაა, რომელიც გაშუალებულია ნივთით და დაკავშირებულია მომხმარებლის მოთხოვნასთან. ამგვარი მომსახურების გაწევა თავისი შინაარსით მოიცავს შრომის პროცესის ყველა ელემენტს: შრომის საშუალებებს, შრომის საგნებს, თვით შრომას, ტექნოლოგიას და ორგანიზაციას. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს პირველი ტიპის მომსახურებას ვუწოდოთ მატერიალური ანუ წარმოებითი. ამ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ტურისტთა კვების ორგანიზება, სატრანსპორტო მომსახურება და ა.შ. მომსახურების მეორე ტიპი – ეს არის მომსახურება, რომლის მოქმედება მიმართულია უშუალოდ ადამიანისადმი ან მისი გარემომცველი პირობებისადმი. ასეთი ტიპის მომსახურება არ არის დაკავშირებული მატერიალურ პროდუქტთან, მისი წარმოება განუყოფელია მოხმარებისაგან, მომსახურების შექმნა ემთხვევა მის მოხმარებას. მოცემული მომსახურება არამატერიალურია (არაწარმოებითია). მას მიეკუთვნება ტურისტული საგზურების რეალიზაციის მომსახურება, ტურისტთა მომსახურება სასტუმროებში, განსაკუთრებულ ღონისძიებათა ორგანიზაცია და

ა.შ. როგორც ნებისმიერ საქონელს, არამატერიალურ მომსახურებასაც გააჩნია სახმარი ღირებულება და ღირებულება. არამატერიალური მომსახურების ღირებულება საზოგადოებრივი შრომის დანახარჯების ექვივალენტურია, რაც აუცილებელია მისი წარმოებისათვის.


მომსახურების გარდა ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ ტურისტული დანიშნულების საქონელი. ტურისტული დანიშნულების საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა განსაზღვრავს “ტურისტული პროდუქტის” ცნებას. ტურისტული პროდუქტი ეს არის უფლება გარკვეულ ტურზე. ტური – ტურისტების განთავსების, გადაყვანისა და კვების თვალსაზრისით მომსახურების კომპლექსია, ასევე საექსკურსიო და გიდ-თარჯიმანთა და სხვათა მომსახურებაა, რომელიც გაეწევა ტურისტს მოგზაურობის მიზნიდან გამომდინარე.

ტურისტული პროდუქტი მოიცავს:


- ტურებს, რომლებიც ერთიანდება მიზანმიმართულების მიხედვით (შემეცნებითი, გამაჯანსაღებელი და ა. შ. );
- სხვადასხვა სახის ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურებას (განთავსება, კვება, ტრანსპორტირება და სხვა);
- ტურისტული დანიშნულების საქონელს (სურათები, სუვენირები, ტურისტული მოწყობილობები და ა.შ.).

პრაქტიკაში ხორციელდება ტურისტული პროდუქტის როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტიც. ტურისტული პროდუქტის ექსპორტი – არის ქვეყნიდან ტურისტული შთაბეჭდილებების გატანა, რომელიც თანმდევია ტურისტების მიერ მოცემულ ქვეყანაში ფულის შემოდინებით. ტურისტული პროდუქტის იმპორტი კი არის ქვეყანაში ტურისტული შთაბეჭდილებების შემოტანა და ქვეყნიდან ერთდროულად ფულის გადინება. ფულადი ნაკადის ქვეყანაში შემოდინება, ტურისტული პროდუქტის ექსპორტია. უცხოელი ტურისტები, ჩამოდიან რა მოცემულ ქვეყანაში, ხარჯავენ ფულს თავიანთი ტურისტული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც მათ სთავაზობენ ტურისტული ფირმები. შესაბამისად, მოცემული ქვეყანა ახდენს საკუთარი ფასეულობის ექსპორტს და ტურისტის მიერ დახარჯული ფული რჩება მის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს იმავდროულად ნიშნავს იმ ქვეყნის ტურისტულ იმპორტს, საიდანაც ჩამოვიდა ტურისტი.

ტურისტული ექსპორტის დროს ფულადი ნაკადის მიმართულება ემთხვევა ტურისტთა ნაკადის მიმართულებას.



ყოველივე ეს ტურისტული ექსპორტის მთავარი თავისებურებაა. სწორედ ამაში გამოიხატება ტურისტული ექსპორტის განმასხვავებელი ნიშანი საქონლის ექსპორტისაგან, ვინაიდან საქონლის ექსპორტის შემთხვევაში ფულადი ნაკადი და საქონელთა ნაკადი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ხასიათდებიან.



ტურისტულ-სამეურნეო სუბიექტის ყოველი საქმიანობა დაკავშირებულია ტურისტებისათვის სხვადასხვა მომსახურების გაწევასთან. ტურისტები ტურისტულ-სამეურნეო სუბიექტების მიერ წარმოებული მომსახურების მომხმარებლებად გვევლინებიან. ტურიზმი, როგორც სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დარგთაშორისი, დივერსიფიცირებული კომპლექსი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზემოქმედების მასშტაბებით ხასიათდება. დავიწყოთ იქიდან, რომ ტურისტები ფულს ხარჯავენ სასტუმროებში, რესტორნებში, ტრანსპორტში და ა.შ. ამგვარად, ადგილი აქვს ქვეყნის

ეკონომიკაში ერთგვარ შეღწევას. აღნიშნული ფაქტორი შეიძლება გამოყენებული იქნას ეკონომიკაში პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენის მეშვეობით. ტურიზმის ზემოქმედება ეკონომიკაზე ტურიზმის ეკონომიკური ფუნქციებით განისაზღვრება. ეს უკანასკნელი რამდენიმე ფორმით ვლინდება:

- ტურიზმის სწორი ორგანიზაციის პირობებში, მას მოაქვს სწრაფი მოგება (მათ შორის ვალუტიანაც) ინდუსტრიის სხვა დარგებთან შედარებით. კერძოდ, დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურება ხშირად 5-10 წელიწადში ხდება, მაშინ როცა მრეწველობაში ამას რამდენიმე ათეული წელი სჭირდება;

- ტურიზმის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს ამა თუ იმ საქონლის ე.წ. “უხილავი ექსპორტი”. საქმე ის არის, რომ დასვენების ან მოგზაურობის ადგილას მყოფი უცხოელი ტურისტი არა მარტო ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნის მატარებელია, არამედ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტზე მოთხოვნილების მქონე ადამიანიც. ამ პროდუქტს ტურისტი იძენს უცხოურ ვალუტაზე ან ადგილობრივი ფულით, რომელიც მის მიერვე უცხოური ვალუტით იქნა შეძენილი. ორივე შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს რომ გაყიდული საქონელი ექსპორტირებულია იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად მისი გაგზავნისა საზღვარგარეთ, თვით მომხმარებელი ჩამოდის ამ საქონლის შესასყიდად, რასაც დიდი სავალუტო შემოსავალი მოაქვს და დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს.

- ტურისტული კომპლექსის ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული მომიჯნავე დარგების განვითარების დონეზე (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობის ცალკეული დარგები, ტრანსპორტი, სამშენებლო ინდუსტრია, კომუნალური მეურნეობა, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, სავაჭრო მომსახურება და სხვა.), ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტურიზმი სტიმულს აძლევს ამ დარგების განვითარებას, სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, ქვეყანაში შეიძლება ტურისტებისაგან მოახდინოს დამატებითი შემოსავლების მიღება ფისკალური სისტემის მეშვეობით და პარალელურად არ დააზარალოს საკუთარი ტურისტული ინდუსტრია. ყოველივე ეს მიიღწევა ტურისტების მხრიდან შემოსავლების პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრით. ასეთ სიტუაციაში საერთაშორისო ტურიზმის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, დამოკიდებულია მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე. ძირითადი სირთულე მდგომარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯების ზუსტ პროგნოზირებაში და უცხოური სესხების მიღების თვალსაზრისით ქვეყნის შესაძლებლობაში. ტურიზმი მოიცავს ეკონომიკის მრავალ სექტორს, რაც ართულებს ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ზუსტი რაოდენობის შეფასებას. უფრო მეტიც, რეალური შეფასების პრობლემის გადაწყვეტა რთულდება შრომის სპეციფიკური ხასიათისა და ტურისტულ სექტორსა და ეკონომიკის სხვა სექტორებს შორის კავშირების გამო. მცირე ქვეყნებისგან განსხვავებით მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში ტურისტულ სექტორებში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 5%. მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ქვეყანაში ტურიზმის ზრდა ქმნის მრავალ სამუშაო ადგილს, ამიტომ დასაქმებაზე ტურიზმის განვითარების ზეგავლენა შეიძლება გახდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და შესაბამისად დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზეც.

#### ლიტერატურა:

1. დ. შონია, მარკეტინგი, თბ., 2006;
2. [http://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმის\\_ინდუსტრია](http://ka.wikipedia.org/wiki/ტურიზმის_ინდუსტრია)
3. [http://navigator.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=27&info\\_id=7653](http://navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27&info_id=7653)
4. <http://ucnauri.com/2010/საქართველოს-ტურიზმი>
5. <http://pirveli4ever.wordpress.com/2010/06/23/ტურიზმის-განვითარების-პე/>

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტურიზმის, როგორც მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური ფენომენის განვითარება, მისი ეკონომიკური მახასიათებლები. ტურისტული მომსახურება, როგორც საერთოდ მომსახურება არის გარკვეული სამომხმარებლო ღირებულების არსებობა, რომელიც გამოიხატება სასარგებლო ეფექტში და გაწეულ შეიძლება იქნას როგორც ნივთობრივი, ასევე არანივთობრივი ფორმით. პრაქტიკაში ხორციელდება ტურისტული პროდუქტის როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტიც. ტურისტულ-სამეურნეო სუბიექტის ყოველი საქმიანობა დაკავშირებულია ტურისტებისათვის

სხვადასხვა მომსახურების გაწევასთან. ტურიზმი, როგორც სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის დარგთაშორისი კომპლექსი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზემოქმედების მასშტაბებით ხასიათდება. გარდა ამისა, ქვეყანამ შეიძლება ტურისტებისაგან მოახდინოს დამატებითი შემოსავლების მიღება ფისკალური სისტემის მეშვეობით და პარალელურად არ დააზარალოს საკუთარი ტურისტული ინდუსტრია. ყოველივე ეს მიიღწევა ტურისტების მხრიდან შემოსავლების პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრით. ასეთ სიტუაციაში საერთაშორისო ტურიზმის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, დამოკიდებულია მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე.

## **TOURISM - THE FACTOR OF SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE WORLD**

**Leila Mamulashvili, Associate Professor**

### **RESUME**

The paper deals with development of the tourism as the world's socio-economic phenomenon, its economic characteristics. Travel service, as a service in general, is existence of certain customer value, expressed in useful effect, and may be rendered as material and also immaterial forms. In practice a tourist product is exported, and imported as well. Each tourism & economic activity is related to a variety of services for tourists. Tourism, as an inter branch complex of social infrastructure is characterized by an important economic impact scale. In addition, country can make extra incomes through tourists by fiscal system and at the same time not harm the tourism industry. This can be achieved through direct and indirect taxation of incomes from tourists. In such a situation, the impact of international tourism in the state budget, especially for developing countries, depends on the country's economic and financial position.

### **მომხმარებლის ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტი**

*მანანა ნანიტაშვილი, სრული პროფესორი*

სრულყოფილი მარკეტინგული კვლევა წარმოდგენელია მომხმარებელთა გამოკვლევის, კერძოდ მომხმარებელთა ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლის გარეშე. გრძნობითი შეფასებები – ფსიქოლოგიის სფეროა. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ფენომენის შესწავლა მხოლოდ იმ კონტექსტში, რომელშიც იგი გვევლინება გარე ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს მიზნების აგების პროცესში პირადი გრძნობითი მექანიზმის ჩართვის უნარს, მის მოტივაციას.

არსებითად, საუბარია წარმატების მიზანდასახულობის ფენომენზე – სპეციფიკურ გარე (პიროვნებასთან დამოკიდებულ) სტიმულზე.

წარმატების მიზანდასახულობის გამოუმუშავება ხორციელდება საზოგადოებრივი – სახელმწიფო ორგანიზმის მიერ, რომელიც წარმოადგენს პიროვნების ქცევის რეგულირების აუცილებელ საშუალებას სისტემური განათლების არსებობისა და პროგრესის მიმართულებით.

სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში წარმატების მიზანდასახულობა გამოიხატება პიროვნების გამოყოფით, რომელსაც შესწევს უნარი საქმიანი წარმატებების მიღწევაში იყოს სხვებისათვის მაგალითი, ე.ი. იყოს კარგი ორგანიზატორი და თავისი საქმის პროფესიონალი, ამისათვის მიიღოს შესაბამისი შემოსავალი და იცოდეს მისი დაგროვება.

“წარმატების ხაზი”, ფორმირებადი იდეოლოგიური კონცეფციების გავლენით, ჩვენს ცნობიერებაში აღიქმება ისეთი სახით, რომ საჭიროა საქონლის ან სამომხმარებლო თვისებების

აუცილებელი მოთხოვნები იხილეთ ნაკრები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების დაჩქარებულ განვითარებას, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას და ა. შ.

თავის მხრივ რაციონალური მოხმარების მოთხოვნებს გააჩნია თავისი წარმატების ხაზი: მისი კოორდინატები განლაგებულია ველის განაპირას, მოიცავენ მეცნიერულ დონეზე პროდუქტების, სამომხმარებლო თვისებების და პროცესების მოხმარებას, რომლებიც შეესაბამებიან წარმოდგენას ცხოვრების ჯანსაღი აქტიური წესის შესახებ.

მასასადამე, წარმატების მიზანდასახულობა, სანამ გახდება ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური რეგულატორი, ითვისებს განზრახვის პოტენციალს და საზოგადოების მისწრაფებებს განვითარების ყველა მიმართულებით.

წარმატების მიზანდასახულობა გარდაიქმნება ფსიქოლოგიურ რეგულატორად იმ მომენტიდან, როცა ადამიანის ცნობიერება ერთვება თავისი ადგილის შეფასების პროცესში საზოგადოებრივად აღიარებულ ადამიანთა საქმიანი შესაძლებლობების მოხმარების გათვალისწინებით.

ადამიანის საქმიანობის უნარი განიხილება როგორც წარმოებისა და მოხმარების უნართა ჯამი. წარმატების მიზანდასახულობა – როგორც პიროვნების გაცნობიერებული მზადყოფნა მოხმაროს პროდუქციის საუკეთესო დონის ნიმუშები, კონკურენციის დაცვის პირობებში პირად მოხმარებაში ამ ნიმუშების ჩართვის უფლებით.

ფსიქოლოგებს, რომლებიც იკვლევენ ადამიანთა ცხოველმოქმედების უნარიანობის პრობლემას, ზოგჯერ მათი ბუნების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი გააჩნიათ. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ინდივიდუალური შესაძლებლობები განისაზღვრება საზოგადოებრივი გამოცდილების დონით, საზოგადოების მიერ შექმნილი პირობებით, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ რაოდენობრივად და არა თვისებრივად. ამ კითხვაზე მსგავსი შეხედულებები გააჩნდათ ცნობილ ფსიქოლოგებს ა. ფ. ლაზურსკის, ნ. ს. ლეიტესს და სხვ. მეცნიერთა ნაწილი სხვაგვარად აფასებს უნარიანობის ბუნებას. ცნობილი ფსიქოლოგების ა. გ. კოვალევის და ვ. ნ. მისაიშევის შეხედულებით “საქმიანობის მაღალი შედეგები განისაზღვრება ბუნებრივი მონაცემებით”<sup>1</sup> მათი აზრით, მნიშვნელოვანია ნებისყოფის ძალისხმევა, რომლის საშუალებითაც პიროვნება ანვითარებს თავის ნიჭს ტალანტის ან გენიალურობის დონემდე. მეცნიერ ბ. ალიაკრინსკის აზრით, ამის ნათელი დადასტურებაა დემოსფენის, ტ. ედისონის, ა. ეინშტეინის მაგალითი.

წარმატების სუბიექტურ შემადგენელს განსაზღვრავს ის, რომ პიროვნების წარმატების შეფასება ხორციელდება მასში გრძნობითი აპარატის: ნებისყოფის ხარისხის, ემოციის მექანიზმის ჩართვის საფუძველზე. წარმატების მიღწევა აღიქმება როგორც დიდი სიამოვნება, რომელსაც თან ახლავს დადებითი ემოციები. არსებითად, რეაქცია მიზანდასახულობაზე ადამიანში ბადებს რიგ მოტივებს: პრესტიჟის მოტივი, მიმსგავსების მოტივი<sup>2</sup>.

ბევრი თავყვანს სცემს სახელგანთქმული პირების მიერ რეალიზებულ საქონელს, ცდილობენ შეიძინონ ეს საქონელი, რათა ახლოს დადგნენ თავის კუმირთან და ამით მაინც დაემსგავსონ მას. წარმატებასთან ზიარება საქონლის პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით – არის შედეგი, რომლისკენაც ისწრაფვის პიროვნება.

პასიურობის, ამგვარი სახის რეაქციას განაპირობებს ის ფაქტი, რომ წარმატების მიზანდასახულობა იმყოფება არა პიროვნების, არამედ მწარმოებლის, საზოგადოების და სახელმწიფოს ხელში.

ამიტომ არ იქნება სწორი სამომხმარებლო შეკვეთის ფორმირების პროცესის აღწერა შემოიფარგლოს განსაკუთრებული პასიური რეაქციის პოზიციიდან და მისი შედეგებიდან.

წარმატების მიზანდასახულობა არსებითად ეს არის პიროვნების, როგორც სუბიექტის თვითგანმტკიცების მოტივი, რომელიც გამოდის საზოგადოების მიერ არ აღიარებული უნარიანობისა და მოთხოვნების ე.ი. ინდივიდუალობის როგორც თვითშეფასების სახელით. თვითგანმტკიცების მოტივია – უფრო საერთო მოტივის გამოხატვის ფორმა – პიროვნების თვითგამოხატვის (მე) მოტივის განთავისუფლება შემზღუდავი პირობებისაგან.

ავტორი იზიარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი პოტენციურად ტალანტის მქონეა, უნიკალურია თავისი პიროვნული შესაძლებლობებით ისევე, როგორც ყველა საქონელი, ინდივიდუალური შესაძლებლობებიც პოზიციონდება კრიტერიუმით: “საჭირო დროს და საჭირო ადგილას”. რიგი ადამიანებისა იბადება ცენტრალურ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი,

<sup>1</sup> Ковалев А. Г. Психология личности. М., 1970. с. 106.

<sup>2</sup> Фрейд З., Будущее одной иллюзии. В кн. Сумерки Богов. М., Политиздат. 1990. с. 94-142.

ბათუმი და ა. შ.), სხვები დაშორებულ რაიონებში. ერთნი იბადებიან “თავის” დროს, სხვები უსწრებენ მას. ეს არის თავისი პიროვნული შესაძლებლობების თვითპოზიციირების პრობლემის ობიექტური მხარე. პრობლემის სუბიექტური მხარეა: ნებელობა, ხასიათი, გატაცება.

ძლიერი გრძნობების ნიჭი წარმოადგენს ნიჭიერებისა და ტალანტის ერთ-ერთ მხარეს – ამბობდა დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე, ამის გარეშე, – წერდა იგი, – ამ გრძნობის გარეშე არ არის გენია, არ არის ტალანტი, არ არის გონება – რჩება ერთი უმსგავსი “სალი აზრი”.

ექვგარეშეა, საზოგადოებრივი აღიარებისათვის ყველასათვის უცნობი, თავისი შესაძლებლობების წინწაწევა ადამიანისაგან მოითხოვს გრძნობადობის უფრო მეტ ემოციურ დამაბულობას, ვიდრე წინა შემთხვევაში. მეცნიერები, მხატვრები, მწერლები – არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება წარმოადგენს, როგორც წესი, სწორედ ასეთი მტკიცე და ღრმა გრძნობადობის (გატაცების) მაგალითს.

თვითპოზიციირების ამ ელემენტის მარკეტინგული ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ მომავალში მოხმარების პროცესზე მისი გადატანით იგი გულისხმობს ინტერესის შერევას (უწარადან როგორც იდეალური მდგომარეობის) ობიექტთან, მატერიალიზებულ შესაძლებლობებთან. ამ კავშირში დომინირებს ორი პიროვნული მიზანდასახულობა: ინტროვერსია და ექსტრავერსია.

ინტროვერსიის დროს, ენერჯის მოძრაობა ხორციელდება შიგა სამყაროს მიმართულებით. ექსტრავერსიის დროს ინტერესი მიმართულია გარე სამყაროზე.

ექსტრავერსიული მიზანდასახულობისას გარე ფაქტორები წარმოადგენს გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალას გრძნობითი აღქმის, აფექტების და მოქმედებების მსჯელობისას. ეს მკვეთრად ახდენს კონტრასტირებას – წერს ფსიქოანალიტიკოსი დარელ შარტი – ინტროვერსიის ფსიქოლოგიურ ბუნებასთან, სადაც შიგა ან სუბიექტური ფაქტორები წარმოადგენენ წამყვან მოტივაციას<sup>1</sup>.

თვითმიზანდასახულობას წარმატების ცნება დაყავს პიროვნულ შესაძლებლობებამდე და ამიტომ ყოველთვის და ყველა შემთხვევებში მოხმარების პროცესში შეაქვს შემოქმედებითი საწყისი ელემენტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ “კარდენის” პიჯაკი აუცილებლად მოითხოვს “მეპატრონის” მიერ სახის შეცვლას. თუ მოხმარებელი შემოქმედებითი მკერავია, მაშინ ამგვარი ნაბიჯი სავსებით მართებულია.

ამგვარად, ცნობიერად ან არაცნობიერად პიროვნება ეძებს მოხმარებაში თავისი შესაძლებლობების ანალოგს, რომელიც ჯერ არ არის აღიარებული.

ხშირად ადამიანები ყურადღებას მიაპყრობენ მოხმარებაზე როგორც თვითმიზანზე. საუბარია ე. წ. კოლექციონერებზე და ჰობის მოყვარულებზე.

როგორ ყალიბდება ფსიქოლოგიური რეაქციების მექანიზმი აღქმის დონეზე? აღქმის დონეზე მოქმედებს რეაქციის თავისი სპეციფიკური მექანიზმი. ზ. ფროიდი, ა. ადლერი და მათი მიმდევრები ამ პროცესის ინტერპრეტირების საშუალებას იძლევიან შემდეგი სახით. ქვეცნობიერება ხდება საქონელზე, პროდუქტებსა და პროცესებზე რეაქციის მთავარი საფუძველი იმ შემთხვევებში, როცა ფორმირებას იწყებენ, როგორც ამას ადამიანები უწოდებენ „არასრულფასოვნების კომპლექსები“. არასრულფასოვნების კომპლექსი, მიზეზი და ა.შ. – ეს არის, პიროვნების თვალსაზრისით, გადაუწყვეტელი პრობლემები. მათი რიცხვი დიდი და მრავალფეროვანია. თუ შრომისადმი თავისი შესაძლებლობების თვითპოზიციირებისას ირკვევა, რომ სახლი და ავტომობილი პრინციპულად მიუღწევადია ადამიანისათვის, მაშინ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი იძენს ე.ი. სოციალურ-ეკონომიკური გეგმის გადაუჭრელი პრობლემების ფორმას. თუ ფიზიკური ჯანმრთელობა გამოუსწორებელია, დაიკარგა და მისი აღდგენის ყველა მცდელობა უკავშირდება არასაკმარის შემოსავლებს (იგივე ანტისტიმულს) ან საჭირო წამლის არარსებობას, მაშინ საუბარია ერგონომიკური ხასიათის პრობლემის შესახებ. სპეციფიკური ფსიქოლოგიური კომპლექსები იწყება სუბიექტის მიერ წარმატების მიღწევის შესაძლებლობების უუნარობის გაცნობიერებით ე.წ. საზოგადოების მხრიდან მათი აღიარების მისაღწევად. განსაკუთრებით მძიმე გადასატანია ეს პრობლემა ექსტრავერტებისათვის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გრძნობითი რეაქციები “არ ირთვება” იმ შემთხვევებში, როცა კომპლექსების ბუნება დაკავშირებულია არასაკმარის შემოსავლებთან ან ჯანმრთელობასთან.

თვითმიზანდასახულობა წარმატებისათვის (როგორც ცნობიერების აქტიური რეაქციის ფორმა) საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი იძლევა საზოგადოების მხრიდან არ აღიარებული საქმიანობის ინდივიდუალური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ნაწილის ობიექტირების შესაძლებლობას და ამ

<sup>1</sup> Дарел Шарт, Типы личности. Юнговская модель типологии. Перевод с англ. Воронеж, НПО «МОДЭК», 1994. с. 11.

თვალსაზრისით იგი წარმოადგენს გადაუჭრელი პრობლემების მუდმივ “მიმწოდებელს” ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის.

საჭიროა აღინიშნოს ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის: ფიზიოლოგიური კომპლექსების ნაკრები (ჯანმრთელობის ნაკლი, სიკვდილის მუდმივი შიში, სექსუალური კომპლექსები, სიყვარულის არარეალიზებული გრძნობა და ა.შ.); სოციალური და ინტელექტუალური ნაკრები კომპლექსების, გამომდინარე საზოგადოებრივი, ჯგუფური არასრულფასოვნებისა და თამაშის სამართლებრივი წესებიდან.

გადაუჭრელი პრობლემები ფიქსირდება ადამიანის ცნობიერების მიერ იმისათვის, რომ მოხდეს მისი “გადაწვევა” ცნობიერების პერიფერიაში. საქმე ეხება იმას, რომ გადაუწყვეტი პრობლემა არასასიამოვნო განცდის წინაშე აყენებს ადამიანს, აუტანელი ტკივილის მიყენებით ქანცავს მას. ზოგჯერ ამბობენ: დრო კურნავს. გარკვეულწილად ეს ასეა, მაგრამ ცნობიერებას არ შეუძლია ხანგრძლივი დროით დაიკავოს ტანჯვის საწინააღმდეგო პოზიცია და “ირთვება” პრობლემის გადაჭრის მექანიზმი ქვეცნობიერის უჯრედში. ქვეცნობიერში “გახვეული” პრობლემა განაგრძობს არსებობას ფსიქოლოგიური კომპლექსის ფორმით.

პრობლემის დაძლევა – ადამიანური ყოფის ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა. ჩვენ იგი გვემის ასე: უცხო თვალისათვის შეფუთული, დაფარული კომპლექსი ცხოვრებიდან არ ქრება. იგი აგრძელებს ადამიანზე ზემოქმედებას ნელ-ნელა და არღვევს მის სხეულებრივ ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევებში ადამიანები საუბრობენ დარღვეულ სულიერ წონასწორობაზე.

ყურადსაღებია ზ. ფროიდის მოძღვრებიდან ფიზიკურად ავადმყოფი ადამიანების მკურნალობის მეთოდი. მისი თქმით საჭიროა ავადმყოფთან ერთად ავადმყოფობის ყველაზე ღრმა მიზეზის სათავეს მიგნება. ასეთი ავადმყოფობის არსი ხომ – კომპლექსია, ხანდახან ღრმად დამალული ქვეცნობიერების უამრავი უჯრედებიდან ერთ-ერთში. ცხადია ცნობიერების უარყოფითი რეაქცია ტანჯვაზე, პირდაპირპროპორციულია მისი სიღრმისა და ინტენსივობის. ამ სიღრმის მიზეზის შეცნობა და ამით გადაუჭრელი პრობლემის მოგვარების მცდელობა გამოჯანმრთელების საწინდარია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კომპლექსის დაძლევა – არის მისი მკურნალობა. ფროიდის მიხედვით ამ მკურნალობის ორგანიზება შეუძლებელია, თუ კლიენტისათვის ცნობილი არ იქნება თავისი ავადმყოფობის მიზეზი.

ყველაფერ ამას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს კრიტერიუმების შემუშავებასთან, რომლებითაც ვალდებულია მარკეტოლოგმა იხელმძღვანელოს რეკლამებისა და მომხმარებელზე ზემოქმედების სხვა სფეროებში ფსიქოანალიტიკოსების მიღწევების გამოყენებით. ეს კრიტერიუმები მარტივი და გასაგებია. მომხმარებელს, რომელსაც არ გააჩნია არჩევანის თავისუფლება, დაიყვანება ცხოველის დონეზე, მარკეტინგი კი შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, გარდაიქმნება თავის საწინააღმდეგოდ.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ა. ადლერის მოძღვრება. ადლერი ფროიდის იდეის განვითარებით წინ წავიდა. იგი არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ქვეცნობიერი მოტივების საწყისად მიჩნეულია დაუკმაყოფილებლობა და სიკვდილის შიში. მისი აზრით – და კვლევის ავტორიც აღიარებს ამ შეხედულების სისწორეს – კომპლექსების შემცველობა იზომება უმთავრესად “მალაუფლების კომპლექსებით”, ე.ი. ცხოვრების პროცესში წარმატების თვითმიზანდასახულობასა და რეალურ ცხოვრებას შორის მუდმივად მზარდი დისპროპორციის გაცნობიერებით.<sup>1</sup>

მაშასადამე, წარმატებისაკენ სწრაფვა ადამიანებს ყოფს ორ ჯგუფად. ერთი განეკუთვნება ქცევის მოდელს:

$$M^y \rightarrow S_{100}^y; \quad \text{მეორე: } M^y \rightarrow \Delta H^y;$$

სადაც:  $M^y$  – წარმატების მოტივია;

$S_{100}^y$  – წარმატების მიზანი ადამიანთა ჯგუფებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან ტრადიციული სამომხმარებლო ნიშის გაჯერებისთვის;

$\Delta H^y$  – წარმატების მიზანი ადამიანთა ჯგუფებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან და წინ მიიწევენ უფრო მაღალი წარმატებისაკენ პირვანდელ დონესთან შედარებით.

<sup>1</sup> Адлер Альфред. Теория и практика индивидуальной психологии. М., 1997. с. 85-130.

ავტორის მოსაზრებით ქცევის ზემოთ განხილული მოდელები უფრო სრულყოფილი იქნებოდნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სტიმულზე: კონკურენცია, ბრძოლა, მეტოქეობა, ადამიანთა რეაქციის გათვალისწინებით.

მამასადამე, თუ მოდელს  $(M^y \rightarrow S_{100}^y)$  განვიხილავთ მოცემული ფაქტორის გავლენის გარეშე, მაშინ საქმე იქნებოდა შემდეგნაირად: ყიდვა ასანთის, კარტოფილის, პურის ან ყოველდღიური ტანსაცმლის დაკმაყოფილების გრძნობასთან შეხამებით (შეგრძნება გაჯერების თვალთახედვით), კვალიფიცირებული იქნებოდა როგორც წარმატება. ადამიანებისთვის, რომლებმაც გადაიტანეს ცხოვრების მძიმე წლები და ხშირად იგონებდნენ ამ დროს, ყოველსმომცველი დეფიციტის დაძლევა ნამდვილად აღიქმება როგორც წარმატება. ეს უფრო მეტია, ვიდრე ნორმალური შეგრძნება. მისი ბუნებაა – წარმატებით დაკმაყოფილება (სრულად ან ნაწილობრივ) გადარჩენისათვის ბრძოლაში.

საყოველთაო დეფიციტის ეპოქის დასასრული, უდავოდ, დღის წესრიგიდან ხსნის ისეთ მიზნობრივ ფუნქციას, როგორცაა “ბრძოლა არსებობისათვის”. ამგვარი მიზანი, არსებითად, დამამცირებელია ცივილიზებული ადამიანისთვის, თუმცა დრო და დრო ჩნდება როგორც თანამედროვე ცივილიზაციის არასასურველი თანამგზავრი (სტიქიური უბედურებები, ომები და ა. შ.).

თანამედროვე სამყაროში წარმატების ბუნება იცვლება. მისი მიზნობრივი ფუნქცია ფიზიოლოგიური სპექტრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სფეროდან გადაადგილდება სოციალური მოთხოვნილებების სფეროში.

დეფიციტი ახლა ვლინდება როგორც მოვლენის ასახვა, რომელიც მარკეტოლოგებისთვის ცნობილია ახალ საქონელზე მოთხოვნის წინსწრების სახით მწარმოებლის შედარებით შენელებულ რეაქციასთან დამოკიდებულებით. ბოლოს და ბოლოს ბრძოლის, მეტოქეობის მოტივს უპირისპირდება “მიწოდება” ე. წ. პრესტიჟული საქონლის და მომსახურების ფორმით. მოცემული მოტივის არარსებობის შემთხვევაში, პრესტიჟულობას, როგორც ფენომენს არ ექნებოდა არავითარი ნიადაგი.

მეტოქეობის მოტივი – გენეტიკურად დამახასიათებელია ადამიანისთვის, მისი სულიერი რეფლექსია.

სწორედ ამის გამო, საქონლის ყიდვას წინ უსწრებს ადამიანის შეგნებული სწრაფვა თავისი მიზნების იმგვარად ფორმირების, რომ პირველ რიგში უზრუნველყოს არასაკმარისი რესურსული უზრუნველყოფის მოთხოვნილებები.

არსებობის ან სიჭარბის ფაქტს ცნობიერების ყურადღება გადააქვს ახალ მიზნებზე, სადაც ასეთი უზრუნველყოფა არ არის. ამიტომ მიზანშეწონილია ქცევის ზემოთ მოტანილი მოდელების დამატება.

სამომხმარებლო შეკვეთის ნაწილი, რომელსაც ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც აუცილებელს), დაკმაყოფილების პროცესში რთავს პრესტიჟული საქონლის შეზღუდულ წრეს, მეორე მხრივ, სამომხმარებლო შეკვეთის სხვა ნაწილი  $\Delta C$  (“ფუფუნების” პრივილეგიას, მოხმარებას და ა.შ.) პირიქით, დაკმაყოფილების პროცესში რთავს პრესტიჟული საქონლის მუდმივად გაფართოებად წრეს.

მომხმარებლის შემოსავლების არსებობა იმ ოდენობით, რაც საკმარისია ნებისმიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, გარდაქმნის მას აქტიურ ფიგურად ეკონომიკურ და არა ფსიქოლოგიურ ასპექტში.<sup>1</sup>

მომხმარებელი გამოდის სუბიექტის სახით, შეუძლია თავისი სამომხმარებლო მიზნებიდან გამომდინარე პრესტიჟული საქონლის წინწაწევა არასაკმარისი საშემოსავლო უზრუნველყოფის შემთხვევაში – სწორედ ეს არის აქტიური – ფსიქოლოგიური მოხმარების კვლევის ობიექტი.

სწორედ ამ მომხმარებელს შეუძლია გრძნობითი სიამოვნების მიღება მოთხოვნილების დაკმაყოფილების არა თვით ფაქტით, არამედ გაცნობიერების უფრო მაღალ თვისებრივ დონეზე თავისი მიზნების გასვლით.

მამასადამე, მოხმარების “შიგა” პირობები წინასწარ განსაზღვრავენ სამომხმარებლო შეკვეთის სტრუქტურას, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: ტრადიციული მოთხოვნილებები და “ნამატი” მოთხოვნილებები. ეს უკანასკნელი იძენს გამყიდველის ან მომხმარებლის მოლოდინის ფორმას. სწორედ “ნამატი” მოთხოვნილებების მოლოდინი წარმოადგენს სამომხმარებლო შეკვეთის საძიებელ ფორმას.

<sup>1</sup> მ. ნანიტაშვილი. მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესები. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გსუ), შრომების კრებული, ტ. III, 2000, გვ. 103-111.



მოხმარების “გარე” პირობების შედეგების გამოკვლევა მოლოდინის სტრუქტურისა და შინაარსის დახასიათების საშუალებას იძლევა. მისი ქვედა ზღვარის ფორმირებას განაპირობებს მოხმარების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ხოლო ზედა ზღვარს – ბუნებრივი, იდეოლოგიური ან ფსიქოლოგიური. როგორც შედეგი – ფულადი დაგროვების სტრუქტურა განიხილება როგორც სამომხმარებლო მოლოდინის სტრუქტურისაგან წარმოებული სიდიდე. აქედან:

$$K_{cu} = K_a,$$

სადაც  $K_{cu}$  – სარგებლობის მოსალოდნელი ზრდის კოეფიციენტი მოხმარების “შიგა” პირობების შედეგებიდან გამომდინარე;

$K_a$  – დაგროვების ზრდის შეჯამებული შეფასება ყველა გარე ფაქტორების გავლენისა.

სარგებლიანობის შეფასების ლოგიკა ასეთია, რომ იგი არის თავის სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისთან მისი გადამეტების ფაქტი, არის დასტური როგორც მოხმარებლის აქტიური პოზიციის გამოვლინების, ისე საფუძვლიანი შეფასებების არსებობისა თითოეულ “გარე” ფაქტორთან დამოკიდებულებით.

ამიტომ:

$$K_d = \left( K_d^{e/a} + [K_d^1 + K_d^2 + K_d^n] \right)$$

სადაც:  $K_d^{e/a}$  – დაგროვების ნამატის კოეფიციენტი მუშაკის მოლოდინის შესაბამისად;

$K_d^1 + K_d^2 + K_d^n$  – დაგროვების ნამატის კოეფიციენტი “რაციონალური”, პატრიოტი ადამიანის მოლოდინის შესაბამისად, რომელიც იღწვის საზოგადოებრივი წარმატებისათვის.

მომხმარებლის აქტიურ პოზიციას ადგილი აქვს როცა:

$$K_d^1 + K_d^2 + K_d^n > K_d^{e/a}$$

თავის მხრივ:  $K_d^{e/a} / K_d = d^{e/a}$  და ა. შ. იქნეს თვისებას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ გავლენიანი როლი.

ამგვარად, სამომხმარებლო შეკვეთა, რომელიც ყალიბდება მოხმარებლის გარე პირობების გავლენით, იღებს შემდეგ სახეს:

$$\text{მ. შ.} = \left( \Delta C \cdot d^{e/a} + [\Delta C \cdot d^1 + \Delta C \cdot d^2 + \Delta C \cdot d^n] \right)$$

მასასადამე, მოხმარების “შიგა” პირობები განსაზღვრავენ თვით მოხმარებლის შექმნის იდეას. ამიტომ მისი მთავარი დანიშნულება დაკავშირებულია მოხმარების ჩამოყალიბებასთან, უფრო ფართო აზრით კი – სამომხმარებლო შეკვეთასთან ადამიანთა ცნობიერებაში. მოხმარების “გარე” პირობები კი ასრულებენ სრულიად დამოუკიდებელ და უაღრესად მნიშვნელოვან როლს, რადგანაც მოხმარებას და წარმოებას აკავშირებენ ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან ორგანიზმს, რომელსაც ეკონომიკა ეწოდება. მოხმარებლის ქცევა განასახიერებს ერთის მხრივ ეკონომიკის ობიექტურ საწყისებს, მეორეს მხრივ კი – მარკეტინგს ანიჭებს დინამიზმს დამოუკიდებელი ქცევის მიმართ შემეცნების უნარის ხარჯზე.<sup>1</sup> მოხმარებლის ქცევა, თავის დასრულებული სახით, წარმოგვიდგება როგორც ყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პროცესი, რომელიც დღეს წარმოგვიდგება როგორც უპირატესად აღწერილობითი პროცესი და არ არის გამოხატული სისტემურ დონეზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, ავტორის შეხედულებით, წარმოადგენს უყურადღებობა მოხმარების შიგა და გარე პირობების შედეგების დამუშავებისადმი.

#### ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1994.
2. Адлер Альфред, Теория и практика индивидуальной психологии, М., 1997, с. 85-130.
3. Дарел Шарт, Типы личности. Юнговская модель типологии. Перевод с англ. Воронеж, НПО «МОДЭК», 1994, с. 11.
4. Дайан Арман, Маркетинг. В кн. «Академия рынка. Маркетинг». Перев. с Фр. М., Экономика, 1993, с.75-100

<sup>1</sup> მ. ნანიტაშვილი. მოხმარების სფეროს ფუნქციები და ცნობიერება მოხმარებლის ქცევაში. გსუ, შრომების კრებული, ტ. III, 2000, გვ. 93-102

5. Ковалев А. Г., Психология личности, М., 1970, с. 106.  
6. Фрейд З., Будущее одной иллюзии, В кн. Сумерки Богов. М., Политиздат, 1990, с. 94-142.

## რეზიუმე

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ფენომენის შესწავლა მხოლოდ იმ კონტექსტში, რომელიც განსაზღვრავს მიზნების აგების პროცესში პირადი გრძნობითი მექანიზმის ჩართვის უნარს, მის მოტივაციას. არსებითად, საუბარია წარმატების მიზანდასახულობის ფენომენზე, სპეციფიკურ გარე (პიროვნებასთან დამოკიდებულ) სტიმულზე.

წარმატების მიზანდასახულობა გარდაიქმნება ფსიქოლოგიურ რეგულატორად იმ მომენტიდან, როცა ადამიანის ცნობიერება ერთვება თავისი ადგილის შეფასების პროცესში საზოგადოებრივად აღიარებულ ადამიანთა საქმიანი შესაძლებლობების მოხმარების გათვალისწინებით.

მოხმარების „შიგა“ პირობები განსაზღვრავენ თვით მოხმარებლის შექმნის იდეას. ამიტომ მისი მთავარი დანიშნულება დაკავშირებულია მოხმარების ჩამოყალიბებასთან, უფრო ფართო აზრით კი – სამომხმარებლო შეკვეთასთან ადამიანთა ცნობიერებაში. მოხმარების „გარე“ პირობები კი ასრულებენ სრულიად დამოუკიდებელ და უაღრესად მნიშვნელოვან როლს, რადგანაც მოხმარებას და წარმოებას აკავშირებენ ერთმანეთთან. მოხმარებლის ქცევა განასახიერებს ერთის მხრივ ეკონომიკის ობიექტურ საწყისებს, მეორეს მხრივ კი – მარკეტინგს ანიჭებს დინამიზმს დამოუკიდებელი ქცევის მიმართ შემეცნების უნარის ხარჯზე. მოხმარებლის ქცევა, თავის დასრულებული სახით, წარმოგვიდგება როგორც ყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პროცესი, რომელიც დღეს წარმოგვიდგება როგორც უპირატესად აღწერილობითი პროცესი და არ არის გამოხატული სისტემურ დონეზე.

## THE PSYCHOLOGICAL ASPECT OF CONSUMER BEHAVIOR

Manana Nanitashvili, Full Professor

### RESUME

It's not possible to imagine a complete marketing research without the investigation of the consumers, that is, the psychological aspects of the consumer behavior. The subject of our research is the study of the psychological phenomenon only in the context which defines the ability to include personal sensitive mechanism in the process of planning one's aims, its motivation. Essentially, the stress falls on the phenomenon of determination towards success, specific external (person- dependent) inspiration.

Determination towards success is converted into a psychological regulator since the moment when a person's consciousness engages into the process of estimating its own place considering consumption of business abilities of publicly acknowledged people.

The "internal" conditions of consumption determine the idea of creating a consumer itself. So its chief purpose is connected with the formation of consumption, an in a broader sense- with the consumer order in people's consciousness. As for the "external" conditions of consumption, they play absolutely independent and a very important role, because they link consumption and production together. On the one hand, consumer behavior represents the objective origins of economics, on the other hand, at the expense of cognition ability towards an independent behavior, provides marketing with dynamism. At its complete form, the consumer behavior represents the process of making decision about purchase which today is more a descriptive process and is not expressed on a systemic level.

## ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები სამხრეთ საქართველოში (ასპინძის რაიონის მაგალითზე)

*თამაზ ქობულაშვილი, მოწვეული სპეციალისტი  
გია ედიშერაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

საერთაშორისო ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის სწრაფად განვითარებად სფეროს მიეკუთვნება, და აღიარებულია, როგორც მსოფლიოში საექსპორტო შემოსავლების მიღების უდიდესი წყარო. ტურიზმის ბიზნესი უცხოეთის მრავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

ტურიზმის მრავალ მიმართულებას შორის ყველაზე მოცულობით და ეგზოტიკურს ეკოტურიზმი წარმოადგენს, რომელიც ტურიზმის სხვა სფეროებს შორის ყველაზე ახლო დგას ბუნებრივ გარემოსთან, ანუ ყველა ეკოტურისტული მანიპულაცია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მიმდინარეობს, სწორედ ამიტომაცაა, რომ დღეს, ატმოსფეროს გლობალური დაჭუჭყიანების ფონზე მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სურვილს გამოთქვამს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მოგზაურობა-დასვენებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეკოტურიზმს არა მარტო გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია, არამედ პატრიოტულიც, ვინაიდან მომავალი თაობისთვის სამშობლოს გეოგრაფიული გარემოსა თუ ისტორიის უკეთ გაცნობა უდაოდ ხელს უწყობს მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. ამიტომ ეკოტურიზმის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ეკოტურიზმის დარგობრივი სტრუქტურა წლის სეზონებთან დაკავშირებით ორ ნაწილად, ზაფხულისა და ზამთრის დარგებად შეიძლება დავეყოთ. სტრუქტურული თვალსაზრისით ზემოთ აღნიშნული შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: სფერო - ტურიზმი, მიმართულება - ეკოტურიზმი, დარგი - ზაფხულის (ქვეითი, სამთო, საცხენოსნო, წყლის და ა.შ.) და ზამთრის (სათხილამურო და ა.შ.).

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ეკოტურიზმის ბიზნესის სწრაფი აღორძინების უმთავრეს მიზეზებს ფიზიკურ-გეოგრაფიული (2,3) და ისტორიული ფაქტორები განსაზღვრავენ. ტერიტორიის სიმცირის გამო ჩვენს ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარება განსაკუთრებულ პერსპექტივებს იძლევა, რადგან ბუნების, ძეგლების, ისტორიული თუ სხვა სანახაობათა კომპაქტური განლაგება ფინანსური თვალსაზრისით ხელმისაწვდომს ხდის შედარებით ნაკლები დანახარჯებით სხვადასხვა ობიექტების დათვალიერებას თუ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მოგზაურობას. რესპუბლიკის ბიუჯეტისთვის კი ეკოტურიზმის ბიზნესის აღორძინება სოლიდური შემოსავლების პერსპექტივებს იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკოტურიზმი ტურიზმის სხვა სახეობებთან შედარებით დიდ ფინანსურ ინვესტიციებს არ საჭიროებს, რადგან ეკოტურისტული მარშრუტები უმეტეს შემთხვევაში ველური ბუნების, ტყეპარკების, ნაკრძალებისა და აღკვეთილების ტერიტორიებზე გადის, სადაც, ჩვენის აზრით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში რაიმე უსახური რკინა-ბეტონის ნაგებობების ინფრასტრუქტურის შექმნა და ამით პირველადქმნილი ბუნებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, აუნაზღაურებელი ზიანის მიყენება გაუმართლებელია, მაგრამ თუკი რაიმე ნაგებობის დადგმა აუცილებლობით არის ნაკარნახევი, იგი ორგანულად უნდა ეწერებოდეს ბუნებრივ გარემოში. ეკოტურიზმის განვითარების მრავალწლიანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ბუნებრივ გარემოსთან გაუაზრებელი დამოკიდებულება, ანუ ისეთი საკითხებისადმი დილეტანტური მიდგომა, როგორცაა მარშრუტების დაგეგმვა-განხორციელება, ღამისთვის ბანაკებისთვის ადგილსამყოფელის შერჩევა და სხვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება, უმეტეს შემთხვევებში, სავალალო შედეგებით მთავრდება, რის გამოც პასუხისმგებლობა მთლიანად ღონისძიების ორგანიზატორებს ეკისრებათ. ამიტომაცაა, რომ ზემოთხსენებული ეკოტურისტული მანიპულაციების დაგეგმვა წარმოუდგენელია რეგიონის სერიოზული ექსპერტიზის მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რაშიც მონაწილეობას უნდა იღებდნენ გეოგრაფები, გეოლოგები, გეოფიზიკოსები, ეკოლოგები, ბიოლოგები, ექიმები, ისტორიკოსები, არქიტექტორები, ეკონომისტები, ეკოტურიზმის გამოცდილი სპეციალისტები, აღნიშნულ სფეროში გამოცდილი სამშენებლო კომპანიები და სხვა. უცხოეთის მრავალი ქვეყნის ეკოტურისტულ ზონებში გარემოს დაცვის მიზნით, ნებისმიერ ადგილზე სურვილისამებრ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება, პირუტყვის მოვება, კოცონის დანთება, ნარჩენების დატოვება აკრძალულია, აკრძალულია აგრეთვე

ჩვეულებრივი შიდა წვის ძრავიანი ავტომობილებით გადაადგილება, სამაგიეროდ ნებადართულია ეკოლოგიურად სუფთა ველოსიპედებითა და ელექტრომობილებით.

ეკოტურიზმის სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის ყველაზე ოპტიმალურს ხის მომცრო ზომის ნაგებობები, საბანაკო შეკრებებისთვის სეზონური ხის კოტეჯები და კარვის „ქალაქები“ წარმოადგენენ.

მომსახურების სფეროდან კი აუცილებელია პროფესიონალი გამყოლების, გიდების, დამისათვის ბანაკების მესვეურებისა და მასპინძელი ოჯახების ინსტიტუტების განვითარება.

სამხრეთი საქართველო ჩვენი ქვეყნის რეგიონთა შორის ბუნებრივი კომპლექსების, ისტორიული და კულტურის ძეგლების თუ ფოლკლორისტული ექსპედიციების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმდიდრეს რეგიონს წარმოადგენს, ამავე დროს ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რეგიონი საქართველოს სხვა რეგიონთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მცირემემოსავლიან ზონას წარმოადგენს, რასაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების ერთობლიობა განაპირობებს. წარსულში რეგიონის როგორც სასაზღვრო ზონის ჩაკეტილობამ, ხოლო შემდგომში კი ქვეყანაში მიმდინარე არასასურველმა პროცესებმა ხელი შეუწყო ისედაც ღარიბი რეგიონის სრულ გადატაკებას. ჩვენი აზრით, აღნიშნული ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გზას ეკოტურიზმის განვითარება წარმოადგენს, რადგან ადგილობრივმა ბუნებრივმა კომპლექსებმა ქვეყნის სხვა რაიონებთან მიმართებაში ანთროპოგენური ფაქტორის ყველაზე მცირე გავლენა განიცადეს, და ამით მათი ეკოლოგიური მდგომარეობა, კერძოდ დაქუჩყიანებისა თუ დაზიანების ხარისხი მინიმალურია. გარდა აღნიშნულისა, რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობენ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ისტორიული ძეგლები, როგორცაა ვარძია, ზედა ვარძია, ვანის ქვაბები, თმოგვის ციხე, ხერთვისი, საფარა, ზარზმა, ახალციხის ციხე და მრავალი სხვა, რომელთა მონახულების სურვილი არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს, არამედ მრავალ უცხოელ ტურისტსაც გააჩნია.

ასპინძის რაიონი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, კერძოდ საქართველოს უკიდურეს სამხრეთი მთიანეთის ცენტრალურ ნაწილში, მესხეთში, ჩრდილო განედის  $41^{\circ} 5'$  და აღმოსავლეთი გრძედის  $43^{\circ} 16'$ . მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ბორჯომის, აღმოსავლეთით ახალქალაქის, დასავლეთით ახალციხის ადმინისტრაციული რაიონები, ხოლო სამხრეთი საზღვარი ემთხვევა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარს თურქეთთან. ასპინძის რაიონის საზღვრების საერთო სიგრძე 182 კილომეტრია, აქედან ბორჯომის რაიონის მონაკვეთზე მოდის 27 კილომეტრი, ახალციხის რაიონზე 60 კილომეტრი, ახალქალაქის რაიონზე 65 კილომეტრი ხოლო თურქეთთან საზღვრის სიგრძე 30 კილომეტრს არ აღემატება. ტერიტორიის ფართობი 822,4 კვადრატული კილომეტრია, რაც მესხეთ-ჯავახეთის საერთო ფართობის ( $5070 \text{ კმ}^2$ ) მხოლოდ 17 % შეადგენს.

წარსულში რაიონის ტურისტული საქმიანობა მხოლოდ ვარძიის უნიკალური კომპლექსის მარშრუტით შემოიფარგლებოდა, სადაც დამთვალიერებლებს მრავალდღიანი ბიუროკრატიული, სასაზღვრო პროცედურების გავლის შემდეგ, მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით შეეძლოთ მოხვედრა. მართალია ვარძიის მიდამოებში გარკვეული ინფრასტრუქტურაც კი არსებობდა ტურბაზის, სასტუმროსა და რესტორნის სახით, მაგრამ რეგიონის ჩაკეტილობისა თუ მარშრუტის ვადების სიმცირის გამო ტურისტებს არ შეეძლოთ თუნდაც მისი შემოგარენის ზადა ვარძიის, ვანის ქვაბების, თმოგვის, წუნდის, ხერთვისის, მირაშხანისა და სხვათა ფარგლებში თავისუფალი გადაადგილება.

რაიონში ჩვენს მიერ ჩატარებულმა მრავალწლიანმა (1990-2007 წწ.) კომპლექსურმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა, რომ აქ წარმატებით შეიძლება განვითარდეს ეკოტურიზმის როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის დარგები. ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის ჩვენს მიერ დამუშავებულია 20 ქვეითი და სამთო ეკოტურისტული მარშრუტი, რომლებიც მოიცავენ როგორც მთიან უბნებს, ისე მდინარე მტკვრის ხეობის ზონებს.

ეკოტურიზმის საზაფხულო დარგებიდან ასპინძის რაიონისთვის არანაკლებად პერსპექტიულს საცხენოსნო ტურიზმის განვითარება წარმოადგენს, რომელიც რეგიონისთვის ახალი დარგია და ტრადიციები არ გააჩნია. ჩვენი აზრით, აღნიშნული დარგის მარშრუტების სწორი დაგეგმვა, ფინანსური გათვლები, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს მის სწრაფ აღორძინებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მათში ადგილობრივი მოსახლეობის დაკავებას, რაც რაიონისთვის ესოდენ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ხოლო ფინანსური თვალსაზრისით კი ხელს შეუწყობს რაიონის ბიუჯეტის შევსებას. აღსანიშნავია, რომ საცხენოსნო მარშრუტები საავტომობილოსთან შედარებით იაფი და ეგზოტიკურია, რომლითაც რაიონის თითქმის ყველა კუთხის მონახულებაა შესაძლებელი. საცხენოსნო ტურიზმის

განვითარების აუცილებლობა მეორე მხრივ გზების დღევანდელი მდგომარეობითაც არის ნაკარნახევი, ვინაიდან მათი მდგომარეობა არა თუ საერთაშორისო სტანდარტებს, არამედ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ასპინძის რაიონში საცხენოსნო მარშრუტების დაგეგმვის ძირითად უბნებს ვარძიის, ზედა ვარძიის, ვანის ქვაბების, თმოგვის, წუნდის, ხერთვისის, ს. ქარზამეთის, ს. არდახის, ს. ფანაკეთის, ს. ნიალის, ს. აგარის, ს. რუსთის, ს. ძველი რუსთავის, ს. ზველის, ს. ორგორას, ს. ოშორას, ს. ოთას, ს. ტოლოშის, ს. ერკოტისა და ს. მუსხის მიდამოები წარმოადგენენ.

საცხენოსნო მარშრუტების ორგანიზაცია ორ ნაწილად უნდა დავეყოთ: ერთჯერადი ანუ რამდენიმე საათიდან ერთ დღემდე და მრავალდღიანი. ერთჯერად მარშრუტებში მოიაზრება ისეთი მოგზაურობები, როდესაც ტურისტულ ჯგუფს, რომელიც რაიონში გარკვეული ობიექტის დასათვალიერებლად არის ჩასული, გარკვეული თანხის საფასურად სთავაზობენ ახლომდებარე ობიექტის საცხენოსნო მარშრუტით დათვალიერებას. ასეთი მანიპულაციის კარგ მაგალითის ვარძია - ზედა ვარძიის 3-4 კილომეტრიანი მარშრუტი წარმოადგენს, რომლის ხანგრძლივობა 3-4 საათს არ აღემატება და ულამაზესი მიდამოების გარდა უნიკალურ, ისტორიულ ძეგლების მიდამოებსაც მოიცავს. მრავალდღიანი საცხენოსნო მარშრუტების განხორციელება ორგანიზაციულად შედარებით რთულ სფეროს წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში საჭიროა საცხენოსნო - ეკოტურისტული ბანაკის შექმნა, სადაც ტურისტებისთვის ყველა სერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პირობა იქნება გათვალისწინებული. აღნიშნულ ბანაკებში ტურისტებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ცხენების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ, ვინაიდან მათი უმრავლესობა ცხენით მოგზაურობის მარტივ უნარ-ჩვევებსაც კი ვერ ფლობს. ტრენინგებისა და ცხენებით საცდელი ხანმოკლე გასეირნებების შემდეგ, შესაძლებელია ბანაკიდან როგორც რადიალური შიდასარაიონო, ისე სარაიონო და რეგიონალური მარშრუტების განხორციელება.

ზამთრის პერიოდში რეგიონში სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვის საუკეთესო პირობებია, რომლის მარშრუტების განხორციელება შესაძლებელია როგორც თრიალეთის ქედის, ისე ერუშეთის მთიანეთის მთისწინა უბნებზე. მთიდან თხილამურებით სწრაფი დაშვების მოყვარულთათვის კი სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში საუკეთესო ადგილებს სოფლების ზველის, ორგორას, ამგვისის, ტოლოშის, ოშორისა და ოთის მიდამოები წარმოადგენენ.

ვინაიდან რეგიონს ეკოტურიზმის საქმიანობის ტრადიციები არ გააჩნია, თანამედროვე ეტაპზე, პირველ რიგში, საჭიროა სხვადასხვა მიმართულების გიდეების, გამცილებლების, ტურსააგენტოების მენეჯერების, მასპინძელი ოჯახების, სამაშველო სამსახურის მუშაკების, ეკოლოგიური სამსახურების მუშაკების, ტურიზმის მსაჯებისა და სხვათა მომსახურე პერსონალის მომზადება. პერსონალის მომზადებისთვის სასურველია რაიონულ ცენტრებში აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მოსახლეობისთვის ჩატარდეს ტრენინგები. გადამზადებისთვის კანდიდატურების შერჩევის დროს ძირითადად ყურადღება უნდა მიექცეს უცხო ენის ცოდნას და ინტელექტს, რისთვისაც მსურველებმა გარკვეული დონის ტესტირება უნდა გაიარონ.

ჩვენს მიერ 2006-2007 წლებში ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ რაიონის მოსახლეობის უდიდესი (გამოკითხულია 1000 რესპოდენტი) ნაწილი - 77 % ტურისტული ბიზნესის აღორძინებით არის დაინტერესებული. დაინტერესებულთაგან 70 % ახალგაზრდობა შეადგენს, რომელთა შორის 54 %, 21 - 29 წლის ასაკის სხვადასხვა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, რუსული) მცოდნე თუ სპეციალისტია.

ბოლო ხანს, ჩვენში უმეტესად ტრენინგებისთვის უცხოელ სპეციალისტებს მიმართავენ, რაც ზოგ შემთხვევაში აუცილებლობითაც კი არის ნაკარნახევი, მაგრამ, ეკოტურიზმი სწორედ იმ სფეროს მიეკუთვნება, სადაც უცხოელი სპეციალისტების ტრენინგებად მოწვევამ არა თუ დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგი შეიძლება მოგვეცეს, ვინაიდან ტრენინგები თვითონ არა მარტო კარგად უნდა ფლობდეს ეკოტურიზმის ტექნოლოგიებს, არამედ კარგად უნდა ცნობდეს საქართველოს ბუნებას, და ადგილობრივი ტურიზმის სფეროში მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება უნდა გააჩნდეს, ამ პრინციპიდან გამომდინარე, ტრენინგების ადგილობრივ კადრებს დიდი უპირატესობა აქვთ უცხოელ სპეციალისტებთან.

ასპინძის რაიონს, ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ საქართველოს, უნიკალური ბუნებრივი კომპლექსებისა და ტურპროდუქტების განლაგების თვალსაზრისით უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, რომლის სწორი დაგეგმვისა და ორგანიზაციის შემთხვევაში რაიონის ბიუჯეტისთვის სერიოზული შემოსავლების მოტანა შეუძლია.

### ლიტერატურა:

1. ასტახიშვილი კ., ტურიზმი, თბ., 1976;
2. ქობულაშვილი თ., ასპინძის რაიონის ნიადაგმცენარეული საფარის თავისებურებანი. გორი, 2007;
3. ქობულაშვილი თ., ასპინძის რაიონის ლანდშაფტები, გორი, 2007

### რეზიუმე

ასპინძის რაიონი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, მის ცენტრალურ ნაწილში.

რაიონში ეკოტურიზმის განვითარების უმთავრეს ხელშემწყობ პირობას მცირე ტერიტორიაზე უნიკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების კომპაქტურად განლაგება წარმოადგენს, რომელთა დათვალიერება მცირე ფინანსური დანახარჯებითაა შესაძლებელი.

მრავალწლიანი (1990-2007 წწ.) გამოკვლევების შედეგად აქ ჩვენს მიერ დამუშავებულია 20 ქვეითი და სამთო მარშრუტი.

განსაკუთრებით პერსპექტიულად საცხენოსნო ტურიზმის განვითარება გვესახება, რომელსაც დღემდე როგორც რაიონში, ისე რეგიონში ტრადიცია არ გააჩნია. საცხენოსნო დარგიდან სასურველია დაიგეგმოს როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი მარშრუტები.

ეკოტურიზმის ზაფხულის დარგებიდან არანაკლებ პერსპექტიულად ეკოტურისტული ბანაკების ქსელის განვითარება გვესახება, სადაც ეკოლოგიურად სუფთა გარემოში სრულფასოვანი დასვენების საშუალება ექნებათ როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს.

რაიონს კარგი პერსპექტივები გააჩნია წყლის, კერძოდ სანაოსნო ტურიზმის აღორძინებისთვის.

ჩვენს მიერ 2006-2007 წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ აღნიშნული ბიზნესით დაინტერესებულთა რიცხვი რაიონში 77% აღწევს, რომელთაგან 70% ახალგაზრდობაა და რომელთა შორის 54% 21 და 29 წლის ასაკის სხვადასხვა უცხო ენის მცოდნე ან სპეციალისტია.

ვინაიდან რეგიონს ეკოტურიზმის ტრადიციები არ გააჩნია, საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის და მომსახურე პერსონალის მომზადება, რისთვისაც არა უცხოელ, არამედ ადგილობრივ სპეციალისტებზე უნდა იყვეს აქცენტი აღებული.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ რეგიონში ეკოტურიზმის აღორძინება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მათში ადგილობრივი მაცხოვრებლების დაკავებასა და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რეგიონისთვის კი ბიუჯეტში სოლიდური შემოსავლების შემოდინებას.

## PERSPECTIVES OF DEVELOPING OF ECOTOURISM BUSINESS IN THE SOUTH GEORGIA

### (ASPINDZA REGION)

**Tamaz Kobulasvili**, Specialist under contract

**Gia Edisherashvili**, Associate Professor

### SUMMARY

Aspindza region is situated in the South of Georgia in the central part of it.

Compact situation of unique physical geographical and historic factors help to develop the ecotourism.

There are 20 marshrutes after 16 years researches (1990 – 2006) some of them are on foot, some in the mountains.

One of the perspective Sport is horsing, which has no tradition in the region.

From summer sports it's perspective developing camps, where children and adults can rest in fresh ecological conditions.

The region has good conditions of boating.

Researches show, that 77 % of population are interested in this business and 70 % of them are from 21 to 29 foreign languages specialists.

It's necessary to make corresponding infrastructure and people which can work there from this region.

Researches show that developing of ecotourism will help in creation of new places. Population will make their life conditions better. And the budget will increase its incoming.

## თანამედროვე შრომითი ორგანიზაციები და კომუნიკაციის პრობლემები

*სალომე ხიზანიშვილი, მოწვეული სპეციალისტი, დოქტორი*

კომუნიკაცია ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციის: ოჯახის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. საგულისხმოა, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში გადაიცემა მილიარდზე მეტი ხმოვანი, ტრილიონობით ელექტრონული შეტყობინება, online-ს რეჟიმში მილიონობით ინტერნეტის მომხმარებელი მუშაობს. ორგანიზაციების მომავალი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებზე. ამისდა მიუხედავად, კომუნიკაციის ინტენსიური შესწავლა და გამოყენება შრომით ორგანიზაციებში გვიან დაიწყო.

**ცვლილებები**, რომლებმაც განაპირობა **კომუნიკაციის საკითხის** წინ წამოწევა, შემდეგია:

- შრომითი ორგანიზაციების სტრუქტურული და ტექნოლოგიური გართულება;
- საბაზრო პირობებიდან გამომდინარე, წარმოებისა და მომსახურების სფეროში შრომისნაყოფიერებისა და ხარისხის ამაღლება;
- სამთავრობო კანონმდებლობაში ორგანიზაციის სტრატეგიასა და პრაქტიკაში ინტერპრეტაციების შეტანის აუცილებლობა;
- ხელქვეითების მიერ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგან ანაზღაურების, პიროვნული და სამუშაო კმაყოფილების მაღალი მოთხოვნილება;
- ჰორიზონტალური კომუნიკაციის არხებზე მაღალი დამოკიდებულება; სპეციალისტებს შორის გაზრდილი სირთულის ინფორმაციების სწრაფი გავრცელების საჭიროება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, მენეჯერებს ეფექტურობისათვის სჭირდებათ მაღალი ხარისხის კომუნიკაციები. უფრო კონკრეტულად, კითხვაზე: „რატომ ვამყარებთ ურთიერთობას“, პასუხები ასეთია:

- კომუნიკაციას მაღალ შედეგებამდე მივყავართ;
  - ადამიანებს საქმის კურსში აყენებს;
  - მომუშავეს ორგანიზაციასთან აკავშირებს; მის სტიმულირებასა და ვალდებულებებს ზრდის;
  - უფროსსა და ხელქვეითს, დამქირავებელსა და დაქირავებულს, კოლეგებს, ინდივიდებს შორის, ორგანიზაციაში და ორგანიზაციის გარეთ ურთიერთგაგებას აუმჯობესებს;
  - ადამიანებს ეხმარება ცვლილებების საჭიროება გააცნობიერონ და მათ მოსაგვარებლად გზები დასახონ; კომუნიკაციები ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებს ამცირებს.
- რაც შეეხება კომუნიკაციაში მონაწილე ორივე მხარეს, მათი მიზანია:
- ინფორმაციის მოძებნა, მიღება და მართვა, წინადადებების, აზრის გაზიარება, პასუხისმგებლობის განაწილება;
  - ორგანიზაციის ფარგლებში (პიროვნებებთან, ჯგუფებთან, განყოფილებებთან) და მის გარეთ (კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ბანკებთან, პროფესიონალებთან) სხვადასხვა დონეებთან საუბარი;
  - კომუნიკაციის ორი სახის გამოყენება: ოფიციალურისა (სხდომები, მოხსენებები, პროექტები, შეტყობინებები) და არაოფიციალურისა (კონსულტაციის გაწევა, რჩევის მიცემა, საუბარი სხვა თანამშრომლებთან);
  - სამუშაო პროცესში განსხვავებული როლების (ხელმძღვანელის, ანალიტიკოსოს, კოლეგის, ხელქვეითის) შესრულება;
  - ინფორმაციის წყაროს (ფაქტები, ჭორები თვალსაზრისები) შეფასება; რეალური ინფორმაციის მოსაპოვებლად “ღია ან დახურული” ქსელების შექმნა;
  - არახელქვეითებზე გავლენის მოხდენის მცდელობა.

მთავარი აზრი იკვეთება: **ორმხრივი კონტაქტები აუცილებელია**. ხელმძღვანელობამ უნდა შეძლოს ინფორმაცია მიაწოდოს დაქირავებულებს მათზე მოქმედი პოლიტიკისა და გეგმების შესახებ, ხოლო დაქირავებულებმა შეძლონ სწრაფად უპასუხონ თავიანთ შეხედულებებზე და ქმედებებზე. ცვლილებების მართვა შეუძლებელია, თუ მოსმენილი და შეფასებული არ იქნება იმათი თვალსაზრისები, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. კონტაქტების ეფექტური სისტემა სწორედ ამ

შეხედულებების გასაგებად და ადამიანებზე გავლენის მოსახდენად არის საჭირო. “მაგრამ, შენიშნავს მაიკლ არმსტრონგი, თუ რამდენად ქმნის კარგი კონტაქტები დამაკმაყოფილებელ ურთიერთობებს, და არა მხოლოდ ამცირებს უსიამოვნო ურთიერთობებს, შესაძლოა, გადაჭარბებული იყოს”. [1, გვ. 539] მას შეხედველობაში აქვს ე.წ. “**კარგი კონტაქტების**” თეორია, რომელიც ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:

- ნებისმიერ ორგანიზაციაში დაქირავებულთა და ხელმძღვანელთა მოთხოვნილებები და მიზნები ერთნაირია; ერთიანი კონცეპტუალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ისინი ერთმანეთს ემთხვევა.
- ხელმძღვანელსა და დაქირავებულებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია იმ გაუგებრობებით, რაც კარგი კონტაქტების უქონლობის გამო წარმოიშვა.
- შრომითი ურთიერთობების გადასაჭრელად, კონტაქტების გაუმჯობესება აუცილებელია.

ეს თეორია მიმზიდველია და გარკვეული ღირსება გააჩნია. თუმცა, მოსაზრებები რადიკალურია. განსაკუთრებით, როცა საუბარია დამქირავებლისა და დაქირავებულის საბოლოო ამოცანების აუცილებელ იდენტურობაზე. გაზიარებულია აზრი რომ იმის თაობაზე, რომ შრომით ორგანიზაციას ლოიალური განწყობილების შექმნით შეუძლია მომუშავეები ჰყავდეს ინფორმირებულად და კმაყოფილად. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანებს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ლოიალობა და დამოკიდებულებებიც გააჩნიათ. მაგალითად: ინტელექტი, განათლება, სოციალური გარემო, მემკვიდრეობითი ფაქტორები, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი. გარდა ამისა, ინტერესები, უფლებამოსილება, ცხოვრებისეული გამოცდილება, რასაც, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტი გავლენის მოხდენა შეუძლია ურთიერთობებზე, ვიდრე ხელმძღვანელის მოწოდებას. ადამიანებს შორის დამოკიდებულება ხშირად ღია და გულწრფელი, გარეგნულად გაწონასწორებული და კომფორტულია, მაგრამ გაუგებრობებიც ხდება, რაც იწვევს მათ შორის უთანხმოებასა და კონფლიქტს, ან უნდობლობას. ასეთ შემთხვევაში ვლინდება არაჯანმრთელი ატმოსფერო. “მოჩვენებითი თავმდაბლობის” ნიშნით თავს იჩენს ნაკლებად კონფლიქტური, თუმცა, დაბალი ხარისხის ადამიანური ურთიერთობები. ჩნდება დილემა. და სწორედ იმის გამო, “მე”-სა და “სხვებს”, უმეტესწილად, სრულიად განსხვავებული ინდივიდუალური შეხედულებათა სისტემა – შინაგანი ფასეულობები, მრწამსი და მოთხოვნილებები გაგვაჩნია, მხოლოდ ადამიანს კი არა, სამყაროსაც თავისებურად ვუყურებთ.

ჩვენი ფიზიკური მოცემულობა, გონებრივი უნარები და სოციალური გარემო პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს აღქმებზე, წარმოდგენებზე, რომელიც ჩვენს ქცევაში, მეორე ადამიანთან ჩვენს დამოკიდებულებაში ვლინდება. გარედან შემოსულ მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვქმნით ხატებს, ადამიანებზე ჩვენს წარმოდგენებს და უმეტესწილად ასეთი მიდგომებით ვურთიერთობთ მათთან. გამოდის, რომ ინფორმაციას ობიექტურად კი არა, სუბიექტურად ვაფასებთ. იგნორირებას ვუკეთებთ იმ ინფორმაციას, რომელიც ემუქრება ჩვენს წარმოდგენას საკუთარ თავზე. ობიექტურების უდიდესი ბარიერი სწორედ ეს მე-კონცეფციაა.

ინტერპერსონალურ კომუნიკაციებში გამოყოფენ **ბარიერების განმსაზღვრელ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს.**

**ბარიერების სუბიექტური ფაქტორებია:**

- ვუშვებთ, რომ ადამიანები ნებისმიერ სიტუაციაში ერთნაირად მოიქცევიან;
- სტერეოტიპებს ვქმნით;
- პირველი შთაბეჭდილებების ქვეშ ვექცევით;
- დადებითი ზეგავლენის ქვეშ ვექცევით;
- მოჩვენებითი უარყოფითი ნიშნების გავლენის ქვეშ ვექცევით;
- გადაჭარბებული წარმოდგენის ანუ მე-კონცეფციის გამო ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვებთ;
- სხვა ადამიანებით არასაკმარისად ვართ დაინტერესებული. მათ ყურადღების გარეშე ვტოვებთ.

რაც შეეხება **ბარიერების ობიექტურ ფაქტორებს**, ესენია:

- სტატუსის მდგომარეობის ეფექტები – კომუნიკაციის ერთ-ერთი პირი მეორეზე მაღლა დგას;
- სემანტიკური პრობლემები – ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვებს სხვადასხვა აზრით, ან სხვადასხვა სიტყვებს ერთი და იგივე აზრით იყენებენ;
- კულტურული განსხვავებანი – სოციალური, ენობრივი, რელიგიური;
- ფიზიკური გამლიზიანებლები – ხმაური, ცუდი განათება, სამუშაო აპარატების ხშირი შეცვლა და სხვა;
- კომუნიკაციის არხების მწირი არჩევანი;
- უკუკავშირის არარსებობა.



გამოდის, რომ არშემდგარი კომუნიკაციების შემთხვევაში, ბარიერების ფსიქოლოგიური მიზეზები უფრო მეტად, პიროვნებაშია, რაც ლოგიკურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც კარგი კონტაქტების სისტემა მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც სხვაობა და კონფლიქტები არსებობს, “მაგრამ, სწორედ შენიშნავს მ. არმსტრონგი, მას მხოლოდ სხვაობის შემცირება და უკეთესი თანამშრომლობის გზის გაკვლევა შეუძლია და არა გადაწყვეტა”. [1, გვ. 539].

მაშ, როგორ უნდა დარეგულირდეს შრომით ორგანიზაციებში კომუნიკაციის პრობლემები? ან ვინ უნდა დაარეგულიროს იგი?

1992 წელს, შრომითი ურთიერთობების არსებული მდგომარეობა შეაჯამეს კესლერმა და ბეილისმა და აღნიშნეს, რომ “ზევრ ფირმაში შრომითი ურთიერთობების მნიშვნელობა შემცირდა. იგი ხელმძღვანელობის მიერ გაკონტროლებული ოპერაციის ნაწილია – ადამიანური რესურსების მართვის დარგი. იგი უკვე აღარ არის კადრების მართვის ნაწილი, როგორც ეს 1970-იან წლებში იყო”. [1, 502].

1995 წელს გესტი შენიშნავს, რომ შრომითი ურთიერთობების სისტემა მხოლოდ სიმბოლური გარსია, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი არაა ხელმძღვანელობისათვის, რათა მას წინააღმდეგობა გაუწიოს, მაგრამ ჩვეულებრივი დამკვირვებლისათვის გარეგნულ ფორმას ინარჩუნებს. “ხელმძღვანელობა ადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბაზრო დონე განსაზღვრავს მაშინ, როდესაც შრომითი ურთიერთობების საკითხები შედარებით დაბლაა ინტერესთა სიაში”, აცხადებს იგი. [1, გვ. 502]

მაღალმწარმოებლური ქვეყნების შრომითი ორგანიზაციების პრაქტიკაში არსებობს ე.წ. კონტაქტების სტრატეგია, რომელიც (დაბალმწარმოებლური ქვეყნებისთვისაც სასურველი იქნება) ეფუძნება შემდეგ პუნქტებს:

- რისი თქმა უნდა ხელმძღვანელობას;
- რისი გაგონება უნდა დაქირავებულს;
- ინფორმაციის გადაცემისას ან მიღებისას პრობლემების დაკმაყოფილება.

განვიხილოთ თითოეული ცალკე-ცალკე.

**რისი თქმა სურს ხელმძღვანელობას.** ხელმძღვანელობას სურს სამი რამის მიღწევა: პირველი, იმ სფეროში რომელიც ეხება, დაქირავებულმა გაიგოს და აღიაროს ის, რასაც ხელმძღვანელობა სთავაზობს; მეორე, დაქირავებულმა იგრძნოს პასუხისმგებლობა იმ ამოცანებზე, გეგმებსა და ფასეულობებზე, რაც ორგანიზაციას ეხება; და მესამე, დამქირავებელი დაქირავებულს უნდა დაეხმაროს ორგანიზაციის წარმატებაში შესაძლო მიღწევები და სარგებლიანობა გაანალიზოს.

ხელმძღვანელობიდან მიღებული ინფორმაცია უნდა შეეხებოდეს ფასეულობებს, გეგმებს, ვარაუდებს, წინადადებებს, ასევე, მაჩვენებლებსა და შედეგებს.

**რისი მოსმენა სურთ დაქირავებულებს.** სამუშაო მეთოდებისა და პირობების ცვლილებები, ზედმეტი დროით და ცვლებით მუშაობაში ცვლილებები, კომპანიის გეგმები. თავის მხრივ, ხელმძღვანელობამ, “დამხმარე ჯგუფის” საშუალებით, დაქირავებულთა წარმომადგენლების გამოკითხვით, არაოფიციალური მოსმენით, საჩივრების გაანალიზებით უნდა შეისწავლოს მათი აზრი და დამოკიდებულება და გაარკვიოს, დაქირავებულებთან შესაძლებელია თუ არა კონტაქტების გაუმჯობესება.

**კომუნიკაციების პრობლემების გაანალიზება.** იმისათვის, რომ გასაგები გახდეს, რა იყო არასწორი და სიტუაციის გამოსაწორებლად რისი გაკეთებაა საჭირო, აუცილებელია გარკვეული მაგალითების გაანალიზება. ასეთი კი შეიძლება იყოს: კონტაქტების სათანადო არხების მნიშვნელობა, კონტაქტების მნიშვნელობის აუცილებლობის შეუფასებლობა, აღმართული ბარიერების გადალახვის ნაკლებობა. საკონტაქტო არხების პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია გაუმჯობესებული საკონტაქტო სისტემის შემოღებით, ხოლო რაც შეეხება საკონტაქტო უნარის ნაკლებობას, ეს ცოდნისა და მომზადების საქმეა.

**კომუნიკაციის სისტემები.** კონტაქტის სისტემები იყოფა შემდეგნაირად: წერილობითი მასალები: ჟურნალები, ბიულეტენები, აფიშები. ზეპირი მეთოდები: შეხვედრები, საკონსულტაციო ჯგუფები, საზოგადოებრივი მართვის სისტემები.

მიზანი: ინფორმაცია ნათლად უნდა იყოს გაგებული.

**ჟურნალები.** ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთის საშუალებით კომპანიის შესახებ დაქირავებული ინფორმირებული ხდება.

**საინფორმაციო ბიულეტენები.** ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების გარდა, ორგანიზაციები აქვეყნებენ და ეყრდნობიან საინფორმაციო ბიულეტენებს.

ეფექტურობისათვის, ბიულეტენები გამიზნულია იმის ასახსნელად, თუ რის გაკეთებას აპირებს ხელმძღვანელობა და რა შედეგები ექნებათ მოქმედებას ყველასათვის. გარდა ამისა, სარედქციო წერილების რუბრიკაში უნდა მოხდეს დაქირავებულთა შეხედულებები და შესაბამისი პასუხები.

**ბიულეტენები.** ბიულეტენებმა დაქირავებულს უნდა მიაწოდოს სწრაფი ინფორმაცია; უნდა შეცვალოს ოფიციალური პუბლიკაცია, თუკი ხარჯები გაუმართლებელია; უნდა მოხდეს საინტერესო ინფორმაციის განხილვა.

**დაქირავებულების ჩართვა.** დაქირავებულთა ჩართვა განაპირობებს ორმხრივ ურთიერთობებს. თუმცა, ზოგჯერ მას დიდი წარმატება არ მოაქვს.

**საკონსულტაციო ჯგუფი.** ეს არის იმის საშუალება, რომ ინფორმაციის წარმოდგენის, მიღებისა და განხილვის მიზნით, ორგანიზაციაში არსებული ყველა დონე პირისპირ შეხვედრებში ჩააბას.

საკონსულტაციო ჯგუფმა უნდა იმოქმედოს შემდეგნაირად:

#### 1. ორგანიზაცია

- მან ორგანიზაციის ყველა დონე უნდა მოიცვას;
  - ზედა და ქვედა რგოლებს შორის შეამციროს საფეხურები;
- თითოეულ ჯგუფს, რომელშიც იქნება 4-დან 18 კაცამდე, დაუნიშნოს მომზადებული და კონსულტირებული ხელმძღვანელი;

#### 2. საკითხები

- ახსნას ახალი ან შეცვლილი პოლიტიკა;
- გეგმები (ორგანიზაციის ან ჯგუფის)
- პროგრესი (როგორ მიდის ორგანიზაციის ან ჯგუფის საქმე).
- ადამიანები (ახალი თანამდებობები, პირადი საკითხები: ანაზღაურება, გარანტია, მეთოდები);

#### 3. თანმიმდევრობა

- საკონსულტაციო საბჭოები უნდა მუშაობდნენ რეკომენდაციების მიცემაში. ეს რეკომენდაციები უნდა გადაეცეს ყველა რგოლს და ყველამ უნდა განიხილოს, შესაბამისად, პასუხები უნდა იქნეს მოსმენილი, რაც უზრუნველყოფს ორმხრივ კონტაქტებს.

#### 4. ვადები და ხანგრძლივობა.

- ორ თვეში ერთხელ, ხელმძღვანელთან და კონკრეტულ ადამიანებთან უნდა მოხდეს შეხვედრები, 20-30 წთ.

ბრიფინგის ჯგუფმა უნდა დაგეგმოს კონტაქტები და იგი გახადოს ოფიციალური. ბრიფინგის ჯგუფურ სისტემას უნდა ხელმძღვანელობდეს და აკონტროლებდეს ზედა რგოლი. უფროსმა მენეჯერმა, რომელმაც დარგობრივ საკითხებში რეკომენდაციები და რჩევები უნდა გასცეს, დანარჩენი მენეჯერები და ჯგუფის ხელმძღვანელები უნდა მოამზადოს იმისათვის, რომ ბრიფინგი განხორციელდეს თანმიმდევრულად და ყველა დონეზე. მან უნდა აკონტროლოს შეხვედრების ეფექტურობა.

ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთი მცდელობები, რომელიც უკავშირდება შრომით ორგანიზაციებში ურთიერთობების ან კომუნიკაციის პრობლემების მოგვარებას, “სასურველია”, მაგრამ განსახორციელებლად არცთუ ისე იოლია.

#### ლიტერატურა:

1. მაიკლ არმსტრონგი, ადამიანური რესურსების მართვა, შ.პ.ს. “მაუსი”, თბ., 2002;
2. ლადლოუ რ., პენტონი ფ., ეფექტური კომუნიკაციის არსი, გამომცემლობა „ქრონოგრაფი“, თბ., 2000;
3. დავით ჩარკვიანი, ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში, შ.პ.ს. “ნათია”, თბ., 2001.

### რეზიუმე

საინფორმაციო ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი გამოყენების გამო, მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობების ბუნება იცვლება. შრომითი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, რომლებსაც არც ისე დიდი რაოდენობის ხელქვეითები ჰყავთ, სულ უფრო მეტად ეყრდნობიან

საინფორმაციო სისტემებს. ორგანიზაციის წარმატების მისაღწევად ურთიერთობები ხდება დამაბული და კრიტიკული, ვინაიდან ინფორმაცია, რომელიც ორგანიზაციის გარეთ იგზავნება, სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. მენეჯერების როლი იზრდება ინფორმაციის შეგროვება-გადაცემაში, ხოლო ურთიერთობების დამყარების ადამიანური უნარები, რომელიც მისი მუშაობის ხიბლისა და ეფექტურობის განმსაზღვრელია, ფუნქციას კარგავს.

## MODERN LABOUR ORGANIZATIONS AND COMMUNICATION PROBLEMS

Salome Khizanishvili, Specialist under contract, Doctor

### RESUME

Because of developing the usage of information technologies, the nature connected with its management is changing. The authorities of the working organizations, that do not have enough workers, depend on the system of information. To reach the success the relations become tense and challenging, as the information that is sent out of an organization, needs to be work out seriously. The role of managers in collecting and spreading information is increasing, but relations between people and their abilities, that indicates their working perfectness, lose their function.

## ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში

*თეა ხორგუაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას. იგი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას.

სამომხმარებლო ფასების ყოველთვიური რეგისტრაცია ხორციელდება ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი). ფასების რეგისტრაციას ახორციელებს ფასების 20 რეგისტრატორი, რომელთაც გადანაწილებული აქვთ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები. ამ ობიექტების მთლიანი რაოდენობა აღემატება 1300-ს (მათ შორის 300-ზე მეტი ობიექტი განთავსებულია თბილისში). სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების რეგისტრაციას ფასების რეგისტრატორები ახორციელებენ ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებზე, სამედიცინო დაწესებულებებში, კომუნალური მომსახურების ობიექტებში და სხვა. 25-დან 30 რიცხვამდე ხორციელდება მონაცემების მიღება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალურ ოფისში და ამ მონაცემების კონტროლი და კომპიუტერული დამუშავება. ინდივიდუალური ინდექსების ბაზაზე გაიანგარიშება აგრეგირებული ინდექსები თითოეული სასაქონლო ჯგუფისათვის როგორც თითოეული ქალაქისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის.<sup>1</sup>

სამომხმარებლო კალათა ხუთივე ქალაქისათვის იდენტურია და მასში შედის ის საქონელი და მომსახურება, რომელსაც შეიძენს ტიპური მომხმარებელი. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო კალათა შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს მომხმარებლის მიერ. კალათის განახლება ხდება 3 წელიწადში ერთხელ. უკანასკნელად ის განახლდა 2010 წლის იანვარში. ამჟამად კალათა შეიცავს 266 სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას.

<sup>1</sup> [http://geostat.ge/cms/siti\\_images/\\_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf](http://geostat.ge/cms/siti_images/_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf)

მთლიანობაში სტატისტიკის სამსახურის მიერ ხდება ინფლაციის 4 მაჩვენებლის გაანგარიშება და გამოქვეყნება. ესენია: ინფლაცია წინა თვესთან; ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან; ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან; პერიოდის ინფლაცია.<sup>1</sup>

მაგალითად, განვიხილოთ 2011 წლის მიმდინარე ინფლაცია მოცემული 4 მაჩვენებლის შესაბამისად.

ინფლაცია წინა თვესთან - 2011 წლის თებერვალი 2011 წლის იანვართან შედარებით:

პროცენტული ცვლილება 2011 წლის იანვართან შედარებით (%)

	(%)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	6.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი	0.0
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.1
ჯანმრთელობის დაცვა	-0.9
ტრანსპორტი	2.0
კავშირგაბმულობა	0.0
დასვენება, გართობა, კულტურა	0.1
განათლება	0.0
სასტუმრო, კაფე და რესტორანი	0.7
სხვა საქონელი და მომსახურება	0.4

ინფლაციის დონე სულ 2.8

2011 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 2.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 6.0 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 2.7 პროცენტი შეადგინა. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა ხილსა და ყურძნის ჯგუფზე - 18.1 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე - 9.1 პროცენტი, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე - 8.7 პროცენტი, ბოსტნეულსა და ბალჩეულზე - 7.1 პროცენტი.

ტრანსპორტი: მოცემულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, მათ შორის ფასების მკვეთრი ზრდა აღინიშნა საწვავზე - 5.2 პროცენტი.<sup>2</sup>

ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან - 2010 წლის დეკემბერი:

2010 წლის დეკემბერში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 11.2 პროცენტი შეადგინა.

საბაზო ინფლაციის მაჩვენებელმა 2010 წლის მეოთხე კვარტალში 7.7 და 7.6 პროცენტი შეადგინა შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის. კვარტლის ინფლაციაში სურსათზე ფასების ზრდით გამოწვეული ინფლაციის წილი 86 პროცენტს შეადგენს, როდესაც გასული წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს უტოლდებოდა. ინფლაციაში სურსათის წილის ზრდა განპირობებული იყო ამ ჯგუფის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდით, რაც, თავის მხრივ, 2010 წელს მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ცუდი მოსავლიანობის გამო საერთაშორისო ბაზრებზე სურსათზე მკვეთრი გამძირების შედეგია. ფასები გაიზარდა ასევე თითქმის ყველა სახეობის არასეზონურ ხილსა და ბოსტნეულზე. ადგილობრივი საქონლის წლიური ინფლაცია დეკემბერში 7.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე 11.3 პროცენტს შეადგენდა, არასავაჭრო საქონელზე ინფლაციამ მხოლოდ 3.2 პროცენტი შეადგინა.<sup>3</sup>

ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან - 2011 წლის თებერვალი 2010 წლის თებერვალთან შედარებით:

<sup>1</sup> [http://geostat.ge/cms/siti\\_images/\\_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf](http://geostat.ge/cms/siti_images/_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf)

<sup>2</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/price/Pres%20release\\_02.2011\\_Georgian.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/Pres%20release_02.2011_Georgian.pdf)

<sup>3</sup> <http://nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2010/axali/ inflacia 4 q.pdf>

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)

	(%)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	28.4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	9.6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2.5
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	2.6
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	4.1
ჯანმრთელობის დაცვა	3.2
ტრანსპორტი	7.8
კავშირგაბმულობა	-7.0
დასვენება, გართობა, კულტურა	-0.8
განათლება	1.0
სასტუმრო, კაფე და რესტორანი	7.4
სხვა საქონელი და მომსახურება	8.6
ინფლაციის დონე სულ	13.7

2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 13.7 პროცენტი შეადგინა. 12-თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 28.4 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში შეადგინა 11.7 პროცენტი. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა ხილსა და ყურძნის ჯგუფებზე - 54.8 პროცენტი, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე - 42.6 პროცენტი, ზეთსა და ცხიმზე - 36.4 პროცენტი, პურსა და პურპროდუქტებზე - 24.6 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე - 16.3 პროცენტი.

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა - 9.6 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 0.3 პროცენტი შეადგინა.<sup>1</sup>

2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით ფასების 7.0 პროცენტის კლება დაფიქსირდა კავშირგაბმულობის ჯგუფზე, რომლის წვლილმაც ინფლაციის საერთო მაჩვენებელში - 0.3 პროცენტი შეადგინა.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინფლაციის მთავარ მიზეზად გვევლინება სურსათზე მაღალი ფასები, რაც, პირველ რიგში, გამოწვეულია გარე ფაქტორებით, კერძოდ მაღალი საერთაშორისო ფასებით.

ინფლაციის პროგნოზირება ძალიან რთულია, ამ ეტაპზე საქართველოში ინფლაციის პროგნოზირება შესაძლებელია მონეტარული და საგარეო ფაქტორების აღმწერი მოდელების საშუალებით. ასეთ მიდგომას იყენებს ეროვნული ბანკის მიერ შერჩეული ინფლაციის მოდელი, რომელიც შექმნილია ინფლაციის პროგნოზირებისათვის მოკლევადიან პერიოდში. ინფლაციის პროგნოზირება შეძლება ვალუტის გაცვლითი კურსის დევალვაციის მიხედვითაც.

**ინტერნეტ რესურსები:**

1. <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A%E1%83%98%E1%83%90>
2. <http://www.bec.ge/images/doc/why%20is%20inflation%20bad.pdf>
3. [http://geostat.ge/cms/siti\\_images/\\_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf](http://geostat.ge/cms/siti_images/_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf)
4. <http://nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2010/axali/ inflacia 4 q.pdf>
5. [http://docs.google.com/viewer?a=v&q=cache:imJ\\_VJp9wQkJ:www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/price/inflation.pdf+inflacia+saqartveloshi&hl=ka&ql=g](http://docs.google.com/viewer?a=v&q=cache:imJ_VJp9wQkJ:www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/inflation.pdf+inflacia+saqartveloshi&hl=ka&ql=g)
6. [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/price/Pres%20release\\_02.2011\\_Georgian.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/Pres%20release_02.2011_Georgian.pdf)
7. <http://netgazeti.ge/GE/46/business/4541/ htm>
8. [http://www.gtu.ge/katedrebi/kat94/Referat/2008\(2-5\)/170-175.pdf](http://www.gtu.ge/katedrebi/kat94/Referat/2008(2-5)/170-175.pdf)

<sup>1</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/price/Pres%20release\\_02.2011\\_Georgian.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/Pres%20release_02.2011_Georgian.pdf)

## რეზიუმე

ინფლაცია და მისი შედეგები აიძულებს ქვეყნებს მიმართონ ფულის რეფორმას. ფულის რეფორმა ტარდება სხვადასხვა მეთოდებით, გამომდინარე მოცემული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, ფულის გაუფასურების დონის, სახელმწიფოს პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა ნაშრომის აქტუალურობა. საქართველოს წინაშე არაერთი პრობლემა დგას ინფლაციური პროცესების მართვის შესახებ, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს განხილვასა და გაანალიზებას ფულის მიმოქცევის მოწესრიგებისა და განმტკიცების მიზნით.

### THE CALCULATION METHODOLOGY OF INFLATION IN GEORGIA

Tea Khorguashvili, Associate professor

#### REZUME

Inflation and its results enforce countries to more money reform. Money reform is conducted by different methods, according to the country economical situation, money inflation, country's political problems. Exactly these circumstances stipulated the topicality of this work. There are many inflational problems in Georgia, to be more exact, there are managing problems of inflation it needs to be discussed and analysed in order to adjust and to strengthen money circulation.

### სადაზღვევო ორგანიზაციების სტრატეგიული მართვა

*დავით ჭიოტაშვილი, სრული პროფესორი  
თეა ანესაშვილი, მოწვეული სპეციალისტი*

მზღვეველთა წარმატებული ფუნქციონირებისა და მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო ორგანიზაციის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას ხანგრძლივ პერსპექტივაში. ეს უკანასკნელი შეუძლებელია სტრატეგიული მართვის გარეშე იგი არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და ნებისმიერი რთული განვითარებადი სისტემის ორგანიზაციულ-მეთოდური ინსტრუმენტი.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს შემოდებულ იქნა ტერმინი - "სტრატეგიული მართვა", რაც ნიშნავს ორგანიზაციის მართვას უმაღლეს დონეზე, რომელიც აძლევს ფირმას გარემომცველ სამყაროზე ზემოქმედების საშუალებას (კონკურენტების მოქმედება, სამომხმარებლო მოთხოვნათა ცვლილება, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები და ა.შ.).

სტრატეგიული მართვა წარმოადგენს საქმიანობისა და გადაწყვეტილებების კომპლექსს, რომელიც მუშავდება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და მიმართულია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.


სტრატეგიული მართვის პროცესის ჩარჩოებში გამოყოფენ ოთხი სახეობის საქმიანობას: რესურსების განაწილება, გარემოსთან ადაპტაცია, შიდა კოორდინაცია და ორგანიზაციული სტრატეგიული წინასწარგანჭვრეტა.

სტრატეგიული მართვის პრინციპების რეალიზაცია ითვალისწინებს რესურსების შეწონასწორებას ძირითად მიზნებსა და გარემო პირობებთან, რათა ზუსტად განისაზღვროს ორგანიზაციის ფინანსური განვითარების მიმართულებები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამასთანავე, სტრატეგია უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ ორგანიზაციის ინტერესები იყოს საიმედოდ დაცული იმ შემთხვევაშიც კი, როცა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იქნება პრაქტიკაში ბიზნესის ზოგიერთი მიმართულების რეალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრატეგია არ წარმოადგენს

გრძელვადიან კონკრეტულ გეგმას, რომელიც გამოიხატება ციფრებითა და სქემებით, მაგრამ მასში განისაზღვრება სამეურნეო სუბიექტის განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი და ამ უკანასკნელის სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად უზრუნველყოფენ მენეჯერები გრძელვადიანი პროცესების წინასწარ განჭვრეტას და პროგნოზირებას.

სტრატეგიული მართვის თანამედროვე კონცეფცია მთავარ მიზნად ისახავს სადაზღვევო საქმიანობის ორიენტაციას და დაგეგმვის სისტემების შემუშავებას არსებული მოთხოვნებისა და მათი დაკამყოფილების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. სტრატეგიული მართვისას უნდა ჩატარდეს ყველა მიმართულების ცალ-ცალკე ანალიზი და შემუშავდეს განვითარების სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა შორის აირჩევა პრიორიტეტული მიმართულებები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ელემენტისაგან, რომლებიც ერთმანეთზე უშუალოდ ზემოქმედებს, (იხ. სქემა 1.)

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი სქემა 1.



ნებისმიერი სადაზღვევო კომპანია მჭიდრო კავშირშია სადაზღვევო ბაზართან, უზრუნველყოფს მას როგორც სადაზღვევო მომსახურებით, ასევე შესაბამისი ინფორმაციით (სად, რა, როდის შეიძლება დაეზღვიოს).

სადაზღვევო ბაზარს სადაზღვევო კომპანიისათვის მოაქვს ინფორმაციის უკუ ნაკადი: დასაზღვევთა შეხედულება შემოთავაზებულ სადაზღვევო მომსახურებაზე, მზღვეველის მუშაობის მეთოდების შესახებ, მონაცემები კონკურენტუნარიანობის, სადაზღვევო პრემიის მოცულობისა და ჩარიცხვის ტემპების შესახებ და ა.შ. ამგვარად წარმოიქმნება ჩაკეტილი სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ერთი მთლიანობა. ეს სისტემა განპირობებულია დაზღვევის შიდა და გარე პირობებით.<sup>1</sup>

სტრატეგიული გეგმის შედგენა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს შიდა ანალიზის ჩატარებას. სადაზღვევო კომპანიის შინა მდგომარეობის ანალიზი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გარეპირობების. შიგა ფაქტორების შეუფასებლობამ შეიძლება გამოიწვიოს არასასრველი შედეგები. იგი შეიძლება უარყოფითად აისახოს სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენებაზე.

მზღვეველის შიდა და გარე ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ურთიერთზეგავლენას ახდენენ. აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც ზემოქმედებს სადაზღვევო კომპანიის სიცოცხლისუნარიანობაზე, ეწოდება მარკეტინგული გარემო. ეს უკანასკნელი პერიოდულად უნდა გააანალიზოს სადაზღვევო კომპანიამ და შესაბამისად მოახდინოს არსებულ მდგომარეობაზე ადაპტაცია. დაზღვევის თეორიასა და პრაქტიკაში მარკეტინგულ გარემოს ყოფენ შემდეგ ნაწილებად: კონტროლირებადი ფაქტორები, არაკონტროლირებადი ფაქტორები, სადაზღვევო კომპანიის წარმატებისა და წარუმატებლობის დონე, ადაპტაცია. კონტროლირებადია ისეთი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება დარეგულირდეს სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ (მომსახურების შემოთავაზების ფორმა, ორგანიზაციული სტრუქტურა და ა.შ.). აღნიშნული ფაქტორები კომპლექსში ქმნის საერთო მარკეტინგულ სტრატეგიას, კონტროლირებადს, დამოკიდებულს არაკონტროლირებადი ფაქტორების მოქმედებაზე.<sup>2</sup>

ადაპტაცია - ეს არის სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ცვლილებები ოპერატიულ მარაგებში და მიმართულია დაბალანსებისაკენ არაკონტროლირებად გარემოსთან მიმართებით.

<sup>1</sup> Шахов В.В. Страхование. Учебник для вузов-М. Страховой полис, ЮНИТИ, 1997. с. 77.

<sup>2</sup> Шахов В.В. Страхование. Учебник для вузов-М. Страховой полис, ЮНИТИ, 1997. с. 57.

სადაზღვევო კომპანიის შიდა და გარე გარემოს ანალიზიდან გამომდინარე ხორციელდება ფირმის შიდა დაგეგმვა, შემუშავდება ბაზარზე მზღვეველის ქცევის სტრატეგია და ტაქტიკა.

გარემომცველი სამყარო წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელშიც შედის დამზღვევეები თავისი დემოგრაფიული და სხვა მახასიათებლებით, კონკურენტი მზღვეველები, სარეკლამო აგენტები, კომერციული ბანკები, სამთავრობო დაწესებულებანი. გარდა ამისა, გარე პირობებს უნდა მივაკუთვნოთ მოქმედი და მოსამზადებელი კანონები, საერთო ეკონომიკური სიტუაცია, პოლიტიკური კლიმატი, საზოგადოების მენტალიტეტი, კულტურული და სხვა ტრადიციები.

დაგეგმვის სტრატეგიის შესაბამისად სადაზღვევო ორგანიზაციებში უნდა გამოიყოს მათი საქმიანობის რიგი თავისებურებებინ რაც არსებით გავლენას ახდენს როგორც სტრატეგიული მართვის გეგმის შედგენაზე ასევე მთელ მმართველობით პროცესზე.

პირველ სპეციფიკურ მომენტად გვევლინება სადაზღვევო მომსახურების სოციალური მნიშვნელობა საზოგადოებაში. ნებისმიერი სადაზღვევო ორგანიზაციის ამოცანა, მისი ფორმისაგან დამოუკიდებლად, არის ის, რომ ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას უზრუნველყოს კლიენტურის კეთილსინდისიერი და საიმედო დაცვა. ეს ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებისას ხელმძღვანელობამ მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს დაზღვეულთა დაცვის უზრუნველყოფა.

მეორე სპეციფიკური ნიშანია სადაზღვევო ურთიერთობათა სარისკო ხასიათი. რისკი დამახასიათებელია არა მარტო კომპანიის შიგნით, არამედ გარემო სამყაროსათვის და შესაბამისად მზღვეველებს შეიძლება დაემუქროს არა მარტო სადაზღვევო რისკი, არამედ ის რისკებიც, რომლებიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით - პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური. შორეულ პერსპექტივაში საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისას, უნდა იქნეს პროგნოზირებული ამა თუ იმ მოვლენის ალბათობა (სადაზღვევო და არასადაზღვევო), სტატისტიკურ, ფინანსურ და სხვა ანგარიშებზე დაყრდნობით, ასევე გარე სამყაროს მდგომარეობის ინფორმაციებზე (პოლიტიკური კატაკლიზმების სიხშირე საზოგადოებაში, სოციალური დაძაბულობა, ინფლაცია და ა.შ.). შიგა და გარე ფაქტორების ზემოქმედების შესწავლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სადაზღვევო კომპანიის მართვაში.

სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის მრავალფეროვნება განსაზღვრავს ბიზნესში რამდენიმე მიმდინარეობის არსებობას - საინვესტიციო, ფინანსური და უშუალოდ სადაზღვევო. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიის ძირითადი მიზანია მოქმედებდეს სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე და უზრუნველყოს გლობალური სადაზღვევო დაცვა. ე.ი. ბიზნესის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, დაზღვევა მკვეთრად ორიენტირებულია თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულებაზე, საქმიანობის ყველა დანარჩენი მიმართულება წარმოადგენს წარმოებულს, რაც არ ამცირებს მათ მნიშვნელობას.

თანამედროვე მენეჯმენტში მართვა განიხილება, როგორც უწყვეტად ურთიერთდაკავშირებული მოქმედების პროცესი, რომელიც ხორციელდება მართვის გარკვეული ფუნქციებით. როგორც წესი, გამოყოფენ მართვის ოთხ ძირითად ფუნქციას: დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი, რომლებიც გაერთიანებულია კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების ურთიერთდაკავშირებული პროცესებით. ჩვენი აზრით, მხოლოდ ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სადაზღვევო სისტემის ოპტიმალური რეგულირება და სტრატეგიული მართვა. სადაზღვევო საქმიანობის სტრატეგიული მართვა მოიცავს გეგმების კომპლექსს, რომლებიც მუშავდება სხვადასხვა საჭიროებისათვის და საშუალებას იძლევა არჩეულ იქნეს ისეთი მოდელი, რომელიც მაქსიმალურად უპასუხებს სადაზღვევო საქმიანობის მართვის და განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

## რეზიუმე

მზღვეველთა წარმატებული ფუნქციონირებისა და მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო ორგანიზაციის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას ხანგრძლივ პერსპექტივაში. ეს უკანასკნელი შეუძლებელია სტრატეგიული მართვის გარეშე. იგი არის უმნიშვნელოვანესი ელემენტი და ნებისმიერი რთული განვითარებადი სისტემის ორგანიზაციულ-მეთოდური ინსტრუმენტი. სტრატეგიული მართვა



წარმოადგენს საქმიანობისა და გადაწყვეტილებების კომპლექსს, რომელიც მუშავდება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და მიმართულია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

## STRATEGIC MANAGEMENT OF INSURANCE COMPANIES

**Davit Tchiotashvili**, Full Professor

**Tea Anesashvili**, Invited Specialist

### RESUMÉ

The determination of main directions in long term perspectives acquires great importance for insurers' successful operation and their financial stability guarantees which is impossible without a strategic management. This is the most significant element and organizational-methodological tool in any complicated developing system. The strategic management can be regarded as a complex of actions and decisions that aims at achieving the strategic goals. It is usually collaborated by an institution authority.

## *სოციალური მეცნიერებანი და სამართალი* *Social Sciences and Law*

### მფლობელობის რეგულირება

*ივანე ბალახაშვილი, უფროსი მასწავლებელი*

მფლობელობა ისტორიულად წინ უსწრებს საკუთრების უფლებას და მისი საფუძველია. მფლობელობისა და საკუთრების ცნებების ურთიერთგამიჯვნა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა. მფლობელობის პირველადობა, მისი უპირველესი მნიშვნელობა და უპირატესობა ხშირად იჩენდა თავს. „მფლობელობა“ ხშირად იხმარება „საკუთრების“ მნიშვნელობით, ე.ი. გულისხმობს ნივთის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებას. მაგალითად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, „მფლობელი“ არის ის, „ვინც ფლობს რასმე, - მეპატრონე, მესაკუთრე; მპყრობელი“.

სამოქალაქო კოდექსის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის რომ მფლობელობა გამიჯნულია საკუთრებისაგან ესაა ნივთზე სრული ბატონობის უფლება, მაშინ როდესაც მფლობელობა თვით ეს ბატონობაა. მფლობელობის კოდექსისეული ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება. უპირველეს ყოვლისა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა. აქ იურიდიული ბატონობა ივარაუდება და შეიძლება იგი დავიყვანოთ მიწის მიმართ ფიზიკურ შემხებლობამდე. ასეც რომ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ნივთის მიმართ ფიზიკური ბატონობის სრული განხორციელება, რადგან ჩვენი ბატონობის ქვეშ მოექცეოდა ის ნივთები, რომელთაც თან დავატარებთ, ხოლო სახლი, რომლიდანაც ეს ისაა გამოვედით, ამ ბატონობის გარეთ დარჩებოდა.

ფაქტობრივი ბატონობის ასეთი გაგება ადამიანთა მოდემის პრიმიტიული მართლშეგნების გამოძახილი იქნებოდა. იმდენად, რამდენადაც მფლობელობა არ შეიძლება გაიზომოს ნივთთან სივრცობრივი კავშირ-ურთიერთობით. მფლობელობაში გამოხატული ბატონობის ფაქტი ნივთის მიმართ სამართლებრივი უფლებამოსილების გამომხატველია. ამ ძალაუფლების განხორციელება არაა დამოკიდებული ნივთის ხელთ პყრობასთან. მესაკუთრეს შეუძლია თავისი ნივთების მიმართ

არსებული უფლებამოსილებანი ყველა შემთხვევაში განახორციელოს, ნივთის ადგილმდებარეობის მიუხედავად. ამ ბატონობის ხარისხი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, მფლობელობის ქვეშ რა სახის უფლება იმალება. თუ ეს საკუთრების უფლებაა, ცხადია მეტი იქნება ამ ბატონობის ხარისხი, ვიდრე მას ადგილი იქნება ქირავნობის დროს. ამრიგად, ფაქტობრივი ბატონობა არ არის იდენტური ფიზიკური ბატონობისა. დერნ ბურგის სიტყვებით, სამართლებრივი წესრიგი სრულად რომ გაუქმდეს მფლობელობა მაინც დარჩება.

მეორე ნიშანი, რომელზედაც ასევე იუწყება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ესაა ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება. აქ ნებითი თეორიისაგან სიახლე იმაშია, რომ არაა აუცილებელი ნება მიზანმიმართული იყოს ქონების საკუთრად ფლობისაკენ. მთავარია, რომ მფლობელობა, იმის მიუხედავად თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული იყოს მფლობელობის ნების გამოვლენით. ე.ი. მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი. მაგალითად, პირი ყიდულობს ნივთს, დამქირავებელი ქირაობს, მონათხოვრე თხოულობს და ა.შ. ყველა შემთხვევაში ისინი მფლობელები ხდებიან თავიანთი ნება სურვილით. თუკი იძულებით ან მოტყუებით მოხდება ეს, მაშინ შეიძლება საკითხი დაისვას ურთიერთობის გაბათილების შესახებ. იქ, სადაც სუბიექტის ნება არ მონაწილეობს, არც მფლობელობაა.

მფლობელობის ობიექტად რომის სამართალი, როგორც წესი, ცნობდა მხოლოდ სხეულებრივ ნივთებს. უფლებებსა და მოთხოვნებს რომის სამართალი მფლობელობის ობიექტად არ აღიარებდა. მაგრამ უკვე იმპერიის პერიოდში სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნილებამ შექმნა საფუძველი არასამართალზომიერი ხელყოფისაკენ სერვიტუტის სანივთო უფლების მფლობელობითი სარჩელით დაცვისა. შედეგად რომის სამართალში იქმნება სერვიტუტის მფლობელობის ინსტიტუტი ანუ უფლების მფლობელობა<sup>1</sup>.

რომის სამართლის მიდგომამ დიდი გავლენა იქონია ფრანგულ სამართალში მფლობელობის სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე. ფრანგულმა სამართალმა სრულად გაიზიარა მფლობელობის რომის სამართლისეული კონსტრუქცია. მფლობელობის შექმნისა და არსებობისათვის აუცილებელია მფლობელობის ორივე ელემენტის თანხვედრა. შესაბამისად მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, მაგრამ მას იგი ახორციელებს სხვისთვის. ფრანგული სამართლის თანახმად ასეთი პირი მხოლოდ მპყრობელია. ქართულ სამართალშიც მოიპოვება ანალოგიური ჩანაწერი და სხვის სასარგებლოდ მფლობელობის განხორციელების შემთხვევაში, როდესაც მფლობელად პირი არ მიიჩნევა, იწოდება მფლობელობის შესამე ნიშნად<sup>2</sup>.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2228-ე მუხლში მოცემული მფლობელობის დეფინიციიდან ჩანს, რომ მფლობელობა შეიძლება არ არსებობდეს არა მხოლოდ საკუთრების უფლების მიმართ, არამედ სხვა უფლების მიმართაც.

მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობით გამოიხატება. მფლობელობა თავდაპირველად მარტოოდენ ფაქტს, ფაქტობრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. შემდეგ კი, საზოგადოებრივი განვითარების კვალობაზე, იურიდიული განსაზღვრულობის გზით იგი იქცა აგრეთვე უფლებად, თანდათანობით გადაიზარდა უმარტივეს სამართლებრივ ურთიერთობად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აყალიბებს ცალკე სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის სახით საკუთრების უფლების შინაარსში შემავალი მფლობელობის უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, კანონმდებელი განასხვავებს მფლობელობას როგორც საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 170-ე მუხლი) და მფლობელობას როგორც დამოუკიდებელ, საკუთრების უფლების შინაარსისაგან გამოცალკავებულ ინსტიტუტს.

მფლობელობის წარმოშობის ძირითად წინაპირობასთან ერთად კანონი ითხოვს ასევე პირის მიერ ნივთის ფლობის ნებას. ამით საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ერთგვარად გაიზიარა მფლობელობის რომაული სამართლებრივი კონსტრუქცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილიდან მფლობელობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებულ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც შეერთებულია მფლობელის ნებასთან, იქონიოს ქონება თავის მფლობელობაში. ამდენად, მფლობელობა უპირველესად და ძირითადად წარმოადგენს ფაქტობრივ ურთიერთობას, რომელიც პირს ანიჭებს ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობას. ამით იგი განსხვავდება სწორედ საკუთრებისა და სანივთო უფლებებისაგან, რომლებიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს ქონებაზე იურიდიული ბატონობის შესაძლებლობას.

<sup>1</sup> გიორგი ნადარეიშვილი. რომის სამოქალაქო სამართალი. „ბონა კაუზა“. თბილისი, 2005

<sup>2</sup> ბესარიონ ზოიძე, „ქართული სანივთო სამართალი“, თბილისი, 2003

მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც. მფლობელობა ფაქტია და ამ ფაქტის უკან შეიძლება იდგეს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებები. თუმცა ყველაზე მჭიდრო კავშირი მფლობელობასა და საკუთრებას შორისაა.

მფლობელობის საგანს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავიც. მფლობელობა შესაძლებელია ნივთის რეალურ ნაწილებზე, მაგრამ არა იდეალურ ნაწილებზე. ნივთების ერთობლიობის შემთხვევაში მფლობელობა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლიობას მიკუთვნებულ ცალკეულ ნივთებზე. მფლობელობას არ ექვემდებარებიან ადამიანები, ბუნებრივი ენერგია, სამუშაო ძალა, ინტელექტუალური ნაწარმოებები ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსში "ნივთის" მფლობელობაზე, ეს არ ნიშნავს, რომ კანონი გამორიცხავს უფლების მფლობელობას.

უპირველეს ყოვლისა, მფლობელობას კანონი უკავშირებს საკუთრების უფლების პრეზუმციას. მოძრავი ნივთების მიმართ ივარაუდება, რომ ამ ნივთების მფლობელი არის მათი მესაკუთრე. რეალურ ცხოვრებაში უმეტეს შემთხვევებში ასეც არის, რის გამოც მესაკუთრეს თავისი საკუთრების უფლების არსებობის მტკიცებისათვის შეუძლია მიმართოს თავის მფლობელობაზე.

ნივთი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირის მფლობელობაში. ის პირები ითვლებიან თანამფლობელობად.

სამართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ მძლავრობის გზით მოპოვებული მფლობელობის სამართლებრივი გაფორმება-განმტკიცება განსაკუთრებით იჩენდა თავს ხელისუფლების სისუსტის პირობებში. ქვეყნის აშლილობისას მარცვა-გლეჯვის შედეგად შექმნილი ფაქტობრივი ვითარების დაცვა პირდაპირაა დაკანონებული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 176 მუხლით: „ორბატონობასა და ორიანობაში ერთის მეორისაგან მიხდომის, მოკვლა, აკლება, წართმევა და მოტაცება და ლაშქერა არ იხსენების, არც გამოიკიდების,-მტერნი ყოფილან და გაყოფილნი, და არც ხელით გამოსვლიათ, ორთავ ქვეყანა ურბევიათ. და ბოლოს რომელსაც ბატონს დარჩეს, ნუღარ ათქმევს“<sup>1</sup>.

მფლობელობა იქცევა მფლობელის უფლებად, თუ კანონი იცავს მას სხვა პირთა მხრივ დარღვევისაგან. ასეთი უფლება უპირველესად ეკუთვნის მესაკუთრეს, რომელსაც ნივთით სარგებლობასა და ნივთის განკარგვასთან ერთად მისი ფლობის უფლებაც აქვს. მფლობელი შეიძლება იყოს არამესაკუთრეც, მაგალითად, როცა მესაკუთრე თავის ქონებას გადასცემს სხვას ხელშეკრულებით. მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობისაგან. ასეთივე უფლება აქვს იმ პირს, რომელიც ფლობს ნივთს ხელშეკრულების საფუძველზე ან კანონის ძალით.

მფლობელობა ქმნის საკუთრების უფლების არსებობის ვარაუდს, იგი ასევე გადადის მემკვიდრეობით, მფლობელს შეუძლია დაიცვას თავისი ფაქტობრივი მდგომარეობა მფლობელობითი სარჩელებით, ფლობის ფაქტს კანონი უკავშირებს განსაზღვრული უფლება-ვალდებულებების არსებობას მფლობელსა და უფლებამოსილ პირს შორის, განსაზღვრულ პირობების არსებობისას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოძრავი ნივთის ფლობას შედეგად მოჰყვება მასზე საკუთრების უფლების შექმნა ხანდაზმულობით.

მფლობელობითი ხანდაზმულობა შეიძლება შეწყდეს მოთხოვნის აღიარებით ან კიდევ როცა მფლობელის მიმართ სარჩელი იქნება შეტანილი სასამართლოში. მფლობელის მომსახურე პირის მიმართ სარჩელის წაყენება არ გამოიწვევს ხანდაზმულობის შეწყვეტას. მხოლოდ ნამდვილი მესაკუთრის მიმართ სარჩელს შეუძლია გამოიწვიოს ხანდაზმულობის შეწყვეტა. სარჩელის შეტანა არ გამოიწვევს მფლობელობის შეწყვეტას, თუკი მოსარჩლე უარს იტყვის სარჩელზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი განუხილველად იქნება დატოვებული.

ნივთის მფლობელობის შეწყვეტის საფუძველს ითვალისწინებს 168-ე მუხლი, კერძოდ, ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას. ამ შემთხვევაში ქართული ნორმა არსებითად ჰგავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 941-ე პარაგრაფს, რომელშიც საუბარია ვინდიკაციის გზით მფლობელობის შეწყვეტაზე.

ამრიგად, მოქმედ ქართულ სამოქალაქო სამართალში მფლობელობა ისევე განიხილება, როგორც ეს გერმანული სამართლის ოჯახშია მიღებული. ამით იგი ემიჯნება რომანული სამართლის ქვეყნებს, რომელშიც მფლობელობა შედარებით განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.

საქართველოს სამოქალაქო სამართალში მიღებულია მფლობელობის კლასიფიკაცია რამდენიმე სახედ. იმ სამართლებრივი თუ ფაქტიური ნიშნების მიხედვით, რომლებიც ახასიათებს

<sup>1</sup> არსენიძე რ. განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა, პარიზი, 1963

ამა თუ იმ მფლობელთა ურთიერთობას, განასხვავებენ, კერძოდ მართლზომიერ და არამართლზომიერ მფლობელობას.

თუ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განმხორციელებელი პირი უფლებამოსილია ფლობაზე, მაშინ იგი მიიჩნევა მართლზომიერ მფლობელად. მფლობელობაზე უფლებამოსილება გამომდინარეობს იმ სამართლებრივი საფუძვლებიდან, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც კანონით, ისე მხარეთა შორის დადებული გარიგებით. მაგალითად, მართლზომიერია დამქირავებლის მფლობელობა, ვინაიდან მას დაქირავებული ქონების ფლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

თუ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განმხორციელებელი პირი არ არის უფლებამოსილი ფლობაზე, მაშინ იგი წარმოადგენს არამართლზომიერ მფლობელს. მაგალითად, უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტუარი ვალდებულია უძრავი ნივთი დაუბრუნოს მესაკუთრეს<sup>1</sup>. თუ იგი აგრძელებს ნივთის მფლობელობას, ეს მფლობელობა მიიჩნევა არამართლზომიერად.

მართალია ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება მფლობელობის კონსტიტუციური ელემენტია, მაგრამ არა ერთადერთი. ამიტომაცაა, რომ 155-ე მუხლის II ნაწილით მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვისთვის, სხვის სასარგებლოდ. მფლობელად ითვლება ის პირი რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა. ნივთზე ფაქტობრივი მებატონე ითვლება ამ ნივთის მჭერად (მპყრობელად), მფლობელის მომსახურედ. ამ უკანასკნელს ნივთის მფლობასთან დაკავშირებით არ გააჩნია დამოუკიდებელი, პირადი ინტერესი. მისი დამოკიდებულება ნივთისადმი გარეგნულად შესაცნობია და ემყარება მფლობელთან სოციალურ კავშირ-ურთიერთობას, რომელიც შეიძლება ატარებდეს, როგორც საჯარო-სამართლებრივ (მაგ.: ჯარისკაცის, პოლიციელის მიერ საბრძოლო იარაღის ფლობა), ასევე კერძოსამართლებრივ ხასიათს (მაგ.: მუშა-მომსახურეების მიერ საწარმოში არსებული ნივთების ფლობა, შინამოსამსახურის ან გამყიდველის მიერ მეპატრონის ნივთების ფლობა).

რამდენადაც მჭერი არ ითვლება მფლობელად, ამიტომაც მას არა აქვს მფლობელობითი დაცვის უფლება არც იმათ მიმართ, ვინც ფაქტობრივი ბატონობის უფლება მიანიჭა მას და არც მესამე პირთა მიმართ. თუმცა მას შეუძლია წინ აღუდგეს მესამე პირთა აკრძალულ თვითებობას. ამ შემთხვევაში გამოიყენება უფლების განხორციელების შესაბამისი ნორმები. უფლებამოსილების მიმნიჭებელს შეუძლია მჭერის მეშვეობით შეიძინოს ახალი მფლობელობა სხვადასხვა ნივთებზე. მაგალითად, საწარმოს თანამშრომელმა საწარმოსათვის შეიძინა აუცილებელი საგნები, ანდა შინამოსამსახურემ სახლის პატრონისათვის პროდუქტები. მფლობელობის შეძენისას მჭერის არაკეთილსინდისიერება აღიქმევა როგორც უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირის არაკეთილსინდისიერება და მოსარჩელის წინაშეც თვითონ იქნება პასუხისმგებელი, თუკი მან მჭერის შერჩევისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელების პროცესში არ გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებანიობა.

როგორც ჩანს, სანქტ-პეტერბურგელი ცივილისტები, რომლებშიც უაღრესად პოზიტიურად აფასებენ ქართულ სამოქალაქო კოდექსს, რატომღაც ვერ ჩაწვდნენ 155-ე მუხლი მეორე ნაწილის შინაარსს, რადგანაც მათი აზრით, ქართული სამოქალაქო კოდექსი ჰოლანდიურის მსგავსად ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან მფლობელობასა და ჭერას „პყრობას“ და მფლობელად მიიჩნევს მხოლოდ იმას, ვინც სხვას მიანიჭა ნივთის ფლობის უფლებამოსილება, ხოლო პირდაპირ მფლობელს ”ჰაერში კიდებს“. საქმეც იმაშია, რომ ”ჰაერში ჩამოკიდებული პირი 155-ე მუხლის თანახმად, სულაც არაა ნივთის მფლობელი“. იგი სწორედ, რომ ნივთის მჭერია ”მპყრობელი“, რადგანაც ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს სხვა პირის სასარგებლოდ<sup>2</sup>.

რადგანაც მფლობელობა ფაქტია, სავსებით შესაძლებელია ამ ფაქტის მიმართ ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა, კერძოდ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა.

აღსანიშნავია, რომ მფლობელობის დაყოფას პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობად არა აქვს ანალოგი რომისა და შესაბამისად, ფრანგულ სამართალში. ეს დაყოფა ქართულმა სამართალმა გადმოიღო გერმანული სამოქალაქო კოდექსიდან, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიყენა ძველი გერმანული ფეოდალური სამართლის წყაროები. როდესაც პირი უშუალოდ ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, მაშინ იგი მიიჩნევა პირდაპირ მფლობელად. სწორედ პირდაპირ მფლობელობას გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი

<sup>1</sup> ბესარიონ ზოიძე, „ქართული სანივთო სამართალი“, თბილისი, 2003 წელი

<sup>2</sup> ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, თბ. 2008 წ

და იგი წარმოადგენს მფლობელობის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას. პირდაპირი მფლობელობის შექმნისათვის საჭიროა მფლობელმა მოიპოვოს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელსაც ემატება ამ ბატონობის განხორციელების ნება.

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა რომ არაა მასზე ფიზიკური ბატონობის იდენტური, სწორედ ეს იძლევა ორმაგი მფლობელობის შესაძლებლობას. ნივთი შეიძლება არა მატრო პირდაპირი მფლობელის ბატონობაში იმყოფებოდეს, არამედ იმავდროულად არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. ასე მაგალითად, თუ მხოლოდ მესაკუთრე ფლობს ნივთს, აქ მხოლოდ პირდაპირი მფლობელობაა სახეზე, მაგრამ თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ხდება, აქ გვევლინება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელობა. თუმცა სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს როგორც სანივთო (უზუფრუქტის, გირავნობის, აღნაგობის და სხვა), ისე ვალდებულებითი (ქირავნობის, იჯარის, თხოვნის, მინდობილი საკუთრების და ა.შ.). ამ ურთიერთობაში მესაკუთრე წარმოადგენს ნივთის არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო უზუფრუქტუარი, მოიჯარე და ა.შ., ამ ნივთის პირდაპირ მფლობელს. ფაქტობრივი ბატონობაც ამ შემთხვევაში გარკვეულ დროში მოცემული ბატონობაა, რომლის ფარგლებშიც თვით მხარეთა შორის ურთიერთობის ხასიათით განისაზღვრება. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრის ფაქტობრივი ბატონობა ნაკლები ხარისხის ბატონობა იქნება, ვიდრე მოიჯარისა. საქმეც იმაშია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, ნივთზე უშუალო ძალაუფლებას, ბატონობას მოიჯარე ახორციელებს ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში და ამიტომაცაა იგი პირდაპირი მფლობელი. მესაკუთრე იმდენად ახორციელებს თავის ძალაუფლებას ნივთზე, რამდენადაც მან ეს შეიზღუდა აღნიშნული ურთიერთობის დამყარებით. თავისთავად, საკუთრების უფლება ნივთზე აბსოლუტური სახით ბატონობას გულისხმობს, მაგრამ გარკვეული დროით პირდაპირი მფლობელის გამო იგი შეზღუდულია. ამ ურთიერთობათა ფარგლებში შესაძლებელია რომ პირდაპირი მფლობელი, იგივე მოიჯარე თავად იქცეს არაპირდაპირ მფლობელად თუკი იგი გამოიყენებს ქვეიჯარით ნივთის გადაცემის უფლებას. მესაკუთრის ფაქტობრივი ბატონობის გამოვლენა იქნება ის, რომ პირდაპირი მფლობელი მისი თანხმობის გარეშე ამ უფლებით ვერ ისარგებლებს. ყოველივე ამის გამო, მხარეთა შორის ურთიერთობის შეწყვეტისას ასევე შეუწყდება მეორე მხარეს პირდაპირი მფლობელობა და პირველის არაპირდაპირი მფლობელობა იქცევა ისევ არაპირდაპირ მფლობელობად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მფლობელობის მარეგულირებელი ნორმების ზოგადი ანალიზით არაპირდაპირი მფლობელობის სამართლებრივი მდგომარეობა უთანაბრდება პირდაპირი მფლობელობის სამართლებრივ მდგომარეობას. პირდაპირი მფლობელის მსგავსად, არაპირდაპირ მფლობელს ეკუთვნის მფლობელობითი დაცვის სარჩელები მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობის ჩამორთმევა ან მფლობელობის განხორციელებაში ხელის შეშლა ხდება პირდაპირი მფლობელის მიმართ. არაპირდაპირ მფლობელს შეუძლია პირდაპირ მფლობელს წაუყენოს მოთხოვნები მხოლოდ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება არაპირდაპირი მფლობელობა.

თავის მხრივ, პირდაპირ მფლობელობასაც აქვს არაპირდაპირი მფლობელის მიმართ ნივთის საშუამავლო მფლობელობითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომელთა წაყენების პირობებიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. გარდა ამისა, არაპირდაპირი მფლობელის ინტერესებს კანონიც იცავს თავისი დანაწესით. კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, არაპირდაპირ მფლობელს არ შეუძლია პირდაპირ მფლობელს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება, სანამ ამ უკანასკნელის მფლობელობა მართლზომიერია. მაგალითად, გამქირავებელს არა აქვს უფლება მოსთხოვოს დამქირავებელს დაქირავებული ნივთის უკან გადმოცემა, თუ სახეზე არ არის ის პირობები, რომლებიც გამქირავებელს ანიჭებს აღნიშნულის მოთხოვნის უფლებას. პირდაპირ მფლობელს, რომელსაც არა აქვს ნივთის ფლობის უფლება შეუძლია მოსთხოვოს არაპირდაპირ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება, როდესაც ამ უკანასკნელმა ნივთზე მფლობელობა მოიპოვა ძალადობის ან მუქარის გზით.

უკვე არსებული არაპირდაპირი მფლობელობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ამ უკანასკნელისათვის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის დათმობით. არაპირდაპირი მფლობელობის დაკარგვას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შუალობით მფლობელს (პირდაპირ მფლობელს) გარეგნულად შესაძინევი მოქმედებით აღარ სურს საშუამავლო მფლობელობითი ურთიერთობის განხორციელება, მაგალითად: მის მფლობელობაში არსებული ნივთის მითვისებით.

მფლობელობითი კონფლიქტის ვითარებაში უპირატესობა ენიჭება პირდაპირ მფლობელობას. პირდაპირი მფლობელობა დაცულია თვით არაპირდაპირი მფლობელობისაგან. მათი ასეთი დამოკიდებულება სამოქალაქო წესრიგის საფუძველია. გარდა მფლობელობის აღნიშნული დაყოფისა პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელად, სამოქალაქო სამართლის თეორია იცნობს მფლობელობას თავისთვის და მფლობელობას სხვისთვის<sup>1</sup>. მფლობელი თავისთვის ის პირია, ვინც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს ან ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, როგორც მას მიკუთვნებულს. თავისთვის მფლობელობის ყველაზე ხშირი შემთხვევაა მესაკუთრის მიერ კუთვნილი ნივთის მფლობელობა. თუმცა, ამ სახის მფლობელობას ადგილი აქვს არამესაკუთრე პირის მიერ განხორციელებული მფლობელობის შემთხვევაშიც.

მფლობელი სხვისთვის, პირიქით ის პირია, ვინც თავის მფლობელობასთან ერთად სხვა პირს აღიარებს თავისთვის მფლობელად ან სხვაგვარად უფლებამოსილ პირად. ასეთი აღიარებით აღნიშნული მფლობელი თითქოს ფლობს სხვისათვის და შესაბამისად, ანგარიშვალდებულება ამ პირის წინაშე. სხვისთვის მფლობელად მიიჩნევიან მაგალითად, უზუფრუქტუარი, დამქირავებელი, მონათხოვრე, შემნახველი და სხვები.

სამოქალაქო კოდექსი მფლობელობის სამართლებრივი დანაწევრების ორ შემთხვევას განიხილავს. პირველს მიეკუთვნება შემთხვევა, როდესაც ერთ საგანზე არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. მეორე შემთხვევაა, როცა ერთ ნივთს რამდენიმე პირი ფლობს ერთდროულად. მათ შორის განსხვავება ის არის, რომ თუ პირველ შემთხვევაში ორსაფეხურიანი დაყოფა გვაქვს მფლობელობისა, მეორე შემთხვევაში თანამფლობელთა ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობა ერთსაფეხურიანია ან პირდაპირი მფლობელები არიან თანამფლობელები, ან კიდევ არაპირდაპირი მფლობელები. თანამფლობელობა შეიძლება იყოს მარტივი, როცა ყოველ თანამფლობელს აქვს სანივთო ძალაუფლება, რაც სხვებმა უნდა გაითვალისწინონ.

მარტივი თანამფლობელობის დროს ნებისმიერ თანამფლობელს შეუძლია ფლობდეს ნივთს თავისთვის სხვა თანამფლობელთან ერთად. ამ შემთხვევაში თანამფლობელობის განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ყველა თანამფლობელის მიერ მფლობელობის ერთდროული განხორციელება (მაგალითად, ამხანაგობის საერთო საკუთრებას მიკუთვნებულ ნივთებზე ფლობა). მაგალითად, სახლის საერთო სამრეცხაოზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს ყველა დამქირავებელი. იგი თითქმის სახლის საერთო სარგებლობის სხვა ობიექტებზეც, მეუღლეთა თანამფლობელობაზე ბინაში არსებული სიკეთეების მიმართ, რითაც ისინი ერთად სარგებლობენ. კვალიფიციური (კოლექტიური) თანამფლობელობისას, ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა მხოლოდ კოლექტიურადაა შესაძლებელი და ამდენად, იგი საერთო ხელშია. მაგალითად, როცა არაპირდაპირი მფლობელი ახორციელებს მფლობელობას რამდენიმე პირდაპირი მფლობელისათვის, ან კიდევ მჭერი ფლობს ნივთს მრავალი უფლებამოსილი პირისათვის ერთად.

თანაზიარ თანამფლობელობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ან მეტ პირს შეუძლია ფლობდეს ნივთს მხოლოდ ერთობლივად. ამასთან, აუცილებელი არ არის, თანაზიარი მფლობელები იყვნენ სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები, არამედ საკმარისია მხოლოდ ფაქტობრივი ბატონობის ერთობლივი განხორციელება. მარტივი თანამფლობელობის მდგომარეობას კარგად შეესაბამება საერთო თანაზიარი საკუთრება, ხოლო კვალიფიციურისას კი - წილადი საკუთრება.

ისე, როგორც ყოველი მესაკუთრე საერთო ნივთის მასზედ კუთვნილი ნაწილის მესაკუთრეა, შესაბამისად მისი მფლობელობა, იგივე ფაქტობრივი ძალაუფლება, მხოლოდ ამ ნაწილზე ვრცელდება. ერთი ნივთის ნაწილებს შეუძლია ფლობდნენ არამესაკუთრეებიც. შეიძლება, ერთსა და იმავე საგანზე ჰქონდეს როგორც თანამფლობელობის, ისე ნაწილების მფლობელობას. ასე მაგალითად მრავალბინიანი სახლი შეიძლება განვიხილოთ ისეთ ობიექტად, რომელშიც საერთო სარგებლობის საგნებზე თანამფლობელობაა, ხოლო ინდივიდუალური სარგებლობის საგნებზე მფლობელობა, ამ სახლის ნაწილებზე მფლობელობაა. ნაწილების მფლობელობის სიდიდე განსაზღვრავს არა თანამფლობელის ფაქტობრივი ბატონობის ფარგლებს, არამედ თანამფლობელის ვალდებულებების მოცულობას სხვა თანამფლობელთა წინაშე.

ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის შეწყვეტისას მფლობელობაც წყდება იმის მიუხედავად, თუ როგორია მფლობელობაზე უფლების ხანგრძლივობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მფლობელობა ყოველთვის არ წყდება მასზე უფლების დასრულებისთანავე. მაგალითად, დამქირავებელი, რომელიც

<sup>1</sup> ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, თბ. 2008 წ

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგი მართალია, უკანონოდ რჩება ბინაში, მაინც ბინის მფლობელად ივარაუდება.

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის გარეშე მფლობელობის განხორციელების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მემკვიდრეობის მფლობელობა. სამკვიდრო მასას მიკუთვნებული ქონებასთან ერთად კანონისმიერი ფიქციით მემკვიდრე გადადის მემკვიდრეების როგორც მფლობელების ფაქტობრივი მდგომარეობა. მფლობელობა გადადის იმავე სახით, რა სახითაც იგი არსებობდა მამკვიდრებელთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 157-ე მუხლი). ამასთან მემკვიდრეებზე მფლობელობის გადასვლა დამოკიდებული არ არის იმაზე, იცოდნენ თუ არა მათ მამკვიდრებლის მფლობელობითი მდგომარეობის ან სამკვიდრო მასის მოცულობის შესახებ, ანდა დაეუფლნენ თუ არა ისინი სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივად.

მფლობელობაში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ. ეს წესი არ გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომელთა მესაკუთრე საჯარო რეესტრიდან უნდა გამოვლინდეს. ასეთი ნივთები კი უძრავი ნივთებია. ეს განსხვავება განპიროვნებულია მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის განსხვავებული რეჟიმით. თუ მოძრავი ნივთების შემენისათვის საკმარისია ნივთის ერთი პირის ხელიდან მეორის ხელში მარტოოდენ გადაცემის ფაქტი უძრავი ნივთი შეიძინება მხოლოდ მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. მოძრავი ნივთის შემძენს ამ შემთხვევაში თუ არა კონტრაქტის კეთილსინდისიერებისადმი მინდობა, სხვა სამართლებრივი გზა მფლობელის მესაკუთრეობის შემოწმებისა არ გააჩნია და ეს გამოწვეულია, როგორც ითქვა სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სიმარტივის ინტერესებით. ცხადია, კერძო ინიციატივა მან შეიძლება კიდევ გამოიჩინოს, მაგრამ ამით შეიძლება ვერც მოხერხდეს ნივთზე საკუთრების უფლების დამტკიცება იმის გამო, რომ ეს უფლება არ მოითხოვდა სათანადო საბუთში გაფორმებისას. თუკი მე ვიყიდი როიალს თუ არა ჩემი კეთილსინდისიერება, სხვა რა მტკიცებულება მექნება, დავარწმუნო მყიდველი, რომ მე ვარ მისი მესაკუთრე.

ამიტომაცაა, რომ მფლობელისათვის კეთილსინდისიერება საკუთრების ვარაუდთან დაკავშირებით ბრუნვის პრინციპია, ხოლო მისი არაკეთილსინდისიერება, ამ ბრუნვისათვის დამახასიათებელი ნორმალური რისკი. რაც შეეხება უძრავ ნივთებს, აქ მეტი შესაძლებლობაა, რომ ნივთის შემძენმა არ დაუმვას შეცდომა, მას ადვილად შეუძლია შეამოწმოს ნივთზე ფაქტობრივი მებატონის მდგომარეობა. რახან უძრავ ნივთებზე უფლება საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული, ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს ამ რეგისტრაციის ფაქტს და დარწმუნდეს თუ რა უფლება დგას ნივთის ფაქტობრივი მებატონის, ვთქვათ, ბინაში ცხოვრების უკან, მაგრამ ხომ შეიძლება რეესტრის ჩანაწერი აღმოჩნდეს არასწორი. ცხადია რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ შემძენი აქ არაფერ შუაში იქნებოდა. შემძენმა იცის, რომ სამოქალაქო კოდექსის ძალით მას შეუზღია ენდოს რეესტრის მონაცემებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, ხოლო მოძრავი ნივთის მფლობელთან მიმართებაში. ამიტომაცაა, რომ თუ არა შემძენის მხრიდან არაკეთილსინდისიერება, ყველა შემთხვევაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ნივთის გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამდენად, ასეთ ვითარებაში ბრუნვაში არსებული წესრიგი იცავს შემძენს რეესტრში არსებულ ხარვეზებისაგან.

როცა სახეზეა მოძრავი ნივთი, ბრუნვის ინტერესები გვაიძულებს ვენდოთ მის მფლობელს, სხვა დროს კი, როცა უძრავი ნივთები გვაქვს, ისევ ბრუნვის ინტერესები მოითხოვს, მფლობელისადმი ნდობა საჯარო რეესტრიდან მომდინარეობდეს. მოძრავი და უძრავი ნივთების ამ განსხვავებული რეჟიმის გაუთვალისწინებლობა ბრუნვის მონაწილეები შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ხშირი იყო თაღლითობის შემთხვევები, როცა უძრავი ნივთების ფაქტობრივი მეპატრონე მყიდველს მესაკუთრედ უცვნიდა, როცა ეს უკანასკნელი სინამდვილეში არ იყო მისი მესაკუთრე.

შეუძლებელია, ერთდროულად დაფუძვან საკუთრების ვარაუდი, როგორც ნივთის ძველი მფლობელის, ისე ახალი მფლობელის მიმართ. ძველი მფლობელის მიმართ საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს მხოლოდ მის მფლობელობის პერიოდში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ასეთი სახით: „1. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. 2. მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი“, უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით, რომელიც ხორციელდება საკუთრივ თავისთვის“.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2007;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2007;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, II, III, IV, V;
4. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, სამართალი, 1997;
5. კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, ჯისიანი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, 2000;
6. ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, სამართალი, 1998;
7. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, ბონა კაუზა, 2005;
8. რ. მეტრეველი, რომის სამართალი, თბ., 2005;
9. ა. კობახიძე, სამოქალაქო სამართალი I ზოგადი ნაწილი, საქართველოს მაცნე, 2001;
10. რ. დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 1993;
11. გ. ნადარეიშვილი, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობა ქართულ სამართალში, სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ., 1994;
12. ბ. ზოიძე, „ქართული სანივთო სამართალი“, თბ., 2003;
13. ლ. ჭანტურია, უძრავი ქონების საკუთრება თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბ. 1994;
14. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, „ბონა კაუზა“, თბ., 2005;
15. რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, 2009;
16. რ. არსენიძე, განხილვა მეფე ვახტანგ მეექვსის კანონმდებლობისა, პარიზი, 1963;
17. ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბ., 2008;
18. Гражданское право, В.В. Пиляева, Юнорус, 2003.

#### რეზიუმე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ასეთი სახით: „1. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. 2. მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი“. უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციათ: „მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით, რომელიც ხორციელდება საკუთრივ თავისთვის“.

#### OWNERSHIP REGULATION Ivane Balakhashvili, Senior Teacher RESUME

The first and second parts of editorship of the 155<sup>th</sup> article of the Georgian Civil Code is as follows: “1. Ownership arises after receiving factual supremacy on a thing willingly. 2. Owner cannot be a person who carries out factual supremacy on a thing, but for the privilege of other person and is given the plenary power from that person”. It should be changed and formed according to the following editorship: “Ownership arises after receiving factual supremacy on a thing willingly for oneself”.



## ხულიგნობა სისხლის სამართლის მიმე დანაშაულია

*შალვა ვანიშვილი, დოქტორი*

XX საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ძირეული რეფორმები განხორციელდა როგორც კანონმდებლობაში, ისე იურიდიული აზროვნების ფორმირებაში. საქართველო დასავლურ სამართლებრივ აზროვნებას უბრუნდება, მტკიცდება რა კანონიერება და მართლწესრიგი. სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურისა და საქმიანობის ძირეული გარდაქმნა დროის მოთხოვნა გახდა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა დონეზე დაცვისა და ახალი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფილი რეგულირების აუცილებლობამ განაპირობა კანონშემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურება. მიღებულ იქნა ეროვნული ინტერესების შესაბამისად ასეულობით საკანონმდებლო აქტი. სამართლის ძირითად დარგებში შემუშავებულია ახალი კოდექსები.

ამჟამინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების შესაბამისი სამართლებრივი აქტების პრაქტიკული რეალიზაცია, მათ სწორ შეფარდებასთან ერთად, ბევრად არის განპირობებული საზოგადოების მართლშეგნების მაღალი დონით. აუცილებელია სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა. სამართლებრივ ცოდნას მოსახლეობის ფართო ფენები უნდა დაეუფლოს.

ჩვენი ქვეყნის ადამიანთა დიდი უმრავლესობა გამსჭვალულია დიდი შეგნებისა და მორალის მაღალი პრინციპებით. კანონების, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების დაცვა წარმოადგენდა მათ შინაგან მოთხოვნილებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არ ემორჩილებიან სახელმწიფოებრივ დისციპლინას, უხეშად არღვევენ თანაცხოვრების ნორმებს, სჩადიან საშიშ დანაშაულებს. ერთ-ერთ უაღრესად საშიშ და საკმაოდ გავრცელებულ დანაშაულს ხულიგნობა წარმოადგენს. ჩვენი ქვეყნის სასამართლოების მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმეებიდან საგრძნობი ნაწილი ხულიგნობას ეხება.

ხულიგნობის საზოგადოებრივი საშიშროება მარტოოდენ საერთო დანაშაულებათა ჯამში დიდი ხვედრითი წილით როდი განისაზღვრება. ხულიგნობა წარმოადგენს ერთგვარ, მოსამზადებელ სკოლას განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებათა ჩასადენად. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ქურდობის, მკვლელობის, ბანდიტობისა და სხვა საშიშ დამნაშავეთა დიდმა უმრავლესობამ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა დაიწყო ხულიგნობიდან. ხულიგნობის ნიადაგზე ხშირად ხდება ისეთი უმძიმესი დანაშაულებანი, როგორცაა: მკვლელობა, სხეულის მიმე დაზიანება, ქონების განადგურება და ა.შ. მაგრამ რომელ სტატისტიკას შეუძლია აღრიცხოს ის მორალური ზიანი, რასაც ხულიგნობა აყენებს საზოგადოებას. ერთ აღვირახსნილ ხულიგანს შეუძლია სულ რამდენიმე წუთში ასობით ადამიანს გაუმწაროს სიცოცხლე, წაუხდინოს განწყობილება, დაუკარგოს შრომისა და დასვენების ხალისი.

სიტყვა “ხულიგანი” ყოფა-ცხოვრებაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ხშირად ხულიგნად იხსენიება საერთოდ საშიში დამნაშავე: ქურდი, ბანდიტი, მკვლელი და ა.შ. ზოგჯერ ხულიგანს უწოდებენ პირს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული უტაქტობითა და თავშეუკავებლობით.

მკვლევართა მტკიცებით “ხულიგანი” ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს გვარს ერთ-ერთი ირლანდიელი ოჯახისა, რომელიც მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა ლონდონში და სახელი გაითქვა განსაკუთრებული შლეგობითა და საშიშ დანაშაულებათა ჩადენისადმი მიდრეკილებით. შემდგომში ხულიგნებს უწოდებენ ქუჩის მოძალადეებს და საერთოდ დამნაშავეთა წრესთან დაკავშირებულ პირებს.

თანამედროვე სამართლებრივი გაგებით ხულიგნობა წარმოადგენს დანაშაულს, საზოგადოებრივად საშიშ, დასჯად ქმედობას და ხულიგანია ის, ვის ქმედობაშიც მოცემულია ამ დანაშაულის კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველ ნაწილში ხულიგნობა განმარტებულია როგორც განზრახ ქმედობა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა

უპატივემულობას. ხულიგნობა ერთ-ერთი მძიმე დანაშაულია, რასაც თან ერთვის ლანძვლა-გინება, ძალადობა მოქალაქეთა მიმართ ან ძალადობის მუქარა.

საქართველოს სისხლის სამართლის 239-ე მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის შინაარსი ასეთია: “ხულიგნობა, ე.ი. მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით”.

ერთი სიტყვით, ხულიგნობა სამი ძირითადი ნიშნით ხასიათდება:

- ა) საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევით;
- ბ) საზოგადოებისადმი აშკარა უპატივემულობის გამოხატვით;
- გ) მოქალაქეთა მიმართ ძალადობით, ან ძალადობის მუქარით.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში იგულისხმება ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ მორალს, უპატივემულობის ნორმებს, დამოკიდებულების წესებს, სიმშვიდეს, წამლავს და ამღვრევს ადამიანის გუნება-განწყობილებას და ა.შ.

საზოგადოების უპატივემულობაში კანონმდებელი გულისხმობს მოქალაქეთა მიმართ უწმინდური, მიუღებელი სიტყვებით მიმართვას, დაცინვას, სარცხვენელი ადგილების ჩვენებას და ა.შ.

ძალადობაში იგულისხმება ადამიანისათვის ხელის კვრა, ქვის ან სხვა ნივთების სროლა, ცემა და სხვა.

თუმცა კანონმდებელი დისპოზიციაში არ მიუთითებს, მაგრამ ხულიგნობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ქონებრივი ზარალიც, როდესაც დამნაშავე ამტკრევს ფანჯრებს, კარებს, ღობეებს, აბრუნებს მერხებს, აზიანებს ავტომანქანებს და ა.შ. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საზოგადოების მიმართ უპატივემულობის გამოხატვა ტიპურად ხდება საზოგადოების თავშეყრის, საქმიანობის ან ცხოვრების ადგილებზე (ქუჩაში, დაწესებულებაში, პარკში, კინო-თეატრში, რესტორანში, ტრანსპორტში და ა.შ.).

მაგრამ არ არის გამორიცხული ხულიგნობა სხვაგანაც (მაგალითად, ტყეში, მინდორში და სხვ. მარტო კაცის მიმართ).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხულიგნობის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს მიეკუთვნება: ჯგუფის მიერ ხულიგნობის ჩადენა წინასწარი შეთანხმებით, ან იმ პირისადმი, რომელიც მოქმედებდა ხულიგნობის აღსაკვეთად. წინააღმდეგობის გაწევა გულისხმობს იმ პირთა საწინააღმდეგოდ მოქმედებას, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, ან მოქალაქეობრივ ვალს წესრიგის დაცვის დროს; წინააღმდეგობის გაწევაში კანონმდებელი გულისხმობს მათი კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობას, დაუმორჩილებლობას.

თუ წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველისადმი მოხდა ხულიგნობის ფაქტის დამთავრების შემდეგ, ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

იურიდიულ ლიტერატურაში იყო აზრი, თითქოს ხულიგნობა უმოტივო დანაშაულებრივ ქმედობად წარმოადგენს, მაგრამ ეს მოსაზრება ვერ დამკვიდრდა, რადგან უმოტივო საქციელი შეურაცხადობისაკენ უფრო იხრება, ხოლო ხულიგნობას აშკარად გამოკვეთილი მოტივი და ბიძგი უდევს საფუძვლად – ეს არის მწვავე გალიზიანება და ეგოისტური დამოკიდებულება თვით საზოგადოების მიმართ, რომელიც დამნაშავეს ფსიქიკაში რომელიმე ცხოვრებისეულმა მწვავე მომენტმა განაპირობა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხულიგნობა გამორიცხავს პირად მოტივს რომელიმე დაზიანებული პიროვნების მიმართ.

მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს ისეთ ქმედებას, როდესაც დამნაშავე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის დროს იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს (რევოლვერს, პისტოლეტს ან სხვა საშიშ საგანს).

გამოყენებაში კანონმდებელი გულისხმობს იარაღის გასროლას ადამიანის მსხვერპლის ან დაზიანების გარეშე, მაგრამ თუ გასროლას მძიმე შედეგი მოჰყვა, მოქმედება კვალიფიცირდება, როგორც ხულიგნობით, ასევე დაზიანების ან მოკვლის შესატყვისი მუხლით.

ამსრულებელი დანაშაულისა შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში.

ობიექტი არის საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. ობიექტური მხარე გამოიხატება საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევაში, იარაღის გამოყენებაში და ა.შ.

სასჯელი ხულიგნობისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას ჩადენილი ძალადობის ან ძალადობის მუქარით ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ასოთხმოდ საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ;

გ) ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასოთხმოდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2005;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2006;
3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2008; II, 2009;
4. შუმანაშვილი ელ., ხულიგნობა და მასთან ბრძოლა, თბ., 1988;
5. ტურავა მ., სისხლის სამართალი, თბ., 2005;
6. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები. თბ., 2011.

### რეზიუმე

ხულიგნობა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულია. იგი უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. ამის გამო ხულიგნობა მკაცრად ისჯება სისხლის სამართლის წესით.

## HOOLIGANISM IS A SERIOUS CRIMINAL OFFENCE

Shalva Vanishvili, Doctor

### RESUME

Hooliganism is a serious criminal offence. It commits a breach of the peace and shows an obvious disrespect towards public. That's why Hooliganism carries a heavy penalty according to the criminal code.

## რეცენზიის ზოგიერთ ჟანრულ თავისებურებათა შესახებ

*ალექსანდრე მღებრიშვილი, სრული პროფესორი*

რეცენზია, ისევე როგორც წერილი, ე.წ. “ხანდაზმულ” პუბლიცისტურ ჟანრთა რიცხვს განეკუთვნება. მისი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ წარსულშიც. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის გარიჟრაჟიდან სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მას უკვე აქტიურად მიმართავენ ჩვენი კლასიკოსები.

რეცენზიის დანიშნულება სწორედ ხელოვნების რომელიმე დარგის, სამეცნიერო თუ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩენილ სიახლეთა ანალიზი, განხილვა, განსჯა და კრიტიკული შეფასება გახლავთ. რეცენზენტი გახსნილად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას აღებულ ფაქტისადმი, გამოაქვს დასკვნები. არა აქვს მნიშვნელობა სარეცენზიო ნაშრომი მხატვრული ლიტერატურის თუ მეცნიერების კუთვნილებას, ან ხელოვნების რომელი დარგის სიახლეზეა საუბარი, რეცენზიის მომველიებით შეფასებული უნდა იყოს თუ რამდენად დროულია სიახლე, რა პროგრესული მნიშვნელობა აქვს მას (ან პირიქით), აღებული ფაქტი რამდენად შეესაბამება თანამედროვე ყოფით სივრცეს, ადვილებს ნაწარმოების გაგებას, განმარტავს მის დანიშნულებასა და როლს, დროულად ამცნობს საზოგადოებას ყოველგვარი (ზემოთ მონიშნულ კონტექსტში) პოზიტიური სიახლის შესახებ და პირუთვნელად ამხელს ყოველგვარ მანკიერებას. ხელს უწყობს აუდიტორიის კულტურული დონის ამაღლებას, ლიტერატურული გემოვნების დახვეწას თუ სამეცნიერო დიაპაზონის გაფართოებას.

“რეცენზიაში გამოკვეთილად უნდა იქნეს ნაჩვენები ის წარმატება, რაც ავტორს მიუღწევია მეცნიერების ან ლიტერატურის, ხელოვნების ცალკეული დარგის წინსვლაში, გამოკვეთით უნდა შეფასდეს განსახილველი ნაწარმოების ღირსებები და ნაკლოვანებები, მოხდეს დადებითი პოპულარიზაცია და ავტორის წახალისება, ხოლო ნაკლოვანების კრიტიკა და მათი სათანადო კვალიფიკაცია”<sup>1</sup>

ვგიჟრობთ, არ შევცდებით თუ პირველ მაგალითს ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტურ საგანძურს დავესესხებით. XIX საუკუნის 60-იანი წლების რეცენზიის წინაპართა შორის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშად მიგვაჩნია “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ “შეშლილი”-ს თარგმანზედა.”

ვიდრე კონკრეტულად აღებულ საკითხს შეეხება, ილია ნათარგმნ თხზულებათა ორიგინალების ავტორებზე მსჯელობს და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები გამოაქვს აუდიტორიის სამსჯავროზე. გარკვეული წინათქმის შემდეგ დგება კონკრეტული ადრესატის ჯერიც: “მართლაც-და საკვირველია! თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩივა თავად ერისთავს. ეს “შეშლილი” - მართლა, რომ შეშლილი - რა სათარგმნელია? მაგრამ ერთის მხრით თავად ერისთავს კარგი უნებებია, რომ ღონის გასაშინჯავად და გამოსაცდელად კაზლოვი ამოურჩევია. ეხლა თვითვე, გვგონია, დარწმუნდეს, რომ არამც თუ პუშკინის და ლერმონტოვის თარგმნა შეეძლოს, არამედ კაზლოვისაცა და სხვათა უფრო მდარეთა რითმების მბეჭველთა პოეტთა, რომელნიც რუსეთში ქვიშაზედ უმრავლესნი არიან. დიახ, ძალიან კარგად მოქცეულა თავადი ერისთავი, რომ პუშკინის და ლერმონტოვისათვის ხელი არ უხლია, თორემ ამათი ქმნულებაც ისე წაეხდინა, როგორც წაუხდენია კაზლოვის “შეშლილი”, სწორედ ღვთის გმობა იქნებოდა“.

ი. ჭავჭავაძე დაუნდობლად ამხელს მდარე ხარისხის ახალ თხზულებას. მიანიშნებს მის არასასურველ როლზე და არგუმენტიც მყარი უპყრია ხელთ: “რომ გვეცნობებინა ჩვენ მკითხველისათვის რომ მთელი კაზლოვიც რომ გადმოეთარგმნა ვისმე, არა თავად ერისთავივით უხერხოდ, არამედ უფრო ბევრად უკეთესად, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა, უსარგებლო შრომა იქნებოდა, იმიტომ რომ კაზლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაჰბარდნენ პატრონს და ქართველებს რად გვინდა?”

ამის შემდგომ დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ განხილულია ახალი თარგმანი. გზა და გზა ნაჩვენებია მისი უსუსურობა. ავტორი მსჯელობს სიტყვის შინაგანი კონსტრუქციის, “გადარეული რითმის”, ენის, რომელიც “სწორედ ნაღველას გაუხეთქავს კაცს” და სხვა უამრავი პრობლემური რგოლის შესახებ, რომლე-

<sup>1</sup> სქობ, გვ. 234;

ბიც მთლიანობაში, აზრობრივი აბსურდულობის დამატებით, ქმნიან ერთ მთლიან ჯაჭვს განსახილველად აღებული “გაუსაპნავი საპალნის ურმის თვლებივით მოჭირიჭინე” პოემისა.

ამრიგად, რეცენზიის დანიშნულებაც სწორედ ის გახლავთ, უარყოფითის მხილებისა და პოზიტიურ სიახლეთა პოპულარიზაციის გზით ხელი შეუწყოს ეროვნული მეცნიერების, მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას. ამასთან, აამაღლოს აუდიტორიის კულტურული დონე. დახმარება გაუწიოს მკითხველს მიუკერძოებლად აღიქვას სინამდვილე.

რეცენზიის სახეები. გავრცელებული მოსაზრების თანახმად რეცენზიის სახეებად განიხილება: კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული, თეატრალური, კინო რეცენზიები.<sup>1</sup> სხვა შემთხვევაში: რეცენზია სამეცნიერო ლიტერატურაზე, ლიტერატურული, თეატრალური და კინორეცენზია.<sup>2</sup> მკვლევარები რეცენზიის სახეთა დიფერენცირებისას ამოსავალ წერტილად ასახვის ობიექტის სპეციფიკას მიიჩნევენ და მართებულადაც.

“სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ ზოგჯერ სამი სახის რეცენზიას (ლიტერატურული, თეატრალური, კინორეცენზია), ზოგჯერ უფრო მეტს (ზემოთ დასახელებულთ უმატებენ რეცენზიებს მუსიკალურ ნაწარმოებზე, სამხატვრო გამოფენებზე...). ეს სია კიდევაც რომ გავაგრძელოთ, პრინციპი მაინც იგივე დარჩება: სახეებად ამ დაყოფას საფუძვლად უდევს ასახვის ობიექტის თავისებურება: ლიტერატურა, თეატრი, კინო და ა.შ. მართლაც, განხილვის ობიექტის თავისებურება არის სწორედ ის მიზეზი, რომელიც გავლენას ახდენს ამ ჟანრის თავისებურებაზე და სახეთა განსხვავებაც მხოლოდ ამ საფუძველს ემყარება.”<sup>3</sup>

ბუნებრივია, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, მაგრამ რაც შეეხება ხელოვნებას, გაუგებარია რა პრივილეგიით სარგებლობენ თეატრალური და კინო რეცენზიები, რა მიზეზით ხდება აქცენტირება მხოლოდ მათზე და რა მოტივით რჩება ჩრდილში ხელოვნების ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი დარგები, როგორებიცაა: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ცეკვა, მუსიკა, ცირკი და ა.შ.

ამგვარად, თუკი შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, რეცენზია ორი მიმართულებისაა - დადებითი ან უარყოფითი. ხოლო თუ ასახვის საგნის მიხედვით განვიხილავთ მას უმჯობესი იქნებოდა ზოგად დარგობრივი სპეციფიკის თავისებურებებზე გაგვეკეთებინა აქცენტი.

ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება აშკარად განსხვავებულ ჭრილში განსახილველ ლიტერატურულ და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაწერილი რეცენზიების გვერდით მესამე სახედ განვასხვაოთ რეცენზია ხელოვნების საკითხებზე. იგი გააერთიანებს, როგორც კინო და თეატრალურ ასევე ხელოვნების სხვა დარგების პრობლემებზე შექმნილ რეცენზიებსაც და ერთ კონკრეტულ დარგობრივ ჩარჩოში მოათავსებს მათ. მით უფრო, რომ გამოკვეთილი სამივე სახიდან მთლიანად შეიძლება გამოჩნდეს ჟანრის შესაძლებლობანი. სამივე ნიშნის სპეციფიკურ თავისებურებათა მიხედვით შეფასდეს მასალაში მოცემული საუბრის სტილი, ენა, კომპოზიციური სრულყოფის დეტალები. რაც შეეხება რეცენზიის მესამე სახეს (ხელოვნების საკითხებზე) ქვემოთ მოცემული განმარტება, მისი შინაგანი არქიტექტურა საერთო იქნება ხელოვნების ყველა დარგისათვის. ისინი მხოლოდ ასახვის საგნის სპეციფიკით იქნებიან განსხვავებულნი.

რეცენზია სამეცნიერო ლიტერატურაზე.

მსგავსი ტიპის რეცენზია განსხვავებულია თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. დანიტერესებული მკითხველის ინტერესი პირველ ყოვლისა უნდა კმაყოფილდებოდეს იმ მიმართულებით, თუ რა მეცნიერული სიახლით გამოირჩევა სარეცენზიო შრომა, რამდენად აქტუალურია აღებული თემატიკა, რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას. წინა პლანზე იწევს ჩატარებული კვლევა-ძიების მიზანი და ამოცანები, გამოკვეთილია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

რეცენზენტმა უნდა გამოამზეუროს “ის სიახლე, რაც წიგნის ავტორს უთქვამს მეცნიერების მოცემულ დარგში. უნდა მოეძებნოს ამ წიგნს თავისი ადგილი მეცნიერებაში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ ცოდნის ამ დარგში ავტორმა თავისი ნაშრომით რა წვლილი შეიტანა, რით წასწია წინ მეცნიერება, როგორია კვლევით მიღებული შედეგები, რამდენად შეეფერება იგი დღევანდელ დონეს - ერთი სიტყვით, პირველ რიგში რეცენზენტმა უნდა განსაზღვროს განსახილველი ნაშრომის მეცნიერული ღირებულება.”<sup>4</sup>

(მაგ.) აი როგორ მსჯელობს გ. ბათიაშვილი წიგნზე “საქართველოს ისტორია - XX საუკუნე”: “მსურს მკითხველს გაუზიარო ის შთაბეჭდილება, რომელიც წიგნმა შემიქმნა ჩვენს გუშინდელ ცხოვრებაზე. ეს ცხოვრება კი თითქოს ვიცით, მაგრამ ამ წიგნის ავტორებმა დაგვიდასტურეს, რომ ბევრი რამ არ გვცოდნია,

<sup>1</sup> ნ. ბოგდანოვისა და ბ. ვიაზემსკის დასახ. შრ. გვ. 343;


<sup>2</sup> სჟთპ, გვ. 236;

<sup>3</sup> ტ. კვანჭილაშვილის დასახ. შრ. გვ. 112

<sup>4</sup> სჟთპ, გვ. 238;

ზოგი მოვლენისათვის ის ყურადღება არ მიგვიქცევია, რომელსაც იგი იმსახურებდა, ან ზოგი ფაქტი სხვა ტრანსფორმაციით გახლდათ მოწოდებული და ამიტომ სრულიად ნირშეცვლილად ვიცოდით. ამ წიგნის ავტორთა უწინარესი დამსახურება ის გახლავთ, რომ ირწმუნეს მართალი ისტორიის დაწერის აუცილებლობა. ამ პერიოდის ამსახველ ადრინდელ ავტორთაგან განსხვავებით ამ წიგნის ავტორები დაცლილი არიან კონიუნქტურული სულისკვეთებისაგან. მათ მხოლოდ პროფესიული ინტერესი ამოძრავებთ: მკითხველს მიაწოდონ სიმართლე, უამბონ ის, თუ როგორ იყო. ამას გარდა, წიგნი იმ დროში დაიწერა, როცა ხელისუფლება არა-რა იდეოლოგიურ ზეწოლას არ ეწეოდა.”<sup>1</sup>

რეცენზიის სახეთა ჩვენეული სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც მოგახსენეთ, რეცენზიის მიზანი ჭეშმარიტების დადგენაა. დადებითთან ერთად შესაძლებელია ნაკლოვანებათა მითითებაც, მათი აღმოფხვრის გზების ძიებაც. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს იმ შრომათა თუ სიახლეთა გათვალისწინების გვერდით, რომლებიც მეცნიერების მოცემულ დარგში

<sup>1</sup> გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 2004, №51, გვ. 15;

უკვე არსებობენ და რომელთა ცოდნისა და გათავისების გარეშე წარმოდგენილი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება საგრძნობლად დაიწევდა.

აქვე უნდა მიეთითოს ერთი აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებისაკენ. რეცენზია სამეცნიერო ლიტერატურაზე ყოველთვის ვერ დაიწერება ჟურნალისტის მიერ. წარმოდგენილია ერთი ადამიანი ღრმად ერკვეოდეს მეცნიერების ყველა დარგში, არადა აღებული საკითხის დეტალურ ნიუანსებში წვდომის გარეშე ვერ დაკმაყოფილდება რეცენზიის ჟანრული მოთხოვნილება. ისედაც, ჟურნალისტი ვერ მისცემს თავს უფლებას შეაფასოს ისეთი ნაწარმოები, რომლის აზრობრივი ქსოვილიც მისთვის უცხოა. არ ვამბობთ, რომ ფაქტი რეაგირების გარეშე უნდა დარჩეს. ასეთ დროს დახმარებისათვის სპეციალისტებს მიმართავენ. ხოლო მეორე შემთხვევაში, აუდიტორიას უბრალოდ ინფორმაცია მიეწოდება სიახლის შესახებ. საკუთარი ჟანრობრივი შესაძლებლობებით მოცემულ მომენტში საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს - ინფორმაციული შენიშვნა.

საზოგადოდ სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურაზე შექმნილ რეცენზიაში ავტორი გამოთქვამს საკუთარ პოზიციას, შეხედულებას, მაგრამ თითოეული წინადადება, აზრი, პოზიტიური იქნება ის, ნაკლოვანებათა გამოძკვეთი თუ პოლემიკური ელემენტის შემცველი, გამყარებული უნდა იყოს სათანადო არგუმენტაციით. დასაბუთებული მსჯელობა აუდიტორიას ნდობით უნდა განაწყობდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს რეცენზია დამაჯერებლობის კულმინაციურ ზღვარს.

უმთავრესი მიზანი სამეცნიერო ლიტერატურაზე დაწერილი რეცენზიისა უნდა იყოს ობიექტურობა. აუდიტორიის მიერ შემჩნეული ტენდენციურობა, ცალმხრივობა, ნაცნობ-მეგობრობა, ან თუნდაც პიროვნული კონფლიქტებით აღძრული შურისძიების წყურვილი ძალზედ არყვეს რეცენზიის ავტორიტეტს რაგინდ მაღალ დონეზე შესრულებულიც არ უნდა იყოს იგი. ასევე მცირდება მისი ქმედითუნარიანობა.

რაც შეეხება რეცენზიის ლიტერატურულ გაფორმებას ან სტილს, უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურად ავტორის ინტელექტზე, მისი პროფესიული ალღოს სიმწიფეზეა დამყარებული. მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა სტანდარტული დოგმები რეცენზიის ლიტერატურული გაფორმების, სტილისტური გამართულობის თუ კომპოზიციური სრულყოფისათვის, მისი არსებობის მიზანი საზოგადოებრივი პროგრესის ხელშეწყობაში უნდა გამოიხატებოდეს.

საგულისხმოა ერთიც, “იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი აშკარად უვარგისია, შეიძლება არ დაზოგო ავტორი და მკაცრად უთხრა ის, რაც დაუმსახურებია. ეს სხვისთვისაც გაკვეთილი იქნება.”<sup>1</sup>

ცალკე უნდა გამოიყოს რეცენზიის ტაქტისა და ტონის საკითხი. (მაგ.):

მასალაში “შუშანიკის წამების შესახებ გამოქვეყნებული ერთი აბსურდული ნაშრომი” ბ. არველაძე ეხება ჟურნალ “გარუნში” (გაზაფხული) №3 დაბეჭდილ ხოსროვ თოროსიანის სტატიას “შუშანიკის წამება”, რომელშიც სომეხი ავტორი კატეგორიულად აცხადებს ამ თხზულების არაქართულ წარმომავლობას. ბ. არველაძე ხ. თოროსიანის პოზიციას არამეცნიერულს უწოდებს, სამართლიანი მოსაზრებებით აქარწყლებს მის თეორიებს და აღნიშნავს: “სომხურ ფილოლოგიურ მეცნიერებაში იაკობ ხუცესის “შუშანიკის წამების” მიმართ კარგა ხანია დამკვიდრდა მცდარი შეხედულება. ძველი სომხური ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებში ამ თხზულებას ძველი სომხური მწერლობის ძეგლად განიხილავენ და შეგნებულად სდუმან იაკობ ხუცესის “შუშანიკის მარტვილობის” ქართული ორიგინალიდან სომხური თარგმნითი რედაქციული ტექსტების წარმომავლობის შესახებ. მ. აბელიანის, კ.ს. ტერდავითიანის, ვ. ნალბანდიანის და სხვა სომეხ მკვლევართა შრომების რიცხვს ხ. თოროსიანის ეგრეთ წოდებული ნაშრომიც მიემატა, მაგრამ ამ უკანასკნელმა წინამორბედს “ადმოჩენებით” ბევრად გადააჭარბა.

ამგვარი ნაშრომების გამოქვეყნება სოლიდურ ჟურნალში არაფრით არ არის გამართლებული არც მეცნიერულად და არც ეთიკურად. ასე წერა მეზობელი ერის შესახებ ჩვენს ეპოქაში მოულოდნელია, მით უმეტეს, რომ შუშანიკის სახელთან დაკავშირებულია ქართველ-სომეხთა მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა. მასზე დაწერილი შრომებიც ამასვე უნდა ემსახურებოდეს...”<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საუბარი ერთობ მტკივნეულ პრობლემას შეეხება, ავტორი კეთილმოსურნე ტონით საუბრობს, აღწერს პრობლემის არსს და ტაქტიანად მიუთითებს მისი არასრულფასოვნებისაკენ.

სამწუხაროდ, არსებობს სხვა შემთხვევებიც.

ბუნებრივია, პუბლიცისტიკაში ადრესატის ლანძღვა მიუღებელია. ჩვენის მხრივ კვლავ დავსძენთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაწერილი რეცენზიის დანიშნულება უნდა იყოს ერთის მხრივ, მეცნიერებაში მიმდინარე პროგრესული ძვრების აუდიტორიამდე ოპერატიულად მიტანა მედიის საშუალებით,

<sup>1</sup> ტ. კვანჭილაშვილის დასახ. შრ. გვ. 113;

<sup>2</sup> დალილა ბედიანიძე, ეპიზოდები დიდი პოლემიკიდან, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 2004, №47, გვ. 13;

ხოლო სხვა მხრივ, სისუსტის აღმოჩენისას შეეცადოს კომპეტენტური რჩევა მისცეს ავტორებს და მეგობრული ტონით მიუთითოს ნაკლოვანებათაკენ. შეეცადოს შექმნილი ვითარების გამოსწორებას.

**ლიტერატურული რეცენზია.** ვიდრე ლიტერატურული რეცენზიის შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, გავიხსენოთ საერთოდ რეცენზიაზე დაწყებული მსჯელობისას მოხმობილი პირველი მაგალითი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან. თავად ერისთავის თარგმანზე გამოქვეყნებული “ორიოდე სიტყვა...” ლიტერატურული რეცენზიის საუკეთესო ნიმუშთაგანია. ამის შეხსენება იმისათვის დაგვჭირდა, რომ თუ რეცენზიის ავტორის ინტელექტუალური ჰორიზონტი ფართოა, თუ იგი დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში, ხოლო თემად ნაპოვნია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, აუდიტორიისათვის მტკიცეული პრობლემა, მაშინ ამ ჟანრის შესაძლებლობები ერთობ დიდია. თუნდაც ის რად დიროს, რომ სწორედ ლიტერატურული რეცენზია ესამირკვლა XIX საუკუნის ე.წ. თაობათა ბრძოლას. ძლიერმა არგუმენტაციამ, ანალიზის სიღრმემ რადიკალურად შეცვალა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი. სათავე მისცა ახალი, პროგრესული პროცესების მდინარებას, რასაც თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო საუკუნეებში ახალი ლიტერატურული სიმაღლეების დასაღწერად.

ლიტერატურულ რეცენზიასთან შეჭიდებამდე რეცენზენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ ვიდრე სხვა ავტორთა თხზულებების განხილვისა და შეფასების სიმძიმეს იტვირტებს, თვითონ უნდა ერკვეოდეს მხატვრული ლიტერატურის ლაბირინთებში. მისი ყურადღების მიღმა არ უნდა აღმოჩნდეს სარეცენზიო ნაწარმოების:

- ა) შინაარსობრივი ანალიზი,
- ბ) იდეური ჩანაფიქრი,
- გ) პერსონაჟთა ხატვის პრინციპები,
- დ) ლიტერატურული ოსტატობა,
- ე) მხატვრული ხერხები.

საინტერესოდ მსჯელობს პროფ. ტ. კვანჭილაშვილი ლიტერატურული რეცენზიის შესახებ - რეცენზენტი უპირველეს ყოვლისა, ღრმად უნდა ერკვეოდეს საგანში, რომელსაც იგი განიხილავს. მას არამარტო ფართო ლიტერატურული განათლება უნდა ჰქონდეს, არამედ კრიტიკული ალლოც, გემოვნებაც, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების ნიჭიც. რეცენზენტი კარგად უნდა იცნობდეს ლიტერატურის განვითარების პროცესს წარსულში და იმ თავისებურებებს, რაც თანამედროვე მწერლობას აქვს. რეცენზენტს უნდა შეემოლოს კავშირის დამყარება ცალკეულ ლიტერატურულ ფაქტებს შორის და ამის საფუძველზე მათი განზოგადება, გარკვეული თვალსაზრისის ჩამოყალიბება. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს ობიექტური მსჯელობის უნარი, მართლის თქმის გაბედულება და ლიტერატურის ბედის მაღლა დაყენებისა ყოველგვარ პიროვნულზე, ყოველგვარ წვრილმანზე. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს ახლის გრძნობა, რაც მას გაუადვილებს ლიტერატურული პროცესების ხვალისდელ პერსპექტივაში გარკვევას და ამ თვალსაზრისზე ავტორთა და მკითხველთა გადაყვანას, მათთვის სწორი გეზის მიცემას.<sup>1</sup>

საილუსტრაციოდ მოვიხმობთ გ. ბათიაშვილის მიერ დათა გულუას ლექსების კრებულის შესახებ დაწერილ სტრიქონებს.

„აი, დათა გულუას ლექსების წიგნი ლამის ექვსი თვეა ჩემს საწერ მაგიდაზეა. წიგნის გარეკანზე გადატანილი ამ ყმაწვილის დაკვირვებული მზერა ხან დილას მომხვდება თვალში, ხანაც - შუალამისას. სტრიქონები კი... სტრიქონები იმაზე მესაუბრებიან, რომ ეს ყმაწვილი, ისევ ჩვენთან არის, ჩვენს შორის...

...და თუ ყველაფერი ეს - კითხვებიც ყმაწვილი კაცისა, პასუხებიც, ლექსებში გაცხადებული, თუ გაუმხელელი ხილვებიც ზეციურად არ იყო, მაშ, საიდან გაჩნდა იგი ამ ბავშვობის საუფლოდან ახლახან გამოსული ყმაწვილის ლექსებში? პოეტი იყო? კი, რასაკვირველია, პოეტი იყო, მაგრამ დათა გულუასი უწინარესად, არა პოეტური ოსტატობა მხიბლავს (ან საიდან, როგორ უნდა ჰქონოდა ამ 18 წლის ყმაწვილს სტრიქონის დახვეწილობა, რითმისა თუ რიტმის უზადო ცოდნა? ე.ი. შთაგონებით აღსავსეს „ლექსის კეთების“ ხელობა ჯერაც არ ესწავლა), არამედ ის, თუ როგორ ხედავს, მისი ხილვებია ფიქრის აღმძვრელი. ამიტომ ამ წიგნის კითხვისას ჩემთვის სულაც არ იდგა საკითხი ამა თუ იმ ლექსის უკეთეს-უარესობისა. ეს წიგნი ერთი გაბმული, გახანგრძლივებული პროცესია ყმაწვილი კაცის - პოეტის - სულის შეცნობისა. ამ პროცესს დროდადრო შეწყვეტდა ფიქრი: საიდან, როგორ აქვს ამ ყმაწვილ კაცს ამდენი, ასეთი ცოდნა სამყაროსი, ყმაწვილი კაცის სულში როგორ გაიარა ამდენმა ხილვამ, თუ იგი ზეცით არ იყო ნაკარნახევი?..“<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ ავტორი კეთილ სიტყვას არ იშურებს. დადებითად განაწყობს მკითხველს წარმოდგენილი ლექსების კრებულის და მისი ავტორის მისამართით. იქვე, ერთობ დელიკატური ტონით მი-

<sup>1</sup> სჟთპ, გვ. 242;

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, №51, გვ.14;



უთითებს ხარვეზებისაკენ, მაგრამ ეს ისეთი სიფრთხილითაა გაკეთებული, რომ სულაც არ ჩრდილავს საერთო პოზიტიურ ფონს.

აქვე უნდა ითქვას, რომ არც გადაჭარბებული მეხოტბეობა და არც გადაჭარბებული კრიტიკა არ უნდა იქცეს რეცენზენტის თვითმიზნად. რეცენზიის დანიშნულება ყოველთვის ერთი მიმართულებისაა – ჭეშმარიტების ძიების სურვილი, მიუკერძოებლობა და პროფესიონალიზმი. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში გავრცელდა (განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ტენდენცია რეგიონულ პრესაში) რეცენზიისადმი განსხვავებული მიდგომა. უარყოფითმა რეცენზიამ ძირითადად პირადი ანგარიშსწორების სახე შეიძინა და შედარებით იშვიათად ჩნდება პრესის ფურცლებზე, ხოლო რაც შეეხება დადებით რეცენზიას, იგი უფრო მასიურ ხასიათს ატარებს. ამდაგვარი შემთხვევები ძირითადად დაუმსახურებელი ქება-დიდებათაა სავსე, ყოველგვარი ლოგიკური არგუმენტაციისა და მსჯელობისაგან დაცლილი. ასეთი ცალმხრივობა არცერთი მიმართულებით არ არის გამართლებული. მოკლებულია ჯანსაღ მხატვრულ და პროფესიულ ოსტატობას. ამიტომ, მიგვაჩნია, ამდაგვარი ნაბეჭდი პროდუქცია მდარეა და არაფერი აქვს საერთო ჯანსაღ პუბლიცისტიკასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მივანიშნებთ ტენდენციისაკენ, მათი საილუსტრაციოდ მოტანა კი ამჯერად მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ლიტერატურული რეცენზია ერთ მთლიან სიბრტყეში უნდა განიხილებოდეს. ქმნიდეს არა ჯერ და ნაწევრებული და მერე შეკოწიწებული, არამედ ერთი მთლიანი პუბლიცისტური თხზულების, მთლიანი ცოცხალი ორგანიზმის შთაბეჭდილებას.

ზემოთაც ვახსენეთ და კვლავ გავიმეორებთ ინტონაციის შესახებ რეცენზიაში. ავტორი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს თავაზიანობის შენარჩუნებას. არ უნდა კარგავდეს კონტროლს, არ უნდა შეურაცხყოფდეს ადრესატის პატივსა და ღირსებას.

რეცენზენტს უნდა შესწევდეს ძალა თავი დააღწიოს ე.წ. მრუდე სარკის გავლენას. ობიექტურობა, აკადემიურობა, პროფესიონალიზმი, ანალიზის სიღრმე თვითონ უზრუნველყოფს ჭეშმარიტების წინა პლანზე გამოტანას და პირიქით.

და ბოლოს, „რეცენზენტი ისევე უნდა ზრუნავდეს თავისი რეცენზიისათვის შესატყვისი ფორმის მოძებნაზე, როგორც მწერალი ეძებს სათქმელის შესატყვის ფორმას. ეს პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხია. ასწავლი სხვას, ურჩევ, იწუნებ ან უწონებ, აქებ ან ამაგებ და შენ კი თვითონ შენი აზრების გამოსათქმელად ხეირიანი ლექსიკა, ფრაზა, კომპოზიცია, ფორმა ვერ მოგიძებნია... ასეთ რეცენზიას არც მწერლისათვის ექნება რაიმე ფასი და არც მკითხველისათვის.”<sup>1</sup>

**რეცენზია ხელოვნების საკითხებზე.** როგორც ზემოთ მოგახსენებდით ლიტერატურულ და სამეცნიერო საკითხებზე დაწერილი რეცენზიების შემდგომ სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება თეატრალური და კინო რეცენზია. ჩვენის მხრივ კვლავ ვამბობთ, რომ ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, შინაგანი არქიტექტურის მიხედვით ისინი არაფრით განსხვავდებიან სხვა მსგავს ქვესახეთაგან.

თუკი თეატრალურ რეცენზიას ყურადღების მიღმა არ უნდა რჩებოდეს დრამატურგის, რეჟისორის, მსახიობის, კომპოზიტორის, მხატვრის და სხვათა მიერ შეტანილი წვლილი, რამაც მთლიანობაში სპექტაკლის წარმატება განაპირობა, კინორეცენზიაში ამ ადგილებს დაიკავებს: სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი, ოპერატორი, მხატვარი, კომპოზიტორი და ა.შ. ანალოგიური წესით გადანაწილდება რეცენზენტის მსჯელობა ფერწერის, გრაფიკის, მუსიკის, ოპერის, ბალეტის და ხელოვნების სხვა დარგებში მიმდინარე ძვრების შესახებ დაწერილ რეცენზიებში. მაშასადამე, მათ შორის უმთავრესი განმასხვავებელი თავისებურება ასახვის საგნის სპეციფიკური ბუნება გახლავთ.

მიუხედავად თქმულისა, რეცენზენტის მსჯელობა არ უნდა იღებდეს დანაწევრებულ, თითოეულ ჩამოთვლილ სეგმენტზე ცალ-ცალკე საუბრის ხასიათს და უნდა ქმნიდეს ერთი მთლიანი ნაწარმოების შთაბეჭდილებას. მიზანი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუკი სარეცენზიო ფაქტი განხილულია, დანახულია ერთიანი, მთლიანი თხზულების ჭრილიდან და არა როგორც ერთმანეთზე დაკოწიწებული ზემოთ ნახსენები დეტალების აკიდო.

ხელოვნების საკითხებზე დაწერილ რეცენზიაში სათანადო ადგილი უნდა მიეჩინოს განსახილველად აღებული სპექტაკლის, მხატვრული ფილმის, ოპერის... ენას, შესრულების მანერას, კომპოზიციური სრულყოფის საკითხს, შინაარსისა და ფორმის ორგანულ კავშირს. რეცენზენტმა მკვეთრი ტონით უნდა გამოკვეთოს ის სიახლე, რომელიც აღებული პრობლემით შეიძინა ხელოვნების კონკრეტულმა დარგმა. ბუნებრივად, ყოველგვარ პროგრესულთან ერთად პირუთვნელად უნდა იქნეს მხილებული ცალკეული ნაკლოვანებანიც.

<sup>1</sup> სქობ, გვ. 243;

როგორც უკვე ვთქვით, რეცენზიის ყოველი სახისა და ქვესახისათვის აგების მექანიზმი იდენტურია. კერძოდ, რა დონეზეა შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, რამდენად დროული და პროგრესულია იგი, რამდენად წვდება თანამედროვე მოთხოვნილებათა სივრცეებს და რამდენად მყარი საფუძველი გააჩნია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ჩასწვდა რეცენზენტი პრობლემის სიღრმეს, როგორია ფაქტების განზოგადების, მოვლენების განსჯის, პროფესიული ალღოსი, ტაქტის თუ ანალიზის დონე. მნიშვნელოვანია ენის, სტილის, კომპოზიციის საკითხი. გასათვალისწინებელია ოპერატიულობის, ობიექტურობის, ჭეშმარიტების ძიების წყურვილი, ასახვის ობიექტის გამორჩეულ თავისებურებათა გათვალისწინების ხარისხი და მრ. მისთ.

ამდენად, პუბლიცისტიკის ჟანრთა არსენალში რეცენზია ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, აქტიური, მეზრძოლი ჟანრთაგანი გახლავთ. ის ერთობ პოპულარულია თანამედროვე პერიოდიკის, ელექტრონული თუ ინტერნეტ მედიის პუბლიცისტური ხედვის არეალში. მძლავრი სტიმულატორის ფუნქციის მატარებელია და უაღრესად უწყობს ხელს მასობრივი აუდიტორიის, ცალკეულ სოციალურ ინსტიტუტთა ქმედითუნარიანობასა და ეფექტურ საქმიანობას. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადებითის პოპულარიზაციის და ნეგატიური დეტალების მხილებით ცდილობს ხელი შეუწყოს მასობრივი აუდიტორიის ინტელექტუალურ ზრდას, პროფესიული დონის ამაღლებას, სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

სათანადო დონეზე შესრულებულ რეცენზიას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. მისი შესაძლებლობები მრავალმხრივია, ხოლო სამომავლო პერსპექტივათა პალიტრა მრავალფეროვანი.

#### ლიტერატურა:

1. სჟთპ, (ნაწ. II), თბ., 1978;
2. ი. ჭავჭავაძე, რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს, (თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 3. ინგოროყვას რედ.), ტ. III, თბ., 1953;
3. ნ. ბოგდანოვი, ბ. ვიაზემსკი, ჟურნალისტიკის ცნობარი, თბ., 1975;
4. ტ. კვანჭილაშვილი, საგაზეთო ჟანრები, თბილისი 1967;
5. ტ. კვანჭილაშვილი, საბ. ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები, თბ., 1970;
6. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, №51;
7. დალილა ბედიანიძე, ეპიზოდები დიდი პოლემიკიდან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, №47;
8. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, №13;
9. თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, პოლემიკას რა უნდა, თბ., 2001;
10. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, №51;

### რეზიუმე

როგორც აღვნიშნეთ, რეცენზიის ყოველი სახისა და ქვესახისათვის აგების მექანიზმი იდენტურია. კერძოდ, რა დონეზეა შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, რამდენად დროული და პროგრესულია იგი, რამდენად წვდება თანამედროვე მოთხოვნილებათა სივრცეებს და რამდენად მყარი საფუძველი გააჩნია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ ჩასწვდა რეცენზენტი პრობლემის სიღრმეს, როგორია ფაქტების განზოგადების, მოვლენების განსჯის, პროფესიული ალღოსი, ტაქტის თუ ანალიზის დონე. მნიშვნელოვანია ენის, სტილის, კომპოზიციის საკითხი. გასათვალისწინებელია ოპერატიულობის, ობიექტურობის, ჭეშმარიტების ძიების წყურვილი, ასახვის ობიექტის გამორჩეულ თავისებურებათა გათვალისწინების ხარისხი და მრ. მისთ.

ამდენად, პუბლიცისტიკის ჟანრთა არსენალში რეცენზია ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, აქტიური, მეზრძოლი ჟანრთაგანი გახლავთ. ის ერთობ პოპულარულია თანამედროვე პერიოდიკის, ელექტრონული თუ ინტერნეტ მედიის პუბლიცისტური ხედვის არეალში. მძლავრი სტიმულატორის ფუნქციის მატარებელია და უაღრესად უწყობს ხელს მასობრივი აუდიტორიის, ცალკეულ სოციალურ ინსტიტუტთა ქმედითუნარიანობასა და ეფექტურ საქმიანობას. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადებითის პოპულარიზაციის და ნეგატიური დეტალების მხილებით ცდილობს ხელი შეუწყოს მასობრივი აუდიტორიის ინტელექტუალურ ზრდას, პროფესიული დონის ამაღლებას, სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

სათანადო დონეზე შესრულებულ რეცენზიას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია. მისი შესაძლებლობები მრავალმხრივია, ხოლო სამომავლო პერსპექტივათა პალიტრა მრავალფეროვანი.

## ABOUT SOME OF THE GENRE PECULIARITIES OF REVIEWING

Aleksandre Mgebrishvili, Full Professor  
RESUME

The mechanism of making all kinds of reviewing is identical. Namely, the quality of a concrete composition, its progressiveness, its correspondence with modern requirements and the strength of its basis.

The another significance is the reviewer's attitude - how precisely understands the depth of a problem, the level of generalizing the facts, professional smell, tact or analysis and the judgement of events; also the language, style and the question of the composition. The wish of searching operativeness, objectivity, the truth, the level of presenting the object's peculiarities and etc.

As a conclusion, the review is one of the most significant, active and warrior genres of publicism. It is quite popular in the modern periodicals, electronic or Internet media publicistic points of view. It has a function of a strong stimulant and makes influence on mass audience, effectiveness of separate social institutes and effective work. In the frames of the own competencies tries to stimulate the popularization of positiveness and by disclosing negative details tries to increase the intellectual level of masses, professionalism, and develop the right orientation.

The review made on the corresponding level can make a great impression. Its possibilities are multilateral, and the palette of future perspectives are diverse.

### გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ - დროის კვალდაკვალ

*როზინზონ ოდიკაძე, აკადემიური დოქტორი*

შორეული წარსულიდან დიდი იყო ცხინვალელი ქართველობის მისწრაფება და ინტერესი პერიოდული პრესისადმი, მაგრამ კომუნისტური ეპოქის ავბედით პირობებში კარგახნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ამ ჩანაფიქრის განხორციელება - ლიახვისპირა ძირძველ ქართულ ქალაქში გაზეთისა თუ ჟურნალის გამოცემა. მაშინ, როცა კლასიკოსმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა ქართული სალიტერატურო ენა ცხინვალის რეგიონის დიდი ლიახვის ხეობაში აითვისა, სადაც „ყველაზე საუცხოოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან“. ასე რომ, სამაჩაბლოში, შექსპირის უბადლო მთარგმნელის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გაზეთ „დროების“ რედაქტორის (1883-1884 წ.წ.) ივანე მაჩაბლის სამკვიდროში, ოდითგანვე ზეობდა და ავადსახსენებელ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდეც ძალუმად ხმიანობდა სიტყვა ქართული.

მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, 1933 წლის 8 ივნისს დღის სინათლე იხილა პირველმა ქართულმა ბეჭდვურმა გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა“. ისიც ნიშანდობლივია, რომ ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორია, ოსური პრესის ისტორიასთან შედარებით, გაცილებით გვიან - გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ასფაგურ მეფის მიერ დაარსებულ (251) ლიახვისპირა ქალაქის - ცხინვალის ისტორიულ წარსულთან, მის მდიდარ კულტურულ ტრადიციებთან, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რომლის შესწავლას სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს პროფესორებმა: შ. მესხიამ, დ. გვრიტიშვილმა, მ. დუმბაძემ, ლ. ჭილაშვილმა, პ. ზაქარაიამ, დოცენტმა მ. ცოტნიაშვილმა და სხვებმა.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, „საბჭოთა ოსეთი“ ფეხდაფეხ მისდევდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ყოფილ ოლქში. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხინვალის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის და სხვა დაწესებულებათა საქმიანობა.

გაზეთი აქტივის გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომაც, „ჩვენი გაზეთი დაარსების დღიდანვე მტკიცედ დაეყრდნო აქტივს, რომელიც აწვდის მას მრავალფეროვან, აქტუალურ მასალას. პირველივე ნომერში გამოჩნდა და შემდეგ ათეული წლების მანძილზე მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობოდა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, ოლქის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილის ვ. კასრადის, მეფუტკრე დ. გაგლოევის, საქართველოს სსრ

დამსახურებული აგრონომის ა. მკრტიანის, მუშა ა. ბულგაკოვის, ვეტერანი კომკავშირელის დ. მჭედლიძის და სხვათა წერილებს“ (ო. ესიაშვილი, „საბჭოთა ოსეთი“ – 50, ცხინვ., 1983, გვ. 12-13).

ცხინვალში გამოძვალ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთს ფასდაუდებელი ამაგი დასდეს რედაქტორის მოადგილემ მამანტი კვიციანი, როცა გაზეთის რედაქტორად პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ითვლებოდა, ყოფილმა რედაქტორებმა: ი. ჟვანიამ, ბ. გვარამიამ, რ. ლაზარაშვილმა, მ. გიორგაძემ, კ. სურგულაძემ, მ. ბინიაშვილმა, კ. ტრაპაძემ, შ. მაჭავარიანმა, ვ. გელაშვილმა, ა. მამისაშვილმა, ვ. მაისურაძემ, შ. ლარცულიანმა.

ბუკლეტში (1983), რომელიც მოამზადა რედაქტორის მოადგილემ, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა ჟურნალისტმა ოთარ ესიაშვილმა და მიუძღვნა საიუბილეო თარიღს - „საბჭოთა ოსეთის“ 50-ე წლისთავს, - ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გაზეთი თავიდანვე, დროის კვალდაკვალ, აქტიურად ასრულებდა კოლექტიური ორგანიზატორის ფუნქციას. სწორედ ამიტომაც, არაერთი კარგი და სასარგებლო თაოსნობა იშვა მის ფურცლებზე. „საბჭოთა ოსეთი“ არაერთგზის გამოსულა შაბათობათა მოწყობის ინიციატორად იმ დროისათვის ისეთ გრანდიოზულ სახალხო მშენებლობებზე, როგორც იყო გორი-ცხინვალის რკინიგზა, სალთვისის, კეხვის, ვანათის, სარწყავი არხები და სხვა.

როგორც ვეტერანი ცხინვალელი ჟურნალისტები იხსენებდნენ, მძაფრი იყო გაზეთის მეზრძოლი ხმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ომის დაწყებიდანვე „საბჭოთა ოსეთი“ ვერაგ მტერზე - ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ფართოდ გაშლილ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის წინა რიგებში დადგა, მგზნებარე სიტყვით აღანთებდა ადამიანებს, დაუზარელი გარჯისათვის განაწყობდა ზურგში დარჩენილებს.

„ყველაფერი სამშობლოსათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“ - ამ დევიზით გამოდიოდა გაზეთის ყოველი მაშინდელი ნომერი. ასევე იბეჭდებოდა ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები. „საბჭოთა ოსეთმა“ თავის ფურცლებზე მოწიწებით შემოგვინახა ომში ჩვენი რეგიონის საამაყო შვილების გმირობის დაუვიწყარი სურათები.

იმ მრისხანე ჟამს, საოლქო პრესის მრავალმა მუშაკმა კალამი ხიშტით შეცვალა. ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან მეზრძოლთა რიგებში ჩადგნენ რედაქციის მუშაკები, საიდანაც აღარ დაბრუნებულან ყარამან კასრაძე, სამსონ ცერაძე, გიორგი ძიგოვეი, გაბო ხუხაშვილი, ფაუსტი ინჭკირველი, იოსებ მაისურაძე, ქრისტეფორე ჯიგოვეი, სანდრო გოჩაშვილი, რომელთა ხელით იქმნებოდა პირველი ქართულენოვანი გაზეთი.

ისიც აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში ზურგში თავდადებული შრომისათვის რედაქციის არაერთი მუშაკი მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში“ დაჯილდოვდა. ტემპი არც შემდგომ შენელებულა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის შრომით ფერხულში კვლავ გაისმოდა გაზეთის დამრავლავი სიტყვა, რაც მის ფურცლებზე სისტემატურად აისახებოდა.

ხალხთა მეგობრობა გაზეთის ერთ-ერთი, ყოველთვის შეუცვლელი თემა იყო. „მეგობრობა გზად და ხიდად“, „მშაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“... - ამ რუბრიკით ქვეყნდებოდა ცხინვალელი ქართველების, ოსების, ებრაელების, სომხების, რუსების, უკრაინელებისა და დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობების სოფლებში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობის, ერთურთის პატივისცემისა და სიამტკბილობის ამსახველი საგაზეთო კორესპონდენციები. რეგულარულად ისტამბებოდა მასალები ჩვენი მხარის მოსწავლეთა ურთიერთობებზე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის თანატოლებთან, ასევე, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა რაიონების მშრომელებთან აქტიური კულტურული თანაცხოვრებისა და მათ შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებების შესახებ.

გაზეთში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, ფართოდ შუქდებოდა დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა თუ ქსნის ხეობების ლიტერატურული ცხოვრება. „საბჭოთა ოსეთის“ გვერდები ხშირად ეთმობოდა ქართველ და ოს მწერლებს, ასევე, კულტურის, განათლებისა თუ მეცნიერების მუშაკებს. სისტემატურად აღინიშნებოდა გამოჩენილ ქართველ თუ ოს შემოქმედთა საიუბილეო თარიღებიც.

მწერალი ვლადიმერ გაგლოვეი ეხმიანება რა ორმოცდაათიანი წლების ოსურ ლიტერატურაში მოსულ ახალგაზრდა შემოქმედთა შორის მიხეილ გუჩმაზოვის ღვაწლს, დასძენს: „ორმოცდაათი წელი შემოქმედი კაცის შუადღეა. წინ კიდევ ბევრი მზიანი დღეა, მოუღლეელი მარჯვენა კი მრავალდირებულ ნაწარმოებს შექმნის. ოსური ლიტერატურის განვითარების საქმეში საკუთარ სიტყვას

კიდევ იტყვის ჩვენი თანამოკალმე“ (ვლ. გაგლოევი, შემოქმედის ძიებაში, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, №12316).

1980 წლის გაზაფხულზე საქართველოში აღინიშნა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დანიელ ჭონქაძის დაბადების 150 წლისთავი, რამაც ჯეროვანი ასახვა ჰპოვა ცხინვალის ქართული გაზეთის ფურცლებზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ანდრო მირიანაშვილის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რაფიელ შამელაშვილის საგაზეთო კორესპონდენციები.

ფასდაუდებელია დანიელ ჭონქაძის როლი ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. სწორედ ამიტომაც, მისი სახელი მარად დაუვიწყარია ამ ორი ხალხის მეხსიერებაში. იგი ცნობილია, როგორც ოსური ანდაზების შემკრები. ჯერ კიდევ 1868 წელს აკადემიკოსმა ალექსანდრე შიფნერმა გამოსცა წიგნი „ოსური ტექსტები, შეკრებილი დანიელ ჭონქაძისა და ვასილ ცორაევის მიერ“. აქ ცალკე თავადაა წარმოდგენილი „ოსური ანდაზები,“ სადაც შესულია დ. ჭონქაძის მიერ შეკრებილი 123 ანდაზა და წიგნში 145 გვერდი აქვს დათმობილი. აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის თქმით, დანიელ ჭონქაძემ ოსური ლიტერატურული ენის შექმნის საქმეში დიდი როლი ითამაშა.

როგორც პროფესორი რაფიელ შამელაშვილი აღნიშნავდა, დ. ჭონქაძემ რუდუნებით გადმოთარგმნა ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნები და მეცნიერებათა აკადემიის დავალებით დაიწყო რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენა, რომლის დამთავრება, სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა გარდაცვალების გამო. იგი სამ ასომდე მივიდა.

მან, როგორც ოსური ენის მასწავლებელმა, იმ დროის შესაძლებლობისდაგვარად, იცოდა ოსური ენის გრამატიკა და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ოსურ ენაზე მუშაობას მოახმარა. დიდი მონდომებით კრებდა ანდაზებს, თქმულებებს, ზღაპრებს. სწავლობდა ოსთა ყოფა-ცხოვრებას, თარგმნიდა ოსურად, ადგენდა ლექსიკონს და ა.შ. „ოსი ხალხი დიდად აფასებს ქართველი მწერლის ღვაწლს. კოსტა ხეთაგუროვის ერმა ღვიძლი ძმასავით შეიყვარა „სურამის ციხის“ ავტორი და მას ხელთუქმნელი ძეგლი აუგო. ამ სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად გვესახება ჩვენ ის ფაქტი, რომ ოსმა მკვლევარმა ქალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ოლღა თედევამ მონოგრაფიულ ასპექტში შეისწავლა დ. ჭონქაძის მოღვაწეობის ოსური სფერო და 1979 წელს გამოსცა საყურადღებო წიგნი ქართულ ენაზე - „დანიელ ჭონქაძე, როგორც ოსოლოგი“ (რ. შამელაშვილი, დანიელ ჭონქაძე და ოსური ენისა და ლიტერატურის საკითხები, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, №12323).

აღნიშნულ საყურადღებო ნაშრომში „პირველადაა შესწავლილი ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დ. ჭონქაძის ღვაწლი ოსი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა და დამუშავების საქმეში; განხილულია დ. ჭონქაძის მიერ ოსურ ენაზე თარგმნილი ტექსტების ისტორია“ (ამოღებულია ო. თედევას წიგნის ანოტაციიდან).

ფართოფორმატიან საოლქო გაზეთში ყოველთვიურად ქვეყნდებოდა კომკავშირულ-ახალგაზრდული სპეც. გვერდი „სიჭაბუკე“, რომლის საერთო რაოდენობა ასს აღემატებოდა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს ალკვ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტში დაისვა საკითხი რუსულენოვანი ახალგაზრდული გაზეთის გამოცემისა. ამის გამო, შესაბამისი მოთხოვნა-განაცხადიც გაიგზავნა მოსკოვში. „А почему не областная партийная газета?“ - იყო პასუხი კრემლიდან და ზემდგომთა მკაცრი მითითებით, 1983 წლის 1 იანვრიდან რუსულ ენაზე გამოსვლას იწყებს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ორგანო „Советская Осетия“. ეს გაზეთიც, რა თქმა უნდა, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კომუნისტური პარტიის კიდევ ერთი მძლავრი რუპორი იყო.

„საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე მეგობრობის მკაფიო მაგალითად გვესახება ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში ოსი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ქმნილებათა პოპულარიზაცია. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ნაფი ჯუსოითის, გიორგი ძუგაევის, რევაზ ასაევის, კოსტა მარლითის, ჰაჯი-მურად ძუწათის, ნინა გაგლოევის (ნიგა), დავით ჯიოევის, გაფეხის, ვლადიმერ გაგლოევის, მიხეილ ნართიკოევის, ნიკალა გაგლოევის, ისიდორე ქოზაევის, ილია ფლიევის, ლეონიდ ხარებათის, ჰაჯი-უმარ ალბორთის, გერსან კოდალათის, მელიტონ კაზიევის, ეკატერინე ჯიოევის, რიურიკ თედევის, მერი ცხოვრებოვას, ალექსანდრე ფუხაევის, მელიტონ გაბულოვის, ნუგზარ ბაკაევის, რუსლან თედევის, ვალერი გობოზოვის, ალექსი ბუქულოვისა და სხვათა ნაწარმოებები.

ამჟამად ცხინვალის რეგიონული პრესა, როგორც ერთიანი ქართული მასმედიის ორგანული ნაწილი, ყოველთვის მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. დღეს, როგორც არასდროს, რეგიონის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა, ობიექტურად გააზრება და მეცნიერულ დონეზე

შეფასება, მისი მნიშვნელოვანი როლის განსაზღვრა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკატმოდენობაში განსაკუთრებით აქტუალურია.

რეგიონული პრესის აქტუალობას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის ამ თვალმარგალიტ კუთხეში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ქართულ მასმედიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის, თავისუფალი პრესის განვითარებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების, „დეცენტრალიზაციის“ უცილობელი პროცესები. უპირველესად, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული პრესის ისტორიის იმ პერიოდის შესწავლასა და გამომზეურებას, რომელშიც გამჭვირვალედ აისახა დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობებში ქართველ და ოს ხალხთა შორის ურთიერთობების გამწვავება, რის გამოც, სამწუხაროდ, ათასობით უდანაშაულო ქართველი და ოსი დევნილად იქცა.

საყურადღებოა ქართული მასმედიისა და, კერძოდ, ცხინვალის დევნილ ჟურნალისტთა მზარდი ინტერესი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი, მათი ძალისხმევით, გორში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაფუძნება-ამოქმედება (1991; 1996 წ.წ.).

ცნობილია, თუ რა უბედურება მოუტანა საქართველოს XX საუკუნის მიწურულს სეპარატისტული მოძრაობის პროპაგანდამ პრესის ფურცლებზე, რომელიც კარგად წარმოჩინდა ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობების ფონზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია თუნდაც აფხაზური წერილი, რომელშიც დამცირებული და შეგინებულია ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება, რასაც აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი მოჰყვა.

მართალია, „საბჭოთა ოსეთი“ კომპარტიის რუპორი იყო, მაგრამ მაინც პირველმა ბეჭდვურმა გამოცემამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა სამაჩაბლოს ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. „ამდენად, ცხინვალური ქართული პრესის ჩანასახად, მის პირველწყაროდ გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ გვევლინება.

#### ლიტერატურა:

1. ო. თედეევა, 1979 - ო. თედეევა, დანიელ ჭონქაძე, როგორც ოსოლოგი, ცხინვ., 1979;
2. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1980, №№12316, 12323;
3. ო. ესიაშვილი, 1983 - ო. ესიაშვილი, „საბჭოთა ოსეთი“ – 50, ცხინვ., 1983.

### რეზიუმე

1933 წლის 8 ივნისს დღის სინათლე იხილა პირველმა ქართულმა ბეჭდვურმა გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა“. ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორია, ოსური პრესის ისტორიასთან შედარებით, გაცილებით გვიან - გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ასფაგურ მეფის მიერ დაარსებულ (251) ლიახვისპირა ქალაქის - ცხინვალის ისტორიულ წარსულთან, მის მდიდარ კულტურულ ტრადიციებთან, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, რომლის შესწავლას სპეციალური ნაშრომები მიუძღვნეს პროფესორებმა შ. მესხიამ, დ. გვრიტიშვილმა, მ. დუმბაძემ, ლ. ჭილაშვილმა, პ. ზაქარაიამ, დოცენტმა მ. ცოტნიაშვილმა და სხვებმა.

მართალია, „საბჭოთა ოსეთი“ კომპარტიის რუპორი იყო, მაგრამ მაინც პირველმა ბეჭდვურმა გამოცემამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა სამაჩაბლოს ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. ამიტომაც, ცხინვალური ქართული პრესის ჩანასახად, მის პირველწყაროდ გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ გვევლინება.

### NEWSPAPER “SOVIET OSSETIA” – CHRONOLOGY

Robinson Odikadze, Academic Doctor

#### RESUME

The first Georgian printing newspaper „Sabchota Osseti” saw the daylight on the 8 th of June in 1933. Georgian press history of Tskhinvali region, in comparison with Osseti press history, takes outfall rather late in the 30s of last country. It is interlinked to the historic past of Tskhinvali – the town of liakhvi side founded by king Aspatur, interlinked to its rich cultural traditions, to the political, social-economical processes. And special works were dedicated

its delve by professors: Sh. Meskhia, D.Gvritishvili, M.Dumbadze, L.Cholashvili, P.Zaqaraia, assistant professor M. Tsozniashvili and others.

Though „Sabchota Osseti” was the speaking trumpet of Communist party, but the first the printing publication which took its mite in the development of literary- cultural life of Samachablo. That’s why the newspaper „Sabchota Osseti” is Georgian press foetus and firsthand of Tskhinvali.

## ენერგეტიკის რეგულირების საზღვარგარეთული მოდელების სამართლებრივი ასპექტები

*მაკა სალხინაშვილი, სრული პროფესორი*

ენერგეტიკის სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. თემაში განხილული იქნება დიდი ბრიტანეთის და უელსის, იტალიის, გერმანიის და იაპონიის ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები.

ენერგეტიკის, კერძოდ, ელექტროენერგეტიკის რეგულირების პირველი პრეცედენტი მე-19 საუკუნის აშშ-ში გაჩნდა. იმ დროს იქ ელექტროენერგეტიკის განვითარების პირველი წლები ქაოსური იყო და ერთ ტერიტორიას რამდენიმე კონკურენტი გამანაწილებელი კომპანია ემსახურებოდა. მაგალითად, პატარა ქალაქ ჩიკაგოსათვის ელექტროენერჯის მიწოდებას 29 კონკურენტი მწარმოებელი და გამანაწილებელი კომპანია უზრუნველყოფდა.

კონკურენტული გარემოს შექმნამ ხელი შეუწყო ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბებას. რეგულირებაზე და კონკრეტულად მარეგულირებელ ორგანოზე საუბრისას ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მისი დამოუკიდებლობაა. ეფექტური მარეგულირებელი ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს იმათგან, ვის რეგულირებასაც იგი ახორციელებს და დაცული უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან. მას სრული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს არეგულიროს ბაზრის მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღება-გატარება. იგი უფლებამოსილი უნდა იყოს (ჰქონდეს იურიდიული ბაზა) ეფექტურად არეგულიროს მისი რეგულირების არეალში მოქცეული სფეროები. ასეთი ორგანოები კარგად უნდა ფინანსდებოდეს და დაფინანსების წყარო წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

დამოუკიდებლობის პრინციპი არის აუცილებელი ელემენტი რეგულირების ობიექტებში ნდობის მოპოვებისათვის. ეს ნდობა კი იმ შემთხვევაში იქნება, თუკი რეგულირების ობიექტები დაინახავენ, რომ გადაწყვეტილებები არა პოლიტიკური და ფინანსური ინტერესების გამო, არამედ საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე მიიღება.

დამოუკიდებლობის პრინციპი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობასაც, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამის პრაქტიკულად მიღწევა ძალიან ძნელია, რადგან, როგორც წესი, ენერგეტიკული სფეროს გამართულ ფუნქციონირებაზე ქვეყნის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სიძლიერეც არის დამოკიდებული. შესაბამისად, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა ბერკეტი, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება გავლენა მოახდინოს მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებაზე მისთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ბუნებრივია, არ შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ქვეყანაში გატარებული პოლიტიკისაგან. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გაცნობიერებას, რომ მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა საჭიროა არა იმისთვის, რომ მან ხელისუფლების მოსაზრებასა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები მიიღოს, არამედ იმისათვის რომ განხორციელდეს ბაზრის ეფექტური და სამართლიანი რეგულირება. მთლიანობაში რეგულირების ეფექტურობა განისაზღვრება არა მარეგულირებლის გამიჯვნის ხარისხის გაუმჯობესებით, არჩევანის გაზრდით, ფასების გონივრულობითა და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხის გაზრდით.

მრავალ ქვეყანაში ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიების საკონტროლო პაკეტებს სახელმწიფო ფლობს. ასეთ შემთხვევაში, თუკი მარეგულირებელი თავისუფალი არ იქნება

ხელისუფლების გავლენისაგან, რა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდება ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის არსებობა, რაც საბოლოოდ ისევ მონოპოლიური ბაზრის შექმნამდე მიგვიყვანს. სწორედ ასეთი დამოუკიდებლობა იგულისხმება მარეგულირებელი ორგანოს „დამოუკიდებლობის“ პრინციპში და არა სრული დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, რომლის მიღწევაც მხოლოდ თეორიულად თუ არის შესაძლებელი.

საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკური რეფორმები დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის №417 ბრძანებულებით, რომლის თანახმადაც ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელსაც ევალეზოდა ელექტროენერგეტიკის სექტორში ყველა საფეხურის ტარიფის გაანგარიშება. ტარიფებს ამტკიცებდა ეკონომიკის მინისტრი.

კომისიამ დამოუკიდებელი ფუნქციონირება დაიწყო 1997 წელს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ და დაევალა მხოლოდ ელექტროენერგეტიკული სექტორის რეგულირება. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობაში არცერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება.

1999 წელს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და კომისიას დაემატა ბუნებრივი გაზის სფეროში საკითხების რეგულირება, ხოლო 2008 წლის ცვლილებებით - კომისია არეგულირებს ურთიერთობებს წყალმომარაგების სექტორშიც.

2002 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული ორგანოების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა კომისიის დამოუკიდებლობის სტატუსი ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების სფეროში, ამავე დროს გაათავისუფლა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების ზედამხედველობისაგან.

**დიდი ბრიტანეთი და უელსი.** მე-20 საუკუნის 80/90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში განხორციელდა ბუნებრივ მონოპოლიებად მიჩნეული სფეროების უმრავლესობის პრივატიზაცია: გაზის - 1986 წელს; ელექტროენერგეტიკული ობიექტების - 1990 წელს. ელექტროენერგეტიკული სფეროს პრივატიზებისას „ელექტროენერჯის ცენტრალური გენერაცია“, რომელიც წარმოადგენდა ელექტროენერჯის წარმოებასა და განაწილების სრულ მონოპოლისტს, 12 რეგიონული გამანაწილებელი სადგურით, ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად დაიყო.

„ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი“ შეიქმნა 1990 წლის 31 მარტს და იგი განსაზღვრავდა წესებსა და პროცედურებს ელექტროენერჯით საბითუმო ვაჭრობისათვის ისე, რომ თვითონ არ გამოდიოდა როგორც ელექტროენერჯის გამყიდველი ან მყიდველი. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის შექმნის შემდეგ გენერაციის სექტორში არსებული მონოპოლიური მდგომარეობა მკვეთრად შემცირდა; ყველა ლიცენზირებულ გენერატორს შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო კონკურენციაში. ასევე გაიზარდა კონკურენცია მარეგულირებლის მიერ ელექტროენერჯის მიწოდების სფეროში. პირველ ეტაპზე კონკურენტული სიტუაცია ვრცელდებოდა მხოლოდ მსხვილი მომხმარებლებისათვის (რომლებიც შეისყიდდნენ 1 მგვტ-ზე მეტ ენერჯიას) და არა საცალო (100 კვტ-ზე ნაკლები) მომხმარებლებისათვის. მიწოდების ფასები რეგულირებადი დარჩა 2002 წლის აპრილამდე, ხოლო 2002 წლის აპრილში ofgem-მა ჩათვალა, რომ ელექტროენერჯის მიწოდებაში სრული კონკურენცია იყო და რეგულირებადი ფასები გააუქმა.<sup>1</sup>

გენერაციის სფეროში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2001 წლის მარტში ხელისუფლებამ და ofgem-მა მიიღეს გადაწყვეტილება „ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის“ დაშლისა და „ელექტროენერჯით ვაჭრობის ახალი წესების“ შემოღების თაობაზე.<sup>2</sup>

*დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ბრიტანულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო წილის შემცირების პარალელურად გაიზარდა პრივატიზირებული სექტორების დეტალური მკაცრი რეგულირების აუცილებლობა.*

**იტალია.** იტალიაში ელექტროენერგეტიკის სექტორის რეფორმა 1999 წლიდან დაიწყო. ამის სამართლებრივი საფუძველი გახდა იტალიის მრეწველობის სამინისტროს ბრძანებულება (ცნობილია როგორც „ბერსანის ბრძანებულება“) - ცალკეული ელექტროენერგეტიკული ბაზრისათვის ევროკომისიის 96/92/EC დირექტივის შესრულების თაობაზე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2006, გვ. 113

<sup>2</sup> იქვე, გვ. 115

<sup>3</sup> <http://www.erranet.org/>



ბრძანებულება წარმოადგენდა ძირითად საკანონმდებლო აქტს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა იტალიის ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის ძირითადი მიმართულებები. ამ ბრძანებულებით განისაზღვრა ასევე ელექტროენერგეტიკის ყველა ის სფერო, სადაც უნდა განხორციელებულიყო რესტრუქტურისა და პროცესები. 1963 წლიდან იტალიის ელექტროსისტემა წარმოადგენდა ერთი კომპანიის ფარგლებში მოქმედ „ბუნებრივ მონოპოლიას“. 1999 წელს იტალიაში ევროკომისის დირექტივების საფუძველზე, ბერსანის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ, დაიწყო ძირეული ცვლილებების განხორციელება ტრადიციულად ვერტიკალურად ინტეგრირებულ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში.

იტალიაში კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც აწარმოებენ ელექტროენერჯის გენერაციისა და გადაცემის ბიზნესებს, ასევე ფლობს გამანაწილებელ შვილობილ კომპანიებს. ეს კომპანიები ახორციელებენ თავის საქმიანობას მარეგულირებელი ორგანოების მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

*დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ იტალიის ელექტროსისტემაში განხორციელებულმა რესტრუქტურისა და პროცესმა შესაძლებელი გახადა ელექტრობაზე კონკურენციის ელემენტების შემოტანა.*

**გერმანია.** გერმანია თავისი ელექტროენერგეტიკული ინდუსტრიის რესტრუქტურისა და ლიბერალიზაციის ახორციელებს მარეგულირებელი ორგანოს გარეშე. 1998 წლის 24 აპრილს დამტკიცებული „რეფორმების აქტის“ მიღებამ საფუძველი დაუდო გერმანიის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში რეფორმების დაწყებას. ამ აქტით განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი კანონის მოდიფიცირება (კანონი „კონკურენციის შეზღუდვის შესახებ“ და კანონი „ელექტროენერჯითა და გაზით მომარაგების შესახებ“), რომლებიც არეგულირებდნენ ენერგოსექტორს. ამ აქტის პრაქტიკული განხორციელების დაწყებისთანავე კანონმდებლობის წამყვანი როლი რეფორმების განხორციელებაში თანდათანობით „შესუსტდა“ და იგი ეტაპობრივად გადაეცა „გერმანიის კარტელის ოფისს“, ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს მონიტორინგი გაუწიოს კონკურენტული სიტუაციის ჩამოყალიბებას.

„გერმანიის კარტელის ოფისი“ წარმოადგენს გერმანიის ფედერალური ხელისუფლებისაგან კონსტიტუციურად და იურიდიულად დამოუკიდებელ ორგანოს.

ტრადიციულად, გერმანიაში კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოები თავიანთ ქმედებებს ელექტროენერგეტიკასთან მიმართებაში, ძირითადად, ახორციელებდნენ პოსტფაქტუმ, ანუ მას შემდეგ, რაც შესაძლო მონოპოლიური გადაწყვეტილებები მიღებული იქნებოდა შესაბამისი კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ.

*დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის 13 ივლისიდან გერმანიაში ძალაში შევიდა ახალი კანონი ენერგეტიკის შესახებ, რომელმაც ფაქტობრივად ახალი ერა დაიწყო ამ ქვეყნის ენერგეტიკულ კანონმდებლობაში.*

**იაპონია.** ბოლო 25 წლის მანძილზე იაპონიის სტაბილური ენერგოუზრუნველყოფა წარმოადგენს ამ ქვეყნის მთავრობის მთავარ პრიორიტეტს. იაპონიას არ გააჩნია საკუთარი ბუნებრივი ენერგორესურსები და, ამიტომ შესაბამისად მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტირებულ ენერჯიაზე.

იაპონიის ელექტროენერგეტიკულ სისტემას არეგულირებს იაპონიის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. უშუალოდ ენერგეტიკის სექტორს კი კურირებს სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეწოდება „ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სააგენტო“.

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის შესახებ“ კანონი წარმოადგენს იაპონიაში მოქმედ მთავარ საკანონმდებლო აქტს, რომელიც არეგულირებს ამ ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სისტემას. ასევე მოქმედებს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებები და ბრძანებულებები.

„ელექტროენერგეტიკული მრეწველობის შესახებ“ კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს იაპონიის ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს (ამ შემთხვევაში, იაპონიის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო) როლსა და ფუნქციებს ამ სისტემაში.

კონკურენციის შესახებ კანონი („ანტიმონოპოლიური აქტი“) წარმოადგენს კანონს, რომელიც განსაზღვრავს იაპონური სამრეწველო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე, სახელმწიფოს მიერ კონკურენციის ხელშეწყობის პირობების შექმნის ძირითად მიმართულებებს.

„იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისია“ წარმოადგენს მთავარ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული პრინციპების შესრულებასა და მონიტორინგზე.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიის კანონმდებლობა ამ მხრივ მეტად მრავალფეროვანია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ამ სფეროს განვითარების თვალსაზრისით.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილული იყო მსოფლიოს 4 წამყვანი ქვეყნის ენერგეტიკის რეგულირების მოდელები. შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდება. ანალიზმა ცხადად დაადასტურა დარგის რეგულირების აუცილებლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგები მიიღწევა იქ, სადაც ბაზრის „უხილავ ხელს“ შიგადაშიგ სახელმწიფოს „ხილული ხელი“ შეეშველება.

განხილულ ქვეყნებს შორის დიდი ბრიტანეთისა და უელსის მაგალითი ენერგეტიკის რეგულირებაში ერთ-ერთი წარმატებულია. გარდა ამისა, ამ ქვეყნისთვისაც სრულყოფილი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება მეტად რთული პრობლემა აღმოჩნდა, რადგანაც კომპანიები გამუდმებით „ბუნებრივად“ მიისწრაფვიან ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მართალია აქ მოხერხდა გენერაციის სექტორის გამოყვანა რეგულირების სფეროდან, მაგრამ შეუძლებელი გახდა მიწოდებისა და დისტრიბუციის სრული განცალკევება. ამის გამო აუცილებელი შეიქმნა პრივატიზებული და რესტრუქტურირებული ბუნებრივი მონოპოლიის ნაწილის მუდმივი კონტროლი და რეგულირება.

სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ჩარევის საჭიროება სხვადასხვა ზომით გამოვლინდა იტალიის, გერმანიისა და იაპონიის ენერგეტიკულ სექტორებში.

იტალიის ენერგეტიკა ევროპულ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე სუსტად ლიბერალიზებულია, მაგრამ საწყის ეტაპთან შედარებით ამ მხრივ აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. მხოლოდ ქვეყნის უმსხვილესი ბუნებრივი მონოპოლიის ENEL-ის ნაწილობრივი პრივატიზება და რესტრუქტურირაცია, დარგში განხორციელდა შესაბამისი გარდაქმნები. მაგრამ ENEL-ის ჯერჯერობით მონოპოლიური მდგომარეობა და შესაბამისად, კონკურენტის განვითარების საჭიროება, ქვეყანაში რეგულირების გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს.

გერმანიაში არსებულმა ვითარებამ ცხადყო, რომ ბუნებრივი მონოპოლიები საბოლოო ჯამში საჭიროებენ რეგულირებას, ხოლო თეორია მათი სრული დერეგულირების შესახებ ჯერჯერობით ვერ ამართლებს განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა იაპონიაში. აქ ელექტროენერგეტიკული სექტორი რეგულირდება ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ, რომელიც გასცემს ლიცენზიებს და არეგულირებს ტარიფებს. კომპანიები კი ვერტიკალურად ინტეგრირებულები არიან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თოთოეულ ქვეყანას თავისი სპეციფიკა, ტრადიციები და თავისებურებები გააჩნია, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ენერგეტიკის რეგულირების დროს. წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მარტივი და შესასრულებლად იოლი მოდელი იქნება ამ მიზნით არჩეული.

#### ლიტერატურა:

1. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“, თბ., 2006;
2. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 1999;
3. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, 2002;
4. <http://www.gnerc.org/>
5. <http://www.menr.gov.ge/>
6. <http://www.erranet.org/>
7. <http://www.naruc.org/>
8. <http://www.worldenergy.org/default.asp>
9. <http://www.eia.gov/404r.cfm?v=http://www.eia.gov/emeu/international/georgia.html>
10. <http://www.eurasianet.org/>
11. <http://www.ebrd.org/>
12. <http://www.caspenenergy.com/bbulmain02.html>

## რეზიუმე

ენერგეტიკის სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვანია როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. თემაში განხილულია დიდი ბრიტანეთის და უელსის, იტალიის, გერმანიის და იაპონიის ქვეყნებში ენერგეტიკის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილულია მსოფლიოს 4 წამყვანი ქვეყნის ენერგეტიკის რეგულირების მოდელები. შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდება.

განხილულ ქვეყნებს შორის დიდი ბრიტანეთისა და უელსის მაგალითი ენერგეტიკის რეგულირებაში ერთ-ერთი წარმატებულია. გარდა ამისა, ამ ქვეყნისთვისაც სრულყოფილი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება მეტად რთული პრობლემა აღმოჩნდა, რადგანაც კომპანიები გამუდმებით „ბუნებრივად“ მიისწრაფვიან ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოსაპოვებლად. მართალია აქ მოხერხდა გენერაციის სექტორის გამოყვანა რეგულირების სფეროდან, მაგრამ შეუძლებელი გახდა მიწოდებისა და დისტრიბუციის სრული განცალკევება.

იტალიის ენერგეტიკა ევროპულ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე სუსტად ლიბერალიზებულია, მაგრამ საწყის ეტაპთან შედარებით ამ მხრივ აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული. მხოლოდ ქვეყნის უმსხვილესი ბუნებრივი მონოპოლიის ENEL-ის ნაწილობრივი პრივატიზება და რესტრუქტურირება, დარგში განხორციელდა შესაბამისი გარდაქმნები.

გერმანიაში არსებულმა ვითარებამ ცხადყო, რომ ბუნებრივი მონოპოლიები საბოლოო ჯამში საჭიროებენ რეგულირებას, ხოლო თეორია მათი სრული დერეგულირების შესახებ ჯერჯერობით ვერ ამართლებს განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა იაპონიაში. აქ ელექტროენერგეტიკული სექტორი რეგულირდება ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მიერ, რომელიც გასცემს ლიცენზიებს და არეგულირებს ტარიფებს. კომპანიები კი ვერტიკალურად ინტეგრირებულნი არიან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თითოეულ ქვეყანას თავისი სპეციფიკა, ტრადიციები და თავისებურებები გააჩნია, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ენერგეტიკის რეგულირების დროს. წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მარტივი და შესასრულებლად იოლი მოდელი იქნება ამ მიზნით არჩეული.

## LEGAL ASPECTS OF FOREIGN MODELS OF ENERGY REGULATION

Maka Salkhinashvili, Full Professor

### SUMMARY

Legal regulation of energy is an important area both in Georgia and internationally. The paper examines the legal aspects of energy regulation based on examples of the UK, Italy, Germany and Japan.

We have examined the existing models of energy regulation in the four of the world's developed countries, all of which vary to some extent.

Out of the four countries within our interest, the UK's energy regulation practice provides one of the most successful examples. It has proved rather challenging for this country to establish fully competitive environment in the energy sector because of the energy companies' inherent aspirations to monopolize the market. Although the country has succeeded in deregulating the energy generation sector, the full disintegration of the energy supply and distribution sectors has not been accomplished.

Italy's energy sector is one of the least liberalized in Europe, although significant progress has been made compared to the starting point. The country's largest natural monopoly ENEL has been partially restructured and privatized, and the relevant changes have been implemented in the sector.

The case with Germany demonstrates that the natural monopolies ultimately require regulation, while the theory about their complete deregulation has not proved successful even in the developed countries.

The situation is somewhat different in Japan. The electrical energy sector is regulated by the Ministry of Economy, Industry and Trade, which is in charge of issuing licences and regulating tariffs, while the energy companies are vertically integrated.

Based on the foregoing, we conclude that each country has its distinctive features, traditions and peculiarities, which should be taken into account in the process of energy regulation. The success will be largely dependent on the degree of simplicity and feasibility of implementation of the selected model of regulation.

## სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

*ბალიანა ჩიტაძე, ასოცირებული პროფესორი*

სამშენებლო საქმიანობა (მშენებლობა) არის პროცესი, რომელიც მოიცავს ტერიტორიის სივრცითი მოწყობისა და დასახლებათა განვითარების დაგეგმარების დოკუმენტების მომზადებას, არქიტექტურული პროექტების მომზადებას, სამშენებლო მოედნის, შენობა-ნაგებობებისა და სხვა საჭირო კვლევების განხორციელებას, შენობა-ნაგებობათა ან მათი ნაწილების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მომზადებას, მშენებლობის წარმოებასა და სანებართვო პირობების შესრულებას.

სამშენებლო საქმიანობა, რომელიც მიმართულია ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისაკენ, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებისაკენ, წარმოადგენს დარგთაშორის საქმიანობას.

სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ (27.10.2000 წ., №577-I ს), საქართველოს კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ (08.04.2010 წ., №2911-I ს), საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები.

„ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით სამშენებლო საქმიანობა არ არის ლიცენზირებადი. იგი ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

მშენებლობის სფეროში ნებართვის სახეებია:

- მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვა;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვა;
- რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის ნებართვა.

თუ მშენებლობის განმახორციელებელ საწარმოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში არ გააჩნია სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა, მაშინ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ... მუხლის ... ნაწილის თანახმად, მისი თანამდებობის პირებს დაეკისრებათ ჯარიმა ... ლარის ოდენობით, ხოლო თვით საწარმო შეიძლება დაჯარიმდეს ... ლარით.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მშენებლობის ნებართვა არის განსხვავებული იერარქიული ნებართვა, რომელიც ნებართვის მაძიებელთა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად:

I სტადია - ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება);

II სტადია - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (შემდგომში - არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება);

III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა.

მშენებლობის ნებართვა გაიცემა:

- ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე);
- არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციაზე;
- არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟზე;
- სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

მშენებლობის (მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის) ნებართვის გაცემის სტადიები ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

I სტადია - არა უმეტეს 30 დღისა;

II სტადია - არა უმეტეს 20 დღისა;

III სტადია - არა უმეტეს 10 დღისა.

მამასადამე, მშენებლობის ნებართვა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სტადიები უნდა განხორციელდეს 60 დღის განმავლობაში.

ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამივე სტადიას აწარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოსცემს შემდეგი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს:

I სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

II სტადია - არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ნებართვის გაცემის სტადიებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

იმ ტერიტორიებზე, სადაც არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა, მშენებლობის ნებართვის გასაცემად პირველი სტადიის გავლა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) საჭირო არ არის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოადგენს შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმა. თუ განაშენიანების რეგულირების გეგმით არ არის განსაზღვრული ყველა ის პირობა, რაც მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადიით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებისათვის არის განსაზღვრული, მაშინ საჭიროა პირველი სტადიის პროცედურებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებაც იმ პირობების დასადგენად, რომლებიც არ არის განსაზღვრული შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმით.

დამკვეთი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურებისგან განსხვავებით აირჩიოს ორსტადიანი ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

I ეტაპი - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება - არა უმეტეს 30 დღისა;

II ეტაპი - მშენებლობის ნებართვის გაცემა - არა უმეტეს 20 დღისა (მოცემულ სტადიაზე სამშენებლო დოკუმენტის პროექტი უნდა მოიცავდეს II სტადიისათვის საჭირო პროექტებს/სქემებს).

დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი ერთად. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო აწარმოებს სტადიების ადმინისტრაციულ პროცედურებს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

II კლასის შენობა-ნაგებობის სამშენებლო დოკუმენტის სხვა ტერიტორიაზე გამოყენების შემთხვევაში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების ტერიტორიებისა) მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ I სტადიით.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სამშენებლო დოკუმენტის სხვა ტერიტორიაზე გამოყენების შემთხვევაში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების ტერიტორიებისა) მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ I სტადიით და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი გეოლოგიური დასკვნისა და ფუძე-საძირკვლის პროექტის საფუძველზე, შესაბამის ცვლილებებს განიცდის სამშენებლო დოკუმენტაცია.

იმ განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ქვეყნისათვის სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან შენობა-ნაგებობებზე ან მათ კომპლექსებზე, რომელთა მშენებლობა უკვე დასრულებულია და არ გააჩნიათ შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (სათანადო საბუთები და სრულყოფილი მშენებლობის განხორციელების დოკუმენტაცია), მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო უწყების შუამდგომლობით, გამარტივებული წესით, მხოლოდ II და III სტადიით (ან მათი გაერთიანებული ადმინისტრაციული წარმოებით). ასეთ შემთხვევაში:

ა) ობიექტის მესაკუთრე სათანადო დასაბუთებით წარადგენს განცხადებას დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოში არსებული საპროექტო და სხვა დოკუმენტაციის თანდართვით, რათა აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს მთავრობის წინაშე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის დაწყებისათვის საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემის მიზნით;

ბ) ობიექტის მესაკუთრე ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული პროცედურის საჯაროობა, კერძოდ, სამშენებლო ობიექტზე გამოაკრას საინფორმაციო დაფა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოში მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად განცხადების შეტანის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი არის V კლასს დაქვემდებარებული, აგრეთვე აქვეყნებს ინფორმაციას პრესაში;

გ) დარგში პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო დაწესებულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით განმცხადებელს (მესაკუთრეს) უდგენს დავალებას ობიექტის მდგომარეობის გამოსაკვლევადა;

დ) დავალების შესაბამისად ობიექტის მესაკუთრე საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ობიექტის გამოკვლევის სამუშაოების შესრულებას და გამოკვლევების შედეგებს წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს;

ე) ადმინისტრაციული ორგანო გამოკვლევის შედეგების წარდგენიდან 10 დღეში, მაგრამ განცხადების მიღებიდან არანაკლებ 20 დღისა, იხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობაში შუამდგომლობის შეტანის თაობაზე მიღებული გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით;

ვ) მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

თუ ობიექტის მშენებლობა დაკავშირებულია დასამუშავებელი საპროექტო დოკუმენტაციის დიდ მოცულობასთან და შემჭიდროვებულ ვადებში შესასრულებელ მასშტაბურ სამუშაოებთან, აგრეთვე გართულებული დაპროექტებისათვის საჭირო გარემოებათა ან/და საპროექტო დოკუმენტაციის ცალკეული ნაწილების დაზუსტება-შეთანხმება, რის გამოც ნებართვის მაძიებელი ვერ წარადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას, ნებართვის მაძიებლის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია გასცეს მშენებლობის ნებართვა წარსადგენი დოკუმენტაციის პირობებისა და ვადების გათვალისწინებით. ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის საპროექტო დოკუმენტაციის განუყოფელი ნაწილი და დაემატება მას. ნებართვის გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობა მშენებლობის ნებართვის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველია.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლობებისა და საელჩოების შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვა გაიცემა I და II სტადიებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურებით. II სტადიით დადგენილი პროცედურების გავლის და შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ გაიცემა მშენებლობის საწარმოო მოწმობა. უცხო ქვეყნის წარმომადგენლობებისა და საელჩოების შენობა-ნაგებობების მშენებლობის შემთხვევაში სამშენებლო დოკუმენტის პროექტი მოიცავს მხოლოდ: ფასადებს, განშლებს, ტერიტორიის მოწყობის გეგმას, შენობათა სქემატურ გეგმას და მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;

ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;

დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

ნებართვის მაძიებელმა, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადების შეტანიდან სამ დღეში, არსებულ დაფაზე უნდა განათავსოს სამშენებლოდ დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) შენობა-ნაგებობების სართულიანობა ან/და გაბარიტები.

ნებართვის მფლობელმა დადგენილი წესით ნებართვის გაცემის შემდეგ ათი დღის ვადაში არსებულ დაფაზე უნდა განათავსოს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია, კერძოდ:

- ა) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- ბ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო, ნებართვის ნომერი და მოქმედების ვადა;
- გ) მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ვადები;
- დ) შენობა სართულიანობა ან/და გაბარიტები;
- ე) დამკვეთის სურვილით ობიექტის არქიტექტურული სახე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობის ნებართვის მაძიებელი მშენებლობის ნებართვას იღებს სამი სტადიით, იგი ვალდებულია საინფორმაციო დაფაზე დამატებით განათავსოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე განცხადების შეტანისა და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე.

საინფორმაციო დაფის გაბარიტები და მასზე ინფორმაციის განთავსების პირობები, საჯაროობისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება დააზუსტონ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მინიმალური გაბარიტის ჯერადობის მიხედვით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია 2 ზომის ფორმატი.

საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ვარგისად აღიარების შემდეგ.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოთ განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ დაგეგმილი მშენებლობისას საინფორმაციო დაფა უნდა განთავსდეს იმ თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული შენობის მახლობლად, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის დაგეგმილი მშენებლობა, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილზე. საჯაროობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ზემოთ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ადგილმდებარეობის მითითების დამატებით.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. დაუშვებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ისეთი მოთხოვნების ჩართვა, რაც კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

და დაერთოს:

ა) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ბ) არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ექვსი ეგზემპლარი;

გ) თუ მშენებლობის ნებართვის მოპოვება დაკავშირებულია ისეთი ობიექტის მშენებლობასთან, რომელშიც გათვალისწინებული საქმიანობა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, განმცხადებელმა დამატებით უნდა წარადგინოს:

გ.ა) კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ხუთ ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსიით;

გ.ბ) მოსალოდნელი ემისიების მოცულობა და სახეები (დაბინძურების სტაციონალური წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციათა ტექნიკური ანგარიში და მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის/ჩაშვების ნორმები - 4 ეგზემპლარად);

გ.გ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);

გ.დ) მოკლე ანოტაცია საქმიანობის შესახებ (არატექნიკური რეზიუმეს სახით);

გ.ე) განცხადება წარდგენილი განცხადების კონფიდენციალური ნაწილის შესახებ.

დამკვეთი მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების მინიმუმ სამ და მაქსიმუმ ექვს ეგზემპლარს. IV და V კლასებს დაქვემდებარებულთა შენობა-ნაგებობების მშენებლობისას დამკვეთმა მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს დამატებით ერთი ციფრული ეგზემპლარი.

მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით.

მშენებლობის ნებართვის გამცემი 3 დღის ვადაში ამოწმებს ნებართვის მამიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ხარვეზის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

სხვა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შესაბამისობა დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებით განსაზღვრულ პარამეტრებთან და გამოიტანოს გადაწყვეტილება არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ნებართვის გამცემ ორგანოში განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა. გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სხვა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ნებართვის გამცემ ორგანოში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 17 დღისა გადაწყვეტილება წარუდგინოს ნებართვის გამცემს.

#### ლიტერატურა:

6. ნ. ტერაშვილი, მშენებლობა, თბ., 2011;
7. [www.geoeconomics-ge](http://www.geoeconomics-ge);
8. [www.gbc.ge](http://www.gbc.ge);
9. [www.economy.ge](http://www.economy.ge);
10. [www.geostat.gd](http://www.geostat.gd);
11. [Liberali.ge](http://Liberali.ge);
12. [Strategy.ge](http://Strategy.ge)

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სამშენებლო საქმიანობის ზოგადი მიმართულებები, რომლებიც ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისაკენ მიდის. მშენებლობა მატერიალური წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელშიც იქმნება საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ისეთი პროდუქცია, როგორცაა დამთავრებული და მოქმედებაში შეყვანისათვის გამზადებული ახალი ან/და რეკონსტრუირებული შენობები, ნაგებობები, მათ შორის საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი შენობები და სხვა ობიექტები.

### THE LEGAL REGULATION OF CONSTRUCTION ACTIVITIES

**Khaliana Chitadze**, Associated Professor

#### RESUME

In this work are discussed the general directions of the building activity which go to the development of all the branches of the native thrift.

Building is one of the most important brunch of the material manufacture, where are created industrial and nonindustrial productions such as finished and ready for using reconstructed buildings and constructions Among them are dwelling-houses, social bioldings and other objects.



## ლინგვისტიკა *Linguistics*

### პერმანსიულობის სემანტიკის აღმნიშვნელი მორფემები ქართული ენის დიალექტებში

*მარიამ კობერიძე, სრული პროფესორი*

როგორც ცნობილია, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოქმედების მრავალგზისობის (პერმანსიულობის) გამოხატვის ფორმები (I, II, III ხოლმეობითი) გარკვეული ცვლილებით დასტურდება დღეს ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. მრავალგზისობის (ხოლმეობითის) გამოხატვის ენობრივ საშუალებათა ცვლილება ზოგადი კანონზომიერების ერთ-ერთი კერძო ნიმუშია.

გარკვეული პერიოდიდან ქართულში (გარდა რამდენიმე დიალექტისა) დასუსტდა და შემდგომ საერთოდ მოიშალა მრავალგზისობის გამოხატვის მორფოლოგიური სისტემა: მრავალგზისობის გამომხატველი ფორმები აღარ ფუნქციონირებენ ენაში, მაგრამ მრავალგზისობის ფუნქცია შემორჩა და ენამ ამჯერად პირველი (ერთგზისი) რიგის ფორმებს დააკისრა, ე. ი. გააფართოვა ამ რიგის ფორმათა ფუნქციონირების არე. ასეთ ვითარებაში ერთგზისობა-მრავალგზისობის გარჩევა მთლიანად კონტექსტს დაექვემდებარა: წერ-და-ა -- წერ-და-ა ხოლმე (/ხშირად/ზოგჯერ..) (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 389).

დაკარგული ხოლმეობითის მწკრივების საკონპენსაციოდ ენამ მიმართა აღწერით წარმოებას, რაც ხორციელდება აწმყოს, უწყვეტლის, კავშირებითის ფორმებზე ხოლმე, ხოლმე ხანდახან, ხოლმე ხშირად, ხოლმე იშვიათად ნაწილაკისა და ნაწილაკისა და ზმნიზედის ერთად დართვით (ნ. ტონია, 1998, გვ. 96). მაგ.: **მოვდიოდი ხოლმე, მოვდიოდი ხოლმე ხანდახან, მოვდიოდი ხოლმე ხშირად, მოვდიოდი ხოლმე იშვიათად** და სხვა.

ხოლმე ნაწილაკი გამოხატავს მოქმედების განმეორებითობას, მაგრამ პერიოდულობა, სიხშირე, ინტენსივობა ზუსტად განსაზღვრული არ არის, ამიტომ საჭირო ხდება სათანადო დროისა და ჯერობა-გზისობის ზმნიზედების მოშველიება. „ქართული ენის მორფემების ლექსიკონში“ ხოლმე ნაწილაკი ასე განიმარტება: „ხოლმე (ფონეტ. ხვალმე) - დასტურდება შუა საუკუნეების ქართული ენის ძეგლებში, ხომე-ზეპირსიტყვიერებაში, უპირატესად -- აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში... ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის ზმნის ფორმას და გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, განმეორებას (ხოლმეობითობას). ჩვეულებრივ, დაერთვის ყველა ნაკვეთის ფორმას, გარდა ნამყო ძირითადისა და II შედეგობითისა: წერს ხოლმე, წერდა ხოლმე...დაუწერია ხოლმე (ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, 1989, გვ. 473). გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ხოლმე“, „ხოლმე“ ნაწილაკი მომდინარე უნდა იყოს „ყოლმე“ - „ყოვლად“ ზმნიზედისაგან, რადგან ახლოა მასთან სემანტიკურად და ფუნქციურად (ნ. შარაშენიძე).

ხოლმეობითის ორგანული წარმოების მხრივ ქართული ენის დიალექტები ორ ჯგუფად განიყოფებიან. ორივე შემთხვევაში ხოლმეობითის ფორმათა წარმოებისათვის ამოსავალი ძველი ქართულის ვითარებაა, სხვაობა (და, ამდენად, მათი დაჯგუფების საფუძველი) საკუთრივ დიალექტური მოდიფიკაციებით (ინოვაციებით) ვლინდება. ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში ხოლმეობითის წარმოების ძველი ქართულისებური ვითარება დაცულია III პირის ფორმებში. მაგ.: ხევსურული - „მყოლებ გახყებოდ იმ სოფელშიით. ოციც **გა-ხ-ყ-ი-ს** (= გაჰყებოდა ხოლმე)“ (ქართული დიალექტოლოგია); ფშაური - „წავიდიდი, ავხვეტოდი და თივა ავაგოდი“ (ქართული დიალექტოლოგია); თუშური - „დაბრუნდის ქაჯები და წავიდნის“ (ქართული დიალექტოლოგია).

ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში დადასტურებული ინოვაციები თვალნათლივი ნიმუშია იმისა, თუ რა ფორმობრივი და სემანტიკური მოდიფიკაციებით შეიძლება წარმართოს საერთო ენობრივ მოვლენათა კერძო ხასიათის ცვლილებანი დიალექტების დონეზე (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 395).

პერმანსიულობის სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით მეორე იზოგლოსას ქმნიან მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული დიალექტები და კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავი, აგრეთვე ინგილოური და ფერეიდნული (რომლებშიც ქიზიყურთან ისტორიული კავშირის კვალი დაჩნდება ამ

მხრივ). ყველა ამ დიალექტში ხოლმეობითის გამოხატვა ხდება საკუთრივ -ი სუფიქსისა და -ყ/-კე მორფემოიდების საშუალებით (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 395).

-ყე ნაწილაკის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ იგი როგორც სუფიქსი მორფემოიდი დაერთვის ზმნას და გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, ცვლის „ხოლმე“ ნაწილაკ-მორფემოდს. დასტურდება როგორც სხვადასხვა მწკრივის, ისე ხოლმეობითის ორგანული წარმოების ფორმებთან. მისი ალომორფებია: -ყენ, ყე, -კენ, -კე, -ს, -კ, -ენ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1989, გვ. 422, 149).

-ყე ნაწილაკი აზრის მიხედვით აღნიშნავს „ხოლმე“-ს: „იმითი ჰასილები (=დიკები) თოვლის ქვეშ მაჰყვებისყე (=მოჰყვება ხოლმე)“ (ფერეიდნული).

ყე ნაწილაკის ფუნქციის შესახებ ვუკ. ბერიძე შენიშნავს: „ყე (რაჭ., ზ. იმერ.) წინადადებაში შემასმენლის შემდეგ დაისმის დამატების მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად. მაგ.: ვუთხარიყე; ვუთხარით - ვუთხარიყე“ (ვ. ბერიძე, 1986, გვ. 54).

-ყე ნაწილაკს მნიშვნელობის დაბნელების მომასწავებელ შემთხვევათა კატეგორიაში განიხილავს ფერეიდნულთან დაკავშირებით არნ. ჩიქოვავა. ის ადასტურებს აწმყოს მრავალგზისობის ანუ პერმანსიობის გამოხატველად (ა. ჩიქოვავა, 2010, გვ. 31). მაგ.: „სადილზე შამოდისყე და უთხრისყე ყენის ყორსა“; „ძალით გაგზავნისყე სამუშაოთ“.

მთიულურ-გუდამაყრულში მკვიდრია ხოლმეობითის წარმოება, რომელიც სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: 1. არქაული, -ი სუფიქსიანი წარმოება: უყორდ-ი-ს, წამდ-ი-ს (I ხოლმეობითი).. 2. დიალექტური, -კე სუფიქსიანი: აიღებს-კე, აიღებდა-კე...

3. კონტამინირებული, ი-კე სუფიქსიანი წარმოება: ეზიდებოდ-ი-ს-კე (I ხოლმეობითი): გაუშვ-ი-ს-კე, გაუშვ-ი-ან-კე (II ხოლმეობითი).

ხოლმეობითის ფორმები, ჩვეულებრივ, მრავალგზის მოქმედებას გამოხატავენ, მაგრამ ზოგჯერ გამოიხატება განგრძობითობა (საკუთრივ პერმანსივი): „ჰვნა-მთესავი კაცი ვ-ი-ყვ-ი“. ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება ერთსა და იმავე წინადადებაში ნამყო ძირითადის II პირის ფორმა, ოღონდ პირის ნიშნის გარეშე: „ზოგი ხანჯარს ვერ ამართავდ-ი-ს-კე, ისეთი ნეფე იყვ-ი-ს“ (ქართული დიალექტოლოგია).

ქიზიყურში ხოლმეობითის -ყე/-კე ფორმანტიანი წარმოება დაერთვის ხოლმეობითისავე ფორმებს: „მამაჩემი იტყოდა-კე“ (= იტყოდა ხოლმე).

-ყე//ყ ნაწილაკ-მორფემოიდი მრავალგზისობის (ხოლმეობითის) ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია ქართული ენის ინგილოურ დიალექტშიც (-ყე ალიაბათურში, -ყ - კაკურში): ამბოვენ-ყე (ამბოვენ ხოლმე), ცხოვაყ (ცხოვება ხოლმე).

ქართული ენის დიალექტებში პერმანსივობის აღმნიშვნელ საგანგებო მორფემებს -ხოლმე, -ყე ნაწილაკებს (და მათ ალომორფებს ფუნქციურად უტოლდება ინტენსივობის, პერიოდულობის, სიხშირის სემანტიკის გამოხატველი დროის ზმნიზედები: ხშირად, დღე და ღამ, ყოველ წუთს, ყოველწლიურად, დღისით, დღემუდამ, წამისწამ, ყოველდღე...

ამრიგად, პერმანსიულობის სემანტიკის გამოხატველი მორფემების გამოყენების თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტები ასეთ სურათს გვაძლევს: ა) „ხოლმე“ და მისი შემცველი ფორმების საშუალებით მრავალგზისობა აღწერითად გამოიხატება რაჭულში, ქართლურში, კახურში (შიგნიკახურ კილოკავში), იმერულში, მესხურში, გურულში, აჭარულსა და იმერხეულში; ბ) ხევსურულში, თუმურსა და ფშაურში ხოლმეობითობა გამოიხატება -ი და -იდი/-ოდ-ი მორფემებით; გ) მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ინგილოურში, ფერეიდნულსა და კახურის ქიზიყურ კილოკავში გამოიყენება -ი, -ყე/-კე ფორმანტები. მრავალგზისობის -ი სუფიქსიანი წარმოება სპორადულად დაჩნდება ქსნის ხეობაში. აღნიშნული ფორმების გამოყენების თვალსაზრისით ჩრდილო ქართლური განიცდის მთიულურის გავლენას.

#### ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბ., 1986;
2. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961;
3. ვ. ტონია, პერმანსიულობის სემანტიკის აღმნიშვნელი მორფემები საშუალო ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1998;
4. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989;
5. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემების ლექსიკონი, თბ., 1989;
6. ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995;

7. არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: შრომები, I, თბ., 2010.

### რეზიუმე

ქართული ენის დიალექტებში მრავალგზისობის, მოქმედების ხანგრძლივობის გამოსახატავად გამოიყენება -ხოლმე (→ხომე), -ყე, -კე, -ენ სემანტიკის აღმნიშვნელი მორფემები. „ხოლმე“ და მისი შემცველი ფორმების საშუალებით მრავალგზისობა აღწერითად გამოიხატება რაჭულში, ქართლურში, კახურში (შიგნიკახურ კილოკავში), იმერულში, მესხურში, გურულში, აჭარულსა და იმერხეულში.

ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში ხოლმეობითობა გამოიხატება -ი და -იდი/-იდი-ი მორფემებით. მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ინგილოურში, ფერეიდნულსა და კახურის ქიზიყურ კილოკავში გამოიყენება -ი, -ყე/-კე ფორმანტები. მრავალგზისობის -ი სუფიქსიანი წარმოება სპორადულად დაჩნდება ქსნის ხეობაში. აღნიშნული ფორმების გამოყენების თვალსაზრისით ჩრდილო ქართლური განიცდის მთიულურის გავლენას.

## MORPHEMES IN THE GEORGIAN LANGUAGE DIALECTS

Mariam Koberidze, Full Professor

### RESUME

In the dialects of the Georgian language the morphemes denoting semantics, such as -ხოლმე, -ყე, -კე, -ენ are used to express the duration of an action. The frequentation is often expressed descriptively by the means of -ხოლმე and its equivalents in various provincial dialects in Racha, Kartli, Kakheti, Imereti, Meskheti, Guria, Adjara and Imerkhevi (the geographical regions of Georgia).

In the Khevsuretian, Tushetian and Pshavian dialects, the frequentation is denoted with the use of the morphemes, such as -ი and -იდი/-იდი-ი; but in the Khevian, Gudamakarian, Ingiloan Fereidanian and Kakh-Qizikian dialects it is usually used -ი, -ყე/-კე. The derivative suffix -ი appears in the Ksani gorge. According to the frequent use of the mentioned forms, the northern Kartlian dialect is apparently under the influence of the Mtiuluri (mountain) one.

### ტოპონიმიკური შენიშვნები ქსნის ხეობიდან

*ნიკოლოზ ოთინაშვილი, ასოცირებული პროფესორი*

ჩვენს მიზანს შეადგენს ქსნის ხეობის (ყოფილი საერისთავოს ნაწილი) ძველი ქართული ტოპონიმების ლოკალიზაცია, მათი ეტიმოლოგიურ-ენათმეცნიერული ახსნა. ამ მხრივ წყაროდ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა“, მისი რუკები, ასევე „ქსნის ხეობის 1774-81 წლების სტატისტიკური აღწერა“ და სხვა წყაროები მიგვაჩნია. ხეობაში (აქ იგულისხმება ქსნის ხეობის ნაწილი, ლეხურის ხეობაც) ბევრი ტოპონიმის განადგურების შემდეგ ზოგიერთის დადგენა შეუძლებელია.

ვახუშტის ნაშრომები შეიცავენ უხვ მასალას ზემოხსენებული ხეობის ტოპონიმებისათვის. აქ შემონახულია ათობით გეოგრაფიული სახელი, რომლითაც აღინიშნებოდა ხეობის ნაწილები, ცალკეული პუნქტები, რომლებიც მათი სივრცობრივი კუთვნილების ზუსტი აღნიშვნით არის მოცემული.

ვახუშტიმ ასევე შეადგინა რუკების ორი სერია. რუკების საერთო სათაურია „ენითა ლათინთათა საკუთარი სახელი ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა, ძველთაგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყანასა სახელნი არიან ქართლოსიანი, რომელი არს საქართველო, კვალად მიღებული იბერია“... (ვახუშტი, საქ. ატლასი).

რუკების შექმნიდან ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით კი, მათზე აღნიშნული ტოპონიმები, მაგრამ მათი ლოკალიზაციისათვის მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ.

ხეობის ძველი ტოპონიმები მოცემულია მეცნიერის „აღწერაში“ და რუკებზე. მოცემულია მათი კლასიფიკაცია და ლოკალიზაცია, მაგრამ მეტი რაოდენობით არის ისინი აღნუსხული რუკებზე.

მეცნიერის „აღწერას“ და რუკებს დიდი მნიშვნელობა აქვთ დღესაც ტოპონიმთა განსაზღვრისათვის. ზოგიერთ ისტორიულ წყაროში, მაგალითად „ძველი ერისთავთა“ მხოლოდ ჩამოთვლილია ხეობის ტოპონიმები, მაგრამ ვახუშტის შრომები ამ მხრივ უნივერსალურია. ისინი მიგვანიშნებს ნებისმიერ ხეობას, მდებარეობას ამა თუ იმ პუნქტთან თუ სხვა ობიექტთან მიმართებაში.

როგორც „აღწერაში“ ისე რუკებზე ზუსტად არის აღწერილი და აღნიშნული ქსნისა და ჭურთის წყალის შესართავში წმინდა თეოდორე, იგივე ლარგვისი. საინტერესოა, რომ ორივე სახელი ზუსტად არის მოცემული.

სოფლები ქოლოთი და ქვიტკირი მდინარე ლეხურას მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე ერთმანეთის პირისპირ არის დატანილი, რაც დღევანდელ ვითარებას შეესაბამება. ზუსტად ასეთივე ვითარებაა არმაზისა და ხახორის მიმართებაში ლეხურის ხეობაში.

ვახუშტის შრომას დართული სოფლების სიაში, ქსნის მარცხენა შენაკად ცხრაზმის ხეობაში სოფლები მოცემული არაა, მაგრამ მეცნიერი მიუთითებს, რომ „ცხრაზმაზე სოფელი შვიდი“, რუკაზე დატანილია საკულტო ნიშნებით, რაც ლოკალიზაციისთვის ნიშანდობლივია. წვრილ-წვრილი სოფლები, რომლებიც გვაროვნულად იყო დასახლებული ჩვენ დრომდე შემორჩა. ეს სოფლებია: დაბაკნეთი, დადიანეთი, წინდადიანეთი, ჩიტანი, უკანუბანი, ოლაძეების უბანი, რომელთაც თავიანთ სალოცავები გააჩნიათ. ასეთივე მდგომარეობაა ჭურთის ხეობაში წვრილი სოფლები, რომლებიც ექვს დასახლებულ პუნქტს მოიცავდა. ესენია: მშველიეთი, გავაზი, მოჭალიეთი, მეწყერი, ხალბეგაანი, დორეთკარი. იყო სხვა პატარა დასახლებებიც, რომლებსაც მთიურად სოფლებს უწოდებდნენ. გავაზი და მეწყერი დღეს დაცლილია, მაგრამ საკულტო ძეგლები ადგილზეა.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში და შემდგომ ქსნის, ლეხურის ხეობები ეთნიკურად მთლიანად ქართულია. მაგალითად „სამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი“, რომელიც შედგენილია 1656-1696 წლებში, წარმოადგენს უნიკალურ ძეგლს ლეხურის ხეობის და საერთოდ ჩვენთვის საინტერესო ზემო წელის დასახლებული პუნქტების სახელების, მოსახლეობის გვარ-სახელების და სხვა ელემენტების შესახებ.

ლეხურის ხეობის სოფელ წირში ცხოვრობდნენ გაგაძეები, იოსებიძეები, აბრიაშვილები, წუბენში მოხევიშვილები, მთიულიშვილები, ფიდიურები; რეხაში - შათირიშვილები, მირიანაშვილები, ჭონიშვილები; ზემო ყურში - მათიაშვილები, იჩქითები, სპადარიაშვილები, ბუდელიძეები; ფუნაგისში - ნასყიდაშვილები, ვირშელიშვილები, მეშველაშვილები, მინდუაშვილები, ღოდორაშვილები; ზემო რეხაში - ბასილაშვილები, სულთაბაშვილები, თხელიძეები; ჯეჯიკურში - მელიწკაურები, ბერიშვილები, ქექეზაშვილები, ასადურები და სხვა.

აღნიშნული ტოპონიმები შემორჩენილია, მაგრამ მოსახლეობისაგან დაცლილია. რაც შეეხება ანთროპონიმებს, მათი ნაწილი ბარად არის ლოკალიზებული, ზოგი კი საერთოდ აღარა ჩანს.

ასევე ნასოფლარებია ხეობის ძველი დასახლებული პუნქტები: ცხრაწყარო, ბოსელთა, მთაწმინდა, ორი ქოლოთი, ქვიტკირი, ღოითკარი, აგარა, სათაგური, ლელოვანი, ბალის ხიდი, ბერიჯვარი, უღლეტეხილი, ზემო ბალითი, ქვემო ბალითი, მეტესმანი, კაბაური, ქარტისი, ტბეთი, ჭაჭამური, ვანი და სხვები.

საჭიროა ამ მდიდარი ტოპონიმური მასალის ეტიმოლოგია, როგორც ხალხური, ისე მეცნიერული, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან შედეგთან მიგვიყვანს.

საკუთრივ ქსნის ხეობის ტოპონიმებიდან ძალზე საინტერესოა „1774-81 წლების სტატისტიკური აღწერა“. ეს ძველი ხეობაში მოგზაურობისას აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან ძველი გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში 1951 წელს მცირე კომენტარებით. შემდეგ კვლავ გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის ავტორობით 1967 წელს. გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან მეგრელაძემ და ნათელა ჯავახიშვილმა.

1781 წელს აღწერა, 1774 წლის აღწერასთან შედარებით, გამარტივებულია. ორივე აღწერაში დასახლებულია ყველა მნიშვნელოვანი ხეობა და სოფელი, რომელთა რაოდენობა ორმოცდათორმეტია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აღწერა იცნობს არა ხეობას, არამედ ხევს. მაგალითად: ჭურთის ხევს, ისროლის ხევს, ქარჩოხის ხევს. ტოპონიმის მეორე კომპონენტად გვხვდება კარი. შატაკთ კარი, მიდელანთ კარი, ქენქანთ კარი, ჩიტიანთ კარი, აბუთ კარი, ძეგნანთ კარი, თინიკანთ კარი, პავლიანთ კარი. თუ შევადარებთ თანამედროვე ადმინისტრაციულ დაყოფას (1949) აღმოჩნდება, რომ კარ მეორე კომპონენტად საერთოდ აღარა გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში, ზეპირ მეტყველებაში კი

დაცულია. გვაქვს: მიდელაანი, ქენქაანი, თინიკაანი, პავლიანი, ელოიანი, ჩიტანი, თევზელაანი, რაც კრებითობას გამოხატავს გვართა დასახლების მიხედვით.

ზემოხსენებული „აღწერების“ შემდგომ ხეობაში ბევრი ნასოფლარი გაჩნდა, რაც ძირითადად პოლიტიკურ მოვლენებთან არის დაკავშირებული, ასევე მიგრაციასთან. ქსნის სათავე საერთოდ გაუკაცრიელებულია, ასევე ნასოფლარებია: აბუთ კარი, გავაზი, მეწყერი, ჯორთისი, ილურთ კარი, უკანუბანი, თეზელაანი კარი, ახლოურთ კარი, შველიეთი, ძეგნაანთ კარი, საქორეთი, კვერიათი, თოხთა, ზემო ალევი და სხვა სოფლები, რომელთა ეტიმოლოგიაც ასევე დასადგენია.

ეტიმოლოგიის დასადგენად ყველაზე მიღებული ხერხია გვაროვნული დასახლებების განსაზღვრა. მაგალითად ჩიტანთში ცხოვრობენ ჩიტიშვილები, დაბაკნეთში ანუ ბაშართში - ბაშარულები, თეზელაანში - თეზელაშვილები, შერმადინების სოფელში - შერმადინი, ილურთ კარში - ილურიძეები, რომელთა ნაწილი შემდგომ ელიაური გახდა და სხვა.

დროთა განმავლობაში ფონეტიკური ცვლილება განიცადეს ტოპონიმებმა.

კვერიათი > იქცა კვერათად - ი ხმოვანი დაკარგულია

მახიარეთი > მახარეთად

გარშემო მოჭალიათი > იქცა მოჭალიეთად

უკანმხარი > იქცა უკანამხარედ - ა განვითარებულია

ხოზოეთი > ხოზუეთად - ო > უ ო გადავიდა უ-ში

ტოპონიმების ჩამოთვლისას „აღწერაში“ გვხვდება ნარიანი და თანიანი ფორმები, რომლებიც ასევე გვაროვნული დასახლებების გასაფორმებლად არის გამოყენებული:

ილურთ კარს (ილურიძეები)

ბუჯიანთ კარს (ბუჯიძე, ბუჯიაშვილები)

დორეულთ კარს (დორეულები)

მიდელაანთ კარს (მიდელაშვილები)

კვერიათს (წიპტაურები)

ხოზოეთს (გამხიტაშვილები)

დათვიაანთ კარს (დათვიაშვილები)

შატაკთ კარს (შატაკიშვილი) და სხვა.

ხეობების მიხედვით სრული სურათის წარმოჩენა მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორს ენობრივი და ისტორიული ელემენტების, დიალექტოლოგიური საკითხების მოგვარებისა და წარმოჩენის საწინდარი გახდება.

### ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი (1735 წ.), დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, №2079;
2. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფ., 1895;
3. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები. გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ, თბ., 1967;
4. მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 3, 1976. ი. დოლიძე, საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი, (1656-1696 წ.წ.).

### რეზიუმე

ჩვენს მიზანს შეადგენს ქსნის ხეობის (ყოფილი საერისთავოს ნაწილი) ძველი ქართული ტოპონიმების ლოკალიზაცია, მათი ეტიმოლოგიურ-ენათმეცნიერული ახსნა. ამ მხრივ წყაროდ მიგვაჩნია ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა“, მისი რუკები, ასევე „ქსნის ხეობის 1774-81 წლების სტატისტიკური აღწერები“ და სხვა წყაროები.

ვახუშტიმ შეადგინა რუკების ორი სერია და მათი შექმნიდან (1735-45 წ.წ.) ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით კი ტოპონიმები, მაგრამ მათ ლოკალიზაციისათვის მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ.

როგორც „აღწერაში“ ისე რუკებზე ზუსტად არის აღწერილი და აღნიშნული ლარგვისი, იგივე წმინდა თევდორე, ლეხურის ხეობის სათავეში ქოლოთი და ქვითკირი, არმაზი და ზახორი, ასევე სხვები.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ორივე ხეობა ეთნიკურად მთლიანად ქართულია. მაგალითად მოვიყვანოთ, როგორც ზემოხსენებულ წყაროებს, ასევე 1656-1696 წლებში შედგენილი „საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარს“, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ მეგლს, ლეხურის ხეობის დასახლებული პუნქტების, მოსახლეობის გვარ-სახელებისა და სხვა ელემენტების შესახებ.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია და საინტერესოა „ქსნის ხეობის 1774-81 წლების სტატისტიკური აღწერა“, სადაც მოცემულია ხეობის ორმოცდათორმეტი დასახლებული პუნქტი შიგ მცხოვრებთა გვარ-სახელებით.

ზემოხსენებული „აღწერების“ შემდგომ ხეობაში ბევრი ნასოფლარი გაჩნდა, რაც დაკავშირებულია პოლიტიკურ მოვლენებთან და მიგრაციასთან. დღეს ნასოფლარებია: აბუთკარი, გავაზი, მეწყერი, ჯორთისი, ილურთ კარი, უკანუბანი, თეხელაანთ კარი, ახლოურთ კარი, შველიეთი, საქორეთი, კვერიათი, თოხთა, ბეზეთ კარი, გოგილაანთ კარი, ზემო ალევი და სხვები, რომელთა ეტიმოლოგია დასადგენია.

დროთა განმავლობაში ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს ტოპონიმებმა, მაგ. მოჭალიათი დღეს მოჭალიეთია, ხოზოეთი - ხოზუეთი, კვერიათი - კვერათა და სხვა.

ტოპონიმთა აღწერა, ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტის საწინდარი გახდება.

## TOPONIMICAL NOTES FROM KSANI GORGE

Nikoloz Otinashvili, Associate Professor

### RESUME

The aim of this work is to localize the old Georgian toponyms according to Ksani Gorge (former part of the Ksani County), its etymological and scientific explanation. The main source is given by Vakhushti Batonishvili's records – his maps as well as the statistical descriptions of Ksani Gorge of 1774-1781.

Vakhushti made up two series of maps and though many things have been changed since then, especially toponyms, but in spite of this fact they have an important meaning to solve the problems even today. In records and maps there are given exact descriptions of Largvisi, Koloti, Armazi, Zakhiri and other places (situated in Lekheri Gorge).

In the 17-18<sup>th</sup> centuries both gorges were entirely of Georgian origin, settled by Georgians. For example according to the above mentioned sources as well as the „records of Saamilakhvro armies“ which represent a unique material about the settlements existing in Lekheri Gorge, we can see the Georgian first names and surnames of the population living there at that time.

It is very important and interesting as well to see the statistical descriptions of the Gorge of 1774-1781 where we can find 54 settlements with Georgian surnames.

Now there are a lot of former villages there, abandoned and fully destroyed due to the political situation and migration, such as: Abutkari, Gavati, Metskeri, Jortisi, Ilurtkari, Ukanubani, Akhlourtari, Shvaleti, Sakoreti, Krertati, Tokhta, Beretkari, Gogilaantkari, Zemo Alevi and others. Through the time phonetic changes took place in those settled places referring to toponyms. For example – Mokmaliat. Today mochaliet is used. Khozoet – Khozueti, Kveriat – Kerati etc.

The description of toponyms, its localization – etymology will solve many important problems.

## გერმანული და ქართული ანდაზების შინაარსობრივი თანხვედრის საკითხისათვის

*ნინო ოქროპირიძე, სრული პროფესორი*

დიდი რუსი ლექსიკოგრაფის ვლადიმერ დალის განმარტებით, „ანდაზები ეს არის ხალხური სიბრძნისა და გონიერების კრებული, რომელშიც შთასახულია მისი შემქმნელი ხალხის კვნესა და გმინვა, ტირილი და ქვითინი, სიხარული და მხიარულება, მწუხარება და ნუგეში. ეს არის ხალხის თვითმყოფადობის ნირი და ყაიდა, ცხოვრებისეული ყოფა, თავისებური სამართლის წიგნი, რომელიც არავითარ განსჯას არ ექვემდებარება“ /თარგმანი ჩვენია, ნ. ო./

და მართლაც, ნებისმიერ ხალხთა ანდაზების ფონდი ერის დიფერენციალური ფსიქოლოგიის გამომხატველია. ანდაზები ვრცლად ჩამოყალიბებული იდეების კონდენსირებული მზა მოდელებია. მათ განსაკუთრებული ხიბლიც აქვთ, რამეთუ ისინი აზრის ლაკონურ და ეფექტურ სიმბოლოებს წარმოადგენენ და ამით ყოველთვის იპყრობენ ადამიანთა ყურადღებას. ნებისმიერი ანდაზა ერის ცხოვრებისეული გამოცდილებისა და აზროვნების სიმბოლოა, ხოლო ანდაზების ფონდი კონკრეტული ერის მატარებელი ერის მიერ შექმნილი სამყაროს აღქმის თავისებური ხატია. ანდაზის სემანტიკურ სტრუქტურაში ჩადებული შინაფორმა ანუ ხატი მისი სპეციფიკისა და მიხედვით ფრიად საინტერესო საკვლევი მასალაა მასში არეკლილი სამყაროს მოდელის თავისებურების დასადგენად. ანდაზები ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ფენომენია და ამით იგი მიეკუთვნება ხალხის მიერ თაობათა მანძილზე მოპოვებულ ცოდნა-გამოცდილების შემნახველ და გადამცემ ნიშანთა რიცხვს.

ანდაზა, ერთი შეხედვით, გარეგნული და სტრუქტურული სიმარტივისა, საკმაოდ რთული ბუნებისაა. ყოველი ანდაზის აღმოცენება დაკავშირებულია გარკვეულ კონკრეტულ გარემოებასთან, რამდენადაც იგი გარესამყაროზე უშუალო დაკვირვების პროდუქტია.

სეპირ-უორფის ჰიპოტეზის ცნობილი თეორიის მიხედვით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და შესაბამისად მოაზროვნე ინდივიდებს სამყარო სხვადასხვაგვარად ესახებათ, რამდენადაც ყოველი ერი ისე აღიქვამს სამყაროს, როგორც მას ამის საშუალებას აძლევს ენა. ამიტომაც ყოველი ენა გარესამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებებს მისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ სტრუქტურებში აქცევს და ამიტომაც ნებისმიერი ენობრივი კატეგორიზაცია აიხსნება მხოლოდ მოცემული ენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურის ზეგავლენით. და რაკი ანდაზა სამყაროზე დაკვირვების და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებების განზოგადების უშუალო პროდუქტია, ცხადია, ეს შთაბეჭდილებებიც და მათი ენობრივი გამოხატულებაც სხვადასხვა ხალხებში განსხვავებული იქნება.

ქართულ ენათმეცნიერებაში მიღებულ და დამკვიდრებულ ანდაზის დეფინიციებში გახაზულია ყველა ის ენობრივი და აზრობრივი თავისებურებანი, რაც ახასიათებს ანდაზას. „ანდაზა არის მხატვრული ფორმით სხარტად გამოთქმული ბრძნული აზრი, რომელშიც განზოგადებულია ხალხის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგი. პირდაპირ ან ალეგორიული ფორმით გამოთქმულია შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე, ცხოვრების ავ-კარგზე“... (5, 209)

„ანდაზა ხალხის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებისა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დამყარებული ერთწინადადებიანი გამონათქვამია, უპირატესად დიდაქტიკური ხასიათისა“ (3, 32)

„ანდაზა ბრძნულად გააზრებული ხალხური ალეგორიული გამოთქმაა. ანდაზები ხალხის გონებამახვილობის, მოსწრებულობის, დაკვირვებულობის გამომხატველია“ (4, 168)

ქართული ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის ფ. ერთელიშვილის მიხედვით, ანდაზა ოთხი ძირითადი ნაწილის მიხედვით უნდა დახასიათდეს: ა) გამონათქვამი ალეგორიული ხასიათისა; ბ) გამონათქვამი ერთი წინადადების ფარგლებში; გ) გამონათქვამი დამრიგებლობით-აღმზრდელობითი შინაარსისა; დ) მინიშნების გზით გადმოცემული დამრიგებლობითი შინაარსი. (1, 106)

არანაკლებ ინტერესს იწვევს ცნობილი გერმანისტიკის მოსაზრებანი ანდაზის არსის ირგვლივ. გერმანელი ფოლკლორისტიკის ფრ. საილერის მიხედვით: Die Sprichwörter sind im Volksmund umlaufende sich geschlossene Sprüche von lehrhaften Tendenz und gehobener Form. /ციტირებულია W. Schmidt-ის წიგნიდან Deutsche Sprachkunde/.

„ანდაზა არის ხალხური მეტყველებიდან მომდინარე, შეკუმშული სახის, დამრიგებლური ხასიათის და დახვეწილი ფორმით გამონათქვამი“ /თარგმანი ჩვენია, ნ. ო./

„Die Semantik der Sprichwörter stellt auf bestimmte Situationen bezogenen Verallgemeinerungen der menschlichen Lebenserfahrungen dar“ (9, 193)

„ანდაზათა სემანტიკა წარმოადგენს განსაზღვრული სიტუაციებიდან გამომდინარე განზოგადებებს ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილებისა“ /თარგმანი ჩვენია, ნ. ო./

ზოგიერთი ევროპელი ენათმეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ენებში შეიმჩნევა მთელი რიგი ფრაზეოლოგიზმების resp. ანდაზების ეტიმონის მიხედვით ურთიერთთანხვედრა, რასაც ისინი ხალხებს შორის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური კავშირებისა და ასევე ლიტერატურის ზეგავლენით ხსნიან. /ციტირებულია წიგნიდან: Iskos A. ... Lexsikologie der deutschen Sprache, გვ. 194/. ამ მოსაზრებას ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ამგვარი თანხვედრა შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების განვითარების ზოგადსაკაცობრიო ხასიათის თავისებურებებით. ყოველი ხალხი ენის მეშვეობით სხვადასხვანაირად აღიქვამს და ანაწილებს საგანთა და მოვლენათა სიმრავლეს. ყოველი ენა წარმოადგენს სინამდვილის თავისებურ გონით კლასიფიკაციას. ამ მიზეზით, „ადამიანთა ცნობიერებაში სამყაროს იმდენი კლასიფიკაცია არსებობს, რამდენიც ენაა“. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა ენაში წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სისტემები ერთი უნივერსალური ზოგადლინგვისტურ სისტემაში შემავალი ინვარიანტის სხვადასხვა ვარიანტებია, თუმცა ასეთი სისტემა წარმოდგენილია მხოლოდ ვარიანტების სახით და ის საერთო, რაც ვარიანტების სახით არსებობს, არის სწორედ უნივერსალური მოდელი გარესამყაროსი, რომელიც სხვადასხვა ხალხის ცნობიერებაში და შესაბამისად ენებში ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება.

ჩვენს ხელთ არსებული გერმანული ანდაზების მცირე კრებულის - Das kleine Sprichwörterbuch - ავტორები ანელიზე მიულერ-ჰეგემანი და ლუიზე ოტტო წიგნის წინასიტყვაობაში გამოთქვამენ სურვილს ხსენებულ წიგნზე დაყრდნობით, შეიქმნას ანდაზების ისეთი კრებული, რომელიშიც წარმოდგენილი იქნებოდა გერმანული ანდაზების შინაარსობრივი პარალელები სხვა ხალხთა ანდაზებთან მიმართებაში, რაც ხელს შეუწყობდა ხალხთა დაახლოებას და არამონათესავე ხალხთა ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მომენტების გამოვლენას (7, 11).

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას ამ მიმართულებით. საკვლევ მასალაში შედარების გზით დადასტურდა რამდენიმე ათეული ქართული ამდაზა, რომლებიც შინაარსობრივად სავსებით თანხვედრილნი არიან გერმანულ ანდაზებთან. ე.ი. აზრი ერთია, ხოლო სიტყვიერი მასალა და აზრის ინტერპრეტირება სხვაგვარი, რაც აუცილებელიც ეროვნული თავისებურებებით უნდა აიხსნას.

ორივე ენაში გამოვლინდა ვარიანტული და სინონიმური ანდაზები. მაგ.: „Wie der Herr, so's Geschirr“, „Wie der Vater, so der Sohn“. ანალოგიურ შინაარსს გამოხატავენ ქართული ანდაზები: „როგორც ერიო, ისე ბერიო“, „რაც მამაა, ის შვილიო“ - ოღონდ სხვაგვარი ინტერპრეტაციით.

წარმოდგენილ ნიმუშებში საჭიროდ მივიჩნიეთ გერმანული ანდაზისათვის დაგვეერთო ფრჩხილებში მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი, რაც უფრო ცხადს გახდის ქართულ ეკვივალენტებთან შედარებისას, როგორც მათ აზრობრივ იდენტურობას, ასევე ფაქტის აღქმის განსხვავებულობას.

1. Wo Gewalt Herr ist, da ist Gerechtigkeit Knecht

/სადაც ძალა ბატონია, იქ სამართალი მონაა/

2. Läßt Gewalt sich blicken, geht das Recht auf Krücken /ძალა რომ გამოჩნდება, სამართალი ყავარჯნებით დადის/

1. ძალა აღმართსა ხნავსო.

2. ძალა მოვიდა და სამართალი ჭერში აძვრაო.

3. სადაც ძალა შევა, სამართალი ბინიდან გავაო.

Der Krug geht so lange zu Wasser, bis er bricht.

/კოკა მანამ ივლის წყალზე, სანამ არ გატყდება/.

კოკა წყალზე გატყდებაო.

1. Der Apfel fällt nicht weit vom Stamme.

/ვამლი ხის ძირისაგან შორს არ ვარდება/.

2. Mit der Mutter soll beginnen, wer die Tochter will gewinnen.

/დედით უნდა დაიწყო, თუ გინდა ქალიშვილი მოიპოვო/.

3. Willst du gern die Tochter han, sieh vorher die Mutter an.

/თუ ქალიშვილი გინდა, ჯერ დედას შეხედე/.

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე.

ნარზე ნარი ამოვაო.



1. Was die Flut bringt, nimmt die Ebbe weiter.  
/რაც მოქცევას მოაქვს, უკუქცევას მიაქვს/.

2. Wie gewonnen, so zerronnen.  
/როგორც მოპოვებულია, ისე გაფანტულია/.  
ქარის მოტანილს, ქარივე წაიღებს.  
არმად ნაშოვნია არავის შეერგებაო.

Ein Frauenzimmer zieht mehr als hundert Paar Ochsen.  
/ერთი დედაკაცი უფრო მეტს გასწევს, ვიდრე ასი წყვილი ხარი/.  
ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი კამეჩიც ვერ მოერევაო.  
დედაკაცმა გასწიაო, ცხრაუღელმა ხარ-კამეჩმა ვერაო.

Wenn das Kind in den Brunnen gefallen ist, wird er zugedeckt.  
/როცა ბავშვი ჭაში ჩავარდა, მერე გადახურეს/.  
ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო.  
1. Man glaubt einem Auge mehr als zween Ohren.  
/ერთი თვალისა უფრო სჯერათ, ვიდრე ორი ყურისა/.  
2. Ein Bild ist besser, als tausend Wörter.  
/ერთი სურათი სჯობია, ვიდრე ათასი სიტყვა/.  
გაგონილს დანახული ჯობიაო.  
ნუ დაუჯერებ ყურსაო, რაც არ უნახავს თვალსაო.  
ერთხელ თვალით ნანახი სჯობია, ასჯერ გაგონილსაო.  
Die Birne, die der vater aß, macht oft noch dem Sohne die Zähne stumpf.  
/მსხალი, რომელიც მამამ ჭამა, ხშირად ვაჟიშვილს კბილებს უჩლუნგებს/.  
პაპის ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.

1. Was kommt in den dritten Mund, das wird aller Welt kund.  
/რაც მესამე პირში მოხვდება, მთელი ქვეყნისთვის ცნობილი გახდება/.  
2. Was drei wissen, das erfahren hunderte.  
/რაც სამმა იცის, ამას ასი შეიტყობს/.  
ორმა იცის ღორმაც იცის.  
ცხრა კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, მერე ცხრა მთას გადაივლისო.

Wie man in den Wald ruft, so schallt es heraus.  
/ტყეში როგორც დაიძახებ, ისევე მოგიბრუნდება/.  
ქვევრში რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგაძახებსო.

Eine Schwalbe macht noch keinen Sommer.  
/ერთ მერცხალს გაზაფხული არ მოაქვს/.  
ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

Auf den Sack schlägt man, den Esel meint man.  
/ტომარას ურტყამენ (სცემენ), ვირს გულისხმობენ/.  
1. კოკას ეუბნებოდნენ, ლიტრავ შენ გაიგონეო.  
2. ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენ.  
3. მულო, შენ გეუბნები და რძალო შენ გაიგონეო.  
4. გეუბნები კედელოო - გაიგონე რეგვენოო.

Unter den Blinden ist der Einäugige König.  
/ბრმებში ცალთვალა მეფეა/.  
1. უძაღლო ქვეყანაში კატას აყვებდნენო.  
2. ბრმებში ცალთვალაო, არის პირველი სარდალიო.

Schmiede das Eisen, solange es glüht.

/გამოსჭედე რკინა, სანამ ის ცხელია/.

1. სანამ წნელი ნედლია, მანამ უნდა მოგრიხო.
2. ვკვეროთ რკინა, სანამ ცხელიაო.
3. სანამ თორნე ცხელიო, პური დააკარ სქელიო.

Das Ei will klüger sein, als die Henne.

/კვერცხს სურს ქათამზე ჭკვიანი იყოს/.

1. კვერცხი ქათამს ასწავლიდაო.
2. ქმარი ლაშქარს იყო, ცოლი ამბავს უყვებოდაო.

Eine Krähe hackt der anderen kein Auge aus.

1. /ყვავი მეორე ყვავს თვალს არ გამოსთხრის/
2. ძალი ძალის ტყავს არ დახევსო.

1. Jeder Hans findet seine Grette.

/ყველა ჰანსი თავის გრეტელს იპოვნის/.

2. Jeder Topf findet seinen Deckel.

/ყველა ქვაბი თავის სახურავს იპოვნის/.

ალხანას ჩალხანა არ დაელევასო.

Den Krebs straft man nicht mit ersäufen.

/კიბორჩხალას დახრჩობით ვერ დასჯი/.

1. ლოქო დასაჯეს და წყალში გადააგდესო.
2. თევზი ღრმა წყალში დაახრჩესო.

1. Ein faules Ei verdirbt den Brei.

/ერთი ლაყე კვერცხი ფაფას აფუჭებს/.

2. Ein räudiges Schaf steckt die ganze Herde an.

/ერთმა უვარგისმა ცხვარმა მთელი ფარა მოწამლა/.

ერთმა თავგმა //წრუწუნამ ცხრა ქვევრი წაბილწაო.

Blick auf dich, dann richte mich.

/შენ თავს შეხედე, შემდეგ მე განმსაჯე/.

ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ვინც ჩემზე მეტს იწველიდესო.

Wenn man den Teufel nennt, so kommt er gerrent.

/როცა ეშმაკს ახსენებენ, ისიც მორბის/.

ძალი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიდეო.

Dem geschenkten Gaul guckt man nicht ins Maul.

/ნაჩუქარ ცხენს პირში არ ჩახედავენ/.

ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო.

Unter jedem Dach ein Ach.

/ყოველი ჭერის ქვეშ რაღაცაა/.

1. ყველგან თითო ქოთანნი დულსო.
2. თითო სადარდებელი ყველას აქვსო.

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მცირე მასალაც საკმარისია, რომ ჩავწვდეთ თითოეულ ანდაზაში ჩადულაბეზულ ხალხურ გონსა და სიბრძნეს. ასევე ცალკეულ ხალხთა მსოფლხედვის უნარსა და მასშტაბებს. ხოლო რაც შეეხება ერთი და იგივე მოვლენის ხალხებში სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციის მიუხედავად, მათი შინაარსობრივი თანხვედრა საფუძველს გვამლევს მათი აზრობრივ იზომორფიზმებად მიჩნევისა, რაც თვალნათლივ გამოვლინდა საილუსტრაციო მასალაში.

**ლიტერატურა:**

1. ერთელიშვილი ფ. ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, №3, 1957;
2. ქართული ანდაზები, თბ., 1984;
3. ქართული ენა - ენციკლოპედია, თბ., 2008;
4. ჭილაია ა. ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971;
5. ჭუმბურიძე ზ. დედაენა ქართული, თბ., 1987;
6. Словарь литературоведческих терминов, М., 1970;
7. Müller-Hegemann A., Otto L., Das kleine Sprichwörterbuch, Leipzig, 1965;
8. Schmidt W. Deutsche Sprachkunde, Berlin, 1982;
9. Stepanowa M. D., Cernyseva I.I., Lexikologie der deutschen Gegenwartssprache, M., 1986.

**რეზიუმე**

ნაშრომში შეპირისპირებულია რიგი გერმანული და ქართული ანდაზებისა, მათ შორის მინაარსობრივი თანხვედრის გამოვლენის მიზნით.

სულ გაანალიზებულია 60-მდე ანდაზა.

გერმანულ და ქართულ ანდაზებს შორის სემანტიკური პარალელების დადგენა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, როგორც ყოველი ენობრივი მოვლენა, ასევე ანდაზებიც ერთი საერთო ზოგადლინგვისტური ინვარიანტის გამოვლენაა გარესამყაროს იმ მოდელისა, რომელიც სხვადასხვა ხალხების ცნობიერებაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტებით რეალიზდება.

**FOR THE QUESTION OF SEMANTICALLY COINCIDENCE OF GERMAN AND GEORGIAN PROVERBS**

**Nino Okropiridze, Full Professor  
RESUME**

In the work there is contrasted numbers of German and Georgian proverbs including in order to showing semantically coincidence.

Totally there are analyzed about 60 proverbs.

Establishment semantically parallels between German and Georgian proverbs confirms the fact, that as any linguistic phenomena as proverbs too, as fruits of folk art, are a detection of one of the common general linguistic invariant of the model of outside world, which is realized in deferent people's consciousness with deferent variants form each other.

**დავით ბატონიშვილის შეხედულებანი ორთოგრაფიის საკითხებზე და მათი ასახვა „მცირე ღრამმატიკაში“**

*ელენე ხოჯევანიშვილი, სრული პროფესორი*


„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერლისად საუკუნოდ, რომელისამე საქებელ-ყოფად, ხოლო სხუსა განქიქებად“ - ასე ესმოდათ ჩვენს წინაპართ და ამ სულისკვეთებით ქმნიდნენ ქართული ლიტერატურის ძეგლებსა თუ მეცნიერულ შრომებს. მათ მიერ დანატოვარი წერილობითი ძეგლებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისინი „წესიერ წერასა და წესიერ უბნობას“ - ე.ი. მართლწერასა და მართლმეტყველებას. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ამბობს, რომ მისი შექმნის მიზანი იყო „ისწავოს ენა ქართული, შესრულებული და

გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“.<sup>1</sup> V საუკუნიდან მოყოლებული ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ნაწარმოებების დახვეწილი ენა და წერის მაღალი კულტურაა სწორედ უდაო დასტური იმისა, რომ არსებობდა სპეციალური ცოდნა გრამატიკულ წესთა და კანონთა შესახებ, თუმცა ეს ფაქტი XVIII საუკუნემდე, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის შრომებში შემორჩენილი ცალკეული ფრაგმენტების გარდა, წერილობით არ დასტურდება.

დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკა“ გრამატიკის რაობის განხილვით იწყება.

კითხვა-პასუხის წესით გაწყობილ გრამატიკაში კითხვაზე - „რად არს ღრამმატიკა?“ პასუხი ასეთია: „ღრამმატიკა არს შემძლებლობა, მართლ-უბნობად და წესიერ წერად<sup>2</sup>, რაც ემთხვევა ანტონ კათალიკოსის განმარტებას, მხოლოდ ბატონიშვილი დამატებით სქოლიოში „ღრამმატიკას“ განმარტავს როგორც მწიგნობრობას. („ღრამმატიკა ესე იგი მწიგნობრობა“)<sup>3</sup>. ვფიქრობთ, გრამატიკისადმი ასეთი მიდგომა უცხო არ უნდა იყოს იმდროინდელ მოღვაწეთათვის, რამდენადაც ისინი გრამატიკის დანიშნულებად ძირითადად პრაქტიკული მიზნების განხორციელებას, - წერა-კითხვის სწავლებას მიიჩნევდნენ და ქართული ენის ბუნებას და მის თავისებურებებს მეცნიერულ საფუძველზე ვერ ხსნიდნენ. ანტონ პირველი თავისი გრამატიკის შესავალში აღნიშნავს, რომ გრამატიკა სიბრძნის კარია, სიბრძნე კი გამართული წერისა და მეტყველების გარეშე შეუძლებელია: „ღრამმატიკად ბრძენთა კარად ჰსთქჳს სიბრძნისა, რამეთუ ღრამმატიკად, ვინაითგან არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად, და არა რად მოყწარება სიბრძნისა იქმნების თუნიერ მართლ-უბნობისა ანუ წესიერ წერისა“.<sup>4</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს დავით ბატონიშვილის გრამატიკის ავტოგრაფიული ხელნაწერი,<sup>5</sup> შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ მართლწერის და პუნქტუაციის რა პრინციპებს და წესებს იცავს ავტორი, რომლის მიზანს ამ გრამატიკის შეთხზვისას, როგორც თავად წერს გრამატიკაზე დართულ მიმართვაში, ქართველთა ქართული ენით სათანადოდ „აღჭურვა“ წარმოადგენს:



დავით ბატონიშვილი „მცირე ღრამმატიკის“ ბოლო ნაწილს უძღვნის „თუკ შესაბამ წერისა“, სადაც მოცემულია ასოთა შვიდი ჯგუფი, ესენია: მახვლად აღმსაოხვრელნი: ა, ი; ნელად - ბ, დ, ს; მოხრილად: ე, ო; ბრჯგულდ: ფ, ხ, ქ, თ, ც, ჩ, ლ, კ; ლიტონად - პ, მ, ვ, ტ, ზ, წ, ძ, ნ, რ; უგრძესად: უ, ზ; მოკლედ: ძ, ჯ, გ. ამ ჯგუფების გამოყოფას, როგორც მათი დასახელებიდანაც ჩანს, საფუძვლად ინტონაციის პრინციპი უდევს და არაფერი აქვს საერთო ქართული ენის ბუნებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ თავის გრამატიკაში დავით ბატონიშვილი ფართოდ არ იხილავს მართლწერის საკითხებს, არაფერს ამბობს პუნქტუაციის ნორმების თუ მთავრული ასოების გამოყენების შესახებ, ნათლად ჩანს, რომ იგი გარკვეულწილად იცავს მაშინდელი მართლწერის ნორმებს.

ნაშრომის შესავალში დავით ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ კითხვა-მიგების წესით დაწერილი ეს წიგნი მან ძველ და ახალ გრამატიკებზე და პორფირიოს ფინიკიელის ლოგიკურ-ფილოსოფიურ მსჯელობებზე დაყრდნობით შეთხზა. ა. ფოცხიშვილი აღნიშნავს, რომ დავით ბატონიშვილის შრომაში ანტონის გრამატიკების ძველი და ახალი რედაქციების გარდა სხვა გრამატიკის კვალი არ ჩანს.<sup>6</sup>

ანტონ პირველს თავის გრამატიკაში საკმაოდ ვრცლად აქვს გაშუქებული მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები და როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, სწორედ ანტონის დამსახურებაა მძიმის

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბზ. ტ. IV, თბ., 1965, გვ. 3.

<sup>2</sup> დავით ბატონიშვილი, „მცირე ღრამმატიკა“, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ნუსხა. გვ. 5.

<sup>3</sup> იქვე. გვ. 5.

<sup>4</sup> ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, რაფ. ერისთავის წინასიტყვაობით, ტფ., 1885, გვ.1.


<sup>5</sup> იხ. ჩვენი ნაშრომი: დავით ბატონიშვილი და ზოგიერთი ცნობა მისი „მცირე ღრამმატიკის“ შესახებ, გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საენათმეცნიერო კონფერენციის მასალები, 2012.

<sup>6</sup> ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995, გვ. 313.

ფუნქციის განმტკიცება, გადატანის და კითხვის ნიშნის (მოხრილის) შემოღება<sup>1</sup> და უნდა ვივარაუდოთ, რომ მართლწერისა და პუნქტუაციის ნორმებს დავით ბატონიშვილი ანტონის გრამატიკებზე დაყრდნობით იცავდა და იყენებდა წერისას.

ანტონის მიხედვით, წერა უნდა დაწყებულიყო „საზენაო“ ასოებით, ამავე ასოებით უნდა დაწყებულიყო ღვთაებათა და დიდებულთა სახელებიც: „პირველსა ზედ-წოდებულ საზენაო, ამაღლომელ წყებასა შინა უპირველესთა წერილთასა თავად დაიდების და საღმრთოთაცა სახელთ და დიდებულთა“.<sup>2</sup> ასევე განსაზღვრულია ასომთავრულის გამოყენების შემთხვევები: „შემდგომად ზედწოდებული ასომთავრული ამაღლომელ წყებასა შინა სიტყვსა და პერეოდისასა თავად დაიდების და ანუ წყებასა სახელთასა“.<sup>3</sup>

საინტერესოა, რომ მთლიანად მთავრულითაა გამართული დავით ბატონიშვილის გრამატიკაზე წამდგვარებული წარწერის ის ნაწილი, რომელიც არის უშუალო მიმართვა ერეკლე მეორისადმი:



ხოლო შემდეგ, მიმართვის ტექსტშიც და გრამატიკის ძირითად ნაწილშიც დაცულია ის წესი, რომლის მიხედვითაც, გადამწერი თუ შემთხვევლნი მთავრულით იწყებდნენ ყოველ აზვაცს, ან როგორც მაშინდელი გრამატიკოსები უწოდებდნენ - პერიოდს. ამასთან, მთავრულითაა წარმოდგენილი ცოდნის დარგების სახელწოდების, (დრამმატიკა, მეცნიერება, ფილოსოფია), საკუთარი თუ საღმრთო სახელების, ყოველი კითხვისა და პასუხის პირველი ასოები, ცალკეული თავების და სათაურების დასახელება კი მთლიანად მთავრულითაა წარმოდგენილი.

ანტონ კათალიკოსის სასვენი ნიშანთა სისტემაში გვხვდება მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშნის მნიშვნელობით იგი „მოხრილს“ ხმარობს და ვრცლად საუბრობს თითოეული მათგანის დანიშნულებაზე. სწორედ ანტონის გრამატიკაში მოცემული მითითებები ჩანს დაცული ბატონიშვილის გრამატიკაში და ყოველი პერიოდი ერთმანეთისგან ორი წერტილითაა გამოყოფილი, ხოლო წერტილი ნახმარია „მცირედ სასვენად“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი სავსებით მართებულად მიიჩნევდა სასვენ ნიშნებს „შინაგანი სჯის“ (ე.ი. ნააზრვეის) სწორად გადმოცემის საშუალებად. „შინაგანი სჯის“ მნიშვნელობით ხმარობს დავით ბატონიშვილი ტერმინს „შინაგან მდებარე სიტყვა“, რომელიც მისი განმარტებით „არს იგი, რომელიც უწყის მხოლოდ სულმან კაცისამან“... და „მისი წარმოჩენა იქმნების ანუ ხმითა, ანუ წერითა, წამის ყოფითა“. ამ ტერმინთა გაგება და არსი კი ძალიან ჰგავს ჰუმბოლდტის „შინაგანი მეტყველების“ ფენომენს.

მართლკითხვისა და მართლწერის ერთ-ერთ კომპონენტად ანტონი მიიჩნევს ქარაგმას, რომლის გამოყენება უძველესი დროიდანაა ნიშანდობლივი ქართული წერისათვის. ანტონმა მის დროს დავიწყებული ბევრი ძველი ფორმა განაახლა და თავის გრამატიკაში მათი გამოყენების მკაცრი ნორმები შემოგვთავაზა. ქარაგმებს საკმაოდ უხვად ვხვდებით დავით ბატონიშვილის გრამატიკაში და ისინი მიღებული ნორმის შესაბამისადაა წარმოდგენილი: ყ~ ლად, კ~ ლსა, ვ~ დ, რ~ ლ, რ~ ლითა, ხ~ ვ~ ა, რ~ დენად, ვ~ რ და სხვა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ.19


<sup>2</sup> ანტონ პირველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 284-285.

<sup>3</sup> ანტონ პირველი, დასახ. ნაშრომი, გვ.284-285

დავით ბატონიშვილი იცავს აგრეთვე ანტონის მიერ შემოტანილი დიაკრიტიკული ნიშნების გამოყენების წესს, რომ „უ“-ს „თუ სადმე ლექსსა შინა, ოდესმე შეხუდების ა“, დაბრჯგუვდებისო და მართლაც, „უ“-ხმოვნების წინ უმეტესად დიაკრიტიკული ნიშნით არის წარმოდგენილი ბატონიშვილის ხელნაწერში: გჳართა, საზღჳართა, სიყჳარულმან, განწჳალეზა, მარცჳალი....

გრამატიკაში საკმაოდ ხშირად გვხვდება მახვილის გამოყენების შემთხვევებიც: არა აქვსთ მოცალეზამ, `არა ჯერ იყო, `არა მცირესა, `არათუ, აღმოაჩინე`, იხილე, ქალი`, ლექსი`, `სიტყვანი, ხმა`, მიბრძანე`, აღმოაჩინე`, ეგენიცა`... თუმცა ძნელია რაიმე კანონზომიერების დადგენა, რის მიხედვითაც ხდებოდა მათი გამოყენება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილის გრამატიკა საკმაოდ ლამაზი, დახვეწილი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერია:



ეს კი ალბათ, დავით-ალექსი მესხიშვილის (რექტორის) ზეგავლენა უნდა იყოს, რომელიც თავად შესანიშნავი კალიგრაფი და ქართული წერის დედნის ავტორი და ერეკლე მეორის კარზე მდივან-მწიგნობარი იყო და დავით ბატონიშვილის აღზრდა-განათლებაშიც მონაწილეობდა. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ და დავითს სულიერი კავშირი მასთან არც რუსეთში ყოფნის დროს გაუწყვეტია, ხშირი მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან და დავითის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი უკანასკნელი წერილიც სწორედ დავით რექტორისადმი მიმდგენილი.<sup>1</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დავით ბატონიშვილმა ჯერ კიდევ გადასახლებაამდე, რუსეთში რამდენიმე ხნით ყოფნის შემდგომ სამშობლოში დაბრუნებულმა თან ჩამოიტანა სამეფო ოჯახისათვის უცხო და მიუღებელი შეხედულებანი, რაც რელიგიისადმი უპატივისმცემლობაში და ყოველგვარი ტრადიციული ეტიკეტის დაუცველობაში გამოიხატებოდა.<sup>2</sup> თუ ეს ყოველივე რეალობაა, გამოდის, რომ რუსეთში გადასახლების შემდგომ დავითმა ეს განწყობა კარდინალურად შეიცვალა, რასაც მრავალი ფაქტი ადასტურებს მისი ბიოგრაფიიდან. ჩვენ კი მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ მისი სულიერი მომღვარი, იონა ხელაშვილი პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთათვის, წმიდა ანდრიას ეკლესიაში სწორედ დავით ბატონიშვილის დიდი ძალისხმევით შედეგად წირავდა ქართულად.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ლევან ასათიანი, რჩეული ნაწერები, თბ., 1958, გვ.90.

<sup>2</sup> იქვე, გვ.88

<sup>3</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972, გვ. 65.

უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილის გრამატიკა მის წინამორბედებთან შედარებით მეთოდურად გამართულია, მის ლაკონურობას გარკვეულ წილად მისი კითხვა-მიგების ფორმით წარმოდგენა განაპირობებს.

მართალია, დავით ბატონიშვილი თავის გრამატიკაში ცალკე არ იხილავს მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხებს, ნათლად ჩანს, რომ კარგად ესმის მათი მნიშვნელობა და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს დარღვევას როგორც მართლწერაში, ისე სასვენი ნიშანთა გამოყენების თვალსაზრისით, მაინც მკაფიოდ იგრძნობა როგორც მის დროს არსებული შესაბამისი ლიტერატურის ცოდნა, ისე მათი სათანადოდ გამოყენების მცდელობაც, რაც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია გრამატიკის გადაწერილ ნუსხებში, რადგან არ არის დაცული დედნის ავთენტურობა და ეს არასწორ წარმოდგენას ქმნის მართლწერის ნორმებთან ავტორის დამოკიდებულებაზე.

#### ლიტერატურა:

1. ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, რაფ. ერისთავის წინასიტყვაობით, ტფ., 1885.
2. ასათიანი ლ., რჩეული ნაწერები, თბ., 1958.
3. ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები. თბ., 1970.
4. ბაბუნაშვილი ე., უთურგაიძე თ., ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
5. ბატონიშვილი დ., „მცირე ღრამმატიკა“, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელწერათა განყოფილებაში დაცული ნუსხა.
6. უთურგაიძე თ., ძველი ქართული ენის მართლწერის ზოგი საკითხი, კრ. „ფონეტიკა და ნორმა“, თბ., 1981.
7. ფოცხიშვილი ალ., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
8. შანიძე ა., ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 9, თბ., 1964.
9. შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1972.

### რეზიუმე

დავით ბატონიშვილის „მცირე ღრამმატიკა“ წინა გრამატიკებთან შედარებით მეთოდურად გამართულია. მის ლაკონურობას გარკვეულ წილად კითხვა-მიგების ფორმით წარმოდგენა განსაზღვრავს.

დავით ბატონიშვილი გრამატიკას, ანტონ პირველის მსგავსად, „მართლ-უბნობის“ და „წესიერ წერის“ შესაძლებლობად მიიჩნევს, ხოლო ასეთი მიდგომა განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ იმ დროისათვის გრამატიკის დანიშნულებას მხოლოდ მისი პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენებაში ხედავდნენ.

მართალია, დავით ბატონიშვილი თავის გრამატიკაში ცალკე არ იხილავს მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხებს, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ კარგად ესმის მათი სწორად გამოყენების მნიშვნელობა და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს დარღვევას მართლწერისა და სასვენი ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით, მაინც მკაფიოდ იგრძნობა როგორც მის დროს არსებული შესაბამისი ლიტერატურის ცოდნა, ისე მათი სათანადოდ გამოყენების მცდელობაც.

### DAVIT BATONISHVILI'S VIEWS ON THE QUESTIONS OF ORTHOGRAPHY AND THEIR DESCRIPTION IN „SMALL GRAMMAR”

Elene Khojevanishvili, Full Professor

#### RESUME

In comparison with other grammar books, Davit Batonishvili's „Small Grammar” is methodologically organized. Its concrete and logic organization is partly stipulated by the question- reply form.

Davit Batonishvili, like Anthoni I, considers Grammar as a nice opportunity for correct communication and correct spelling. Such kind of approach was stipulated by the fact, that the meaning of Grammar was used for practical means.

It is true, that Davit Batonishvili doesn't review the questions of spelling and punctuation separately in his Grammar book, but it is clearly seen, that he fully understands the importance of their usage. Despite the fact, that there are some violations from the point of view of using punctuation marks in some cases, it is distinctly felt the knowledge of the appropriate literature of his time and the attempt to use it correctly.

## ლიტერატურა *Literature*

### ვაჟა-ფშაველას სატრფიალო ლირიკის გააზრებისათვის

*თამარ გოგოლაძე, სრული პროფესორი*

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სიყვარულის თემა ქართულ პოეზიაში ახალი თვისობრივი მახასიათებლებით წარმოგვიდგება. აკაკი წერეთელი კვლავ ტრადიციულ ხერხს მიმართავს და რომანტიკული მზერით დაეძებს სიყვარულის ჭეშმარიტ ობიექტს – ქართველ ქალს (ამ მიზანსწრაფვით სატრფო-სამშობლოს მხატვრული სახის განზოგადებამდეც კი მიდის). “გასულ საუკუნეში (იგულისხმება XIX ს. - თ.გ.) სიყვარულის ეროვნული კონცეპცია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში კრისტალდება საბოლოოდ“ (გ. ასათიანი) [1, 413]. და სწორედ რომ სიყვარულის ვაჟასეული პოეტური გააზრება არცთუ ისე გამოკვეთილად ყოფილა თავის დროზეც კი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განხილვის საგანი.

კიტა აბაშიძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ანალიზისას, ეხება რა მასთან სატრფიალო თემატიკას, ასკვნის, რომ ვაჟა სიყვარულის ორ სახეობას იძლევა: „სიყვარულს, უძლიერეს სიყვარულს, რომელშიც მოთავსებულია ფიზიოლოგიური ძალა და იდეალურს, რომელსაც ცხოვრებაში აქვს დასაბამი და დასასრულიც, რომელიც ამ ცხოვრების წყაროა და მისივე დამამთავრებელი – სიყვარული ორ სქესთა შორის“, “იმას კი ნურავინ იფიქრებს, ვაჟას სიბინძურე მოსწონდეს, ან არ იცოდეს, რომ “მგრძნობელობა” სხვაა, სიძვა სხვა, შუა უზის „დიდი მზღვარი“. მას “სიყვარული სიცოცხლით მოსწონს” და “სიცოცხლე სიყვარულითა”. ასე რომ, კრიტიკოსის აზრით, პოეტმა იცის, რომ “მგრძნობელობა ასულდგმულებს მშვენებასაც და გონებასაც” [2, 401].

გერონტი ქიქოძე, ხაზს უსვამს რა ვაჟას შემოქმედებაში სიყვარულის გადმოცემის სპეციფიკას, უდიდესი სქესობრივი გრძნობის მხატვრული ასახვისას გამოკვეთს საოცარი თავდაჭერილობის უნარს: “სქესობრივი გრძნობა მას გათავისუფლებული აქვს ყოველგვარი ავადმყოფური განცდებისაგან. ის მას ხშირად ჯანსაღი ბუნების სურათებს უკავშირებს”, “ეს ეროტიკული ლირიკა უფრო ბრძნული ხდება, უფრო ღრმავდება წლების გავლენით. ხანში შესული პოეტი ფიქრობს, რომ ტრფობა არ ბერდება, რომ დროის მიმდინარეობა, თვით სიკვდილიც უძლეურია მის წინააღმდეგ: ის მიცვალებულებსა და ცოცხლებს აკავშირებს ურთიერთშორის” [3, 230-231].

1966 წელს მკვლევარი გრიგოლ კიკნაძე სტატიაში “ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ”, ცდილობს რა დაამტკიცოს ფროიდისტული მეთოდის უსაფუძვლობა, სწორედ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე დაყრდნობით საინტერესოდ ხსნის სატრფიალო თემის მისეულ მხატვრულ გაშლას.

მკვლევარი, ბავშვობიდან მოყოლებული (პოეტის მოგონებებზე “ჩემი წუთისოფელი” დაყრდნობით), ახასიათებს მის ჯანსაღ ოჯახურ გარემოს, შემდგომ კი ვაჟას პირველ განცდებს,



რომლებიც სრულიად თავისუფალია ეროტიზმის ფროიდისტული გაგებისაგან და, აქედან გამომდინარე, მხატვრულ შემოქმედებაში რაიმე ქვეცნობიერების გამოვლენისაგან. აქ სრულადაც არ მოქმედებს ე.წ. მორალური ცენზურა. თუ ვაჟას შემოქმედებაში არ ჩანსო სექსუალური სწრაფვის ასახვა, ეს არაა გამოწვეული ენერგიის გადანაცვლებით ან მისი სუბლიმაციით მხატვრულ – შემოქმედებით ენერგიად.

მკვლევარის აზრით, “ვაჟას ნაწერებიდან ჩანს, რომ მისთვის ქალი ფიზიკურად სასურველი არსებაცაა”, “ვაჟასათვის უცხოა შენიღბვის ტენდენცია”, “ასევე ნათლადაა გადმოცემული ვაჟას შემოქმედებაში ქალის პოეტიზირების ტენდენცია” [4, 62].

“ვაჟას შემოქმედებაში არ ჩანს არავითარი ინტერესი “ჩვეულებრივ საიდუმლოება”, და ბოლოს, “ვაჟას სახით ჩვენ საქმე გვაქვს სრულფასოვან მამაკაცთან ყველა მის გამოვლენაში, როდესაც ფიზიკურით გატაცება არ აფერხებს სულიერი სიმაღლით აღტაცებას, და - პირიქით” [4, 63-64].

და თუმცა წინამდებარე სტატიაში გამოკვეთილია აზრი, რომ ვაჟას შემოქმედება არ ემორჩილება ფროიდისტულ მეთოდს, ხაზგასმით მინიშნებულია მკვლევარის მიერ ესთეტიზირება ვაჟასეული სიყვარულისა.

მკვლევარ გურამ ასათიანის აზრით, “ვაჟა-ფშაველას მისია ქართულ პოეზიაში სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მან, ერთის მხრივ, შეძლო ახალი ფორმით აღედგინა რუსთველის ჰარმონიული მსოფლგაგება, ხოლო, მეორეს მხრივ, მან შეასხა ხორცი ბარათაშვილის რომანტიკულ ოცნებას – მატერიალური სამყაროსმიერი, ბუნებრივი საზრდოთი და ჰპოვა დაუოკებელი სულის წადილი” [1, 416].

მოხმობილი ნააზრებიდან ჩანს, მკვლევარ-კრიტიკოსანი ვაჟა-ფშაველას სატრფიალო თემის სპეციფიკას მისი რეალისტური ასახვის მეთოდთან აკავშირებენ და ახალს პოეტის მიერ რუსთველური გაგების ბარათაშვილისეული ოცნების ხორცშესხმად აღიქვამენ. თუმცა აქვე ყურადღებას იქცევს “მთის პოეზიის” სპეციფიკაც.

ვაჟა-ფშაველას პოეზია ფშავის ფესვებითაა ნასაზრდოები, ეს კი რატომღაც თითქმის არ ჩანდა ქართულ ლიტერატურაში რაფიელ ერისთავამდე, თუმცა ივანე კერესელიძემ ლექსში (“მწყემსის სიყვარული”) და ზურაბ ანტონოვიძემ დრამაში (“ქოროლი”) სცადეს ეჩვენებინათ უბრალო მთიელთა განცდები. რ. ერისთავმა, როგორც ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს, “თავისი პოეტური ინტუიციით, შეძლო იმ “მდევის ნამუხლარის” მიგნება, სადაც ჩვენი ერის სტიქიონი სთვლემდა და რამაც მოგვცა ვაჟა-ფშაველას უზარმაზარი პოეზია” [5, 506].

ამას თვით ვაჟა-ფშაველაც ადასტურებს: “რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ “ივერიამ” გზა დაუთმო, მეც გაბედულეობა მომემატა” [6, 102].

სწორედ „მთის პოეზიის“ გაქდერებამ ქართულ სატრფიალო ლირიკაში გაუხსნა გზა ვაჟა-ფშაველას ამავე თემაზე შექმნილ ლექსებსაც. მაგრამ ეს მხოლოდ გზაა და არა გამეორება. თუ რამდენად თვითმყობადია ვაჟას სატრფიალო ლირიკა, შედარებისათვის, ვფიქრობთ, ეს მაგალითიც იკმარებს:

კიტა აბაშიძეს მოჰყავს ერთი ლექსი რაფიელ ერისთავისა (“გოგოს ჭირიმე”) “გნებავთ გაიგოთ რა რიგათ უყვარს გლეხს, რა აზრი აქვს სიყვარულის შესახებ და რა რიგათ ელაპარაკება სატრფოს? - “გოგოს ჭირიმე” გადაიკითხეთ. აქ დაინახავთ თქვენ, რომ მიჯნურს, ცხელის ბუნების შვილს, სიცოცხლით და ცხოვრების სიხარულით აღსავსე გოგოს “ლერწამ ტანი მოეწონა, მისი “ფუნთუშა” გულწამტაცი ძუძუ კოკობი”.

“გოგოს ჭირიმე” - ამბობს ჩვენი გლეხობის ტარიელი, - რომ ღუის, როგორც რომ თურამაული.

„იმის ჟუჟუნა თვალების, კალამით დახატულისა“;

„ნუ მკლავ, გოგონავ, წყეულო, ნუ ამარიდე პირია,  
თავი რომ მკერდზე მოგადო, შენთვის რა გასაჭირია?  
ნუ მომკლავ დედის ერთასა, ღმერთი იწამე, წყეულო,  
ნუ მომკლავ, გოგოვ, ნუ მომკლავ, ჩემს გულში შამოჩვეულო!“

... ამგვარი ხორციელი შეხედულება სიყვარულის შესახებ აქვს ერისთავის გლეხობას, ამგვარი ვნებით აღსავსე გრძნობებით არის გამსჭვალული რ. ერისთავის პოეზიის მიხედვით, გლეხის გული და ეს უფრო იმიტომ, რომ თვით პოეტსაც ასეთი ხორციელი შეხედულება აქვს სიყვარულის შესახებ” [2, 413] – სამართლიანად ასკვნის კრიტიკოსი.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვაჟას სატრფიალო პოეზიაში. აი თუნდ ერთი ლექსის მაგალითზე:

“რამ გაგაჩინა, ქალაო,  
ლერწმად აჭრილო წელშია?  
ნეტავინ, ხელით შემახო,  
შენ რო ვარდი გქონ მკერდშია!  
რომ დავიხოცნეთ, იქაცა  
კიდევ გიპოვნი მკვდრებშია” [7, 28].

კვლავ კიტა აბაშიძეს თუ მივუბრუნდებით, ეს იმიტომ კი არ ხდება, ვაჟას “მგრძნობელობა” წამოეწიოს წინა პლანზე, “მას სიყვარული სიცოცხლით მოსწონს და “სიცოცხლე სიყვარულითა”.

ვაჟა-ფშაველა ფშაველია, ფშავეში დაიბადა, გაიზარდა და მიიღო ყმაწვილის შთაბეჭდილებანი. ამიტომ სწორედაც საცნაურია ფშაველის სიყვარულის გაგება, რასაც თვით პოეტი იძლევა თავის წერილებში “ფშაველები”, “ფშაველების ცხოვრებიდამ”, „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით”, “ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით”, “ძველი და ახალი ფშაველების პოეზია”.

აი როგორია ფშაველის სამყარო სიყვარულთან მიმართებაში: “ფშაველი ქალი არა ნაკლებ სიამოვნებას აღძრავს კაცის გულში თავისი კლასიკურის მორთულობით. ხატობის დროს ის ისე გამოიცივლება, როგორც გაზაფხულზე ბუნება. აყვავდება წითლად და ყვითლად. ასე მოკაზმული ეჩვენება და გაუთამამდება თავის წაწალს”. [8, 9]

“რაკი ასაკში მოვა ფშაველი ქალი, ის მაშინვე წაწალს გაიჩენს, მშობლების წინაშე დაუმაღლავად, აშკარად ქალი ეძახის ვაჟს წაწალს და ნაძმობს, ვაჟიც ქალს წაწალს და ნადობს. ძველს დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ რუსთველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლობად გადაიქცა. ძველს დროს ფშაველს უყვარდა ქალი, როგორც მშვენიერების, სიმშვიდისა და სიწმინდის წარმომადგენელი, ქალს უყვარდა ვაჟი გულადობისათვის, ვაჟკაცობისათვის, დიდი ზემოქმედებაც ჰქონდათ ქალებს კაცებზე. წაწლობა წმინდა მოვალეობად მიაჩნია ფშაველს, ის ამბობს: “წაწლობა ლაშარის ჯვრის ყმას მოუდისო” [8, 17-18].

“თუმც კარგად ვიცით, რომ ქალის სიყვარული გმირს გმირობას არ უშლის, არამედ უმატებს კიდევ მხნეობასა და სიმამაცეს, მაგრამ ხალხი დიაცის მიყოლას უშლის გმირს, როგორც მისი ღირსების დამამცირებელს საქმეს” [8, 86].

“წაწლობა კი ყველა მხარეს დედაკაცის მდგომარეობისას გვავიწყებს, რადგან ეს ჩვეულება თავის სიუცხოვით ძალაუნებურად ეჩვენება კაცს თვალში, როგორც ხრიოკს, გადამწვარს მინდორზე ცაში აწვდილი ტანმრხვეელი ალვის ხე” [8, 99].

“წაწლობა მაღალის და იდეალურის გრძნობით არის მონათლული, თითქოს პლატონიურს სიყვარულზე იყოს აღმოცენებული წაწლობას დიდი ზედგავლენა ჰქონდა მამაკაცთა ვაჟკაცურს, გმირულს მოქმედებაზე, იგი მდიდარს მასალას აძლევს ფშაურს რომანიულს პოეზიას და თვით ფშაველსაც – პოეტურს ხასიათს” [8, 100].

“ფშაველისაგან ქალის გაღმერთება იქამდე მიდის, იმდენად საყვარელი უნდა გახდეს ქალისათვის, რომ, როცა მამაკაცი კვდება, ქალმაც კი უნდა მოიკლას თავი და იმასთან ერთად დაიმარხო” [8, 106].

“თუმცა ფშაველი – დედაკაცს ეშმაკეულობას, ეშმაკისაგან ჩამომავლობას მიაწერს, მაგრამ მაინც დედაკაცის ზემოქმედების ქვეშ არის მომწყვდეული. მონაა იმისი, ლოცულობს იმას ხატვით, იმის პირ-კბილს, თვალ-წარბს, გულ-მკერდს, ალვის ტანს, ხახვის ფურცელს ბაგეს, მწყაზარს საფეთქელს, ხშირ თმასა და სხვა” [8, 104].

“არ უნდა დავივიწყოთ, ყველა იმის შემდეგ, რაც ვსთქვი, ის გარემოებაც რომ ფშაველი თვით სიყვარულს ნივთიერ სახეს აძლევს, ქალის ფერს” [8, 110].

“სურვილი, ანუ სიყვარული, ქალურად მორთული დადის, ფშაველის წარმოდგენით და ხარულად ყვირის, როგორც ხარია ძლიერი ცხოველი, როგორც ხარს გააქვს უღელში შებმული გუთანნი და აბრუნებს კვალს კვალზე, ისე სიყვარულია ყოვლადშემძლებელი და შემსრულებელი იმისა, რაზედაც მიპყრობილია.” [8, 110].

ასეთია, ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით, ფშაველის ტრფიალი. მაგრამ ვაჟას ლირიკა, ამ მომენტების უმაღლეს მხატვრულ ფორმაში წარმოსახვასთან ერთად, კიდევ მისეულ ისეთ ნიუანსებს ურთავს, მხატვრულ სახეს ვაჟაკაცის ზოგად ადამიანურ თვისებებს ანიჭებს და მისი გრძნობაც არა სალონურ, ეგზალტირებულ განცდად გვესახება, არამედ ზეადამიანურის კერძო ან პირიქით, კერძოს განზოგადებად.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიყვარულის თემაზე შექმნილი თვრამეტიოდე ლექსია, რომელთაც თითქოს ერთსახოვანი ლირიკული გმირი ჰყავს – ვაჟაკი და მშვენიერი, მაცდური არსება:

“ე შენი შავი თვალები  
რისგან არს ჩამოსხმულიო,  
როს გხედავ, მწყდება მუხლები,  
ლამობს დადნობას გულიო”. (“ნეტავი გამაგებინა”) [7, 6].

“ისევ შენ, ისევ, ქალაო,  
მომხედე, გამიციცინია.  
შენ მაინც ნუ მიღალატებ,  
მოკვდები – დამიტირია”. (“ისევ შენ, ისევ, ქალაო”) [7, 7].

“თქვენც გეხვეწებით, ხევებო,  
და შენც, მდინარეც ხმიანო,  
ე გოგო- ჩემი სიცოცხლე –  
არაფრით დამიზიანო” (“მწყემსი ქალი”) [7, 8].

“ ნუ მიწყენთ, მომაგონდება  
ქალის ვაჟისთვის ნათქომი:  
“თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა,  
არც მე ვარ ცოცხლად დამჩომი”  
ცოცხალი თან ჩამოგყვები,  
საფლავში დაგეტანები”. (“მოგონება”) [7, 21].

თუ ვაჟას სატრფიალო ლირიკის ხაზს მკვლევარის თვალს გავადევნებთ, იგი წარმოგვიდგება ხან შორით წვა და დაგვა, ხან მიახლოვების სურვილით ტკობაზე ოცნება, რომელშიც სახოვნდება ხორციელისა და რომანტიკულ-იდეალურის თანაფარდობა ერთ დიდ განცდაში. აქ წაწლობის, როგორც სიყვარულის, იმიტაციის ნიშნებიც მოჩანს და საუკუნო ტრფობის განცდაც, რომელიც მეუღლეობით სრულდება.

მკვლევარი თ. შარაბიძე წაწლობისა და ცოლ-ქმრობის შედარებისას ასეთ დასკვნებამდე მიდის: “ამრიგად, ხევსური და ფშაველი ქალის ცხოვრების პირველი პერიოდი სწორფრობითა და წაწლობით იმეორებს ქალის ედემისეულ ყოფას, ხოლო მეორე – წუთისოფლისეულს. პირველი პერიოდი ქალისთვის იყო დღესასწაული ცოდვის გამოსასყიდად, რომლის დროსაც ინარჩუნებდა ედემისეულ მადლს, შესაძლოა, ამიტომაც არ ეთმობოდა სწორფრული /და წაწლური/ ცხოვრება და თავს სწირავდა მას, ხოლო, რაც მეტი ჰყავდა სწორფერი /?-თ.გ/ მით მეტი მადლის მატარებლად და შესაბამისად უფრო “დღიანად” ითვლებოდა. მეორე პერიოდი ქალისათვის იყო აუცილებელი, ტანჯვა ცოდვის გამოსასყიდად, რომლის დროსაც უნდა გაეჩინა შთამომავალი ეშმაკის დასათრგუნად.” [8, 124] შესაძლოა, წაწლობის ტრადიცია ფშაველში, მართლაც, ატარებს ერთგვარი მისტერიის ხასიათს, მაგრამ ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში მას, ჩვენი აზრით, სხვა დატვირთვა ეძლევა:

“დედაკაცი მამაკაცზე მძლავრად, სასტიკად ებრძვის ის მძაფრს, სასტიკს ბუნებას, ეჯავახება, არ უტყდება და თვით ის ბრძოლა დიაცს მამაკაცად ჰქმნის, მას ამსგავსებს...”  
“... ახალგაზრდობაში ფშაველი ქალი მეტად ლამაზია, ტურფაა, როგორც ია, მაგრამ, როგორც თვით ია, ისე სილამაზეც მალე ჰქრება, სწრაფად იკარგება..”, “და, აი, ეს თავისი დანაშაული რომ გამოესყიდა, თავისი ცოდვები მოენანიებინა, ბუნებამ რა იღონა, რა ოსტატობა იხმარა, სთქვა: მოდი ფშაველ ქალს, ამ ტურფა იას, რადგან სილამაზისა მოკლე ვადა აქვს, - ცოტა ხანი, ეს ცოტა დრო სიამოვნებით გავატარებინო, ჩაუდვა მოსიყვარულე, პლატონური სიყვარულით გამსჭვალული გული ვაჟაკისადმი. ვინც მას მოეპოვება, ვიზედაც თვალი მიუვა ” [8, 210, 352-353]. ვაჟა ამით წაწლობის

იდეალურ მხარეს უსვამს ხაზს და დაბეჯითებით განაგრძობს: ვაჟკაცი “საქმეს ხორციელ ჩხირკედელაობამდე არ მიიყვანს, ამ მხრივ ძალიან ფრთხილია და გამოცდილი, ნამეტნავად სიყვარულის პირველ ხანებში. ბევრი არც როდისაც არა, რადგან ესმის, არ მოჰყვება კარგი სიყვარულის განხორციელებას; ამის შემდეგ ტრფობა, სიყვარული ავად ხდება, მას ჭლექი ეყრება, სნეულდება და საბოლოოდ კვდება კიდეც”. “ქალი ძალიან ცდილობს დროშა სიყვარულისა მალლა ეჭიროს, სიყვარული იდეალური უნდა იყოს, ასეთ სიყვარულს იგი “ლამაზს” ეძახის. სიყვარული მხოლოდ მაშინ არის ლამაზი, თუ ის იდეალურია; ჰკარგავს იდეალურობას, - ჰკარგავს სილამაზეს და იღუპება კიდეც.” “მამაკაცი სრულიად სხვას ჰფიქრობს, უკანასკნელი ცდილობს, სიყვარული რეალობად აქციოს, განახორციელოს, ბევრი აღწევს ამ მიზანს და რა გამოვიდა: სიყვარულის მტრად ჰხდება, ჰკლავს ამ ღვთიურ გრძნობას, სცარცვის, სტაცებს, ათლის ყველაფერს, რაც კი რამ სიყვარულს კარგი და ზეადმტაცი ახლავს, ასე დაქვეითებული სიყვარული ამგვარ პოეზიას ვედარ წარმოშობს” [8, 35-40]. აქ მოჩანს ვაჟასეული კონცეფციის ფესვებიც, იგი ეტრფის ზოგადქალურს, როგორც მშვენიერების საწყისს. ამაშია მისი მიმართებაც ქართული კულტურის ქალური პირველარსისადმი. როგორც მკვლევარი ჯანრი კაშია აღნიშნავს, “ვაჟას პოეზია ხომ ერთთავად ამ პირველქალური არსის ხოტბას წარმოადგენს.” [9, 968]

იდეალური სიყვარული სქესობრივ ვნებათაღელვასაც გულისხმობს თუმცა ვაჟას თვალსაზრისით, აქ იგი მოთმინებით უნდა იყოს შეჩერებული და მხოლოდ მაშინ “ეს გრძნობა სიყვარულისა, უფრო ძლიერია, იგი იღებს იდეალურ ფორმას, მისი ტანი იმოსება ია-ვარდითა” [8, 354]. სწორედ წაწლობაშია ამის ფესვები ჩამარხული. “წაწლობა აქეთ ესწრაფვის და ქალის მეოხებით რამდენადმე ახორციელებს ამ მისწრაფებას” [8, 354]. მამ წაწლობა იდეალური მიჯნურობის პირობაა, ხოლო ქორწინება, თუნდ დიდ სიყვარულზე აღმოცენებული, ხორციელი, ყოფითი და ამდენად - ცხოვრებისეული.

ვაჟას პოეზიაში მძალვრად ფიგურირებს სიყვარულის ყოვლისშემძლეობის პოეტური განცდა: “ტრფობით ავსილის გულისთვის ცა ღრუბლიანიც დარია, თავისი მზე მყავს ცოცხალსა, თუ არ გჯობს, არცა დარია”. – მიმართავს მზეს პოეტი ლექსში “მუდარა”. სიყვარულია პოეტური აღმფრენის მიზეზიც. ასე განსაზღვრავს კიდეც შალვა აფხაიძე თავად ეროსს: “ეროსი ნატეხია სიბრძნის, ვინაიდან იგი ავლენს ერთ ფორმას და სულს ქაოსს დატეხილ სტიქიას,” “ეროსი შეცნობაა სამყაროს იდუმალეებისა” [10, 2].

“დატრამლდეს გულისთქმასთანა ყველა ბუნების ძალია”. – ამოხეთქავს პოეტის გულიდან სიყვარულით გაღვივებული სიტყვა და ოცნებისმიერი, ტკვილამდე შემძვრელი თხოვნა: “მაშინ გამათბე, ტიალო, მადინე ცრემლის ღვარია და მაგრძნობინე თუნდ ერთ წამს, სიყვარულისა ძალია, თუ მზე ხარ, მაშინ მიმზევე, მიშველე შემიბრალია”. (“მუდარა”)

ვაჟასეული განცდა სიყვარულისა, ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება ერის უკვდავი გენიდან ამოდის. ამიტომ მის შეყვარებულ ქალსა და მამაკაცში კონკრეტულსაც ხედავ და ზოგადსაც. მისი ტრფიალი მიახლოვების მძაფრი სურვილიც არის და შორიდან მზერაში აუწერელი ტანჯვაც. მოთმინების ძალით შეყენებული გულისთქმაც და “თვალთ ჭამაც”. ასე, რომ ვაჟა აქაც ზოგადქალურის, მშვენიერების გაგებიდანაც გამოდის და ამ თვალსაზრისით სიყვარულის მარადიულობის საფუძველსაც იძიებს. ამავე დროს უკიდურესად დახვეწილ პოეტურ ფორმაში ჩამოყალიბებული სათქმელი ხშირად “მეს” მონოლოგიც არის მისი ლირიკული გმირისა. ამიტომ ვაჟას სატრფიალო ლირიკა კიდეც ახალ ფურცელს შლის მის შემოქმედებაში.

#### ლიტერატურა:

1. „სიყვარულის წიგნი“, თბ, 1981;
2. კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ, თსუ 1962;
3. გ. ქიქოძე, „ეტიუდები და პორტრეტები“, თბ, 1958;
4. გრ. კიკნაძე, „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, თბ, თსუ 1978;
5. ვ. კოტეტიშვილი, „რჩეული ნაწერები“, თბ, საბჭოთა საქართველო, 1965;
6. ვაჟა ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. IX, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1964;
7. ვაჟა ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. I, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1964;
8. ვაჟა ფშაველა, თხზ. სრ. კრებ. ტ. X, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1964;
9. ჯ. კაშია, „გველის მჭამელი“, პარიზი, 1990;
10. შ. აფხაიძე, „ვაჟა-ფშაველა“ გ. „ბახტრიონი“, 1922, №7.

## რეზიუმე

სატრფიალო თემას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სატრფიალო ლირიკას XIX-XX საუკუნეების მკვლევარ-კრიტიკოსნი ძირითადად სიყვარულის რუსთაველურ-ბარათაშვილისეული ხაზის გაგრძელებად მიიჩნევენ. მისი ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით ღვაწლმოსილი ლიტერატურათმცოდნის გრიგოლ კიკნაძის (1909-1974წ.წ.) ერთ საინტერესო ნარკვევს “ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ”, რომელშიც მეცნიერული დასაბუთებით შესწავლილია მწერლის შემოქმედების სწორედ ეს საკითხი, კერძოდ ვაჟას დამოკიდებულება ეროსთან.

სწორედ ამის დასაბუთების მცდელობაცაა მოცემული ვაჟა-ფშაველას ლირიკის მაგალითზე წინამდებარე ნაშრომში, რაც მხოლოდ 18-იოდე ნიმუშს წარმოადგენს და გამყარებულია თავად ვაჟა-ფშაველას წერილებით (“ფშავლები”, “ფშავლების ცხოვრებიდამ”, “გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით”, “ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით”, “მველი და ახალი ფშავლების პოეზია”).

ფშაველი ქალისა და მამაკაცის ცხოვრებისეული ფაქტორებიდან, ადათ-წესებიდან გამომდინარე, მათი ურთიერთსწრაფვა, ხორციელი თუ სულიერი, “მომინებით შეჩერებულ” ურთიერთობაში (წაწლობაში) გამოიხატება ქორწინებამდე, რაც ასახულია ვაჟა-ფშაველას სატრფიალო ლირიკაშიც. ლირიკულ განცდაში ტრფიალისა მიახლოების მძლავრი სურვილიც არის და შორიდან მზერაში აუწერელი ტანჯვაც. თავად მიუღწევლობის ფაქტორიდან გამომდინარე, ესთეტიკურიც არის და ზეადმტაციც, რაც სავსებით თავისუფალია ზემგრძნობელობით “წხირკედელაობისაგან” (როგორც თავად ვაჟა-ფშაველა უწოდებს).

## FOR UNDERSTANDING AMOROUS POETRY OF VAZHA-PHAVELA

Tamar Gogoladze, Full Professor of Gori Teaching University

### RESUME

The researcher-critics of the XIX-XX centuries consider the amorous poetry of Vazha-Pshavela as prolonging the theme of love by Rustaveli and Baratashvili. While analyzing this we cannot do without mentioning an interesting essay “Vazha-Pshavela vica Zigmund Froid” by a famous literary critic Grigol Kiknadze (1909-1974). In this essay the problem of Vazha’s attitude to Eros is studied by means of scientific arguments.

The attempt of proving this is given in the presented work on the examples of Vazha-Pshavela’s poetry which represents only 18 patterns and is strengthened by the letters of Vazha-Pshavela. (“The People of Pshavi”, “From the Live of Pshavi People”, “An Ideal Hero expressed by Poetry of Pshavi”, “The Condition of a Woman in Pshavi and an Ideal expressed by Poetry of Pshavi”, “The poetry of the New and the Old Pshavi”)

Following from the traditions and customs of live factors of a man and a woman of Pshavi, their mutual aspiration, spiritual of corporal is expressed in the detained enduring relations before marriage which is reflected in the amorous poetry of Vazha-Pshavela. In the lyrical feelings the desire of coming closer and suffer from glancing from the distance is shown. Following the fact of non-reaching-it is esthetic and super-admiration which is free from super-emotional “riddle one’s thumb”(as Vazha-Pshavela himself calls it).

## მსგავსი პერსონაჟები ვაჟა-ფშაველასა და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში (სიმბოლოები და ალეგორიები)

*ანა დათუაშვილი, მოწვეული სპეციალისტი*

ქართულ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველა ცალკე მდგომი პოეტია, რომლის მიკუთვნება მწერალთა რომელიმე ერთი ჯგუფისათვის ძალიან ძნელია, მაგრამ მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში ვაჟას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა გოდერძი ჩოხელის სახით, რომელიც მასავით მთის შვილია, სწორედ მთის ტრადიციები და პირველყოფილი სისადავე, ამსგავსებს და ასაზრდოებს ამ ორი დიდი მოაზროვნის შემოქმედებას.

გოდერძი ჩოხელი, ისევე როგორც ვაჟა, ძირითადად სიმბოლოებით აზროვნებს და ალეგორიული პერსონაჟებით იგავურად გვესაუბრება, მის შემოქმედებაში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი უმისამართო მესიჯი, არცერთი უმნიშვნელო პერსონაჟი.

„ხოლო მთა სინა კუმოდა ყოვლად, რამეთუ გარდმოსრულ იყო ღმერთი მას ზედა ცეცხლითა და აღვიდოდა კვამლი, ვითარცა სახმილისა და ირყეოდა ყოველი იგი მთა ძლიერად და ხმა საყვირისა აღვიდოდა და უძლიერეს იქნებოდა ფრიად. მოსე იტყოდა და ღმერთი მიუგებდა მას ხმითა“ (ძველი აღთქმა, მოსეს ხუთწიგნეული).

მთის ფენომენს ყოველთვის საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მითოლოგიაში, ასევე ბიბლიაში. კლასიკურ მითებში ღმერთები სწორედ მთაზე ცხოვრობდნენ, რასაც ქართული მითოსიც ეთანხმება: „ამ მთაზე ღმერთების საცხოვრისიაო“ ამბობს ერთ მოთხრობაში გოდერძი ჩოხელი. ქართულ ანდრეზებში ძალიან ხშირადაა მოთხრობილი მფრინავი ხატების შესახებ, რომელნიც იცვლიდნენ საბრძანებელ ადგილს და უფრო ხშირად მთაში იდებდნენ ბინას.

ზურაბ კვიციანიის თქმით ფშაველაში სამი მთაწმინდაა, სადაც პირველად დაიდო ჯვარმა ბინა. ის, როგორც მეხი, ისე დაატყდა მთას და გაანათა. ქართული ანდრეზების მიხედვით ჩვენი წმინდა მთებიც მსოფლიო მთაწმინდის ანუ სამოთხის ნიშნებს ატარებდნენ და სწორედ ამ სიწმინდეს შეეძლო ეშვა ისეთი განსაკუთრებული მწერლები, როგორებიც არიან ვაჟა და გოდერძი ჩოხელი.

ორივე მწერალს საერთო აქვს ეკოლოგიური სისუფთავე, რაც ასე აკლია და აკლდა ბარს, სისადავე, ბავშვური გულუბრყვილობა, უზომო სიკეთე და სიყვარული ადამიანებისადმი, ბუნებისადმი, ყოველი სულიერი არსებისადმი.

გოდერძი ჩოხელი ხშირად მიმართავს ბიბლიურ და მითოლოგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს სინამდვილის არსის უკეთ წარმოსაჩენად და თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება გააჩნია.

იგივე არქეტიპები, მაგალითად მგელი, ყვავილი, ყვავისა და ყორნის სახეები როგორც მითოლოგიურად, ასევე ბიბლიურად ერთი და იმავე დატვირთვას ატარებენ და მათი სახეების ჩვენებით ცდილობს ორივე მწერალი ადამიანთა გამოფხიზლებას.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟი არის მგელი, როგორც ბოროტების სათავე და ხტონური სამყაროს წარმომადგენელი ის არის, ადამიანში ჩასახლებული დემონის სიმბოლო, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია. როგორც გოდერძი ჩოხელთან, ვაჟასთანაც მგელი ასევე ბოროტების სიმბოლოა, სისხლი სწყურია: „მგელი კლდის ძირას მიგდებულებო და გაღმეილი, გათოშილი, ქასქასებდა, წითელი ენა გადმოეგდო, ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა, როგორ ხარობდა!... როგორ ლალობდა!... საზარელი სურათი მგლის სულ-გულს სიამოვნებით ავსებდა.“ (ვაჟა-ფშაველა, „ყორანი“).

ვაჟასთან მგელი ისეთივე ჭკვიანია, როგორც გოდერძი ჩოხელთან, ჭკვიანია და დაუნდობელი, ამდენად უფრო საშიშიც. ისევე, როგორც გოდერძი ჩოხელთან, ვაჟასთანაც მგელი ბნელი სამყაროს წარმომადგენელია, აპოკალიფსური მხეცი, სიბნელის გუშაგი... ამიტომაც მისთვის ყველაზე მთავარი მტერი სინათლეა, სინათლე, რომელიც ღვთაებრივია და სიმბოლოურად სიკეთეს განასახიერებს, ამიტომ სძულთ და ეშინიათ სინათლის დანახვისა სისხლისმოყვარულ დემონებს: „მთვარისაკენ მიპყრობილი მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გამაფული, როგორ სწყევლიდნენ მის ამოსვლას.“ (ვაჟა-ფშაველა „ამოდის ნათდება“).

მთვარის სიძულვილი მგლებმა ტოტიაზე გადაიტანეს და როცა ტოტიას ცოდვილი სული თანამებრძოლთა კბილებმა იმსხვერპლა, „შეხედეს ერთმანეთს და შეეშინდათ და გაფრთხნენ, ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკი-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭრიალი“... მგლების ცოდვა ისეთი შემზარავია, თვით ბოროტებასაც კი აშინებს, საკუთარი ქმედებით შეძრული მგლები ერთმანეთს

გაურბიან, ერთი ლუკმის გამო კარგავენ ერთმანეთის ნდობას და უსაზღვრო შიში იპყრობთ, შიში სინათლისა... გოდერძი ჩოხელის „მგელში“ ყვავილის სურნელს გაურბიან მგლები, ამ ყოვლისმნახველ არნახული სიძულვილისა და დემონური ძალის მატარებელ კაციჭამიებს ერთი პატარა ყვავილის სუნი აფრთხობთ.

მაგრამ ვაჟამ მაინც დაინდო მგელი და ყველაფერი ბუნების კანონზომიერებას დააბრალა, ვაჟას ეცოდება მგელი, როგორც ამ კანონზომიერების მსხვერპლი: „ღმერთო რად გამაჩინე მგლად?! რად ვძულვარ ყველას, რად მომეცი ბუნება მგლისა, რადა ვარ სისხლით გაუმაძღარი?... აახ არ მინდა ვიფიქრო, არ მინდა გავიხსენო ჩემი ცოდვები.... რას ვაკეთებთ ჩვენ? არაფერს ცოდვის მეტს.. ჩვენი არსება თავიდან ბოლომდე დაგვირგვინებული ცოდვაა“, არ არის მგლის ბრალი, რომ ის მგელია, რადგან ბუნებამ შექმნა ის ასეთად, ეს განაჩენია, მაგრამ გოდერძი ჩოხელი ყოვლად შეუბრალებელია დემონის მიმართ და თვლის, რომ მგლობა არჩევანია და არა განაჩენი, რადგან შეიძლება უფალმა არ შეგქმნას მგლად და მერე გახდე მგელი. თვედორე მგელი იყო და მონანიებამ დაუბრუნა ადამიანის სახე. ის მთელი დარჩენილი ცხოვრება ნანობდა იმ დროს, როცა მგელი იყო და ბოროტებას სჩადიოდა.

ასევე საინტერესო და სიმბოლური დატვირთვა აქვს ყვავ-ყორნის ალეგორიულ პერსონაჟს ორივე მწერლის შემოქმედებაში. რომანში „მღვდლის ცოდვა“ შიო მღვდელს განუწყვეტლივ დასდევს ყვავი, რომელიც გაუთავებლად დასჩხავის და ცოდვებს შეახსენებს. ყვავი ზოგადად არც კი არსებობს, არათუ ლაპარაკობს, მაგრამ ეს ყვავი კი არა სინდისის სიმბოლოა, ეს არის საკუთარი ქვეცნობიერი, რომელიც არ ასვენებს შიოს, რომელსაც არავისი არ ეშინია, პირიქით ყველას ეშინია მისი და თვითონაც უსინდისოდ სარგებლობს ამით. ცნობიერად შიო სულაც არ წუხს მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, მაგრამ მისი ქვეცნობიერი იღებს ყვავის სახეს და დასჩხავის გაუთავებლად,

აქვე გავიხსენოთ ეპიზოდი ალუდა ქეთელაურიდან, როდესაც ალუდა მუცალის მოკვლის შემდეგ ბრუნდება სოფელში და ესმის ყორნის ხმა;

„ხევი-ხევი შამოყრანტალებს  
ყორანი ავი ხმისაო,  
მამკვდარა ქისტი მუცალი  
თვალნ უნდა ვსჭამდე ყმისაო,  
გულ-ღვიძლი ამოვარიდო  
კალთა დავხურო მხრისაო.“

რა თქმა უნდა ალუდასა და შიოს შედარება შეუძლებელია, რადგან ალუდა ისედაც წუხს ქისტის სიკვდილს, მაგრამ ყორანი, რომელსაც ასევე ქვეცნობიერის ფუნქცია აკისრია, შეახსენებს ალუდას იმ საშინელებას, რასაც ახალგაზრდა ვაჟკაცის ტყუილუბრალოდ სიკვდილი ჰქვია და რომ ამ საშინელებაში ის არის დამნაშავე,

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქვეცნობიერის პროტოტიპებად ამ შემთხვევაში ორივე მწერალს ხტონური სამყაროს ფრინველები ყავს არჩეული. ყვავ-ყორნები ჯოჯოხეთური სამყაროს წარმომადგენლები არიან. არც ეს არის შემთხვევითი, რადგან ადამიანის ცოდვა არ შეიძლება იყოს პოზიტიური სამყაროს კუთვნილება, ქვეცნობიერიც სწორედ იმ ცოდვებს შეგვახსენებს, რომელიც სულის კუნჭულში საიმედოდ გადავმალეთ და თითქოს დავივიწყეთ კიდევ.

შემდეგი სიმბოლო, თუ შეიძლება მას პერსონაჟიც ვუწოდოთ, არის ყვავილი. ყვავილის პარადიგმა არის სიმბოლო იმ სიყვარულისა და სიკეთის, რომელმაც უნდა დაამარცხოს ბოროტება. ყვავილი უფლის ერთ-ერთი სახელია „ყუავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესეისა ყვავილად აღმოცენდა ეკლესიასა წმინდა ქართულწულისა მარიამისაგან ხორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაითა სული იგი მადლისაი მოჰფინა ჩუენ ზედა.“ (იოანე საბანისძე „აბოს მარტილობა“). ყვავილი უფლის სახელია, რადგან სიყვარული და სიკეთე თავადაა ღმერთი, ამიტომ მიმაჩნია, რომ ყვავილი ისეთივე სრულყოფილი პერსონაჟია ამ ორი მწერლის ნაწარმოებში, როგორც დანარჩენი აქტიურად მოქმედი პერსონაჟები. ვაჟა-ფშაველას პოემაში „კოპალა“ „ია თითქოს ცით ჩამოსული ღმერთია, იის ტურფა გვირგვინი სიყვარულს ადგას, ხოლო ეს სიყვარული კაცურობის უმაღლესი გამოხატულებაა, ვაჟას ია სინაზედ და მშვენიერებად სუბლიმირებული კაცობრიული სიკეთე და უმაღლეს ღირებულებად დასახული ადამიანური გრძნობის სიმბოლოა ურომლისოდაც ფასი ეკარგება სამყაროს არსებობას „რადღა ვის უნდა მაშინა ან მზე ან მთვარე ცაზედა“ (თ. ჩხენკელი, „მშვენიერი მძლევარი“, გვ 84).

გოდერძი ჩოხელის „მგელში“ თვედორე უყვება ლუკას, რომ მას ხშირად ესიზმრებოდა მამა, რომელიც ეძახდა „ყვავილი უნდა მომეზნო“. ყვავილის ძებნაში სწორ გზას აცდენილი თვედორე ნადირის ხოცვამ გაიტაცა და ყვავილი დაავიწყდა, შებრალების გრძნობა დაკარგა და თვითონაც მგლად იქცა, მამისეულ გზას ასცდა, მიწიერმა საცდურმა გადასძალა და სულიერი დაავიწყდა, მაგრამ სძლია

თავის თავს, შემთხვევით სახლის ჭერხოში დაგდებული ერთი ყვავილი იპოვა და გულზე დაიკერა, ყვავილის სუნმა აავსო სოფელი, მგლები გარბოდნენ სოფლიდან იქ, სადაც უფალია სატანას აღარა აქვს ადგილი. გულზე დაიკერა ჭეშმარიტება თევდორემ, ყვავილი ლუკას გადასცა. დადიოდა ლუკა ამ ყვავილით და არჩენდა მგლებისაგან სიბოროტით დაავადებულ თანასოფლელებს, ყვავილიც ხელახლა აყვავდა მის ხელში, ლუკა ყვავილით ხელში დადის და იმ ბოროტებას კურნავს, რაც ასე გაავრცელეს და დათესეს მგლებმა თავის სამყაროში,

ყვავილების თაიგულად გადაიქცა თანდილა, რადგან თავისი ცხოვრების მანძილზე უფროთხილდებოდა და სათუთად ინახავდა ყვავილს, ჭიანჭველასთვისაც კი არ დაუდგამს ფეხი. შემდეგ ეს თაიგული ქარში გაიფანტა და არავის მოსვლია აზრად ერთი ცალი მაინც აედო სამახსოვროდ, სწორედ ამიტომ შეუჩნდა თევდორეს ეშმაკი და მგელს დაამგვანა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიტანა თავისი, მამისეულმა სახლმა იხსნა, სიკეთე ბოლომდე არ გაქრა მისი სახლიდან, სხვენში ყვავილის პოვნაც იმას მიანიშნებს, რომ უფალი ყოველთვისაა შენთან, მთავარია მოინდომო და დაინახო.

ასევე ღვთაებრივის სიმბოლური განსხეულებაა „სტუმარ-მასპინძლის“ უკანასკნელ სტროფში უფსკრულის თავზე დაკიდებული პირიმზე

„მხოლოდ მდინარის ხმა ისმის  
დაბლა მიქანავს ხერელითა  
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე  
მოღერებულის ყელითა“.

პირიმზე სიკეთეა, უფლის სიყვარულია და კაცთმოყვარეობა. პირიმზე სუსტია და ნაზი, ბნელ ხევში კი ღრიალით მიქრის თავაწყვეტილი ბნელეთის მდინარე, ცოდვებით დამძიმებული, ყოვლის დამანგრეველი ძალით ეხეთქება უფსკრულს. სიკეთე ყვავილივით ნაზია და ამიტომ გაფრთხილება სჭირდება, უფალი კი არაა სუსტი, ადამიანთა რწმენაა სუსტი, ადამიანის მიერ ღვთის სიყვარულია ასეთი სუსტი, როგორც პირიმზე, მაგრამ ის მაინც არსებობს და თანაც ამაყად ყელმოღერებულია, თავაწყველია და თავისი სიფაქიზითაა ძლიერი. ძველ მთიულურ გადმოცემებში პირიმზე წმინდა გიორგის სიმბოლოა, მასში ღვთიური ძალაა ჩაბუდებული.

ორივე მწერალს განსაკუთრებული ბედისწერა არგუნა ღმერთმა, ისინი ამ სამყაროს ვერ ეწყობოდნენ, უზომოდ უყვარდათ ყოველი სულიერი და სმულდათ ბოროტება. ვაჟა-ფშაველას მამა, ლუკა რაზიკაშვილი, ნაწილიანი დაბადებულა და სწორედ მისი ღვთისშვილობა დაეხედა ვაჟასაც. ნაწილიანი დაიბადა გოდერძი ჩოხელიც. ორივეს მინდიას ბედი ერგო, ყოველი სულიერის ენა ესმოდათ, ხოლო მათი ენა არ ესმოდათ თანამედროვეებს.

და ბოლოს ისევ... რადგან უფალმა მოსეს სწორედ სინას მთაზე უბოძა ათი წმინდა მცნება, რაც სამყაროს არსებობის საძირკველს წარმოადგენს, სწორედ მთას შეუძლია საუკუნეში ერთხელ შვას ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა და გოდერძი ჩოხელი.

### ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა თხზულებანი, 1-5 ტომები, თბ., 1994.
2. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, 1988.
3. გოდერძი ჩოხელი, „მღვდლის ცოდვა“, 2010.
4. ნანა კუცია, „ქართული რომანის პარადიგმები“, 2010.
5. ლუარა სორდია, „სიტყვითა ნათლისმცემელი“, 2009.
6. თამაზ ჩხენკელი, „მშვენიერი მძლევალი“, 1989.
7. იოანე საბანისძე, „აზოს წამება“, 1992.

### რეზიუმე

ქართულ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველა ცალკე მდგომი პოეტია, რომლის მიკუთვნება მწერალთა რომელიმე ერთი ჯგუფისათვის ძალიან ძნელია, მაგრამ მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში ვაჟას ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა გოდერძი ჩოხელის სახით, რომელიც მასავით მთის შვილია. სწორედ მთის ტრადიციები და პირველყოფილი სისადავე, ამსგავსებს და ასაზრდოებს ამ ორი დიდი მოაზროვნის შემოქმედებას.

გოდერძი ჩოხელი, ისევე როგორც ვაჟა, ძირითადად სიმბოლოებით აზროვნებს და ალევორიული პერსონაჟებით იგავურად გვესაუბრება. მის შემოქმედებაში არ არის არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი უმისამართო მესიჯი, არც ერთი უმნიშვნელო პერსონაჟი.



გოდერძი ჩოხელი ხშირად მიმართავს ბიბლიურ და მითოლოგიურ არქეტიპებსა და პარადიგმებს სინამდვილის არსის უკეთ წარმოსაჩენად და თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება გააჩნია.

იგივე არქეტიპები, მაგალითად მგელი, ყვავილი, ყვავისა და ყორნის სახეები როგორც მითოლოგიურად, ასევე ბიბლიურად ერთი და იმავე დატვირთვას ატარებენ და მათი სახეების ჩვენებით ცდილობს ორივე მწერალი ადამიანთა გამოფხიზლებას.

ორივე მწერალს განსაკუთრებული ბედისწერა არგუნა ღმერთმა. ისინი ამ სამყაროს ვერ ეწყობოდნენ, უზომოდ უყვარდათ ყოველი სულიერი და სძულდათ ბოროტება. ვაჟა-ფშაველას მამა, ლუკა რაზიკაშვილი, ნაწილიანი დაბადებულა და სწორედ მისი ღვთისშვილობა დაეხედა ვაჟასაც. ნაწილიანი დაიბადა გოდერძი ჩოხელიც. ორივეს მინდიას ბედი ერგო, ყოველი სულიერის ენა ესმოდათ, ხოლო მათი ენა არ ესმოდათ თანამედროვეებს.

და ბოლოს ისევ... რადგან უფალმა მოსეს სწორედ სინას მთაზე უბოძა ათი წმინდა მცნება, რაც სამყაროს არსებობის საძირკველს წარმოადგენს, სწორედ მთას შეუძლია საუკუნეში ერთხელ შვას ისეთი დიდი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა და გოდერძი ჩოხელი.

## RESEMBLED CHARACTERS IN THE LITERARY OUTPUTS OF VAZHA PSHAVELA AND GODERDZI CHOKHELI (SYMBOLS AND ALLEGORIES)

Ana Datuashvili, Specialist under contract

### RESUMÉ

Vazha Pshavela is a separately standing poet in Georgian literature and it is so difficult to attach him to any group of writers. But Goderdzi Chokheli appears to be his successor in the XX century Georgian literature. The mountainian traditions and primitive simplicity give a similar appearance to those two big thinkers and their literary outputs.

Like Vazha, Goderdzi Chokheli thinks mainly with symbols and talks through allegoric characters in a manner of parable. In his works there are no aimless messages or any insignificant character. He often applies to biblical and mythological personages and paradigms for better revealing the reality; each of them holds a special function through which the writer tries to sober up the people.

Both writers are distinguished with special kind of fate; both of them had difficulty to adopt this world, extremely loved every animate creature and hated evil; they could understand the language of every creature but they were not understood by their contemporaries.

And again at the end of the paper, because on Mount of Sinai Jesus conferred Moses the ten holy commandments which are the foundation of the world, a mountain may once give birth to such great people as Vazha Pshavela and Goderdzi Chokheli.

### ჩრდილოეთ კავკასიის თემა ქართულ მწერლობაში (ზოგადი მიმოხილვა)

*ანა იმნაძე, მოწვეული სპეციალისტი*

„სახელწოდება „კავკასია“ პირველად მოხსენიებულია ძვ წ VII ს ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“ და ესაა ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის“ (1; 299). ასეთი განმარტება აქვს ტერმინს კავკასია ქართულ ენციკლოპედიაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტერმინი „კავკასია“ პირველად სწორედ მხატვრული ლიტერატურიდან მკვიდრდება. „იბერები უძველესი პროტოევროპული მოდგმის წარმომადგენლები არიან, ერთ დროს მთელს მსოფლიოში განტოტილნი. ქართული და საერთო კავკასიური ცივილიზაცია ძველ იბერთა მსოფლიო ცივილიზაციის გაგრძელებაა... შემთხვევით როდი უწოდებენ კავკასიას ხალხთა ცივილიზაციის აკვანს, ხოლო ევროპულ კაცობრიობას - კავკასიურ რასას“ (7; 145). წერდა ზვიად გამსახურდია როცა განმარტავდა კავკასიის არსს და ადგილს მსოფლიო გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში.

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ასახვა ჯერ კიდევ VIII საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება, პირველად იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებაში“, რომელიც შექმნილია 780-790 წლებში. ივ. ჯავახიშვილის შრომებზე დაყრდნობით გავიხსენოთ ამ პერიოდის ქართული სინამდვილე, - “685 წ. ქ. შ. კავკასიას, ასოლიკისა და ლევონდის სიტყვით, მოულოდნელად დიდი უბედურება ეწია: ჩრდილოეთით ხაზართა ძლიერი ლაშქარი შემოესია საქართველოს, ალბანეთსა და სომხეთს. ბრძოლაში ქართველთა და სომეხთა ერისთავნი ამოხოცეს და ქვეყანა ააოხრეს“ (8; 73). ამას თან ერთვის არაბთა ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მათი გაუთავებელი თარეში საქართველოში, განსაკუთრებით ლიხს აქეთ, აღმოსავლეთში. „ჯუანშერის სიტყვით, როგორც აღნიშნული იყო, მურვანს მოუვლია „ყოველი კავკასია და დაიპყრა კარი დარიალანისა და დარუბანდისა“. ქართველი მემკვიდრის სიტყვები არაბ ისტორიკოსთა (ბელადორის) ცნობებითაც მტკიცდება; მურვანს ხალიფა ჰიშამის ბრძანებისამებრ მთელის თავის მხედრობით ქსნით დარიალანის ხეობა და კარი გაუვლია და ხაზარნი დაუმარცხებია, იმიერ-კავკასიითგან ერთი ტომი გადმოუყვანია და კახეთში დაუსახლებია; ხოლო 737-742 წლებში ძლევამოსილი ლაშქრობა ჰქონია კავკასიაში და იმიერ-კავკასიაში ისე, რომ დაუმორჩილებია და გაუმაჰმადიანებია, რასაკვირველია იძულებით, ხაზარნი, აულია დაღესტნის მთელი ქვეყანა, სამურის სანახები და შაბირანი, ლეკეთი, ტაბასარანი და დიდოელი.“ (8; 75)

764 წელს ხაზარებმა ქართლი ააოხრეს; ქართველი ისტორიკოსიც მოგვითხრობს ხაზართა შემოსევას და ამ შემოსევის მიზეზად “მატიანე ქართლისად” შემდეგ გარემოებას ასახელებს: ქართლის ერისთავს, ჯუანშერს, ერთი სილამაზით განთქმული და ჰყოლია, რომელსაც სახელად შუშანი რქმევია. «მისმა მისი ხაზართა მეფესა ხაკანსა, მოგზავნა მოციქული და ითხოვა შუშანი ცოლად და უქადა შუელა სარკინოხთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა და დედასა თვსსა; ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: “უკუეთუ უღონო იქმნას ყოფად ჩუენი, უმჯობეს არს რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე-ღა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ, და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა” (ცა ვხტნ გრგსსა) (8; 76).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ VIII საუკუნის საქართველო ფაქტიურად წარმოადგენდა ბიზანტიის, არაბებისა და ხაზარების სამხედრო პოლიგონს და ქართველ მეფე-მთავრებს ერთდროულად სამ ფრონტზე უწევდათ ბრძოლა-ლაგირება, რათა შეენარჩუნებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რელიგია და, ამავედროულად, ეროვნული ენერგია მთლადაც არ დაშრეტილიყო გაუთავებელი სისხლისღვრისა და ეკონომიკური პრობლემებისგან.

სწორედ ამ ფონზე იქმნება იოანე საბანის ძის „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესი ჰაბოისი“ და საკითხი, რაზეც დღეს გვინდა შევჩერდეთ, ესაა ნერსე ერისთავის აჯანყება და მოვლენების შემდგომი განვითარება. არაბები და ხაზარები, სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ ალაზნის ველზე შეერკინნენ ერთმანეთს და ეს ბრძოლა ხაზართა მარცხით დამთავრდა, სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ არაბთა წინააღმდეგ მორიგი შეთქმულებისას, ნერსე ერისთავი, მას შემდეგ, რაც სახლელულს დასავლეთ საქართველოში გახიზნავს, თავად „სამას ოდენ მამაკაცთან ერთად თავშესაფრის და დახმარების სათხოვნელად „შევიდა ქვეყანასა მას ჩრდილოეთისასა“, სადაც იმ პერიოდში ხაზართა ხაკანატი იყო გადაშლილი. იოანე საბანისძე ხაზარებს ახასიათებს როგორც „კაც ველურ, სამინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთ შჯული არა აქუს, გარნა შემოქმედი ერთი იციან“ (2; 121). უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხაზარები იყვნენ თურქმანული წარმოშობის ტომები, რჯულით იუდეველები და ეს ფრაზაც სწორედ ამას განმარტავს. მოცემულ აღწერაში იგრძნობა ავტორის დამოკიდებულება ჩრდილოელი მეზობლების მიმართ, რომლებმაც, სულ რაღაც 10 წლით ადრე, ააოხრეს თბილისი და მათ გამო სიცოცხლე მოისწრაფა ულამაზესმა შუშანამ. მიუხედავად ავტორის სუბიექტური დამოკიდებულებისა, ტექსტში იოანე საბანისძეს არ ღალატობს ობიექტური თვალი და გვიყვება, რომ ხაზართა მეფემ „შეიწყნარა იგი უცხოებისათვის და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი“ (2; 121). როგორც ტექსტიდან ირკვევა, მიუხედავად ასეთი მიღებისა, ნერსე ერისთავმა ხაზართა მეფისაგან დახმარება ვერ მიიღო და ამის შემდეგ „ღმერთმა მოამშვიდა პირი მეფისა მის ჩრდილოისაი და განუტევა ნერსეი მრავლითა ნიჭითა... და განვლეს ქვეყანაი იგი წარმართთაი, რომელთა ყოლადვე არა იციან ღმერთი“ (2; 123) ეს კი უკვე გოგისა და მაგოგის ქვეყანაა....

ამის შემდეგ, VIII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ქართულ ლიტერატურაში ჩრდილოეთ კავკასიის თემა აღარ ჩანს, მაგრამ დავით გურამიშვილის სახელი, ცხოვრება და შემოქმედება ჩრდილოეთ კავკასიასა და ლეკიანობასთანაა დაკავშირებული.

მიმიყვენეს არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს,  
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს.  
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს.

გავიპარე, დამიჭირეს, რად წახველო, დამპალურეს. (3; 72)

ამ ყველაფრის ფონზე, ვერ იტყვი, რომ საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიას კეთილმეზობლური ურთიერთობა ქონდა.

ქართულ-კავკასიური ურთიერთობები ყველაზე აქტუალური და გამწვავებული XIX საუკუნის I ნახევრიდანაა. ეს ურთიერთობა ლიტერატურაშიც აისახა და ეს ასახვა ისეთივე მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით იყო აღსავსე, როგორც ეპოქა. ჩრდილოეთ კავკასიის თემასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით პოეტ-გენერალ გრიგოლ ორბელიანს. 1832 წლის შეთქმულების შემდეგ გრიგოლ ორბელიანმა რუსი გენერლის ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა ჩრდილოეთ კავკასიაში, შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება და დაღესტნიდან ბატალიონის მოხსნა ბრძანა, გრ. ორბელიანმა, როგორც იონა მეუნარგია მოგვითხრობს, „ნამდვილი კასანდრის ყვირილი გააბა. ის ევედრებოდა ბარიატინსკის, ნუ ღუპავენ მხარეს, ნუ კარგავენ ორმოცდაათი წლის შრომას და ხარჯს: ლეკები რომ დაინახავდნენ მიტოვებულ რუსის ციხეებს, რას არ იტყოდნენ ჩვენს სისუსტეზე“ (6; 111). საუბარი იმაზე, რა როლი შეასრულა გრიგოლ ორბელიანმა შამილის დატყვევების და ჩრდილოეთ კავკასიის საბოლოო დამორჩილება-დაჩოქების საქმეში, შორს წაგვიყვანს, თუმცა ეს გულმოდგინება კიდევ უფრო გასაკვირია ორი ფაქტის და ამბის ფონზე – ესაა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა, სურვილი და ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის, შეგნება იმისა, რომ მხოლოდ მტრისაგან თავისუფალ ქვეყანას შეუძლია სწორად განვითარება და არსებობა, ამისთვის იბრძოდნენ ჩერქეზები და ჩეჩნები შამილის მეთაურობით. გრიგოლ ორბელიანის საქმის გამოძახილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სტრიქონი:

„ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!  
შეთქმულან შენზედ ერთპირად მენი ქართლისა სრულისა,  
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,  
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!“ (12; 131)

აკ. ბაქრაძე, წერილში „მკვახე შემახილი“, წერს, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ შეეძლო მსგავსი სტრიქონის დაწერა ავტორს „მერანისა“, მაგრამ სწორედ ამ სტრიქონებიდან ჩანს მაშინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება დაღესტნის ტრაგედიისადმი და სურვილი, თითო ჩინი კიდე მიემატებინათ საკუთარი სახელისა და მუნდირისათვის. „მერანის“ ავტორი კი ცნობილი ბიძის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა. „ლეკიანობის“ საზარელი ამბებიც თავის როლს ასრულებდა ასეთი პოზიციის ჩამოყალიბებაში, თუმცა, აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ ახლა უკვე მტერი საერთო გვყავდა და მის წინააღმდეგაც ერთობლივი ბრძოლა უფრო გვერგებოდა, ვიდრე ერთმანეთის დამორჩილება. ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილება კი იყო წინაპირობა საქართველოს საბოლოო დაჩოქებისა.

XIX ს 60–იან წლებში, „თერგდალეულების“ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ გაშლილი მამათა და შვილთ ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო და შვილები საყვედურობდნენ მამებს იმას, რასაც მამები მთავარ ღირსებად მიიჩნევდნენ:

„მამანი თქვენნი,  
თავის დროს მენი,  
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!  
ოსმალ-სპარსები,  
დაღესტნის მთები,

ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ“ (5; 68)

შვილების თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფიგურა, ვაჟა-ფშაველა, მამების ტრახახს ჯოყოლას და მუცალს უპირისპირებს. ეს ორი პერსონაჟი შემთხვევით არ შემოუყვანია ავტორს. მათი სახით საყვედურობს ვაჟა-ფშაველა „მამებს“. სწორედ ჯოყოლა და მუცალია დაღესტან-ქისტების ნამდვილი სახე.

ჩრდილოეთ კავკასიას და შამილის წინააღმდეგ ქართველების ბრძოლის თემას ალექსანდრე ყაზბეგიც ვერ უვლის გვერდს. სავარაუდოდ, მთის ეს ორი ბუმბერაზი, უფრო ნათლად ხედავდა, რა სავალალო შედეგებს მოიტანდა ქართველთა მონაწილეობა მეზობლების დამორჩილებაში. მოთხრობა „ელისო“ ჩერქეზებისა და ჩეჩნების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ამბავს, „მოკაჯირობას“, ეხება. რუსმა ხელისუფალმა გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა „აბეზარი“, დაუმორჩილებელი ხალხი და ოსმალეთში გადასახლა. ჩეჩნთა ტრაგედიის ფონზე იშლება მთიელი ვაჟი და შამილის იმამის, ანზორის, ქალიშვილის ელისოს სიყვარულის ამბავი. მოხუცი იმამის ერთადერთი იმედი ელისოდაა, ქალიშვილს კი მთიელი შეჰყვარებია, „უწინდელ დროში რომ მომხდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს „მთიელი“ ქრისტიანი შეჰყვარებოდა, მაშინდელი იქაურის ჩვეულებით სარწმუნოება

დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქმნებოდა იმათ შერტებისთვის; მაგრამ ახლა, როცა ქართველები, ე.ი. ქრისტიანები, „გაიურებს“, ანუ რუსებს წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გაიურებთან ერთად ებრძოდნენ დამოყვრებულ მეზობლებს, – ახლა სულ სხვა იყო. „ქრისტიანების“ შემწეობით დაიმორჩილეს „მშიშარა გაიურებმა“ ისინი და ამის შემდეგ რაღა ერთობა შეიძლებოდა ამათ შორის“ (4; 162). და მაინც, რა შედეგი გამოიღო დალესტან–ჩეჩნეთის მარცხმა თავისუფლების გზაზე და რაში გვდებენ ბრალს ქართველებს კავკასიელი დამოყვრებული მეზობლები: „მე მყვანდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩეჩნის მინდორზე დამიდიოდა უშიშრად; მოვიდნენ გაიურები და წამართვეს... მე მყვანდა ჩემი ცხორი და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატიჟა, საკლავი არ დამეკლა, – გაიურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა, – მოვიდნენ გაიურები და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისაგან მოხდა, ისინი მოუძღოდნენ ბელადად გაიურებს, ისინი უჩვენებდნენ გზას, ისინი გვეომებოდნენ...“ (4; 168) მოხუც იმამს სამი ვაჟი ეიმედებოდა, მაგრამ სამივე ქართველების დახმარებით მოსულმა გაიურმა შეიწირა და არც ერთს ზურგში არ მოხვედრია მტრის ნასროლი ტყვია. ასეთი ტრაგედიის დატრიალება არავის ჩაუვლის ადვილად, მაგრამ დამოყვრებული მეზობლების ტრაგედია ამით არ დამთვრებულა და, როგორც ალ. ყაზბეგი ვარაუდობს, რუსი ყველას გადასახლებს, „საჭიროა მაგათი ჩქარა მოშორება თავიდგან!.. ჩეჩნელთ გადასახლებით ისე გახალისდნენ, რომ ქართველებსაც ამასვე უპირებდნენ“ (4; 179). და მაინც, რა იყო ეს გადასახლება, რა გადაიტანეს არა მარტო მებრძოლმა ჩეჩნებმა, არამედ მოხუცებმა, მშობიარებმა, ჩვილებმა, მეძუძურმა ქალებმა? ალ. ყაზბეგი ასე აღწერს პროცესს: „ბავშვები ტიროდნენ შიშით და სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევლას, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის და წყევლასთან ერთად ჰლეოდნენ სულს... ერთს ადგილას მოხუცებული დედაკაცი მიწოლილიყო და მწარედ კავკავებდა სიცივისგან. საცოდავი წუმპეში მწოლარე ებრძოდა სიკვდილს...“ (4; 181). როგორ ჰგავს საუკუნის წინ აღწერილი სურათი ჭუბერის გზას შემდგარი ქართველების მდგომარეობას. მტერი ორივეს ერთი გვყავდა, თუმცა ძალი და ენერჯია არ დაგვიშურებია საერთო მტრის გამლიერების საქმეში, ამაზე შემდეგ. ღირდა ასეთ ტანჯვად ის ჩინ–მედლები და დროებითი პატივი, რასაც ქართველი გენერალ–პოეტი და მისი თანამემამულეები თესდნენ?

ტექსტში მკვეთრად ჩანს ავტორის პოზიცია: ჩეჩნთა და ქართველთა შორის მტრობის და გაუცხოების მიუხედავად, მეზობელ ხალხს ერთობის გარდა სხვა გამოსავალი არ აქვს. მათი დაცობა და დღეპვას უქადის ორივე ხალხს.

თუმცა, ალ ყაზბეგისათვის მთა და მთიელები ერთფეროვანნი და ერთნნი არ არიან, ის ისეთივე მრავალფეროვანი და მოულოდნელობებითაა აღსავსე, როგორც თავად კავკასიონი. ამ მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიელთა განსხვავებული ბუნების აღსაწერად საინტერესოა განვიხილოთ კიდევ ერთი მოთხრობა – „ხევსბერი გოჩა“. მოქმედება ვითრდება XVIII ს-ის საქართველოში, ხევში, რომლის დამორჩილებასაც ცდილობს ნუგზარ ერისთავი და ამ ბრძოლაში – მოხვევთ წინააღმდეგ აქტიურად არიან ჩართულნი ჩრდილოეთ კავკასიის კიდევ ერთი მეზობელი ოსები. ალ. ყაზბეგი ოსებს და მათ მოტივს ბრძოლაში ასე აღწერს „იმათ გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთ შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო, გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა იმ ხალხისა, რადგანაც შუაში შეჭრილნი, ყოველმხრივ მტერშემორტყმული, თავშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს... ამ ბრძოლის შემდეგ ისინი (ოსების ურდო) იმედოვნებდნენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩებოდათ თავისუფალის ავაზაკობისაკენ“ (4; 408). კაცის კვლისათვის საკუთარი ურდოდან გამოქცეული ოსები ხევმა შეიფარა, „ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რილათი გადაგვიხადეს მადლობა?... ჩვენს მტერს უჩვენეს მოსასვლელი გზები“ (4; 486).

ჩრდილოეთ კავკასიის თემა თავის აქტუალობას არ კარგავს XX ს. ლიტერატურაშიც და ძირითადად მაინც „შამილიანას“ სახეებს იღებს. ეს ცალკე კვლევის საგანია. აკ. ბაქრაძე, იკვლევს რა ამ საკითხს, წერს, რომ გრ. რობაქიძეც და აკ. გაწერელიაც – შამილს სწორუპოვარ ვაჟკაცად, ბრძენ ადამიანად, რწმენის, საქმისა და სიტყვის კაცად მიიჩნევს. გრიგოლ რობაქიძის შამილი წუთიერ გაორებას განიცდის, როდესაც დედის დახმარებით მიაწვდიან აზრს ზავის შესახებ, მაგრამ ამ გაორებას მომავალთან შეხვედრა სპობს.

„გავანადგურებთ მტერს!“ „გავანადგურებთ და მერე როგორ!“ იხრიალეს ერთხმად პატარა მორკინალებმა. სიმხნევე მიეცათ.

„შამილი თუ გაგიგონიათ!“ შეეკითხა მხედარი ერთს მათგანს. „შამილი? როგორ არ გაგიგონია!“ იჟივლეს მალხაზებმა ახალისებით. ის დაამარცხებს მტერს!“ „ასე ძალოვანია იგი?“ შამილის ბაგე

დიმილით გაიხსნა. „შამილი? ვინ სძლევს მას? იგი უძლეველია–გაზი!“ „ჩემზე უფრო ძლიერი?“ „შენზე? შენც გძლევს იგი! მისი მომრევი არავინაა!“

შამილს გული აუტოკდა. მარჯვენა თვალში ცრემლი იგრძნო მომდგარი, ცრემლი ნეტარებისა. დაღვაროს იგი აქ? არა: ამ ჩვილ მორკინალთ ცრემლს ვერ უჩვენებს, თუ გინდ ასეთსაც.“ (11; 66)

რაკი შამილის პიროვნებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ბუნებრივია, უნდა გადასხვაფერებულიყო დამოკიდებულებაც რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთ-დაღესტნელთა მთელი ომისადმი. ჯერ ეჭვი გაჩნდა: ქართველებს უნდა ეომათ თუ არა რუსეთის სასარგებლოდ ჩეჩნეთ-დაღესტნის წინააღმდეგ? დე მნა შენგელაიას პერსონაჟს, თენგიზ დარბაშიას („ყაზავათი“), რუსეთის არმიის ქართველ ოფიცერს, ფიქრი უბურდავს ტვინს:

„განა იმის მამას არ ამოხდა სული სიმბირსკის გადასახლებაში 1832 წლის შეთქმულებისათვის? ახლა ამ კაცის შვილი და სელიმბეკ ცადასტას ძმადნაფიცი მტრებს ამოუდგა გვერდით და ჩრდილოეთის თეთრი ხელმწიფის, „კულტურის“ და მამულის სახელით ებრძვის უსწორო ომში იმ ხალხს, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავს თავის მარჩენალ ყანებს, სამოვრებს, თავისუფლებას და თოხუმის ადათს“. თუ დემნა შენგელაია აეჭვებს თავის პერსონაჟს და სამართლიანობა-უსამართლობაზე აფიქრებს, მიხეილ ჯავახიშვილი დაცინვით უყურებს კავკასიის დიდ ომში ქართველთა მონაწილეობას რუსეთის მხარეს:

„შამილი დიდ ძალაში შესულიყო და სანადირო მხეცად გადაქცეულიყო. მისი დაჭერა ისეთივე გმირობად იყო მიჩნეული, როგორც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა იყო მოსკოვიდან. ამიტომ ყველა მას დასდევდა, გაზაფხულზე დაღესტანში გარბოდა და ზამთარის პირას ხელცარიელი მორბოდა. წარჩინება და ფული მაინც მოჰქონდათ და გაუთავებელიც მოელოდნენ ახალ გაზაფხულს, რათა ხელახლა ენადირათ, ახალ-ახალი სოფლები დაეწვათ, ისევე უამრავი სისხლი დაენთხიათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბეები დაეყენებინათ და თან ისევე წყევლა-კრულვა, ისევე ორდენები და ისევე ფული წამოეღოთ“ („არსენა მარაბდელი“).

კიდევ უფრო მკაცრია ტიციან ტაბიძის შეფასება. მას არ აკმაყოფილებს არც დაეჭვება და არც დაცინვა. ქართველი გენერლებისა და ოფიცერების საქციელი კავკასიის ომში მან ღალატად მონათლა.

„არ მინდა ვიყო მე პოეტი, სისხლით დამთვრალი  
და ამ ღამიდან დაწყებული დღე რაც კი გადის,  
მე ვწერ პოემას: რომ წარხოცოს თქვენი ღალატი...“

(9; 200-205)

#### ლიტერატურა:

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, 1983.
2. „ქართული მწიგნობრობა“, ტ. 2, 2010.
3. დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, 1955.
4. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 11, 1960.
5. გრ. ორბელიანი, „ერთტომეული“, 1959.
6. ი. მეუნარგია, „ერთტომეული“, 2011.
7. ზ. გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, 1989.
8. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“ ტ. 2, 1965.
9. აკ. ბაქრაძე, „თხზულებანი“, ტ. 3, 2004.
10. თ. ჩხენკელი, „მშვენიერი მძლევალი“, 1989.
11. ქართული სიტყვიერება, გრ. რობაქიძე, ტ. 10, 2012.
12. ნ. ბარათაშვილი, „რჩეული“, 1968.

#### რეზიუმე

„სახელწოდება „კავკასია“ პირველად მოხსენიებულია ძვ. წ. VI ს. ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“ და ესაა ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. ასეთი განმარტება აქვს ტერმინს „კავკასია“ ქართულ ენციკლოპედიაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტერმინი „კავკასია“ პირველად სწორედ მხატვრული ლიტერატურიდან მკვიდრდება. „იბერები უძველესი პროტოევროპული მოდემის წარმომადგენლები არიან, ერთ დროს მთელს მსოფლიოში განტოტილნი. ქართული და საერთო კავკასიური ცივილიზაცია ძველ იბერთა მსოფლიო ცივილიზაციის გაგრძელებაა... შემთხვევით როდი უწოდებენ კავკასიას ხალხთა ცივილიზაციის აკვანს, ხოლო ევროპულ კაცობრიობას -

კავკასიურ რასას" - წერდა ზვიად გამსახურდია, როცა განმარტავდა კავკასიის არსს და ადგილს მსოფლიო გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში.

## THE NORTH CAUCASUS IN GEORGIAN LITERATURE (GENERAL OVERVIEW)

Ana Imnadze, Invited Specialist

### RESUMÉ

The name "Caucasus" was first mentioned by the Greek playwright Aeschylus in one of his tragedies of "Prometheus Chained" in the VI century BC and this is the region between the Black, Azov and Caspian seas. Such is the definition of the term "Caucasus" in the Georgian Encyclopedia. It is considerable that the term was first derived and established in fiction. While determining the meaning and place of the Caucasus in the world's geopolitical and cultural space, Zviad Gamsakhurdia regarded the Georgian and Caucasian civilizations to be a continuation of the Iberian one, for what the European peoples are often called the Caucasian race. The paper discusses how the theme of the Caucasus was reflected in Georgian literature.

## მსგავსი პოეტური სახე ფრაზეოლოგიზმები დარიანულ ლირიკასა და ელენე დარიანის საარქივო მასალებში

*ზურაბ ოქროპირიძე, უფროსი მასწავლებელი*

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფილოლოგიური მეცნიერება წარმატებით იკვლევს გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურას, ჯერჯერობით მაინც შესასწავლი და გამოსაკვლევია რჩება მივიწყებულ მწერალ-მოდვანეთა ცხოვრება და შემოქმედება. ამ მხრივ მისასალმებელია პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ღვაწლი, რომელმაც შეიძლება ითქვას ახალი სიცოცხლე აჩუქა ერთადერთ „ცისფერყანწელ“ პოეტ ქალს, ელენე დარიანს (ბაქრადე-ბერიშვილი-ქართველიშვილი, 1897–1979 წ.). მკვლევარმა უცნობი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ ელენე დარიანი, პაოლოს ტრფიალი და მუზა, პოეზიის საკითხებში ღრმად ჩახედული უცნაური და ტრაგიკული ბედის უნიჭიერესი პოეტესა რეალური პიროვნებაა და იგია დარიანული ლექსების ავტორი. ელენე დარიანის არქივმა, რომელსაც მიაკვლია მეცნიერმა, შემოგვინახა მისი და პაოლოს ცეცხლოვანი სიყვარულის ისტორია, XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში საქართველოში მიმდინარე საინტერესო ლიტერატურული, სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ამსახველი მასალები, რომელნიც ახალი შტრიხებით ავსებენ იმდროინდელ ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ ყოფას.

ამჯერად გვსურს 1915–24 წლებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ელენე დარიანის ლექს-დღიურები, რომელთაც პაოლო იაშვილი კითხულობდა ლიტერატურულ სადამოებზე ფორმით, ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმებით, პოეტური სახეებითა და განცდებით შევადართო ერთმანეთს პოეტი ქალის არქივში შემორჩენილ ლექსებს, წერილებს, პაოლო იაშვილის შალვა დემეტრადისეულ გამოცემებს. ელენე დარიანის დღიურებში სიყვარული წარმოსახულია როგორც ამქვეყნიური არსებობის ყველაზე მაღალი, იდეალური გრძნობა. დარიანული ციკლის პირველი ლექსი „მახილი“ 1915 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „მეგობარი“ (№33). ლექსი ასეთივე სახითაა დაბეჭდილი შალვა დემეტრადის შედგენილ პაოლოს ნაწერების კრებულში (1959 წ.). მასში განსაკუთრებული განცდითაა გამოხატული სიყვარულის მარტოობის უსაზღვრო სევდა. ეს ის დროა, როდესაც ელენე უსიყვარულოდ გაათხოვეს გოგი ბერიშვილზე. „მახილი“ შეყვარებული ყმაწვილი ქალის სულის ამომახილია. ხანდახან დარდების განქარვებასაც ახერხებს პოეტი. ელენე დარიანის ლექსებში საპირისპირო განცდები მონაცვლეობენ. დარიანული ციკლის მომდევნო ლექსიც „ჩემი თავადი“ (დაიბეჭდა გაზეთის იმავე ნომერში) პაოლოსადმია მიძღვნილი. იგი გამოირჩევა საზეიმო განწყობილებით, „ცისფერყანწელებისთვის“ დამახასიათებელი ფერებით, კალმის ერთ მოსმამიც იგრძნობა ვნების ალი. ბუნებაც ხელს უწყობს შეყვარებულთა წადილს:

*„მახარებს, თავადო, სადამო ლამაზი  
ცა, ნაზი სადამო, ლხენას გვიქადის,  
გული ანთებულა საოცარ წადილით...“*

სიტყვა „თავადი“, „თავადი დარიანი“, „თეთრი თავადი“ ხშირად ფიგურირებს ელენე დარიანის ლექსებში. იგი პაოლოს მხატვრული სახეა. რატომღაც ლექსი „ჩემი თავადი“ პაოლოს კრებულის შემდგენელმა უსათაუროდ, გარკვეული ცვლილებებით დაბეჭდა. მაგალითად, მეორე სტროფის მესამე სტრიქონი „**მახარებს თავადო, სადამო ლამაზი**“ შეცვლილია ასე: „**მახარებს ლამაზო ეს მთვარე ლამაზი**“. ბოლო სტროფის მეორე სტრიქონი „**ჩემს სხეულს ბატონობს, ჩვენ ველზე ვხარობთ**“ ასე იკითხება: „**ითვრება ოცნებით, რომ ველზე ვხარობთ...**“ [1,135] და სხვა. ბედნიერების პათოსს ისევ მელანქოლია, ხანგრძლივი ლოდინის მიმე წუთები ცვლის. ლექსთან „მახილი“ მხატვრულ-შინაარსობრივად, ლექსიკურად, განცდათა სიმძაფრით ახლოს დგას ელენე დარიანის იმავე წელს შექმნილი „ცისფრად მორთული“ ლექსი „ზამთარში“ („მეგობარი“, 1915, №62). განჯაში მყოფი ელენე, ხშირად ვეღარ ხვდება პაოლოს, თუმც მისი წერილები, რომელნიც მსოფლიო სატრფიალო-ეპისტოლარული ჟანრის ნიმუშებს უტოლდება, დანაკლისს უვსებს:

*„...თეთრშემოსილი ვწევარ მე შენს ნაცნობ საწოლზე...  
ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს, ყვითელს, დახეულს  
მე თვითონ ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს, ჩემს დამწვარ სხეულს...“ („მახილი“)*  
*„...ცისფრად მორთული დაგიხვდები, გააღე კარი...  
შიშით გადავშლი ერთმანეთს რომ წერილებს ვწერდით  
და ჩემს არსებას ძველი ალი მოკვიდება...“ („ზამთარში“)*

ელენე დარიანს ნაზი ფერები უყვარს. პირველ ლექსში იგი „თეთრშემოსილი“ ელოდება გულის სწორს, შემდეგ კი – „ცისფრად მორთული“. ფერთა ასეთი საოცარი შენაცვლება ლირიკული გმირის სულის მოძრაობის მაჩვენებელია. ორიგინალურია პოეტური შედარებები და სახეები. ლექსი „ზამთარში“ პაოლო იაშვილის ნაწარმოებთა კრებულში მცირეოდენი ცვლილებებით დაიბეჭდა. მეოთხე სტრიქონი „**ვით პირველ დამეს, პირველ დამეს ჭაბუკი ქმარი...**“ იკითხება ასე: „**ვით პირველ კოცნის, პირველ კოცნის ჭაბუკი ქმარი...**“ [1,136] და სხვა.

პაოლოც ქუთაისში შფოთავს... იღვრება წერილებად და ლექსებად. ელენეს ატყობინებს დარიანული ლექსებით გამოწვეულ ქარიშხალზე: „ჩემო ელლი!.. ქუთაისში ელენე დარიანის ლექსებმა გამოიწვია აღშფოთების მთელი ქარიშხალი... ელლი, ჩემგან შორს მყოფო, მომწერე შენზე... მე შევიცვალე მისამართი (შენი წერილები აქამდე გადის ცენზურას) ქუთაისი, ბალახვანის ქ. ვ. გაფრინდაშვილი, პაოლოს. ველი შენგან ცნობებს და ალერსს ჩემო საყვარელო“... [„ლიტერატურული საქართველო“, 1997, #34-35] ამ მალული სიყვარულის გვირგვინია პაოლოს „სონეტი ელლის“. ბოლოსდაბოლოს გაირკვა ქართული პოეზიის შედეგის ადრესატის, ელენე დარიანის ვინაობა:

*„სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი ელლი,  
შენს სულს გადავცე... მაგონდება სოფელი შორი...  
იყავი ნაზი ისე, როგორც ტყის ნიაშორი...“ [1,75,1975].*

ფიქრობთ, ელენეს პოეტური სახე – „ტყის ნიაშორი“ უკავშირდება შემდეგში „ცისფერყანწელთა“ ჟურნალის „**მეოცნებე ნიაშორების**“ სახელწოდებას („ცისფერი ყანწებიც“ ხომ ელენეს დამეული პოეტური ხილვის აღმოჩენაა). ბუნებრივია ამ მიმართულებით კვლევა უნდა გაგრძელდეს. უპასუხო კითხვები პასუხს მოითხოვენ. მაგრამ არა მგონია ჭეშმარიტების დადგენას ხელს უწყობდეს ოპონენტთა პოზიცია: ისინი კვლავ უარყოფენ ელენე დარიანის არსებობას და ძველ თვალსაზრისს იმეორებენ – ელენე დარიანი პაოლო იაშვილის ლიტერატურული მისტიფიკაციის ნაყოფიაო ოდენ. 1922 წელს ელენე დარიანი ბერიშვილის (პირველი მეუღლის გვარი) გვართ გაზეთ „**ბახტრიონში**“ (№24) აქვეყნებს ლექსს „**თავად დარიანს**“. იგი არ შედის დარიანული ციკლის პაოლოსად მიჩნეულ თოთხმეტ ლექსში, მაგრამ მხატვრული სახეებით, განცდათა სიმძაფრით ვერ დავამორებთ მას. „**თავად დარიანს**“ გახსენებაა სიყვარულის ცეცხლისა, სიშმაგისა, „ცისფერი ვნებებისა“... შვიდი წლის წინანდელ აღტაცებას მიმე კაემანი ცვლის... იმედად კვლავ პაოლოს ძველი წერილები რჩებიან:

*„...ძვირფასო თავადო, წახვედი შორს ჩემგან,  
ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან,  
წვრიალა ზარების ხმაური დამჩემდა  
ძვირფასო, მოგელი, თავადო დარიან...“*

თუ ლექსში „**ჩემი თავადი**“ „ცა, ნაზი სადამო, ლხენას უქადის“ მიჯნურთ ახლა „მათი მზე წარსული, სილურჯე მთვარისა, ყოველი დაბრუნდა და არის სიმწარე...“ [11]

1923 წელს იწერება ლექსი „პაოლოს მოლოდინში“ (პირველად გამოაქვეყნა გიორგი ჯავახიშვილმა). ელენე ვედარ უძლებს მალულობას, კვლავ ელოდება პაოლოს, ენატრება „გაშვილებული“ ლექსები. მასში პოეტის შინაგანი დუდილი, ტკივილი და სევდა ჩანს, რომელიც უხილავ ძალად იღვრება სულში, სისხლს უფორიაქებს, გონებას ალუგზნებს, დედება და ტანჯვის პოეზიის ფერებად გარდაიქმნება:

*„...მაგრამ მომზეზრდა მალულობა, ფარული დარდი  
ბევრი ვეწამე (აღარა ვარ დღეს მინდობილი)...  
ჩემი ლექსები მოვიშორე და გავასხვისე,  
დიდი მოთმენა მოვიახლე და შევითვისე...“ [2,34]*

პაოლოც გრძნობს „ელლის“ გულისტკივილს და სხვა დროს ლექსითვე ამშვიდებს. მან იცის, რომ ლექსი მგოსნის სულიერი შვილია და მათ ხშირად ენატრებათ ერთმანეთი:

*„შენი ლექსები მე მაბარია  
როგორც ბავშვობის წმინდა კრებული  
მაგრამ მოწყენით ხშირად არიან  
შენი ალერსის დანატრებულნი...“ [2,32]*

ზემოთქმულიდან დასტურდება, რომ ლექსები საბოლოო რედაქტირებისთვის ეგზავნებოდა პაოლოს, იგი კითხულობდა სცენიდან, მისივე ინიციატივით დაიბეჭდა პირველი ლექსები „აღშფოთება რომ გამოიწვია ქუთაისში“. ისინი მათი სიყვარულის ნაყოფია, რასაც ადასტურებს ელენე ირაკლი აბაშიძისადმი გაგზავნილ წერილში: „...ირაკლი, ჩვენ ორივემ ფიზიკური მოვათავსეთ წერილებში და სულიერად, არაჩვეულებრივად ახლო ვიყავით ყველგან დამალულნი... გასაკვირი იყო ის მოვლენაც, რომ პაოლო ასეთ ეროტიულ ლექსებს განიცდიდა ისე, როგორც ისინი იწერებოდნენ ჩემს მიერ... ე.ი. არაეროტიულად, „წმინდა კრებულს“ უწოდებდა მათ...“ [5]. ელენე დარიანის არქივში დავანებულია 1922 წლით დათარიღებული უსათაურო ლექსი, სადაც პოეტურადაა გადმოცემული ელენესა და პაოლოს სიყვარულის ისტორია და ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს. ამიტომ ვრცელ ამონაწერს მოვიტანთ ამ ლექსიდან:

*„ცხენზე აზიდულ ჩვიდმეტ გაზაფხულს  
ზაფხულიც ერთხელ წამოეწია  
და ვიქტორიას სიყვარულს ნატრულს  
ვნება ვეფხვივით ჩამოეკიდა.  
იყო წერილთა დიდი კრებული  
(კრებულს ფურცლავდა ბევრი პოეტი),  
გაიხსნა ყანწში ფერად სონეტად.  
დარიანობით ვინ არ წვალობდა,  
(ან ვინ გაიგო იმის ამბავი)  
მის ყიყინაში ჩვენმა ჭაობმა  
ბევრი მონახა ასალაგმავი...“ [2,33]*

„ცხენზე აზიდული ჩვიდმეტი გაზაფხული“ და მას წამოწეული **ზაფხული** ელენე დარიანის ასაკი – 18 წელია. „**ვნება ვეფხვივით ჩამოეკიდა**“ – ელენესა და პაოლოს სიყვარულის მეტაფორული სახეა. საერთოდ, მეტაფორულია ეს ლექსი და მთლიანად ელენე დარიანის პოეზია, სემანტიკურად, აზრობრივ-ემოციურად დატვირთული. მათი წერილების კრებულს მართლაც ფურცლავდა ბევრი პოეტი – 1917 წელს ტიციანი გამოუტყდებდა ელენეს, რომ პაოლო უკითხავდა მას წერილებს და „**ტკბებოდნენ მათში გადმოცემული განცდების სიძლიერით**“ [2,55]. ვალერიან გაფრინდაშვილის ხელში გადიოდა მათი ბარათები, არც გალაკტიონისთვის ყოფილა უცხო... „**გაიხსნა ყანწში ფერად სონეტად**“ – საინტერესოა მისი გაშლაც: ელენე დარიანის მოგონებების მიხედვით საჩხერეში ზაფხულის (ეს ზაფხულია ნაგულისხმევი ლექსში) ერთ ღამეს სუფრასთან „**პაოლომ აავსო ყანწი და ასწია მაღლა. ცისფრად გამოეყო ჰაერში ღვინით ავსებული ყანწი... წყნარად წარმოვთქვი: „ცისფერი ყანწი“.** პაოლოც დააკვირდა და წამოიძახა: „ვერიკა, ელლი, ცისფერი ყანწი...“ [5,13]. პაოლოს დაარსებულ „**ცისფერ ყანწებში**“ (1916 წ. №2) „**გაიხსნა ელენეს ფერადი სონეტი**“. დარიანული ლექსების გამო მართლაც ბევრი წვალობდა – ეძებდნენ ავტორს რიგითი მოქალაქენიც და მწერალ-მწიგნობარნიც... მაგრამ ამაოდ. მცირედის გარდა ბევრმა „**ვერ გაიგო მისი ამბავი**“. დარიანობამ ბევრი ბედნიერი წუთი აჩუქა „ელლის“ და უბედურების წყაროდაც ექცა. წუხდა, ისეთად რომ არ იცნობდნენ, როგორც იყო. ტატოსავით მარტოსული თავის შინაგან წუთისოფელს თვითონ გრძნობდა. მისი შინაგანი ცხოვრება არ ემთხვეოდა მასის წარმოდგენას მის გარეგნულ ცხოვრებაზე და თვითშეგნებაში ღრმად ჩაფლულს, არ დავიწყებია რეალური სინამდვილე,



საკუთარი მე ამ სინამდვილეში. ამიტომ სთხოვდა მოგვიანებით ირაკლი აბაშიძეს: „...ვერ წარმოიდგენთ, ირაკლი, როგორი დიდი სურვილი მაქვს ეს იგრძნოთ ყველამ ისე, როგორც იყო...“ [5,21].

რაც შეეხება „ფერად სონეტს“, კვლავ ჩნდება პაოლოს პოეტური სახე – „თავადი“, ავტორი მწვავედ განიცდის „თეთრ თავადთან“ განშორებას. სიყვარულის უფლებას ითხოვს. შეახსენებს საზოგადოებას, რომ „მან მოიტანა ელვარება ფერადი ჰანგის: „...*ყველას გიყვარდათ, სიყვარული მეც დამანებეთ, მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის...*“ ეს სტრიქონი ზედმეტად აღარ მოგვეჩვენება, როცა ვალერიან გაფრინდაშვილის წერილს „სონეტის პრობლემა“ ვნახავთ: „...*პირველი კლასიკური სონეტი დაწერა ელენე დარიანმა ჩვენში...*“ [2,150] კონსტანტინე გამსახურდია წერს ელენეს „...*ველოდები შენს სონეტებს, მე ვფიქრობ, შენ ისეთი გამბედავი ხარ, დამფუძნებელი იქნები ქალური ლირიკისა...*“ [2,128]. პაოლო იაშვილის შემოქმედების 1959 წლის შალვა დემეტრაძისეულ გამოცემაში იგი გარკვეული ცვლილებებით დაიბეჭდა. სონეტის ბოლოსწინა სტრიქონი „თეთრი თავადის“ *დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე*“ ასეა შეცვლილი: „*სანატრელ მოყმის დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე...*“ [1,137]. 1917 წელს გაზეთში „რესპუბლიკა“ გამოქვეყნებულ წერილში პაოლო იაშვილი განიხილავს რა სხვადასხვა პოეტთა შემოქმედებას, საგანგებოდ ჩერდება ელენე დარიანის „ფერადი სონეტის“ მთავარ პოეტურ სახეზე – „თეთრ თავადზე“. თუ ელენე დარიანი იგივე პაოლო იაშვილია, რატომ გამოყოფს იგი ელენეს ცალკე პოეტად? ცხადია, დასაფასებელია ბატონი შალვა დემეტრაძის ღვაწლი, მაგრამ დიდი სიფრთხილით შეიძლება ვიკითხოთ: რატომ შეიცვალა ტექსტში პაოლოს მიერ მოწონებული „თეთრი თავადი“?

ჟურნალში „*ცისფერი ყანწები*“ (1916, №1) ქვეყნდება ქართული პოეზიის ერთ–ერთი შედეგრი „*პირამიდებში*“. პოეტი აქაც ინარჩუნებს ამაღლებულ განწყობას. „პირამიდებში“ ყურადღებას იქცევს უჩვეულო მისტიკური ხილვებით, განცდებით, პოეტური სახეებითა და ორიგინალური შედარებებით. იშვიათი ფერები ერთდროულად ავტორისეულ სიმბოლისტურ ხედვას და ლირიკული გმირის გრძნობა–ვენებათა გაძლიერებას ემსახურება. პოეტი ქალის მემუარებში ვკითხულობთ: „... სულს დაფავდა ძველი საუკუნე თავისი სოციალური ატრიბუტებით და იბადებოდა ახალი... მისტიკურად ვჭკვრეტდით ყოველ მოვლენას... მცხუნვარე დღეში მონაებრ სიოს მოჰქონდა შორეული სანახის მოჩვენებანი, სფინქსის საიდუმლოებანი, პირამიდების გახსნის გატაცება და ვინ იცის კიდევ რამდენი ბურუსში გახვეული წარმოსახვანი...“ [2,20]. ამ პატარა ნაწყვეტიდანაც კარგად ჩანს ის განწყობილება, რომელიც რუსულ–ევროპული სიმბოლიზმის გავლენით დაუფლებოდათ ახალი საუკუნის ქართული პოეზიის რეფორმატორებს. ნაწარმოები მცირეოდენი ცვლილებითაა დაბეჭდილი პაოლო იაშვილის ნაწერების ერთტომეულში. ლექსი „პირამიდებში“ ლექსიკური და მხატვრული სახეებით სიახლოვეს ამჟღავნებს პოეტი ქალის 1923 წელს დაწერილ ლექსთან „ხატაური“ (ინახება ელენე დარიანის არქივში, პირველად გამოაქვეყნა გიორგი ჯავახიშვილმა).

*„...ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში.*

*პირამიდებში ატირდება ლოდინით რაში,*

*ლურჯ სფინქსთან მივა, უცქერის დიდხანს და დაღონდება...“ („პირამიდებში“)*

*„ცხელი საღამო, ქვიშის სრბოლა, აურზაური...“*

*მისი სვლა ასე მომხიბლავი და უცნაური*

*მწუხრის საათზე სფინქსის სახე გააცხოველებს...“ [2,141] („ხატაური“)*

მსგავსი სტრიქონები მეორდება ცნობილი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილ ლექსში: „...*შორს მიდიოდი პირამიდებთან, სფინქსს შეჰყურებდი მვედრებლის მზერით...*“ [2,101].

ელენე დარიანის შემოქმედება პირდაპირ ან უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული თავისივე პოეტურ რეპერტუართან. ამ მხრივ საინტერესოა დარიანული ციკლის უსათაურო ლექსი ეპიგრაფით „*მაგიყებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი.*“

**ჩემიდან.**

„*ჩემიდან*“ ნიშნავს, რომ იგი აღებულია ელენე დარიანის პირველი ლექსიდან „ძახილი“. ამ ლექსში ყველაზე მეტია ეროტიზმი. უნდა ითქვას, რომ ელენე დარიანის აღნიშნული ლექსის პირვანდელი პუბლიკაცია („*ცისფერი ყანწები*“ 1916, №1) განსხვავებულია პაოლო იაშვილის კრებულში დაბეჭდილი ლექსისგან. „*ცისფერ ყანწებში*“ დაბეჭდილ ვარიანტში (მოგვაქვს პირველი ორი სტროფი) სტრიქონთა ბოლო კიდურები ტირეთია გამოყოფილი და ასე გამოიყურება:

*„უკანასკნელი მოვიხსენი ტ–ანსაფარავი*

*დადუმებულ მხრებს ელანდება მეხება–ნელი,*

*სავნებო გზაზე სიბნელეა, არ სჩ–ანს არავინ,*

*სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკ–ნელი.*

*დამეძინება... გათავდება ზანტი ზ-მორება  
და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელ-უხლები;  
ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამ-ბორება  
და ვნებისაგან იღუნება ჩემი მ-უხლები...“*

მესამე სტრიქონი პაოლოს კრებულში ასე იკითხება: „მორეულ გზაზე სიბნელეა არ სჩანს არავინ“ [1,139]. მეექვსე ტაეპში „ჩემი მკერდი“ შეცვლილია „ბროლის მკერდით“. მერვე სტრიქონში სიტყვა „ვნებისაგან“ ჩანაცვლებულია სიტყვა „მდეღვარებით“ და სხვა. საგრძნობლადაა შეცვლილი უკანასკნელი სტროფიც. შალვა დემეტრაძეს ეპიგრაფიც მოუხსნია, რაც ვფიქრობთ გარკვეული ექვის საფუძველს ბადებს. **თუ ლექსის ავტორად გამომცემელს პაოლო მიაჩნია, რატომ აუქმებს მისეულ ეპიგრაფს?** არ ენდობა დიდი „ცისფერყანწელის“ პოეტურ გემოვნებას? საინტერესოა, რომ ელენე დარიანის არქივში დაცულია ამ ლექსის ხელნაწერი, რომელსაც განსხვავებული ეპიგრაფი აქვს და უფრო ახლოა პირველ ვარიანტთან.

*„ვიგრძენი სითბო და მაცნობე შენი ამბავი –  
ბ. წერილიდან“ (პაოლოს წერილიდან)  
„აი მოვიხსენ ტანზე საფარი!  
გადახსნილ მხრებსაც მოენატრა შეხება შენი,  
ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ ჩანს არავინ,  
ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი.  
ჩამეძინება... სიზმრებია ზანტი და მდორე  
დამიწყნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები,  
ძილში ვიღაცა დამაკვდება, მუამბორება,  
ვნების სურვილით მელუნება მწარედ მუხლები...“ [2,89].*

ამკარაა, ლექსის ჟურნალისეულ ვერსიას პაოლოს რედაქტირების ხელი ატყვია.

რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის მსგავსად ქართველი „ცისფერყანწელებიც“ ცდილობდნენ გაეძლიერებინათ ლექსის მუსიკალურ-მელოდიური მხარე, გაეფერადებინათ მისი ლექსიკური ქსოვილი. ელენე დარიანის ლექსებში ფერები სიმბოლურ მინიშნებებსაც გამოხატავს და ლირიკული გმირის შინაგან განცდა-განწყობილებასაც. ასეთია ლექსი „მე და კატა“ („ცისფერი ყანწები, 1916 წ. №2). „ცისფერი ოთახი“, „წითელი ფარჩები“, „სიჩუმის სტუმრობა“ უწინდელ ვნებებსა და ზმანებებს აღძრავს პოეტში. გამომცემელს ეს ლექსიც უსათაუროდ დაუბეჭდია „ცისფერყანწელთა“ ლიდერის ნაწარმოებთა კრებულში. ლექსში „ყოველთვის მაისში“ (გამოქვეყნდა ჟურნალის იმავე ნომერში) პოეტის სევდას იმედით აღსავსე ქალური განცდები ენაცვლება. სიყვარული ბედნიერებას ანიჭებს, წმენდს ადამიანს. თეთრი ფერები, ძვირფასი, ფერადი ქვები ლირიკული გმირის ამაღლებულ სიყვარულზე მიგვითითებს. ლექსში აღწერილი ინტიმური განცდები ზომიერია, ბედნიერება ზეციდან დაბლაა ჩამოყვანილი. ერთი რამ აუცილებლად აღსანიშნავია: დარიანული ეროტიკა არაა ლტოლვა სქესობრივი თავაშვებულობისა. იგი უპირველესად შემოფარგლულია ცოლ-ქმრული ურთიერთობებით „...**კოცნით გამთბარი, სიხარულში გავიწმინდები, იღვიძებს ქმარი, რომ ჩამაცვას თეთრი წინდები...**“ ლექსი გარკვეული ცვლილებებითაა დაბეჭდილი პაოლო იაშვილის წიგნში. მესამე სტრიქონი „...**როგორც წმინდანს მე დაგკოცნი მას**“ შეცვლილია ასე: „**როგორც წმინდანი გადაგკოცნი მას**“. ლექსის დასაწყისი „ავსწიე მალა“ შეცვლილია „ავწიეთი“. ბოლო სტრიქონი „**და ჩემი ტანი სიყვარულში დაითენთება**“ ასე იკითხება: „**და ჩემი ტანი მზის აღმურში დაითენთება...**“ [1,141].

1922 წელს იწერება ლექსი „ცისფერი ქოლგა“ („**მეოცნებე ნიამორები**“, №7). იგი მცირედენი ცვლილებით იბეჭდება პაოლოს ლექსთა კრებულში [1,143]. ლექსის მეოთხე სტრიქონი „**რომ პეკლაობა დაიწყეს კიდეც**“ შეცვლილია სიტყვებით: „**რომ კვერცხის დება დაიწყეს კიდეც**.“ უფრო გვიანდელ, 1975 წლის გამოცემაში კვლავ პირველი ვარიანტია აღდგენილი [1,131,1975]. ლექსის დაწერის ადგილად ჟურნალშიც და წიგნშიც მითითებულია სოფელი ავლევი. განსხვავებულად იკითხება ელენე დარიანის არქივში დაცული ამავე ლექსის ხელნაწერი ვარიანტი:

*„მინდა გიამბო სოფლის ამბავი  
და შენ დაჰკოცნი ამ ტუჩებს კიდეც,  
ცას აზიდულან ჩვენი ვერხვები  
მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ.  
შემომეჩვივნენ ჩუმად გვრიტები  
ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანავარდობენ  
მათი ჟღმურტულით ნაიმედები*

*აღარ მაწუხებს მძიმე დარდები  
ვკითხულობ ვერლენს, ვკითხულობ პოეს,  
შენგან მოველი წიგნს დანაპირებს  
ზურგზე ხელს ვუსვამ პატარა ხბობს  
შემდეგ წყაროზედ ვიხეხავ თითებს,  
ვაზს შეუჯდები და მტევანს ვკვიკნი,  
ტყეში დავდივარ, დავეძებ სოკოს,  
ხან მაჭარს დავლევე ხის თლილი ჭიქით  
და ვეზიდები ყურძნიან გოდორს” [2,93].*

*სოფ. მერეთი*

ამ შემთხვევაში ლექსის შექმნის ადგილი სოფელი მერეთია. ცალკეული სიტყვების გარდა ჟურნალში გამოქვეყნებულ ლექსში მთელი სტრიქონებია შეცვლილი. მეორე და მესამე სტროფი ასეთი სხვაობით იკითხება „მეოცნებე ნიამორებსა“ და პაოლო იაშვილის წიგნში:

*„შემომეჩვივნენ ჩუმი მტრედები,  
თმებს მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით,  
ამ სიყვარულით ნაიმედები  
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით  
(წიგნში „ვიმშვიდების“ ნაცვლად არის „ვიმშვენები“. ზ. ი.)  
ვკითხულობ ვაჟას, ვკითხულობ პოეს,  
ვნატრობ სუსხიან მწარე ამინდებს,  
ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბობს  
და საღამოზე ვიფერავ თითებს...“*

ხელნაწერის მეოთხე სტროფის დასაწყისი „ვაზს შევუჯდები და მტევანს ვკვიკნი“ ჟურნალში ორიგინალურ შედარებადაა ქცეული: „ვწოვ ყურძენს, როგორც მკვიანა ბზიკი...“ ბოლო სტრიქონი „და ვეზიდები ყურძნიან გოდორს“ უფრო ინტიმურია: „ხან ვგაგარ სოფლის მკერდავსე გოგოს.“ განსხვავებულია უკანასკნელი სტროფიც. გამოქვეყნებულ ვარიანტში იმედიანი განწყობილებაა. ქალური, თავშეკავებული ინტიმის ფონზე ლექსის ლირიკული გმირი იშვიათი პოეტური სახეებით, ფერთა საოცარი შეხამებით გვიხატავს შემოდგომას სოფლად. სიმბოლისტებს ლექსში ფორმა იტაცებდათ, თუმცა აღნიშნულ ლექსში (და საერთოდ) ელენე დარიანს აზრობრივ მხარესაც არ ტოვებს უყურადღებოდ. მან ღრმად იგრძნო და განიცადა სოფელი. იმერეთისა თუ შიდა ქართლის სოფლების თვალწარმტაცი პეიზაჟები ელენე დარიანს პოეტური შთაგონების წყაროდ ექცა. „ცისფერი ქოლგის“ (ხელნაწერის) გარდა მერეთში პოეტი ქალის სხვა ლექსებიცაა შექმნილი. ამჟამად ოკუპირებული სოფლის-ერედვისადმი მიძღვნილ მოგონებებში, მოთხრობებში, ნოველებში სოფლური ყოფის იშვიათი სურათებია აღწერილი. უნდა ითქვას, რომ რითმით და მხატვრული დახვეწილობით „მეოცნებე ნიამორებში“ დაბეჭდილი ვერსია უკეთ გამოიყურება. პაოლოს ხელი ალბათ ამ ლექსსაც ატყვია, თუმცა ხელნაწერის ზოგი ადგილი პოეტური კუთხით უკეთ გამოიყურება (მაგალითად პირველი სტროფი).

კვლავ „მეოცნებე ნიამორებში“ (1922წ. №8) იბეჭდება დარიანული ლირიკის შედეგრი „წერილი ანა ახმატოვას“. ელენე დარიანის თანამედროვეთა გადმოცემით იგი პირადად გასცნობია რუს პოეტესსას. მის ლექსებსაც თარგმნიდა. ამკარა ლექსიკური მსგავსებაა ამ ლექსსა და გაზეთ „ბახტრიონში“ გამოქვეყნებულ ლექსს „თავად დარიანს“ შორის:

*„მე ცოტა მიცნობენ, ვარ რომ სხვანაირი...“ („თავად დარიანს“)*

*„მე ცოტა მიცნობს, სხვანაირი მეწვია ბედი“ („წერილი ანა ახმატოვას“)*

უკანასკნელ ლექსს უფრო მეტი აქვს საერთო 1957 წელს მარიჯანისადმი მიძღვნილ ლექსთან „წერილი მარიჯანს“. რეალური, სამოცს მიღწეული ელენე ქართველიშვილი (მეორე მეუღლის გვარი) 34 წლის შემდეგაც დაესესება ცისფეროცნებიან ციურ ლეგენდას ელენე დარიანს პოეტური სახე-ფრაზეოლოგიზმებით:

*„მე ცოტა მიცნობს, სხვანაირი მეწვია ბედი“ („წერილი ანა ახმატოვას“)*

*„მე სხვანაირი მეწვია ბედი“ („წერილი მარიჯანს“)*

*„შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი და ოქროს გედი“ („წერილი ანა ახმატოვას“)*

*„შენთვის საჩუქრად არ მაქვს დაირი*

*არც ოქროს გედი მომიწვევია...“ („წერილი მარიჯანს“)*

პოეტი „დაირს და ოქროს გედს“ ანა ახმატოვას „ჩუქნის“. მკითხველმა საზოგადოებამ შეიძლება არ იცის, რომ მარიჯანის 1922 წელს შექმნილი ლექსი „განჯა“ [4,65]. სწორედ ელენე დარიანს ეძღვნება.

სულისშემძვრელია ელენე დარიანის მარიჯანისადმი მიძღვნილი ლექსის უკანასკნელი სტროფი. ლექსი წარწერილია მარიჯანისაგან ნაჩუქარი წიგნის გარეკანზე:

*„... დღეს ჩვენი ხალხი გვამკობს გვირგვინით  
წელთა გუგუნნი შუბლზე განათებს,  
იყავ დღეგრძელი, ჩემს გულისტკივილს  
სულ სხვა თაობა გაასამართლებს“ [2,57].*

ელენე დარიანის არქივმა შემოინახა ცნობილი ლექსის „დარიანული“ ასეთი ვარიანტი:

*„დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით<sup>15</sup>  
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელი პირის მოკარებით,<sup>16</sup>  
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით<sup>15</sup>  
ცრემლი ბლომად დამედვარა ერთი ღამის ნეტარებით.<sup>16</sup>  
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით<sup>15</sup>  
ჩემს დამტანჯველს ღმერთი დასჯის ქაჯათ გადაგვარებით.“<sup>16</sup> [2,95–96]*

ლექსს ბოლოს ასეთი მინაწერი აქვს:

*„შენ კი გული დაგელალა ამდენის შედარებით  
(ნუ მომიწყენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები)  
ჩემი გრძნობით უწინდებურს ველარ შევედარები  
აზრის წმინდა სამფლობელომ დამიკეტა კარები.“*

ხელნაწერ ლექსში თხუთმეტმარცვლოვან ტაეპს თექვსმეტმარცვლოვანი ცვლის. ორიგინალური სალექსო ფორმითაა დაბეჭდილი იგი 1923 წლის ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ (№10) და პაოლო იაშვილის ნაწერთა კრებულში. აქ თითო ტაეპი ორ, სამ, ოთხ მარცვლიან ტერფებადაა გაშლილი. პირველი, მეორე და მესამე სტრიქონის (იგი სამჯერ მეორდება) პირველი სიტყვა „დამელალა“ შეცვლილია „დაიტანჯა“–თი. მეოთხე სტრიქონი მეორე ადგილს იკავებს (მეორე–მეოთხეს) და ასე გამოიყურება:

*„ბევრი ცრემლი  
დამეხარჯა  
ერთი ღამის  
ნეტარებით...“*

რაც შეეხება ლექსის მინაწერს, ვიგებთ, რომ ელენე დარიანი ასრულებს დარიანობას, რადგან „გრძნობით უწინდებურს ველარ შევედარება.“ ჩვენის აზრით მიმართვის: *„ნუ მომიწყენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები“* ადრესატი პაოლოა. იგი სთხოვს კიდევ ერთხელ დარიანულად (ორივენი ხომ დარიანები იყვნენ) „გადაჰკრას ხელი“ ლექსს. ლექსით „პარიზისაკენ“ (ჟურნალი „კავკასიონი“, 1924წ. №3–4) ელენე დარიანი ოფიციალურად ეთხოვება დარიანობას:

*„მაშინ დავცინებ მე ჩემს საროს ტანს,  
უკვე დაქანცულს ვნების წვალებით  
მე ველარ მივალ სოფლის წყაროსთან  
და ვერც თამაშით დავიღალეები...“ [2,97].*

„დარიანულის“ მინაწერსაც და ლექსს „პარიზისაკენ“ ეხმიანება პოეტი ქალის არქივში დაცული იმავე 1923 წელს შექმნილი ლექსი „პაოლოს მოლოდინში“. ელენე დაიღალა წამებით, „მობეზრდა მალულობა, ფარული დარდი...“ იგი ელენე ქართველიშვილად აგრძელებს ყოფას. დარიანის სახელს და პაოლოს სიყვარულს ღრმად იმარხავს გულში. თუმცა, ათეული წლების შემდეგაც არაერთ უმშვენიერეს ლექსს მიუძღვნის პირველ სიყვარულს.

ელენე დარიანის გამოქვეყნებულსა თუ გამოუქვეყნებელ ლექსებში, წერილებში კიდევ უამრავი პარალელი გვხვდება, რომელთაც შესწავლა–გაანალიზება სჭირდება. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ვერ შევაჩერებთ სიმართლეს. იგი ადრე თუ გვიან გაცხადდება. პოეტი ქალის წინასწარმეტყველური თქმით *„დადგება დრო და ჩემს გულისტკივილს სულ სხვა თაობა გაასამართლებს“*. ბატონმა გიორგი ჯავახიშვილმა პირველმა გატეხა ყამირი ერთადერთი „ცისფერყანწელი“ პოეტი ქალის მკვდრეთიდან აღდგომაში. ასეთ მეცნიერს, რომლის კვლევის დიდი ნაწილი მივიწყებულ მწერალ–მოღვაწეებს ეძღვნება, თანადგომა სჭირდება. ელენე დარიანის ლეგენდის საიდუმლოს გახსნა საშური საქმეა და ეს მოკრძალებული წერილიც ამ მიზანს ემსახურება.

#### ლიტერატურა:

1. პ. იაშვილი, პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები, შემდგენელი შ. დემეტრაძე, თბ., 1959; 1975;
2. გ. ჯავახიშვილი, „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“, 2001;

3. ზ. ლომჯარია, „ელენე დარიანი“ (პაოლო იაშვილი), ლექსები, 2000;
4. მარიჯანი (მარიამ ალექსიძე), ლექსები, თბ., 1956;
5. გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი (პატარძელი), ელენე დარიანის არქივი;
6. „ლიტერატურული პალიტრა“, №12, 2007;
7. „ცისფერი ყანწები“, №1,2, 1916;
8. „მეოცნებე ნიამორები“, №7,8, 1922; №10, 1923;
9. „კავკასიონი“, №3-4, 1924;
10. „მეგობარი“, №33-62, 1915;
11. „ბახტიონი“, №24, 1922;

## რეზიუმე

გასული საუკუნის მიწურულს პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა ახალი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ პოეტი ქალი ელენე დარიანი (ბაქრადე-ბერიშვილი-ქართველიშვილი) რეალური პიროვნებაა და იგია დარიანული ლექსების ავტორი (მანამდე იგი პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიაჩნდათ). ელენე დარიანსა და პაოლოს დიდი სიყვარული აკავშირებდათ. ამ სიყვარულის ნაყოფია ე.წ. დარიანული ლირიკა, სადაც მაღალმხატვრულადაა გადმოცემული ინტიმური განცდები. ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ დღემდე პაოლოსად მიჩნეულ თოთხმეტ ლექსსა და ელენე დარიანის არქივში შემორჩენილ თუ პრესაში დაბეჭდილ პოეტურ ქმნილებებს შორის დაგვეჩვენა საერთო პარალელები, მსგავსი ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმები, მხატვრული სახეები... მიგვაჩნია, რომ მსგავსება იმდენად დიდია ელენე დარიანის ავტორობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუმცა, საკვლევი კვლავ ბევრია და იგი მკვლევართა სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

## SAME POETIC TYPE-IDIOMS IN DARIANULI LYRIC AND IN THE ARCHIVE MATERIALS OF ELENE DARIANI Zurab Okropiridze, the Chief Teacher RESUME

At the end of the last century professor Giorgi Javakhishvili concluded on the base of studying of the new archive materials that poetess Elene Dariani (Bakradze-Berishvili-Kartvelishvili) is a real person and she is an author of the Darianuli poetries (before it was considered as the pseudonym of Paolo Iashvili). Elene Dariani and Paolo connected great love to each other. The fruit of this love is so called Darianuli lyric, where intimate feelings are expressed with highly artistic. In the work we tried to see common parallels, same vocabulary-idioms, feature types... between in the fourteen poetries considered as belong of Paolo and the poetical creations remained in the Elene Dariani's archive or published in the press. We think that the similarity is so great that Elene Dariani's authorship should not be caused the doubt. But researching is still a lot and it needs serious approach of researchers.

## გალაკტიონის მერი (მითი და რეალობა)

*თამარ სიღამონიძე, მოწვეული სპეციალისტი*

გალაკტიონის ლექსები ფერწერულია. ფერის სხვადასხვა ნიუანსს, განწყობიდან გამომდინარე, პოეტი სხვადასხვაგვარად აღიქვამს. უმდიდრესია მისი ფერების პალიტრაც:  
„ლურჯი, ლურჯი დღე არის, განშორების დღე არის, მე არ ველი უარესს...“  
„აქ მრავალია ცისფერი ფერი! ეს ფერი მარად თვალს ეყვარება...“  
„სადამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი.“  
„მოჰყენია ფერი ლილის არემარეს ამ წყაროთა...“

„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? ეს ჩემი სამშობლოს ფერია.“

„ალისფრად თრთიან ღრუბლები...“

„თეთრი კუბო კავკასიონის...“

„ივლისისფერი ყინვა...“ „ლურჯი მოგონება...“

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს...“

„ისფერი თოვლი...“

„ვის არის ეს ქალი ასეთი ცისფერი?“ – გაოგნებული კითხულობს პოეტი და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ქალის მშვენებაც ამ ფერთან ასოცირდება მის ლირიკაში.

გალაკტიონი, ბარათაშვილის მსგავსად, მარად ეტრფის ცათა საუფლოს ფერებს (გავიხსენოთ: „ლურჯა ცხენები“, „ლურჯ ფანჯრებს იქით“, „ლურჯი იალქნები“...). პოეტებისთვის ეს ფერი სათაყვანებელია და თითქოს აღარც გვიკვირს, როდესაც პოეტების მეფე მიწიერი არსების სიმშვენიერეს სწორედ ამ ზეციურ ფერთან აკავშირებს.

ეს ყოველივე განსაკუთრებით თვალშისაცემია გალაკტიონის ლირიკაში. მისი შორეული იდეალი, რომანტიკული ხატი და ზოგადი იდეალი ქალისა – მერია, რომელიც წარმოიშვა კონკრეტული პირის, მერი შერვაშიძის არსებობაზე დაყრდნობით, თუმცა ზაზა შათირიშვილი წერს:

„რაც შეეხება მერის, იგი წარმოადგენს ობიექტს, რომელთანაც ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ მაქსიმალური სიშორის სიტუაციაში. ერთადერთი რელაცია ხორციელდება მხოლოდ მე–სთან, რომელიც იკითხება არა როგორც შიფტერი, არამედ როგორც საკუთარი სახელი საკუთარ სახელში – მერი“ /შათირიშვილი ზ., გალაკტიონი, ჟ. „აფრა“, 1998, №3, გვ.55/.

მკვლევარი მერის განიხილავს როგორც ავტორის თავისებურ ორეულს, ორიგინალურ „სარკისებურ ინვერსიას“. სარკისებური ინვერსია გულისხმობს „ტირესიას კომპლექსსაც“, ესე იგი არა მხოლოდ დაბრმავებას, არამედ სქესის შეცვლას. ამ აზრით „ლინორა, მერი, ვერონიკა და სხვა წარმოადგენს ორეულების უსასრულო სერიას, რომელიც ჩნდება მე–სა და ჩემ–ს შორის გაჩენილ წყვეტილში“ /იქვე/.

მის უფრო ადრეულ ჩანაწერებშიც მოხსენიებულია ბაირონის სახელი: “წამიკითხავს ბავშვობაში ა. ს. გრიბოედოვის ყველა ნაწერები. რვეულებში ვხატავდი მის პორტრეტს. მახარობლიძეს მოსწონდა. რა იყო? ბავშვის ნახატებში გრიბოედოვი, ბაირონი, წმ. ნინო, დარვინი“.

ინესა მერაბიშვილი გალაკტიონის 1910 წლით დათარიღებულ ლექსს „ჩემო მადონნავ!“ უკავშირებს ბაირონის ლექსს „სწუხს სული ჩემი“ და ინგლისელი პოეტის პირველივე სტრიქონების ალუზიად მიიჩნევს. ასევე ავლებს პარალელს ბაირონის ლექსთან „ლესბი“:

გალაკტიონი:

მაგრამ ეს გწამდეს,  
ვინც უნდ გხატავდეს,  
ჩემდენ სიყვარულს  
ვერ იგრძნობს აღძრულს...

ბაირონი:

მაგრამ, იცოდე, ვინც გიერთგულებს,  
ვერ შეგიყვარებს შენ ჩემზე მეტად.

გალაკტიონი ბაირონს რუსულ თარგმანში ეცნობოდა, რადგან მას არ შეეძლო მისი დედანში წაკითხვა.

დღეს გალაკტიონის პოეზიის მკვლევარნი უკვე ნაკლებად დავობენ იმაზე, რომ 1919 წელს დასტამბული კრებული „არტიტული ყვავილები თავის ქალაში“ სწორედ ბაირონთან შეხმიანებაა. ინგლისელი პოეტის მამულში მეზადემ იპოვა კათოლიკე ბერის თავის ქალა. პოეტმა მას ლექსი უძღვნა „წარწერა თავის ქალისგან დამზადებულ სასმისზე“ და მისგან სასმისიც დაამზადებინა.

1948 წლის 19 აპრილს (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 19 აპრილი ბაირონის გარდაცვალების დღეა) მაგიდის კალენდრის ფურცელზე გალაკტიონი აკეთებს ასეთ ჩანაწერს:

„ბაირონის გივი გაჩეჩილადის თარგმანები ინგლისურიდან ქართულად წაკითხულ იქნა რადიოში. მთლად ჩემი რიტმითაა და ჩემი წყალობით. ლეონიძეს სემინარიაში ენახა ჩემი წარწერით ბაირონის წიგნი „საქართველოში შენ ერთი მაინც“ (გ. ტაბიძე, ტ. XII, გვ. 314).

შედარებისთვის:

ბაირონი: „ნეტავ უზრუნველ ბავშვად მაქცია“:

„ვინც მე მიყვარდა, ვისაც ძმად ვთვლიდი,  
ყველა წავიდა, ყველა გაფრინდა.  
მე მარტო ვდგავარ ქარგადავლილი –  
იმედიც, ალბათ, მიტომ წამიხდა!“  
(თარგმანი ი. მერაბიშვილისა)

გალაკტიონის ლექსიდან „სად“:

„მარტოდმარტო ვარ... ვისაც ოცნება  
ედემის ციურ ხატებად სთვლიდა,  
ვისაც სიყრმითვე მე თაყვანს ვცემდი,  
ყველა მომცილდა, ყველა წავიდა.“

გალაკტიონის თანამედროვეთ იგი „ქართველ ბაირონად“ წარმოედგინათ. რაც არ იყო შემთხვევითი. პარალელური მოტივების არსებობა, სამყაროს სევდიანი ჭვრეტა, რომანტიკულობა, რევოლუციური სული, სიყვარულში ცამდე ამალღება, თავისუფლებისაკენ სწრაფვა, პოეზიის მწვერვალების დაპყრობა... – აი რამდენი რამ ჰქონდათ საერთო...

„ყველა ერის შემთხვევაში ბუნებრივ მდგომარეობასთან მახლობელი ენა, როგორც ამბობენ, არის პოეზია. მე არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ასეა“, – წერს ბაირონი 1816 წელს ლედი ბაირონისადმი მიწერილ წერილში (მერაბიშვილი ი. 2002: 170).

მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა ინგლისელი პოეტის „ებრაულ მელოდიებს“, რომელიც 23 ლექსისაგან შედგებოდა (1815 წელს გამოაქვეყნა წიგნის სახით), უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ „ლექსების შინაარსმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აქ საოცრად იყო შეზავებული ღვთიური და ამალღებული ყოველივე ამქვეყნიურსა და ადამიანურთან, მიწიერი – დემონურთან... სწორედ დემონურია ხელოვნება, რომელსაც შესწევს ადამიანთა მოჯადოება. „ებრაული მელოდიების“ სახელწოდებით გაერთიანებულ ლექსთა დიდი უმრავლესობის საფუძვლად უმთავრესად ძველი აღთქმის წიგნებია მოხმობილი, მართალია ისინი, ბიბლიურ თემაზეა შექმნილი, მაგრამ მათში პოეტის პირადი განცდა და დიდი მწუხარებაც იკითხება“ (ხოჯევანიშვილი ე., ბოლაშვილი მ., ალუზია ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის ორიგინალსა და ქართულ თარგმანებში, ჟ. „ენა და კულტურა“, 2010, №4, გვ. 150).

გალაკტიონს კარგად მოეხსენებოდა ბაირონის ტრფობის ისტორია მერი ჩავორსისადმი, რომელმაც სიყვარულით არ უპასუხა მასზე უმცროს ყმაწვილს. იგი ცოლად მისთხოვდა მეზობელ მემამულეს, რამაც ბაირონი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. მან მხოლოდ ათი წლის თავზე დაიწერა ჯვარი ანაბელა მილბენკზე. გავიდა დრო და გულწრფელი სიყვარულის უგულვებელყოფა საბედისწერო აღმოჩნდა მერისთვის. კანონიერ მეუღლეში მან ვერ ჰპოვა მეგობარი. ბაირონსაც არ ღირსებია პირად ცხოვრებაში ბედი. მეუღლესთან განქორწინების შემდეგ, ბაირონი ქმნის „სიზმარს“, რომელშიც აღწერილია მათი სიყვარულის ტრაგიკული ამბავი: „ერთი შეშლილობაში აღესრულება, ხოლო ორივეს უბედობა ხვდება წილად“. მართლაც, ასე მოხდა სინამდვილეში – მერი ჩავორსი სულიერად დაავადდა.

ამ ლექსის გამომახილად უნდა ჩავთვალოთ გალაკტიონის „მერი“, რომელშიც არანაკლებ სევდიანი ამბავია დაობლებული სულისა:

„... ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:  
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა...  
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა“.

ლექსმა გალაკტიონის პოეზიის მკვლევარებში სხვადასხვა მოსაზრებები წარმოშვა:

1. ეს არის პოეტის სევდა მერი შერვაშიძისადმი ტრფობის გამო (იოსებ ლორთქიფანიძე);
2. პოეტის სევდა მერი შერვაშიძისადმი და განზოგადებული საერთოდ ქალის სიყვარულის ნიჭთან (მიხეილ კვესელავა);
3. ქალის სიყვარულის განზოგადებული სახე, რომელიც აერთიანებს გალაკტიონ ტაბიძის რეალურ ტრფობის ობიექტებს (აკაკი ვასაძე);
4. არტიტული განცდა მარადიული ტრფობისა, რომელსაც ბაირონის პოეზია ადგა გვირგვინად (ინესა მერაბიშვილი);
5. უმწიკვლო, ჰაეროვანი მუზის, იდეალური ქალის განზოგადებული რომანტიკული გაგება (გიორგი ჩიქობავა).

უმშვენიერესია გალაკტიონის ლექსი „მერის თვალებით“, რომელშიც პოეტი დაკარგული სიყვარულის ტრუბადური და მთელ მსოფლიოზე გაბოროტებული მგოსანია:

„...ოჰ, მომეცალეთ, კმარა! მხოლოდ სიკვდილი მინდა,  
არც პოეზია მატკობს, არც მეგობრობა წმინდა.  
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე  
არე მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.  
ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა –  
მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა!“

უთუოდ ყურადსაღებია სერგი ჭილაიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ გალაკტიონის „მერი“ პოეტის წარმოსახვის შედეგია და რომ პოეტმა იწინასწარმეტყველა მერი შერვაშიძისადმი ტრფობის უიღბლო დასასრული, რადგან იცოდა, მერის მას არავინ მიათხოვებდა (ჭილაია ს., ლეგენდად დარჩეს, გაზ. „კომუნისტი“, 1983, 11 სექტემბერი).

პოეტის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ:

„ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების, შერვაშიძეთა გვარიდან – ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის, დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელის“ (ტაბიძე გ., ტ XII, გვ. 276).

პიროვნული ხიბლის გარდა, მერის გალაკტიონის ყურადღება იმ ფაქტის გამოც უნდა მიეპყრო, რომ შერვაშიძეების გვარი გალაკტიონის წინაპართა გვარია. იმასაც ამბობენ, რომ პოეტი და მერი შერვაშიძე ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ასაკითაც დაახლოებით თანატოლები უნდა ყოფილიყვნენ.

თუმცა პოეტების მეფემ შერვაშიძეს მხოლოდ ეს ლექსი არ უძღვნა. 1935 წელს პარიზში ყოფნისას გ. ტაბიძეს თვალი მოუკრავს ლუვრის პარკში მჯდომ მერი შერვაშიძისთვის, რომელიც კიდევ უფრო მშვენიერი მოსჩვენებია პოეტს. ამას საბაზი მიუცია მისთვის დაეწერა ლექსი, რომელიც პარიზულ დღიურებშია შესული:

„შენ მაინც ვერსად გიპოვე, მერი!  
ო, გული მტკივა, გული სხვა გრძნობის,  
არსად არ გნიშნავს ჩემს წინ ცბიერი  
რელიეფური რუკა ევროპის!  
სადა ხარ, სადა? რომელი მიწა  
შენ აირჩიე ჩვენის მაგიერ?–  
ბადენ–ბადენი, ლონდონი, ნიცცა,  
თუ (მოგონებავ, გვერდს ვერ აგიარ).“

მერის ხსენება აღნიშნული ორი ლექსით არ შემოიფარგლება. „მერის“ სახელი გვხვდება სხვა ლექსებშიც: „არ დაბრუნდება“, „გზაში“, „ო, დღეს შემოდგომა“, „შენ ზღვის პირად“...

აკაკი ხინთიბიძე წერდა: „1915 წლიდან მოკიდებული, როცა ამ რკალის პირველი ლექსი დაიწერა, თავისი ცხოვრების ყოველ პერიოდში პოეტი განუწყვეტლივ მერიზე ფიქრობს; მერის ხატება ცისფერ ზოლად გასდევს მთელს მის შემოქმედებას. ხშირად ლექსი მთლიანად მერის ეძღვნება... ზოგჯერ კი ადრესატი ნახსენები საერთოდ არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ ლექსი მერიზეა დაწერილი“ (ხინთიბიძე ა., მერის მოტივი, წიგნი გ. ტაბიძე, მერი, თბ., 2000, გვ. 4–5)

ერთ–ერთი ყველაზე საინტერესო შტრიხი გალაკტიონის პოეზიისა არის ის, რომ მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი:

„აქ მრავალია ცისფერი ფერი! ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,  
როგორც ქალწული სახელი – მერი არის ცისფერი და მწუხარება“  
/“გზაში“/

„იმ ენაზე, რომელზეც იშვა ხატება ბაირონისეული მერისა “Mary”– მარიამია – სახელი ღვთისმშობლისა. ამიტომაცაა, ალბათ, გალაკტიონის ღვთისმშობელი ასეთი მიწიერი და ახლობელი. ამიტომაც შეხედავს და ეტყვის მას პოეტი:

„დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები? შენს მოლოდინში ასეა ყველა?  
სული, ვედრებით განაოცები, შენს ფეხთ ქვეშ კვდება როგორც პეპელა.“

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!“ – მიმართავს ამ ლექსში პოეტი ღვთისმშობელს და მარიამი, იგივე მერი, მზეა მისთვის. მერი მზეა პუშკინისთვისაც – „Будь же счастлива Мери, солнце жизни моей“. ბაირონის მერი ახლა უკვე პუშკინის გზითაც შემოდის გალაკტიონში, ისევე როგორც ბაირონის დემონი ლერმონტოვით შემოაღწევს მასში“ (მერაბიშვილი ი., გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003, გვ. 217).

საყურადღებოა, რომ თავად ა. პუშკინი აღნიშნულ ლექსში უთითებს, რომ ეს არის შეხშიანება ინგლისელ პოეტ ბ. კორნვოლთან (1787–1874) და მისი ლექსის ერთი სტრიქონი გამოაქვს კიდევ დასაწყისად:

„Пью за здравие Мери, Милой Мери моей.  
Тихо запер я двери И один без гостей  
Пью за здравие Мери.  
... Будь же счастлива, Мери, Солнце жизни моей!  
Ни тоски, ни потери, Ни ненастных дней,  
Пусть не ведает Мери“



შევადართო გალაკტიონის ლექსს „შენი სადღეგრძელო“:

კაფეში შევალ სრულიად მარტო და ორს ავივსებ სასმელით ჭიქას,

ერთი შენია (უნდა ვიდარდო ასეც და ისეც, აქაც და იქაც).

შენს სადღეგრძელოს ჩუმად ჩამძახებს ჭიანურები, ვსვამ: ალავერდი!

მაგრამ შენს ჭიქას ხელს არვინ ახლებს, პასუხს არ მამღვეს ხმათა ხავერდი...

რუსი პოეტის ლექსთან დაკავშირებით ბ. გოროდეცკი წერდა: „Образ героини „Из Barry Cornwall“ не относится отдельно ни к одной из тех женщин, которых любил Пушкин и в прошлом, и в настоящем. Поэт обращается ко всем им вместе и к каждой в отдельности с благодарностью за то солнце, какое они зажгли в его жизни со словами приветия и пожелания счастья“ (Городецкий Б. П. Лирика Пушкина, М.-Л., 1962, с. 388).

გალაკტიონთან მზის ფენომენი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია: მზე, როგორც მანათობელი სხეული; მზე, როგორც მარიამ ღვთისმშობელი; მზე, როგორც მერი, მისი მარადიული ტრფობის საგანი; მზე, როგორც ქალი, რაც სრულიად ბუნებრივია ქართული აზროვნებისათვის.

„ქართული მესიანისტური იდეის მიხედვით, საქართველო მარიამის წილხვედრ ქვეყანად ითვლებოდა და მას ევედრებოდნენ ქვეყნის გადარჩენას. დ. გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზია სავსეა ჩვენი ზეციური დედისა და ერის მფარველის თაყვანსაცემი სტრიქონებით. ვფიქრობთ, XX საუკუნის არც ერთ სხვა ქართველ პოეტს არ შეუქმნია ასეთი ვრცელი და დიდებული ციკლი მარიამ ღვთისმშობლის მხატვრული სახის გაუკვდავებისათვის, როგორც გ. ტაბიძეს (სორდია ლ., 1996, გვ. 115).

პუშკინი მერის მზეს ადარებს და განგებას შესთხოვს ავისაგან უმფარველოს; გალაკტიონი აქაც დიდებულია: თიბათვის მზეს შესთხოვს მფარველობას. სწორედ მას შესთხოვს პოეტი ლოცვით მუხლმოყრილი, რადგან თიბათვის მზე ივლისის ძალმოსილი მზეა, მზე ლომის თანავარსკვლავედში, მცხუნვარე, თაკარა, და ხატი სხვა მზისა, რომელიც არის დაუღამებელი ნათელი, რომელი „ზნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე 1,5); ესაა მზე – „მშვენიერი მძლევარი“ – უფლის მარადი ხატი...

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე, ამას გევედრები.  
ტანჯვა–განსაცდელში თვალნი მიურიდენ,  
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,  
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,  
სული უმანკოთა მიეც მშვენიერი.“

აქვე მახსენდება გალაკტიონის ჩანაწერი: „რომ შექმნა რამე დიადი, ბევრი უნდა გვექონდეს ამნაირი (მზიანი) დღეები.“

მისივე ჩანაწერი დღიურიდან:

„განა არ ჰგავს მგოსანი მზეს: მხოლოდ ის სწვდება ყველგან, გონებაში და სასახლეებში, სალხინოებში და ტაძრებში, ყოველთვის წმინდა, ბრწყინვალე“...

ჭეშმარიტად, თვით მგოსანიც მზეა და ამას მხოლოდ გალაკტიონი თუ იტყოდა.

„მერიც“, რომელიც, თითქოსდა, კონკრეტული პიროვნების ხატი და კონკრეტული ვითარების ამსახველია, „შორეული ქალის ეშხია“, იგი აჩრდილია და არა რეალური არსება, „არდაბრუნების ჩუმი ალერსია“, „ლოდინის სიმღერა“, „ცივი სისოვლის მწუხარე გრძნობა.“ თვით მერი „არის ცისფერი და მწუხარება“ და პოეტის სიყვარული მის მიმართ უგონოა: „გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია.“

ასეთი სპეტაკი და ტრაგიკული განცდა სიყვარულისა უნიკალურია მთელს ქართულ პოეზიაში. ნესტანის შემდეგ მერი იდეალური სატრფოს ყველაზე უკეთესი განსახიერებაა (კუცია ნ., 2009, გვ. 475).

გავლენის, როგორც კანონზომიერი ლიტერატურული პროცესის, თვალსაზრისით ჩატარებული ყოველი ცდა, რა თქმა უნდა, აღრმავეს პოეტურ სახეებს და აძლიერებს მათ ღირებულებას. ასეა ყველასთვის, როცა საქმე ნამდვილ პოეზიასთან არის წილხაყარი.

#### ლიტერატურა:

1. კუცია ნ., XX საუკუნის ქართველი მწერლები, თბ., 2009, გვ. 475;
2. მერაბიშვილი ი., ბაირონი ქართულად, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები, თბ., 2002, გვ. 170;
3. მერაბიშვილი ი., გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003, გვ. 217;
4. სორდია ლ., გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ., 1996, გვ. 115;
5. ტაბიძე გ., ტ. XII, გვ. 276; 314;

6. შათირიშვილი ზ., გალაკტიონი, ჟ. „აფრა“, 1998, №3, გვ. 55–57;
7. ჭილაია ს., ლეგენდად დარჩეს, გაზ. „კომუნისტი“, 1983, 11 სექტემბერი;
8. ხინთიბიძე ა., მერის მოტივი, წიგნში: გ. ტაბიძე, მერი, თბ., 2000, გვ.4–5;
9. ხოჯევანიშვილი ე., ბოლაშვილი მ., ალუზია ჯორჯ გორდონ ბაირონის პოეზიის ორიგინალსა და ქართულ თარგმანებში, ჟ. „ენა და კულტურა“, 2010, №4, გვ. 150;
10. Городецкий Б. П., Лирика Пушкина, М.-Л., 1962, с. 388

## რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია გალაკტიონის მერის პოეტური სახის ფორმირების სავარაუდო პარალელები ევროპულ პოეზიასთან. მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის, მოგონებებისა და პირადი დღიურების საფუძველზე წარმოჩენილია მერის ხატების შექმნის ისტორია.

### **GALAKTIONI'S MERI (MYTH AND REALITY)** **Tamar Sidamonidze, Specialist under contract** **RESUME**

The conjectural parallels of poetic image of Galaktion's Mary with the European poetry is analysed in this paper. According to a variety of scientific literature, memories and personal diaries the history of creating Mary's image is drawn out.

## სიკვდილის ესთეტიკურად გამოხატვის გზა XX საუკუნის II ნახევრის ორ ქართულ მოთხრობაში

*მარინე ცერცვაძე, სრული პროფესორი*

ქართული მოთხრობა ხშირად ყოფილა მეცნიერთა კვლევის საგანი. ნაშრომის მიზანია ამ კვლევის რამდენადმე გაგრძელება; დრომ ბუნებრივად მოიტანა ახლებური შეფასების აუცილებლობა, რადგან ერთიანი მწყობრი გამოკვლევა უშუალოდ მოთხრობაზე არ შექმნილა. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ინგა მილორაგას ნაშრომი „XX ს I ნახევრის ქართული მოთხრობა“. ჩვენ განვიხილავთ XX ს. II ნახევრის თვალსაჩინო წარმომადგენლის გურამ გეგეშიძის ორ მოთხრობას, რომელშიც მწერალი აგრძელებს სიკვდილის ესთეტიკურად გამოხატვის გზების ძიებას.

ინგა მილორაგა, განიხილავს რა თავის ნაშრომში სიკვდილს - როგორც ესთეტიკურ ფენომენს, აღნიშნავს, რომ XX ს I ნახ. სიკვდილს მოთხრობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება და მათ შორის ერთ-ერთია სიკვდილი, როგორც სულთა კავშირის აღდგენის საშუალება. ჩვენც შევეცდებით ამ კუთხით განვიხილოთ გურამ გეგეშიძის ორი მოთხრობა: „ნავსადგური“ და „დაბინდება“.

XX საუკუნის II ნახევარში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდა მწერლებმა თვითშემეცნების რთული გზა აირჩიეს, რამაც გამოიწვია ადამიანის ფსიქიკითა და შინაგანი სამყაროთი განსაკუთრებული დაინტერესება. ეს უპრეცედენტო მოვლენა არ იყო, მაგრამ ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც უპირისპირდებოდა სქემატურსა და ცალმხრივ გამიზნულ ლიტერატურას. ეს განახლება ხდებოდა მაშინ, როცა მწერლობაზე თავსმოხვეულმა „ლიტერატურის პარტიულობის“ პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად. უნაყოფო გახადა მისი შრომა. ახალგაზრდა

მწერლების გაბედულება თვალშისაცემი იყო იმ ფონზე, რომ ამ გაუგონარ ექსპლუატაციას მწერლობა მშვიდად ითმენდა. ასეთ მწერალთა შორის მოიაზრება გ. გეგეშიძე, რომლის მოთხრობა „ნავსადგური“ მკვეთრად გამოირჩევა შეჩვეულ სტერეოტიპთა ფონზე. ის ნამდვილად საინტერესოა არა მარტო როგორც მხატვრულ-ფორმალურად სრულყოფილი მოთხრობა, არამედ ის ზნეობრივ-ადამიანური ნაკადი, რაც მოთხრობაში გარკვევით იგრძნობა, თუმცა ბოლომდე დასრულებულ ფორმას ვერ იღებს.

მოთხრობის შინაარსი ასეთია. უმამო პატარა ზურბიკო, რომლის დედა ლუკმა-პურის საშოვნელად დღე და ღამე შრომობს, მარტო ხვდება საყვარელი ბაბუას სიკვდილს. ბავშვი, რომელიც მთელ დღეს პორტში ატარებს, რაღაც ძალამ გამოიყვანა პორტიდან ადრიაწად. „სიარულის დროს მთვრალი კაცივით მიათრევდა ფეხებსა და მტვერს ხვეტავდა ვიწრო ტროტუარზე. წვივები და ბეჭები მზისგან დამწვარი ჰქონდა. ტანზე ეცვა გახუნებული მაისური, მოკლე ტრუსი და სანდლები. კარგა ხნის გაუკრეჭავი თმა ზღარბივით აზურძგვნოდა კეფაზე“. შუა გზაში მიტოვებულ ეკლესიასთან შეჩერდა, შემდეგ გზა განაგრძო და ოთახში შესული ხედავს, რომ ბაბუა ჩვეულებრივად კი გამოიყურება, მაგრამ რაღაც უცნაურად ელაპარაკება. ზურბიკოს ეცინება და დიდი ადამიანივით პასუხობს „ნუ გეშინია, კაცო, რა მოგკლავს“. ბაბუამ კი კარგად იცის, რომ მოსულა ცხოვრების დასასრული და ცდილობს ზურბიკოს განუმარტოს, რომ საშიში ცოცხალი კაცია, თორემ მკვდარი კაცი არაფერი არ არის.

ბაბუა თითქოს წაიძინებს და ზურბიკო ინტუიციით გრძნობს, რომ ბაბუა მკვდარია. აქ უკვე მოვლენები მოზარდის თვალთ არის დანახული. ზუსტი და დამაჯერებელია ის შეგრძნება, რითაც ბავშვი სიკვდილს აცნობიერებს. ბავშვი გაურბის სიკვდილის ხსენებას, ეშინია არა სიკვდილის შინაგანი არსის, არამედ მისი გარეგნული ფორმისა. ბიჭი გარბის ისევ პორტში და სანაპიროზე მჯდარი თავისუფლად და ბედნიერად გრძნობს თავს - ასეთია ავტორისეული შეფასება ზურბიკოს სულიერი მდგომარეობისა.

მოთხრობაში დასმულია პრობლემა სიკვდილ-სიცოცხლის რაობისა, ადამიანის არსებობის, ადამიანის ადამიანზე ზრუნვისა, რომლებზეც პასუხი ინტელექტუალური ძიებით კი არ არის გაცემული, არამედ გმირის მოქმედებით. ბიჭის მოქმედება შეიძლება ორგვარად შეფასდეს.

1. ჩვენ ვართ მოწმე პატარა ბიჭის სიძლიერისა, როდესაც იგი სიკვდილის პირისპირ რჩება. ბიჭი მთელი დღე მარტოა ფათერაკებით სავსე ქალაქში და იძულებულია თვითონ გაერკვეს ცხოვრების ავ-კარგში. მამა არ ჰყავს, დედას მისთვის არ სცალია, ბაბუა კვდება, თუმცა ის სასიკვდილო სარეცელიდან ცდილობს შვილიშვილი შეაჩვიოს სიცოცხლის გარდაუვალ დასასრულს - სიკვდილს.

ზურბიკომ იგრძნო ბაბუას სიკვდილი. დადის ქალაქში და არც ცდილობს ვინმეს გაუზიაროს თავის მწუხარება. მას არ ეშინია მკვდარი ბაბუასი, ზურბიკოს ეშინია იმ წვივ-კვივლისა, რომელიც მერე ატყდება, როცა დედა და მეზობლის ქალები შეიტყობენ ამ ამბავს. ბიჭი მარტოა დარჩენილი სიკვდილის საიდუმლოსთან და ხედავს, რომ ბაბუას სიკვდილით ქალაქში არაფერი შეცვლილა. იგივე ცხოვრება გრძელდება ეზოში, პორტში. ბაბუამ მოახერხა დაენახებინა ბავშვისთვის, რომ დადგა მისი წასვლის დრო და ის ამ ქვეყნიდან უნდა წავიდეს მშვიდად. ადამიანები კი როგორ ართულებენ ამ საიდუმლოს.

2. მკითხველში გაცემას იწვევს და უკმარისობის გრძნობას ბადებს ის ამბავი, რომ ზურბიკო თითქმის არ განიცდის საყვარელი ბაბუას სიკვდილს. ბიჭი არც ისე პატარაა, რომ ამ დანაკლისს არ გრძნობდეს, არ განიცდიდეს. შესაძლოა ეს თვითონ ავტორს აინტერესებს ობლობაში გაზრდილი ბიჭის ფსიქოლოგია, რას განიცდის ის ღრმად და რას ზედაპირულად. ზის პატარა ზურბიკო ზღვის ნაპირზე და „გული სწყდება, რომ არ შეეძლო გასვლა ამ ნავსადგურიდან შორს, შორს, ზღვის სიღრმეში, სადაც ახლა ნისლი იყო, საიდანაც, ალბათ, არ ჩანდა არაფერი“.

სიკვდილის საიდუმლოს აღსრულებამ რომ გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს ბავშვის სულზე, კარგად ჩანს როსტომ ჩხეიძის სიტყვებიდან „ის ავისმომასწავებელი განცდით დამუხტული გარემო, მძაფრი მოლოდინით გამსჭვალული ის განგაში, რაც გაბრიელ მარკესის მოთხრობაში - „გამოუცხადებელი სიკვდილის ქრონიკა“ სუფევს, ჩემთვის ბავშვობიდანვე მეტად მახლობელი იყო და ამ მოთხრობის წაკითხვამ განსაკუთრებულად ამიტომ იმოქმედა“. სწორედ ბავშვობაში ყალიბდება გარკვეული სტერეოტიპი, რომელიც შემდეგ ადამიანის ფსიქიკაზე ღრმა კვალს ამჩნევს, ამიტომ სანტიაგო ნასარის მკვლევლობა უკვე ჩამოყალიბებული მრწამსის მკითხველს მხატვრულ გამოწვინად კი აღარ ეჩვენება, „არამედ - „ჩემიანის უღვთოდ განწირვად“. რამდენი ითქვა ამ ერთი სიტყვით - „ჩემიანი“. როსტომ ჩხეიძისთვის თავისიანია ყველა ადამიანი და მათი სიკვდილით აკლდება მას სულის ნაწილი.

მოთხრობაში „ნავსადგური“ ზუსტადაა დაწერილი და აღდგენილი ბავშვის ფსიქიკაში მოზორიანე განცდები, მათი ურთიერთჭიდილი, თითქოს ავტორიც იმყოფება „იმ მედიტაციურ სფეროში, სადაც ხშირად უცნაურ გულუბრყვილობას, უპირობას ვამჟღავნებდით, რაღაცნაირ ბავშვურ

შეცდომებს ვუშვებდით, რადგან ყოველთვის მძაფრად იდგა ცხოვრების გამოცდილებისა და, თუნდაც, ობიექტური განსწავლულობის პრობლემა“.

ამის გამო მოხდა ის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი (ვიზეც სამოციან წლებში დიდ იმედს ამყარებდნენ) გამოსცდა თუ არა საკუთარი ბიოგრაფიის, ბავშვობის მოგონებების მიჯნას, შემკრთალი და დამაბული შედგა ჭეშმარიტი პროზის წინაშე. საბედნიეროდ, ასეთთა რიცხვში არამც და არამც არ შეიძლება განვიხილოთ გურამ გეგეშიძე, რომელმაც შემდგომი მოღვაწეობით დაიმკვიდრა ადგილი ქართველ ჭეშმარიტი პროზის წარმომადგენელთა შორის.

გურამ გეგეშიძე ცხოვრებაზე მახვილი თვალით დაკვირვების უნარს უკვე ამ მოთხრობაში ავლენს, რაც მან შემდგომ შემოქმედებაში, ჩვენის აზრით, გაანაღდა და შექმნა სამყაროს მხატვრული შემეცნების თავისებური სტილი.

გურამ გეგეშიძის ნაწარმოებებში ხშირადაა დასმული სიკვდილთან ყველაზე გონივრული დამოკიდებულების პრობლემა. ავტორი ღრმად არის ჩახედული პრობლემატურობის სირთულეში. მან იცის ახალი, სრულიად ახალი პრობლემა, რომელიც არავის მოსვლია თავში, არ არსებობს, მაგრამ ცდილობს ახსნას ის რთული ფენომენი, ადამიანის შინაგან ბუნებასა და იმ მდგომარეობას შორის რომ არის, რომელშიც ბედისწერის მიერ ვართ ჩაყენებული. საერთოდ, გურამ გეგეშიძეს ხშირად უჩივიან იმას, რომ ნაწარმოების მთავარი კონფლიქტით გამოწვეული მორალური აზრი მთლად არ შეესაბამება კონფლიქტის შინაარსს, მის მხატვრულ-ესთეტიკურ ხარისხს. ზოგს მიაჩნია, რომ ნაწარმოების არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რასაც ავტორის ფილოსოფოსობა ჰქვია. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ, მაგრამ მათი გათვალისწინებით განვიხილოთ პატარა მოთხრობა „დაბინდება“.

ადრიანი გაზაფხულია. ბიბინებს მწვანე ჯეჯილი, აქა-იქ იეზსაც ამოუყვიათ თავი, მინდვრის ბოლოს კი გადახნული მიწა მოჩანს. სამი უღელი ხარი ხნავს საყანეს და დგას ჰაერში გადმობრუნებული მიწის ნოყიერი სუნით.

ამ დროს კი „თეთრად შეგლესილ ოთახში“ წევს მოხუცი პაპა და სიკვდილს ელოდება. სად არის აქ პრობლემურობა? სამყაროსავით ძველია და ნათელი, რომ გაზაფხულდება, მიწა მოიხვნება, ვიღაც მოკვდება. რა თქმა უნდა ძნელია დამაშვრალი მოხუცისათვის გულხელდაკრეფილი წოლა და შორიდან ცქერა საყოველთაო ფუსფუსისა. თანასოფლელები ჩვეულებრივ აშბად მიიჩნევენ მოხუცის სიკვდილს - ყველა თავისი წვრილმანი საქმით არის დაკავებული და არავინ ცდილობს ამით ტრაგედია შექმნას.

მხოლოდ ბიძაშვილი, ოცი წლის წყალობა, უთანაგრძნობს მოხუცს, რომელსაც ეს თანაგრძნობა არაფერში ადგება.

წყალობა თავიდან გაუცნობიერებლად, უფროსებისაგან გაგონილი ფრაზით აღნიშნავს მოხუცის ვაჟკაცობას. მას გაუგონია, რომ ამნაირი ვაჟკაცი სოფელში არ დადიოდა, მაგრამ სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მოხუცის შემხედვარე ბიჭი გრძნობს, რომ ამაოა ამ ქვეყანაზე ყველაფერი - შრომა და ვაჟკაცობაც. ყველას ბოლო სიკვდილია და თუ ყველაფერი ამაოა, ხომ არ სჯობია, რომ შენ თვითონვე გადადგა ის ერთი ნაბიჯი „რომელიც ადრე თუ გვიან, ნებისთნე თუ უნებლიეთ მაინც უნდა გადაიდგას აუცილებლად“ თუკი სულერთია მთელი ცხოვრება ამ ერთ ნაბიჯს ელოდები და როცა იქნება „ამ ნაბიჯს გადადგმის სიძნელე ისევ დადგება კაცის წინაშე“.

გურამ გეგეშიძე „ადამიანის ნების საზღვრებს შემოხაზავს. სიკვდილი ამ ნების გარეთაა. არჩევანი ადამიანის შინაგანი გადაწყვეტილების საზღვრებშია მოქცეული“.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, ერთის მიხედვით, უაზრო დასასრული სიცოცხლისა, რომელსაც ირჩევს ოცი წლის ჭაბუკი წუთისოფლის ამაოების შეცნობის შემდეგ. წყალობა „ფართოდ გაშლილ, გაზაფხულის სურნელით გაჟღენთილ მინდორზე მიაბიჯებდა. აქ არავითარი საშიშროება არ ელოდა ამჟამად, მაგრამ... ვერ ივიწყებდა მომავალში რაღაც ცუდის, რაღაც შემზარავის არსებობას, რომელიც სრულებით არ ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც გუნებას უფუჭებდა თავისი ყოველი შესაძლო გამოვლინებით. მაინც რომ უნდა მოგვკვდეს? - ფიქრობდა ის“.

ავტორი გვიტოვებს არჩევანის უფლებას: ბრმა შემთხვევა იყო - ბიჭს ფეხი დაუცდა გადაუწყვეტი პრობლემებით თავბრუდახვეულს, თუ საკუთარი ნების გამოცდა მოინდომა. ეს უკვე მკითხველის წარმოსახვასაა მინდობილი. „პასუხის გაცემა მხოლოდ წყალობას შეეძლო, მაგრამ ის უკვე აღარ იყო. მან თან წაიღო სამარეში თავისი სიკვდილის საიდუმლო“. თან წაიღო საიდუმლო, რომლის გაგება ასე უნდათ ცოცხლებს, მაგრამ ვერასოდეს ვერ იგებენ ხოლმე.

მეურმეებს, რომელთაც სოფელში ჩამოიტანეს მისი დაღეწილი სხეული კი ერთი კითხვა აწუხებთ: „ნეტა რა მოუვიდა?“ პასუხი არ ჩანს.

მწერლის აზრი სხვაგან შეიძლება ამოვიკითხოთ. „რა მოხდება? რა შეგვემთხვევა? რა გველის? ეს კითხვები უნებურად გვაწუხებს, რადგან ჯერ არ ვიცით არაფერი, ისიც კი არ ვიცით გათენდება თუ არა, იქნებ ასეთი დარჩეს სამყარო“.

აქ შეიძლება პარალელის გატარება იოანე საბანის-ძის „აბოს წამებასთან“. თუ ორივე ნაწარმოებს ესქატოლოგიით ავხსნით ცხადია - ქვეყნად ყოველივე წინასწარგანსაზღვრულია. ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს და ჟამის მოწვევამდე არ აღსრულდება აღსასრულები. თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ წყალობასა და აბოს სიკვდილი ადრეულ ასაკში გარდაუვალა. მათ რა არ უნდა მოიმოქმედონ, ტრაგიკულ ფინალს ცხოვრებისა ვერ ასცდებიან.

კორნელი კეკელიძე წერს: „ესქატოლოგიური თემებისადმი ინტერესი საზოგადოებაში იღვიძებდა ხოლმე ერის პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩაგვრის, დამონების, დაბეჩავების დროს. რადგან არაბთა ბატონობა ჩვენი ავტორის აღწერილობით მეტისმეტად მძიმეა ქართველი ერისათვის, გასაკვირი არ არის, რომ ესქატოლოგიური სულისკვეთებას ამ დროსაც უჩენია თავი!“ ასევე შეიძლება იჩინოს მან თავი რუსების ბატონობის დროსაც“.

როგორ დატვირთვას აძლევს ტრაგიკულ ფინალს იოანე საბანისძე და როგორს გურამ გეგეშიძე:

იოანე საბანისძე, ესქატოლოგიური პესიმიზმის მიუხედავად, გულხელდაკრეფილი, უიმედოდ მგლოვიარე კაცი და მოქალაქე არ არის. პირიქით, ის გულმხურვალედ აცოცხლებს ერის გადარჩენისა და აღზევების იმედს. რას ეფუძნება ასეთი ოპტიმიზმი, როცა გარემოებანი არავითარ საფუძველს არ იძლევიან?

როგორც ჩანს, ქართველ მწერალს აქვს მტკიცე იმედი იმისა, რომ მშობელი ხალხის შემოქმედებითი გენია, ძალმოსილება არ შეიძლება დაიშრიტოს, გაცამტვერდეს, აღიგავოს პირისაგან მიწისა.

ამ ფონზე მეტისმეტად უფერულია წყალობას უაზრო სიკვდილი. თუმცა სიკვდილის წინ ავტორი ცდილობს გმირის გამოფხიზლებას, მისი მოქმედება მაინც უპერსპექტივო და უმიზნოა, არ ჩანს მხატვრული სახის გარკვეული იდეალი. კი ჩანს სიკეთისაკენ მისწრაფება, მაგრამ მიზანი ცხადი არ არის და, როგორც კიდეც რამდენიმე მოთხრობა მწერლისა, ტრაგიკული ფინალით მთავრდება. არცთუ შორეულ წარსულში ეს უიდეობად ინათლებოდა და ძალიან დიდ ნაკლად ითვლებოდა ნაწარმოებისა და მწერლისათვის.

დგას ეს ოცი წლის ჭაბუკი მომაკვდავი მოხუცის სარეცელთან და არ ფიქრდება იმაზე, თუ რამდენი წვალება და გმირობაა საჭირო ამ წუთისოფელში, რათა ისეთი ვაჟკაცის სახელი დაიმკვიდრო სოფელში, რაც ამ მოხუცს აქვს. იცის მხოლოდ ის, რაც უფროსებისაგან გაუგონია - „ამნაირი ვაჟკაცი სოფელში არ დადიოდა“ და ახლა ხედავს, რომ ეს ვაჟკაცი კვდება უფერულად, უსახელოდ - წვეს ლოგინში და ელოდება სიკვდილს, თვალი კი ნახნავისაკენ გაურბის. აქ მწერალი გამოდის წინა პლანზე და თავისი მოსაზრებებით დააყენებს გმირს იმ აზრზე, რომ დაასრულოს სიცოცხლე. მკითხველი გაოგნებულია ამ უაზრო სიკვდილით. თუმცა მწერალი ცდილობს ეჭვის ნამცეცის გაჩენას - იქნებ ფეხი დაუცდა და ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა? მაგრამ ეს იმდენად არადამაჯერებელია მთელი მოთხრობის ფონზე, რომ მაშინვე ქრება, როგორც კი გაჩნდება.

„ხელოვნება სიმბოლოებს საჭიროებს და არა ასლს. ქვის კვარცხლბეკზე რომ ქვისავე სახება დავდგათ, ეს იქნება ქანდაკება და სიმბოლო, მაგრამ იმავე კვარცხლბეკზე რომ ნამდვილი ცხენი შევსვათ, ნიჩაბიც მოგინდებათ, რომ მისი ფუნე ხვეტოთ“ - აი განსხვავება ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. ლიტერატურა ხელოვნების დარგია და საჭიროა იდეალი, რისთვისაც შეიძლება მოკვდეს ოცი წლის ჭაბუკი, თუკი მისი სიკვდილი ღვთით უკვე წინასწარ განზრახულია. ეს იდეალი მწერალმა უნდა შექმნას.

ამრიგად, ნაშრომში ჩვენ განვიხილეთ XX ს. II ნახევრის ქართული მოთხრობის ორი ნიმუში. მწერალი ცდილობს სიკვდილს, რომელსაც ამ ჰარმონიულ სამყაროში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, მაგრამ მაინც რატომღაც უსამართლობად და ბოროტებად აღიქმება, თავისებური ინტერპრეტირება მისცეს, რადგან როგორც ახალგაზრდა მეცნიერი, გიორგი ხორბალაძე, მიმოიხილავს რა სიკვდილის ფენომენს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასთან მიმართებაში, წერს: „სიკვდილის ფენომენის მიმართ თითქმის ყველა მწერლის პოზიცია ერთსულოვანი და სწორზაზოვანია, სიკვდილს ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები, რადგან ის სიცოცხლის ნაწილია, მართალია დასასრული, მაგრამ ის აუცილებელი კომპონენტი იმისათვის, რომ სიცოცხლე საბოლოოდ შედგეს... ვინაიდან გარდაცვალება ამ ქვეყნიდან აღგვას და გაქრობას არ ნიშნავს“.

### ლიტერატურა:

1. გეგეშიძე გ., „ჟამი“, თბ., „მერანი“, 1989;
2. კვაჭანტირაძე მ., „მე ჩემს საკუთარ შენობა ვაგებ“, თბ., „მერანი“ 1991;
3. ჩხეიძე რ., „შურისგება“, თბ., „ლომისი“, 1996;
4. მილორავა ინგა, „XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მოთხრობა“ თბ., 2003;  
(ავტორეფერატი დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად).

### რეზიუმე

ქართული მოთხრობა ხშირად ყოფილა მეცნიერთა კვლევის საგანი. ნაშრომის მიზანია ამ კვლევის რამდენადმე გაგრძელება; დრომ ბუნებრივად მოიტანა ახლებური შეფასების აუცილებლობა, რადგან ერთიანი მწყობრი გამოკვლევა უშუალოდ მოთხრობაზე არ შექმნილა. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ინგა მილორავას ნაშრომი „XX ს I ნახევრის ქართული მოთხრობა“. ჩვენ განვიხილავთ XX ს. II ნახევრის თვალსაჩინო წარმომადგენლის გურამ გეგეშიძის ორ მოთხრობას, რომელშიც მწერალი აგრძელებს სიკვდილის ესთეტიკურად გამოხატვის გზების ძიებას.

განხილულია XX საუკუნის II ნახევრის ქართული მოთხრობის ორი ნიმუში, რომლის ავტორი ცდილობს სიკვდილს, რომელსაც ამ ჰარმონიულ სამყაროში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, მაგრამ, მაინც, რატომღაც უსამართლობად და ბოროტებად აღიქმება, თავისებური ინტერპრეტირება მისცეს, რადგან როგორც ახალგაზრდა მეცნიერი, გიორგი ხორბალაძე, მიმოიხილავს რა სიკვდილის ფენომენს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასთან მიმართებაში, წერს: „სიკვდილის ფენომენის მიმართ თითქმის ყველა მწერლის პოზიცია ერთსულოვანი და სწორხაზოვანია, სიკვდილს ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალე, რადგან ის სიცოცხლის ნაწილია, მართალია დასასრული, მაგრამ ის აუცილებელი კომპონენტი იმისათვის, რომ სიცოცხლე საბოლოოდ შედგეს... ვინაიდან გარდაცვალება ამ ქვეყნიდან აღვას და გაქრობას არ ნიშნავს“.

## AESTHETIC WAY OF EXPRESSING DEATH IN TWO GEORGIAN STORIES OF THE II HALF OF THE XX CENTURY

Marine Tsertsvadze, Full Professor

### RESUME

Georgian short story has always been the subject of a scientific research. The aim of the paper is continuation of this research. The time has naturally brought the necessity of a new assessment because an entire research on the short story itself hasn't been done before. This gap is somewhat completed by Inga Milorava's work "Georgian Short Story of the First Half of the XX century". We are discussing here two short stories by distinguished representative of the second half of the XX century Guram Gegeshidze, where the author continuous searching the ways of the aesthetical expression of death.

Two samples of Georgian short stories of the second half of the XX century are also discussed here; and its author who has his own place in this harmonious world tries to give his interpretation to death; but still it is perceived as a cruelty and injustice. Young scientist Giorgi Khorbaladze reviewing phenomena of death in Goderdzi Chokheli's creative work writes: "The position of almost all writers towards death is unanimous; no one can avoid it, no one can hide from it, because it is the part of life; though it is the end but necessary component for life, as death doesn't mean disappearance of evanition from the world."

## „გამეცნიერებელი“ მინდიას ტრაგედია

*ნელი ჭამპურიძე, სრული პროფესორი*

ვაჟა-ფშაველამ პოემა „გველისმჭამელი“ საკუთარ „სულის ქურაში“ გაატარა და ისე გააგრძელა მითიური გმირის მხატვრული სახის სრულყოფა. გველის მჭამელი მინდია მითიური გმირია, რომელიც ხალხურ პოეზიაში ხოგაის მინდიად მოიხსენიება. ხალხურ ვარიანტებში მინდიას აღსასრულზე მრავალი ვარიანტი არსებობს და არსად მინდია თვითმკვლევლობით არ ასრულებს სიცოცხლეს. ვაჟა-ფშაველამ, როგორც ვხედავთ, თავისებურად გადაამუშავა. უპირველესად, მინდია ბუნების საიდუმლოს სწვდება, ხოლო ადამიანებს შორის გაუცხოებას განიცდის, ვერ ახერხებს ოჯახთან ჰარმონიულ თანაარსებობას. საზოგადოება გულით გრძნობს, მაგრამ გონების თვალი დახშულია. ვაჟას მინდია იღუპება - თავს იკლავს. რატომ მიუსაჯა ვაჟამ თავის საყვარელ გმირს ასეთი სასტიკი განაჩენი? გონებრივად ზეამაღლებული გმირი ღვთის მოშიშცავა, მაგრამ მინდია კარგავს გონისა და რწმენის ერთიანობას. მას არ შესწევს უნარი თანხვედრი გახადოს რწმენა და ცოდნა (შეძენილი გონიერება). მინდიას ესმის ბუნების ენა - „გამეცნიერდა“, მაგრამ არ იცის როგორ მოაგვაროს ოჯახური პრობლემები, როგორ იცხოვროს ამ წუთისოფელში, როგორც ადამიანმა, რომელსაც ღმერთმა ღვთის სიტყვა, „რჯულის მცნება“, მისცა სულის საცხოვნებლად. რთულია მინდიას ტრაგედიის ახსნა, მისი პიროვნების წვდომა, ავტორიც არ გვიტოვებს არჩევანს მინდიასა და მზიას შორის, თუ ვის მხარეზეა სიმართლე. მრავალმა მკვლევარმა სცადა ამოეხსნა ვაჟას არჩევანი. ვაჟა-ფშაველა მართლაც ამოუცნობია „ჩვენ ემოციურად გვხიბლავს მინდიას პიროვნება, გვაჯადოებს იგი, მაგრამ მისი გაგება, მისი წვდომა ჩვენთვის მიუღწეველია, როგორც მზიასთვის. ამიტომ ნაირნაირი ვარაუდების იქით ვერ მივდივართ. მართალია, როცა დაგვჭირდება, წამდაუწუმ ვახსენებთ მინდიას, როცა მოგვეხალისება, ყველა მეყვავილესა და მწყემსს მინდიას ვეძახით, მაგრამ გველისმჭამელის პიროვნების არსი ვერ ამოგვიცვნია“ [1:236].

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მინდიამ ვერ შესძლო კერძოსა და უნივერსალურის, ადამიანურისა და ღვთაებრივის მორიგება, ორ საწყისს შორის მშვიდობიანი კონტაქტის დამყარება. მერყევა გაორებამ „წმინდა რჯულის“ გაყიდვამ, რწმენის ღალატმა დაღუპა გველისმჭამელი. საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა უმეტესობა მინდიას ტრაგედიას განიხილავს, როგორც კარგი ყმის გონებრივ მარტოობას თანამომძმეთა შორის, მის მსოფლმხედველობრივ კრიზისს. „გველის-მჭამელში“ აისახა კარგი ყმის გონებრივი მარტოობა თანამომძმეთა შორის. გველისმჭამელის სულიერი დრამის მიზეზი მისივე გაორებულ არსებაშია. რაც შეეხება მინდიას გამეცნიერებას, არც თავისი შინაარსით და არც თავისი საფუძვლით ჭეშმარიტი ცოდნა არაა. (აკაკი გაწერელია, ამირან არაბული, გრიგოლ კიკნაძე). უფრო მეტიც, მკვლევართა ერთი ნაწილი მინდიას ტრაგედიას ზოგადეროვნულ ჭრილში განიხილავს. მინდია, როგორც ერის მკვლელი, ხოლო მისი თავგადასავალი ისტორია ერისა „გზა, რომელსაც მინდია გადის, ესაა გზა ქართველი ერისაც. გზა თავნებობით ცდუნებისა, ცოდვისა, მონანიებისა და საკრალური თვითმკვლევლობისა“ (ჯანრი კაშია, 1990 წ. პარიზი) ამასთანავე, ვაჟა თვითონ ხსნის სამყაროსთან ჰარმონიული თანაარსებობის გასაღებს. პასუხი მომავალს ეკუთვნის „მინდია ორიენტირია, რომლისკენაც მიდის საზოგადოება. მართალია, ნელა და ტაატიტ, მაგრამ მაინც იქით ისწრაფვის. მიდის ამაღლებული და მშვენიერი პიროვნების ზნეობრივი სრულყოფისა და თავისუფლების გზით“ [1:236] - აკაკი ბაქრაძის ეს სიტყვები მინიშნებაა მინდიას სულიერი განცდების ამოსაცნობად. ზნეობრივი გმირის სახე სულიერი სრულყოფილებით მიიღწევა „ხორცი რას მიშველს მარტოკა\თუ სულით არა ვგალობდე.\ სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,\ დაე ლეშითა ვსწვალობდე!“ („ხორცო, დაჰზნელდი“). [2:214]

პოემაში მინდიას გველის ხორცის ჭამის შემდეგ ეხილება გონების თვალი - „გამეცნიერდა გლახია“. გველის სიმბოლოში შეცდომილი ძე - ბიბლიური სიმბოლიკა ისახება. გველი ადამიანებს ღვთაებრივ განაწესს არღვევინებს, აკრძალულ ცოდნას გადასცემს და ღმერთის წინააღმდეგ განაწყობს. მინდიას ცოდნა ღვთიურობასათან, რწმენასთან კავშირს არღვევს და ამას ვერც აცნობიერებს. თითქოს მკითხველსაც უჭირს ჩასწვდეს ტრაგედიის მთავარ მიზეზს, რადგანაც მინდია „ლაპარაკობს ღმერთთანა“. მაგრამ ვნახოთ იგი ამ წუთისოფელში, განსაცდელში. და, მართლაც, სად იწყება მინდიას დაცემა? „თქვენგან დაკვარე გონება,\ წმინდა გაყვიდე რჯულია ...“ [3:183] მინდიამ ვერ დასთმო წუთისოფლის „სიამენი“. რწმენის გარეშე, მხოლოდ გონების თვალით ყურება არღვევს ჰარმონიულობას. მინდიამ ვერ გაუძლო ცხოვრებისეულ საცდუნებელს. ქრისტიანული ოჯახი ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ

ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირად კონფლიქტის საფუძველი ხდება. განსაცდელში მინდია კარგავს ღვთის მადლს, რომელიც ჯილდოდ აქვს მიღებული ღმერთისგან, როგორც წყალობა. მინდია ტყვეობაში თვითმკვლელობას გადაწყვეტს „და ამ დროს მოწყალეს თვალით ტყვეს გადმოხედა ზეცამა:“.[3:174] მინდიას ტრაგედია არა მარტო გონებრივ მარტოობაშია, არამედ მის გონებრივ სიბრძნესა და რწმენას შორის კავშირის რღვევაში. მინდიას ტრაგიზმი ადასტურებს მის სწრაფვას სრულყოფილებისაკენ. მინდიას შეურიგებლობა ზნეობრივ მანკიერებებთან, მისი ტრაგიზმი დასაწყისია ღვთის გზისკენ, სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა. პოეტი ხშირად მიმართავს ღმერთს მადლისა და სიწმინდის შესანარჩუნებლად: „ღმერთო მიიღე ვედრებას ჩემი სათხოვარია: არ დამეკარგოს გულიდამდე შენი სახსოვარია! ცხვარვე მამყოფე ისევე, ოღონდ ამშორდეს მეგლობა; არ წამიხდინო. მეუფევ, ეს ჩემი წმინდა ხელობა!“ [1:138] - ასეთია ვაჟა მრწამსი, გზა მუდმივი განახლებისა, მადლიერებითა და სინანულით ამალღებულებისაკენ სწრაფვა, მუდმივი შიში და სიფრთხილე სინდისის შესანარჩუნებლად. „რისთვის შევამკე მთელი ბუნება, თუ მას დაჰლუპავს კაცთა ცთუნება“.[3:374] პოემაში „სინდისი“ ღმერთის მიერ ბოძებული სინდისის არსისა და დანიშნულების გააზრება პოეტის მიერ, რწმენის შენარჩუნებისკენ მოწოდებაა, საზოგადოების გამოღვიძებისაკენ გადამდული ნაბიჯია. „აღარ მაქვს, ღმერთო, კაცთა შორის ბინა“ [3:367] - ამბობს სინდისი. მიუხედავად ამისა, სინდისი კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ ძალას კაცობრიობის ცხოვრებაში. ამქვეყნიური ცხოვრების არსი პავლე მოციქულს ვრცლად აქვს ჩამოყალიბებული სწავლება „გონების განახლებაზე“ (რომ.12,2), რომელიც ათავისუფლებს „წუთისოფლის“ მიდრეკილებებისაგან და ჩვენი „ფერისცვალების“ დასაწყისს წარმოადგენს. პავლე მოციქულის მიხედვით, ქრისტიანებს მართებთ „რათამცა აქუნდა ღმერთი, მეცნიერებით“ (რომ.1,28). სწორედ პავლე მოციქული მოუწოდებდა „გონების განახლებისაკენ“. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა თავდაპირველად ლოგოსის რელიგია იყო. „შობამ შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფლისა ნათელი მეცნიერებისა“ [5:42-43] - ვკითხულობთ შობის ტროპარში. ქრისტიანული ფილოსოფია რწმენასა და ცოდნას ერთიანობაში განიხილავს: „რწმენისა და ცოდნის ერთიანობა ჩვენ მოცემული კი არა, არამედ - დასახული გვაქვს. სულის ეს ორივე სტიქია თავისუფალია, შეიძლება ზოგჯერ დასცილდნენ კიდევ ერთმანეთს და ხშირად სულიერი ძალდატანება გახდეს საჭირო ამ ერთობის აღსადგენად. ამიტომაც გონების, როგორც შემეცნებითი ძალის ბუნება არ შეიცავს თავის თავში რწმენისა და ცოდნის ერთიანობის მიღწევის არავითარ სირთულეს.“ [6:33.] სამყაროსა და ადამიანის შემეცნება ერთიანდება შემოქმედებით პროცესში, რომელიც, რა თქმა უნდა, ალბეჟილია ქრისტესმიერი ნათელით. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში გამორჩეული ადგილი უკავია დიდაქტიკური ხასიათის რჩევებს „თუ მარტო გონებას, მეხსიერებას გაამდიდრებთ, ხოლო გულის თვისებას, ხასიათს არ გაიკეთებთ, სწავლულნი შეიქმნებით, და სიმართლეს და წმინდა, ქრისტიანულ ზნეობას არ შეიძენთ, მაშინ თქვენ გამოხვალთ უბედურნი და ქვეყნისათვის მავნებელნი, და არა სასარგებლონი... განა ყველაზე უმჯობესი და უმშვენიერესი ის არის, თუ კაცი გონებითაც განათლებულია და საქმენიც, ყოფა-ქცევაც განათებული, კეთილი აქვს. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის, აჩვენენ კეთილად სვლისაგან საქმენი თვისნი... ზეგარდმო სიბრძნე პირველად სიწმინდე არს და მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება, სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმითა, კეთილთათა. (იაკობ 3,13, და 17) [7:12].

ვაჟა მწუხარედ შენიშნავს საუკუნის კატასტროფას - რწმენის რღვევას. „გველის-მჭამელის“ პირველ ვარიანტში პოემა შემდეგი სტროფით იწყება: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება... ვერ ვცანით დიდი თხზულება“ [4:310]. მინდიამ ვერ გადალახა ის წინააღმდეგობა, რაც მის აბსოლიტურ ცოდნასა და სინამდვილეს შორის არსებობდა. დაარღვია ბუნების კანონზომიერება, მაგრამ ვერ შექმნა ახალი კანონზომიერება, რომელიც სხვისთვისაც მისაღები იქნებოდა: „ნაგრძნობს გულითა, გონებით ჰმველენ ვერასა.“ მინდიას ტრაგედია მაშინ კი არ დაიწყო, როცა ცოდნა დაკარგა, არამედ მაშინ, როცა ცოდნა შეიძინა, რამეთუ მისი ცოდნა „არაბუნებრივი თვისებისა იყო“.[1:234]. პოემის გმირი „გველის-მჭამელი“ საბოლოოდ მარცხდება. იგი იძულებულია კომპრომისზე წავიდეს თავისიანთა წინაშე, დალატობს თავის „სიბრძნეს“, ძალა ერთმევა, სიმშვიდეს კარგავს და ასე შინაგანად განადგურებული ილუპება. მისი სიბრძნე მშვენიერია, მაგრამ თავისი შედეგებით ის არ არის სიკეთის მომტანი. სიბრძნე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მინდიას საკუთარ შეილებსაც კი აძულებს. ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ ვაჟამ შეუცთომელი უნარით დააჯილდოვა. პოემაში ჭეშმარიტი გენიოსის ხედვითაა გადმოცემული გრძნობისა და ცოდნის ჭიდილი. ჯერაც არ განათებულა ღვთიური მადლით მინდიას ცოდნა, ამიტომაც მთავრდება მისი სიცოცხლე თვითკვლევლობით. მინდიამ ვერ შესძლო „სოფლის თმობა“.



ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ შექმნილი თუ არა მინდიას ცოდნის შენარჩუნება და ჩავწვდომოდით მისი ტრაგედიის მთავარ მიზეზებს. “უფრო ტანჯვაა გლოვისა, ვიდრე გულ-დაწყნარებული წყალობის გამოთხოვისა.” [3:190] ჭეშმარიტი ცოდნით განათებული გონებით უნდა აღვივოთ მინდიას გონება, რომ შეინარჩუნოს სიბრძნე, რომელიც მის ქვეყანას სიმშვიდესა და კეთილდღეობას მოუტანს. ღვთიური მადლის დაკარგვის გამო მინდია სინანულს გამოთქვამს, მაგრამ არ ეძებს გზას ცოდნის შესანარჩუნებლად. მისი სინანული მხოლოდ ვედრებაა ღვთიური ცოდნის შესანარჩუნებლად და არა ჯვარცმა თავგანწირულისა.

#### ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., „აკაკი ბაქრაძე - სკოლას“, თბ., 2004;
2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992;
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993;
4. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა ტ. V, თბ., 1964;
5. [ჟურნალი] ალიბეგაშვილი გ. მაღლაფერიძე ვ. ჰაგიოგრაფიული თხრობა, „ქართული სიტყვა“, 2, თბ., 2008;
6. [ჟურნალი] ზენკოვსკი ვ. ქრისტიანული ფილოსოფიის იდეა, მთარგმნ: გოგილაშვილი. მ., “ცოდნა და რწმენა“, №4, თბ. /2000-2001.
7. გაბრიელ ეპისკოპოსი, ქადაგებანი, ტ. I, გამოც. მეოთხე, თბ., 1989.

### რეზიუმე

ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელში“ მინდიას გველის ხორცის ჭამის შემდეგ ეხილება გონების თვალი. მინდიას ცოდნა ღვთიურობასთან, რწმენასთან კავშირს არღვევს და ამას ვერც აცნობიერებს. თითქოს მკითხველსაც უჭირს ჩასწვდეს ტრაგედიის მთავარ მიზეზს. მინდიამ ვერ დასთმო წუთისოფლის „სიამენი“. რწმენის გარეშე, მხოლოდ გონების თვალთვლით ყურება არღვევს ჰარმონიულობას. მინდიას ტრაგედია არა მარტო გონებრივ მარტოობაშია, არამედ გონებასა და რწმენას შორის კავშირის რღვევაში. მინდიას ტრაგიზმი ადასტურებს მის სწრაფვას სრულყოფილებისაკენ. გმირის შეურიგებლობა ზნეობრივ მანკიერებებთან, მისი ტრაგიზმი დასაწყისია ღვთის გზისკენ, სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა.

### MINDIA'S TRAGEDY Nelly Champuridze, Full professor RESUME

In the poem -“The Snake-eater” Mindia’s eye of mind is opened after eating the flesh of the snake. Mindia’s knowledge breaks the connection with belief and godhead and can not acknowledge it. As if it is difficult for the reader to penetrate the main reason of the tragedy. Mindia could not leave the “prides” of transient world. Only watching by the eye of reason without faith breaks the harmony. Mindia’s tragedy is not only the loneliness of mental as well in the breaking between the faith and mind. Mindia’s tragedy consents his aim for perfection. The irreconcilability of the hero moral fallaciousness his tragedy is the beginning of the God way, to aspire for the perfection.

## КОНЦЕПТ «КРАСОТА» В РАССКАЗЕ Ф. СОЛОГУБА «КРАСОТА»

*ნატელა ხინჩაგაიშვილი, პროფ.  
ელენა ხირსელი, приглашённый специалист*

В своей устремленности к Красоте, в поисках Красоты как высшего совершенства русские символисты были прямыми наследниками лирики А.А. Фета. Они же (русские символисты) провозгласили Культ красоты, поставив ее "выше этики, долга и чести". Они первые ощутили кризис "разума" и "совести", что заставило их искать идеал в третьем компоненте кантовской триады "истина, добро и красота". Для символистов красота стала единственной силой, способной, по переосмысленному образу Достоевского, "мир спасти".[2,21]

Но мироощущение символистов - это, с одной стороны, утверждение красоты добра, соборность, а с другой - эстетизация зла, предельного индивидуализма. Это как надежда на "высвобождение" истинной красоты из-под грубых покровов вещества, так и сомнения в возможности "воплощения" красоты в мире. Это рамки, в которые неизбежно заключено направление и выходя из которых, оно переставало быть символизмом.[2,24]

Такая полярность в понимании красоты пришла в Россию от французских символистов, в частности, от Шарля Бодлера, который одним из первых пришел к осмыслению того, что и добро, и зло в равной мере способны послужить источником Красоты.[3,9] Поэтому Красота в понимании символистов абсолютна, она способна вместить не только красоту гармонии и Прекрасного, но и красоту Безобразного. Таким образом, Прекрасное и Безобразное переставали существовать как противоположности, и тогда воспевалось "таинство" их неразделенности.

Тему Красоты можно обнаружить практически у всех символистов. Каждый понимает ее по-своему, видит в ней что-то отличное от других. И только одно остается аксиомой и для "старших", и для "младших" символистов: Прекрасное, эстетическое - эта единственная сила, единственная ценность, необходимая мера.

Искусство у символистов считается чем-то более ценным, чем природа, оно - более надежный оформитель и конденсатор прекрасного. Эстетическое в искусстве выражено ярче. Цель нашей работы - выявить символы Красоты и участь Прекрасного в рассказе Ф. Сологуба "Красота".

Имя главной героини рассказа Ф. Сологуба символично - Елена. Образ Елены Прекрасной не только в мифологии Древней Греции, но и в русских сказках является символом абсолютной Красоты, не имеющей ничего себе подобного.[5,3] Но если к этой красоте, как правило, стремятся, она - предмет любви и восхищения, то в рассказе Сологуба перед нами - героиня как средоточие оставшейся в мире Красоты, ее единственный источник и хранитель. Это - красота без любви, изгнанная, осмеянная, она - Прекрасное, которому нет места в мире.

Мир Елены из-за того, что она замыкается, ограничивается, не может никого впустить в него, ни с кем им поделиться, изначально обречен на гибель. Ее красота порождена уродливым внешним миром. Елена пытается бороться с ним. Но мир, создавший Красоту, и поглотит ее. Защищая Красоту, Елена "помещает" ее в искусственный, специально созданный для нее мир.

В нем нет солнца (она обнажается только при искусственном свете ламп и свечей), а движения главной героини хоть и прекрасны, но, кажется, отработаны и четки, как будто она несет службу Красоте: "обнажила", "легла на ковер", "каждый вечер любовалась своею красотой", "поднимали руки, приподнимаясь, колебалась на напряженных ногах", "двигалась, и стояла, и лежала", "соединила ароматы и молоко, ...подняла чашу и наклонила", "встала", "ушла", "надела белое платье" и так далее.

Символисты переняли у античности понятие о наивысшем проявлении красоты - красоте человеческого тела. В главной героине есть "скульптурность" (скульптура - главный способ выражения греками красоты тела).

В рассказе автор стремится показать, порой даже навязчиво, что в современном ему мире настоящая, подлинная красота, чистая и непорочная, обречена на гибель. В рассказе "Красота", девушка, находясь под сильным впечатлением от смерти матери, оставшись одна в мире, которого она не приемлет, сознательно берёт нож и вонзает его себе в сердце. Окружающий мир, который персонажу рассказа представляется несовершенным, чуждым, подлым и грязным, порождает стремление расстаться с этим миром, чтобы не иметь к нему никакого отношения.

Миру Елены Ф. Сологуб противопоставляет мир остальных людей. Мир окружающих её людей чужд девушке. И она находит утешение только в красоте себя самой и своего девственного и чистого тела.

Елена снедаема своим собственным богатым воображением и своим нежеланием иметь хоть что-то общее с другими людьми. Отгородившись от всего и пожелав лишь любоваться сама собой, Елена таким образом сама предуготовляет себе подобный финал. Ведь не желая разглядеть в окружающих хоть что-то хорошее, а заранее предвкушая в них только плохое и порочное, недостойное её совершенства и красоты, Елена сама отдаляется от мира и становится ему совершенно чужда.

Воображение Елены, её готовность увидеть в окружающем дурное и порочное, заставляет её и в себе самой теперь уже находить недостатки.

Фантастическое в рассказе смешивается с реальным, благодаря воображению главной героини. Она живёт в своём собственном иллюзорном мире. Только в начале рассказа эти иллюзии и фантазии кажутся ей прекрасными, а в конце рассказа они превращаются в уродливые химеры.

Вот и получается, что замкнувшись на себе, Елена становится лёгкой добычей для искушения и соглашается с этим самым искушением, убивая себя. При этом Елена обставляет своё самоубийство как некий ритуал, наверное из того же стремления к "красоте". Елена просто не понимает, что в самоубийстве, в смерти, никакой красоты нет и быть не может.

Таков финал рассказа, который повествует о нервной, одинокой девушке, дурно воспитанной и не любящей на самом деле ни окружающих, ни себя. Её "нежно любимая мать" не смогла привить дочери человечность, вырастив её гордой эгоисткой, восхищённой только самой собой

Мотив влюбленности в себя отсылает нас к мифу о Нарциссе. Он, как и Елена, "никого не любил, кроме себя, и лишь себя считал достойным любви". Оба они прекрасны, холодны и горды, и оба страдают. Нарцисс - от любви, которая никогда не будет разделена, Елена - от одиночества Прекрасного в мире. Оба героя становятся пленниками собственной красоты .

И Нарцисс, и Елена не могут, замкнувшись на себе, полюбить окружающий мир и людей в нем. Нарцисс после смерти превращается в "белый душистый цветок". Елена же еще при жизни составляет с цветами и ароматами единое целое ("... казалось, что сладкий и горький миндальный запах, веющий в воздухе, исходит от ее нагого тела"). Запахи, перетекая один в другой, рождаются там, где появляется Елена, предметы начинают источать ароматы от одного ее прикосновения.

Появление любого из цветков и запахов в пространстве Елены не случайно. Если мы раскроем символику каждого из них, то убедимся, что в их сочетании происходит тесное переплетение красоты, непорочности и смерти. [ 1,14 ] Фиалка, по древним верованиям, цветок смерти, он вырос на могилах у молодых девушек. Сходный смысл заключают в себе и другие цветы, заполняющие своими запахами мир Елены.

Так, по греческому сказанию, цветок гиацинт вырос из крови пронзившего себя мечом (!) Аякса и символизирует горе, печаль, смерть. Мак, по одному из кавказских преданий, называется "кызлан кан" и переводится как "девичья кровь". По другим верованиям, мак символизирует сон (опять скрытая связь со смертью), грезы, забытие - и Елена постоянно находится в таком состоянии: "И нежные грезилась ей и безгрешные поцелуи, тихие, как прикосновение полуденного ветра, и радостные, как мечты о блаженстве".

Многие цветы, окружающие Елену, символизируют чистоту и невинность (фиалка, лилия, ландыш) и отсылают нас к сказаниям о Пресвятой Деве: считается, например, что ландыш возник из слез Богородицы, оплакивавшей Христа, а сама она часто изображается с ореолом в форме миндаля (его запах "окутывает" Елену), окруженная лилиями. С лилией, кроме этого, связаны другие предания. Так, она как символ непорочной красоты и совершенства росла в раю и, когда дьявол искушал Еву, могла оскверниться им, но осталась чиста. Та же судьба постигает и Елену: несмотря на то, что пошлость мира людей разрушает ее изнутри, она так и остается верна законам красоты, на которых держится вся ее жизнь (как доказательство этого появляется еще один цветок - гелиотроп, символ преданности).

Существует еще одна значимая для рассказа легенда о лилии. В последний вечер перед предательством Иуды Христос в тоске шел по Гефсиманскому саду, и все цветы склоняли перед Ним свои головки в знак сострадания и печали. Одна прекрасная гордая лилия выпрямилась, чтобы Он мог насладиться ее красотой и ароматом. Но когда Иисус посмотрел на нее, она, сравнив свою гордость и красоту с Его смирением и видя, как остальные цветы преклонили в горе перед Ним свои головки, вдруг почувствовала такой упрек, что румянец стыда разлился по всем ее лепесткам.

И сходство главной героини с цветком ("...как едва раскрывшаяся лилия с мягкими, еще примятыми листочками"1,16), и алость, разлившаяся по телу, и стыд за красоту - все эти мотивы, отраженные в рассказе, возможно, берут свое начало отсюда. Не случайно также и появление акации, символа исключительности. Елена исключительна и поэтому одинока в своей красоте, единственному, что противостоит чужому, "неправильному", лживому миру.

Тему греха, затронутую в трактовке образа лилии, можно продолжить, если обратить внимание на то, что один из источников запахов - яблоко. Оно предстает здесь как символ искушения, падения и в конечном итоге спасения. И действительно, хоть мир Елены и рушится, но она до последнего момента живет по его законам и пытается сохранить красоту, гимном ей закончить свою жизнь. Говоря о яблоке, нельзя также не вспомнить о мифическом Яблоке раздора, присуждавшемся "Прекраснейшей".

Но главная роль в раскрытии образа Елены через цветы принадлежит розе, на которой делается особый акцент. Роза - это не только царица цветов, не только цветок, родившийся из пены, покрывавшей тело богини любви и красоты Афродиты, но и растение, созданное Флорой из-за неразделенной любви к Амуру для того, чтобы сочетать в себе радость и грусть. Елена наделена самым ценным, что есть в мире - красотой, - и в осознании этого ее счастье. Но она не может открыто нести этот дар, а вынуждена прятать его, спасать от поругания - и страдать, понимая, что прекрасное в мире людей обречено.

Елена пытается создать вокруг себя мир, основанный на законах добра и красоты. И такой мир, слишком хрупкий и уязвимый, чтобы быть долговечным, начинает строиться, заботливо, старательно складывается Еленой "по кирпичикам". Он, обволакивая героиню, защищает ее от проникновения в душу безобразия окружающего мира. В стремлении к Красоте как сущности бытия Елена бежит от реальности, отгораживается от всего, что существует по ту сторону закрытой двери, создавая свое понимание жизни.

Красота, полностью поглощая Елену, заполняет ее все существование, становится тем, к чему, как считает Елена, должно идти человечество. Красота - истина, на которой базируется мир Елены. Он наполняется благовониями, запахами и цветами - тем, что Бодлер назвал "улыбкой, взором и поступью Красоты". Для ее пространства характерен белый цвет как символ безгрешности, чистоты и целомудрия, но в то же время и смерти.

Красота неотделима от правды: мать Елены "одна была, которая стоила любви - потому что была спокойная, прекрасная и правдивая"[4,12]. Она единственная соединяет в себе эти две ценности, которые являются для Елены основой бытия. Но мать умирает в самом начале рассказа, что символизирует хрупкость созданного мира, а вместе с тем и Красоты. Она, несмотря на все усилия Елены сохранить и уберечь ее, настолько уязвима, что погибает от одного чужого недоброго взгляда.

Внешний мир проникает в душу Елены и уже с первого мгновения начинает разрушать ее - она испытывает досаду и стыд.

Комок зла, зародившегося внутри, растет и постепенно вбирает в себя мысли, чувства, ощущения Елены, вызывая у нее страх перед происходящими в душе переменами: "Ужас и отвращение томили ее. И поняла Елена, что невозможно ей жить со всем этим темным на душе. Она думала: "Можно ли жить, когда есть грубые и грязные мысли? Пусть они и не мои, не во мне зародились, - но разве не моими стали эти мысли, как только я узнала их? И не все ли на свете мое, и не все ли связано неразрывными связями?"

Красота убивает зло - вот символический смысл последнего эпизода. Убивая себя как средоточие Прекрасного, Елена уничтожает зародившееся в себе зло, не давая ему поглотить Красоту. Если вернуться к начальному тезису о том, что Елена - единственный источник и хранитель Красоты, то получается, что мир остается без Красоты, которая погибает, но не дает себя разрушить злу и пошлости. Даже смерть Елена строит по законам Красоты, утверждая ее как глубинную сущность мира, ее высшую ценность, то единственное, к чему должно стремиться человечество.

Проведенный анализ рассказа Ф. Сологуба позволяет сделать следующие выводы:

- символизм - литературное направление, превалирующая идея которого - панэстетизм, представление об эстетическом как о глубинной сущности мира, а русские символисты первыми провозгласили культ Красоты, поставив ее "выше долга, этики и чести". Для символистов красота стала единственной силой, способной, по переосмысленному образу Достоевского, "мир спасти";

- "Красота" Федора Сологуба - рассказ, созданный по законам символизма и отражающий главную мысль направления о том, что "одна есть цель в жизни - красота".

Т.о., в основе сюжета рассказа лежит попытка "жизнестроительства" (термин символистов), попытка создать жизнь по идеалам добра и красоты и вторжение чужого мира, зла, позорящего красоту. Изначально обреченный на гибель мир Елены, для которого характерны благовония, запахи и цветы (то, что Шарль Бодлер назвал "взором, улыбкой и поступью Красоты") противопоставляется миру людской пошлости, "беспощадно-гнусной ясности", грязного любопытства. Несмотря на то, что внешний мир проникает в душу Елены и начинает разрушать ее мир изнутри, Елена строит свою смерть по законам Красоты и, убивая Прекрасное кинжалом, убивает зародившееся в себе зло.

#### ЛИТЕРАТУРА:

1. Золотницкий Н.Ф. Цветы в легендах и преданиях. - Киев, 1994.
2. Колобаева Л.А. Русский символизм. - М., 2000.
3. Косиков Г.К. Шарль Бодлер между "восторгом жизни" и "ужасом жизни" // Бодлер "Цветы зла". - М., 1993.
4. Сологуб Ф. Тяжелые сны - Л., 1990.
5. Соложенкина С.Л. Живая и мертвая вода. Вехи судьбы Федора Сологуба // Сологуб Ф. Собрание сочинений в 6 томах. - М., 2001. Т1

**კონცეპტი „სილამაზე“ თევდორე სოლოგუბის მოთხრობაში „სილამაზე“  
ნათელა ხინჩაგაშვილი, სრული პროფესორი,  
ელენე ხირსელი, მოწვეული სპეციალისტი  
რეზიუმე**

თ.სოლოგუბის მოთხრობა „სილამაზე“ ემყარება სიმბოლიზმის მთავარ კანონს, რომლის მიხედვითაც, სიცოცხლის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს სილამაზე. მოთხრობაში განსაზღვრულია სილამაზის სიმბოლოები, ავტორის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სილამაზისა და სიკვდილის მოტივები. ნაწარმოების ძირითად იდეას მწერალი წყვეტს წარმოადგენს პანესტეტიზმის ( ესთეტიკა როგორც სამყაროს არსი) კუთხით.

**CONCEPT OF “ BEAUTY” IN A STORY “BEAUTY” AUTHORED BY FYODOR SOLOGUB  
Natela Khinchagashvili, Full professor  
Elene Khirseli, Guest Specialist in this field**

The aim of our work is to define symbol and destiny of beauty in a story “Beauty” by Fyodor Sologub in which the author represents the typical themes of his literary work: beauty and death. The main idea of the story is panaesthetism- a vision about aesthetics as an essence of the universe.

The story “Beauty” by Fyodor Sologub is based on the main law of symbolism according to which the only goal in life is beauty. The author describes the attempt for creating life based on beauty and kindness, while another universe -cruelty tries to defeat kindness.

**ცხოვრებისეული პასაჟების ინტერპრეტაცია მწერლის შემოქმედებაში მისი ფსიქოლოგიური  
პორტრეტის სრულყოფისათვის  
(კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე)**

*გიორგი ხორბალაძე, ასისტენტ-პროფესორი*

ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოები მისი ავტორის ცხოვრებისეული განცდებისა და ფიქრის ნაყოფია. ყველაზე უფრო გამოკვეთილად უარყოფითი პერსონაჟი კი, საბოლოო ჯამში, ავტორის მიერ მოვლენათა მიმართებაში არსებული დამოკიდებულების სარკისებური ანარეკლია, ანუ მწერალი აკეთებს დიფერენციაციას, რა არის მისთვის სასურველი და მისაღები. შესაბამისად, ამ ფონზე იქმნება რადიკალურად საპირისპირო, არასასურველი და მიუღებელი. ამის გათავისებით იგი ხატავს უარყოფითი პერსონაჟის სახეს და სააშკარაოზე გამოაქვს საკუთარი პიროვნების „ანტი“ მხარე. რაც შეეხება დადებით პერსონაჟებს, როგორც ფროიდი ამბობს: „ მხატვრული შემოქმედების ნიმუში ავტორის პიროვნული არაცნობიერის სახეცვლილი (სუბლიმირებული, გაკეთილშობილებული) გამოვლენაა” [1;74] მწერალი, ისევე როგორც ნებისმიერი ადამიანი, გარკვეულ საზოგადოებრივ პროცესებსა და ვითარებაშია ფორმირებული, მის ფსიქიკაზე აღბეჭდილია იმ გარემოს დამახასიათებელი ნიშნები, რომელ გარემოშიც უწევდა მის პიროვნებას ფორმირება, იმ განსხვავებით, რომ შემოქმედი ბევრად უფრო მგრძნობიარეა მისი ფსიქოლოგიითა და სულიერი სამყაროთი, შესაბამისად, ხშირად ის აღიქვამს სხვისთვის სრულიად შეუმჩნეველ რეალობას და თავისებურად რეაგირებს კიდევ;

მოცემულ კვლევაში განვიხილავთ მეოცე საუკუნის სხვა მწერლებისგანაც და ერთმანეთისგანაც განსხვავებული ორი მწერლის მიერ, ცხოვრებისეული პასაჟების ინტერპრეტირებას შემოქმედებაში. მოკლედ გავიაზროთ აღნიშნული პერიოდის დამახასიათებელი გარემოებებიც: „მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ხასიათი და მისი თავისებურება განაპირობა იმ პერიოდის

რთულმა საზოგადოებრივმა პირობებმა. ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ვითარება წარმართავდა ჩვენი ხალხის სულიერ-კულტურულ ცხოვრებას“.

... საზოგადოებრივ ყოფაში მომხდარი ეს რთული მოვლენები მრავალმხრივად და მრავალფეროვნად აისახა ქართული მწერლობის ახალი თაობის შემოქმედებაში [2;9] უდავოა, რომ დრო, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია და ნოდარ დუმბაძე მკვიდრდებოდნენ სამწერლო ასპარეზზე, რთული და სირთულეთა ცვალებადობით გამორჩეული გახლდათ. ყოველივე ეს კი შემოქმედისათვის ერთგვარი ყალიბისა და გრდემლის ფუნქციას ითავსებს და უცილობლად აისახება შემოქმედებაში.

როგორ ხდება ქართულ მწერლობაში საზოგადოებრივი ყოფიერების დინებათა ცვლის ასახვა, ეპოქის მაჯისცემის შემოქმედებაში განფენა და საკუთარი ადგილის ძიება, პიროვნული პრობლემატიკის პერსონაჟებზე მორგება, ყველაზე ნათლად სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მაგალითზე ცხადდება. მისი ავტობიოგრაფიული რომანის „ლანდებთან ლაციცი“ პრაქტიკულად ყველა მომენტი მიძვებით არის გაბნეული მის ნაწარმოებებში. „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ვაზის ყვავილობა“ - ეს ის რომანებია, რომლებიც სიუჟეტური თანმიმდევრობით არა, მაგრამ შინაარსობრივი სიღრმით, პერსონაჟთა განცდებით, პროცესების განვითარების კულმინაციითა და შედეგად გამოწვეული განცდების ერთიანობით, ხელისგულზე შლის ავტორის ფსიქოლოგიურ პორტრეტსა და მისეულ ღირებულებათა ნაირსახეობას.

ელგუჯა მალრაძეს მიაჩნია რომ, კონსტანტინე გამსახურდია იყო თავის მიერ შექმნილ გმირთა ნამდვილი ასლი. ... „დიონისოს ღიმილის“ ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავს: სავარსამიძე განწირული აზნაურების უკანასკნელი მოჰიკანიაო.

ამის მიუხედავად მოთხრობაც პირველ პირობა და მთავარ გმირსაც კონსტანტინე ჰქვია სახელად. ამით, ალბათ, ავტორმა ხაზი გაუსვა მისი და რომანის გმირის ბიოგრაფიულ და სულიერ მსგავსებას. მან კარგად იცოდა, რომ კრიტიკა 1932 წლამდე განუკითხავად აიგივებდა გმირსა და ავტორის ფსიქოლოგიას, აზროვნებასა და ზნეობას.

დღეს, როცა ცენზურა არ არსებობს და მწერალს თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა, რთულია გაითავისო, როგორი მდგრადი და მებრძოლი ხასიათი, უდრეკი და პრინციპული, ფსიქოლოგია უნდა ჰქონოდა კონსტანტინე გამსახურდიას, თუმცა საკმარისია იმდროინდელ ვითარებაზე მცირეოდენი წარმოდგენა შეიქმნა და გამსახურდიასა და მისი გმირების ერთობ შთამბეჭდავი ურთიერთკავშირიც სახეზეა.

ეს არის არა მარტო გამოვლინება ავტორის ქვეცნობიერისა, მეტიც, იგი ჩანაფიქრშივე განიცდის საკუთარი გმირების სიახლოვეს, ამით შეიძლება აიხსნას ისიც, რომ ხშირად მის სულთან უფრო ახლოს მყოფ გმირებს თავის სახელს არქმევს. კონსტანტინე არსაკიძეს მოფერებითი სახელიც კი ავტორისა ჰქვია, არა და კონსტანტინე და უტა არც ისე ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ავტორს მექანიკურად შეესაბამებინა, იგი ეფერება საკუთარ გმირს, როგორც მას ახსოვს ბავშვობაში, როგორც ბავშვ კონსტანტინე გამსახურდიას ეფერებოდნენ, ამაზე თბილ და მრავლისმეტყველ მიფერებას ავტორი ვერ შეძლებდა საკუთარი გმირისას.

„იცოდე, უტა, თუ ვაჟკაცს არ შეეშინდა, მას ვერავინ დაამარცხებს“ და ეს ისეთი სერიოზული ტონით მითხრა, თითქოს მე დიდი რაინდი ვყოფილიყავი, მრავალ ომში ნაცადი.

მე მან ორი რამ შემათვისებინა: შიშთანობის წინააღმდეგ ბრძოლა და შრომისადმი სიყვარული.“ [3;72] - ასე იხსენებს კ. გამსახურდია მამის შეგონებას, რომელიც განუყოფელ ბედისწერად ექცა მწერალს და, სწორედ, ამ ორი ნიშნით აქანდაკებდა საკუთარ პიროვნებასა და ყოველდღიურობას.

ელგუჯა მალრაძე წერს: „კონსტანტინე გამსახურდია იყო გასაოცრად გაბედული ადამიანი, რის გამო ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრია, მაგრამ არ გაღუნულა და არც გამტყდარა. იგი მხატვრული სიტყვით ებრძოდა პიროვნების ხელისუფლებას წარსულში, აწმყოსა და მომავალში. კონსტანტინე არსაკიძის სახით შექმნა კიდეც მხატვრული ხატი, განწირული ხელოვანისა გიორგი პირველის ტირანულ სახელმწიფოში. იმხანად, ეს მეტად სარისკო, გაბედული და თავგანწირული ნაბიჯი გახლდათ, რადგან საყოველთაოდ ცნობილი ამბავი იყო, რომ კონსტანტინე გამსახურდია ყოველ გმირში საკუთარ „მეს“ შინაარსს სდებდა.

... თვითონ იყო დიდი შემოქმედი და კარგად უწყოდა: ყოველი მწერალი საკუთარ სისხლსა და სულს რომ უდგამს თავის გმირებს“. კონსტანტინე გამსახურდიას „უყვარდა თქმა: „მწერლის ქმნილება პირწავარდნილი ტყუპია მისი პიროვნებისაო“ და მის მიერ სულჩადგმული გმირები: სავარსამიძე, არსაკიძე, ემხვარი, ფარსმან სპარსი დიდ სულიერ ნათესაობას მაინც ამჟღავნებდნენ თუ იგივეობას არა კონსტანტინე გამსახურდიასთან. ... იგი ამაყი იყო და ქედმოუხრელი, თავისმიერ შექმნილ გმირთა ნამდვილი ასლი; ხატი ჭემმარტ მამულიშვილთა, ვისმა თავდადება და მსხვერპლმა შეუნარჩუნა

ქართველთ საკუთარი ენა, თვითარსებობა და მიწა წყალი”. [4; 424-425-426] ზედმიწევნით ზუსტია ელგუჯა მალრაძე ამ შეფასებაში და, რაც ყველაზე მთავარია, მისი მოსაზრებები გამომდინარეობს არა პიროვნული ნაცნობობიდან, ან სუბიექტური პოზიციიდან, არამედ შემოქმედებიდან, სწორედ რომ შემოქმედების შეჯამებითა და სათანადო გაანალიზებით, ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ურთიერთშედარებითაა დახატული მწერლის ფსიქოლოგიური პორტრეტი. კ. გამსახურდიას ფასდაუდებელი შემოქმედება ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ავტორის ქმნილებათა გაცნობითა და გააზრებით დაინახო თავად ავტორის სახე, მისი სულიერი მრწამსი, მის ერუდიცია და ერთობ მრავალმხრივი ინტელექტი. იხატება პიროვნება-შემოქმედი, პიროვნება-მებრძოლი, პიროვნება-ჰუმანისტი, პიროვნება პატრიოტი, თითოეული ამ თვისების თავშეყრის ადგილი კი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაა, როგორც თავად აღნიშნავს: „გონების ხმა მიქცეული აქვს, თვალს სტაცებს და დიდ აღმაფრენას ჰგვრის ბუნების ყველაზე უმშვენიერესი ქმნილება ადამიანი, მამრიცა და მდედრიც.” ეს არის მისი სიყვარულის მთავარი ობიექტი, აქედან ამოდის იგი ცხოვრების გზაზე სიარულისას და შემოქმედებითი წვის პროცესში. მისთვის ფასს კარგავს მატერიალური ღირებულებები, მაშინ, როდესაც მარადიული ღირებულებებს უპირისპირდება, რომანში - „ლანდებთან ლაციცი”. კ. გამსახურდია რამდენჯერმე უსვამს ხაზს მის დამოკიდებულებას მატერიალურ ფასეულობებთან და აღნიშნავს, რომ ის არასოდეს ყოფილა ფულის მოყვარული და როგორც შემდგომ გამოჩნდა კიდევ, მას არც „ჩინ-მედლებზე” გაუცვლია საკუთარი მრწამსი. პირველი მეუღლის - რებეკა ვაშაძისადმი, მიწერილ ერთ-ერთ წერილში ის წერს: „აგერ ჩემს წინ, გახეული ლურჯი კონვერტი დევს, მარტო იმას არ გავცვლი მეფეების უფლებით აღჭურვილ „ღრამოტებზე” და „უკაზებზე” [5;8:] ეს არის მისი პერსონაჟების კრედიტ, რადგან სულსა და გულს შეუნიღბავად და შეუცვლელად უზიარებს საკუთარ გმირებს, რომლებიც „ზუსტად ქმნიან ეპოქის ატმოსფეროს, საერთოდ ტრაგიკულ განწყობილებას, ფერსა და ცხოველმყოფელობას ანიჭებენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ატეხილი ბრძოლის მარად ძველსა და მარად ახალ ამბავს”. [6;236] რადგან ეს თავად ავტორის ცხოვრებისეული რეალობაა, ის არის, რაც კონსტანტინე გამსახურდიას განუცდია და გაუთავისებია. ამიტომაც მნიშვნელოვანი მისი და მისი გმირების ურთიერთკავშირი, ბიოგრაფიის და შემოქმედების პარალელური განვითარება, ამიტომ არის საკუთარი შემოქმედებით „ავტოპორტრეტის მხატვარი” კონსტანტინე გამსახურდია და, რაც ყველაზე მთავარია, ეს არ არის ჩვეულებრივი „ავტოპორტრეტი”, მხოლოდ გარეგნული ნიშნებით გამოხატული, ეს არის უფრო სიღრმისეული, ფსიქოლოგიურ-ესთეტიკური და სულიერი პორტრეტი, რომლის დანახვაც, მწერლის ქმნილებების გულისყურით წაკითხვით შეიძლება და, პირიქით, ამ პორტრეტის დანახვის შემდგომ უფრო გულისყურით ხდება წაკითხვა შემოქმედებისა, ეს არის ურთიერთმონაცვლე, დაუსრულებელი პროცესი, მკითხველისთვის ერთობ დამაინტრიგებელი და აზარტული.

ასეთივე ნიშნები, ოღონდ რა თქმა უნდა წლებისა და პიროვნების ცვლის გათვალისწინებით, შესაძლებელია ჩვენს მიერ ასევე დანახულ იქნას, მეოცე საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო და ორიგინალური მწერლის, ნოდარ დუმბაძის, შემთხვევაშიც. მან განსაკუთრებული ოსტატური სისადავით გადმოსცა სათქმელი და საოცარი მხატვრული ოსტატობით მოახერხა სიცილისთვის ტირილი ჩაენაცვლებინა, სიხარულისთვის სინანული, სატირისთვის ღირიკული მომენტები, რითაც ღირსეული ადგილი დაიკავა მსოფლიო სალიტერატურო სივრცეში. მართალია, ნოდარ დუმბაძემ შემოქმედებით ასპარეზზე შედარებით უფრო მარტივი გზა გაიარა, ვიდრე კ. გამსახურდიამ და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მისი აღიარების პროცესიც უფრო სწრაფად განვითარდა, მაგრამ იგი საკუთარ ცხოვრებისეულ დარდებს ატარებს და თავისებურადაც აღიქვამს მისი თანამედროვე მოვლენების ცვალებადობათა ციკლს. ნ. დუმბაძეც, ძირითადად, ავტობიოგრაფიულ შტრიხებს შლის შემოქმედებაში და, პრაქტიკულად, ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტს სხვადასხვა ნაწარმოებებში ზომიერი დოზირებით განაზნავს.

ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ამ შემთხვევაში, ასეთია - სევდითა და იუმორით გაჯერებული ადამიანი, რომელსაც შეუძლია ტრაგიკულობაშიც შენიშნოს კომიკური და, პირიქით, კომიკურში - ტრაგიკული. სწორედ ეს არის მისი ბრძოლის მეთოდი ყოველდღიურობასთან, მისი განუზომელი ჰუმანიზმი არ იძლევა საშუალებას სხვა მეთოდის გამოყენებისა და ამ, მის მიერ მრავალგზის აპრობირებული იარაღის ამარა რჩება პიროვნება და მწერალი ნოდარ დუმბაძე, თუმცა ეს მეთოდი არ არის ძირეული. იგი უფრო მოცემულ მომენტში თავის გატანისა და რეალობისაგან გაქცევის მცდელობაა, საბოლოოდ კი ყველაფერი ილექება შემოქმედებაში და მწერალი, რომელიც სხვას უქარვებს წუხილს, თავად ხდება მსხვერპლი, ვინაიდან იგია პირველი ელდის, პირველი დარტყმის მიმღები და შემკავებელი. მწერალი ფარივით ეფარება ემოციათა შემოტევას, არ უშვებს მკითხველამდე და საკუთარ

გულში ილექავს. მკითხველიც კითხულობს სევდიან სურათს მთხრობელის სატკივარზე და სულიერ ტრაგიზმზე, სახეზე კი დროდადრო ღიმილი ეფინება, რადგან თხრობა მსუბუქია და იუმორით გაჯერებული, ის ხუმრობს საკუთარ გასაჭირზე, საკუთარ პრობლემებზე, პირად განცდებზეც კი, მაგრამ ეს შენთვისაა, მკითხველო, თორემ ჩაგახედა მის გულში...

ელგუჯა მალრამე ნ. დუმბაძეს უწოდებს ბედნიერ შერწყმას ჭკმარიტი შემოქმედისა და მომხიბვლელი პიროვნებისა. იგი წერს მწერალს: „როდესაც შენს წიგნებს ვკითხულობ, ყოველთვის მგონია, რომ არის რაღაც იდუმალი, ბოლომდე გაუხსნელი და პირველ წაკითხვაზე შეუცნობელი შენი ცრემლიანი სიცილის მიღმა. თვითონ შენი ცხოვრების გზაც ხომ ასე მოაწყობ საწუთრომ, ხშირად სვე გამწარებულს, მხოლოდღა სევდიანი ღიმილი მოგმადლა სანუგეშოდ. შენ მართლაც გიყვარს ჩანჩურასავით უბრალოება, რაც განზრახ თავმდაბლობის ჩრდილს არაა ყასიდად შეფარებული და ნაზიარები.

... შენ უბრალოდ ხატავ ადამიანებს, რომლებსაც შენი შინაგანი სიკეთის სული უდგათ.

... იმიტომ წარმოსახავ ასე უბრალოდ, სასაცილოდ და საცოდავად, რომ შურიანთა მსახვრალმა ხელმა ვერ მიაგნოს, მათი სულის ღრმა ფსკერზე გადამალულ საგანძურს.” [4; 514-515]

მოყვანილ ციტატაშიც ნათლად იკვეთება მოსაზრება, რომ ნოდარ დუმბაძის გმირები ავტორის პროტოტიპები არიან, მისი რეალური და სულიერი სამყაროს წიაღში აღმოცენებულნი. წერის სტილშიც ხომ მან პირველ პირში წერა აირჩია და არც დაურღვევია ეს სტილი პრაქტიკულად. იქნებ არც ჩაკვეთავალა ეს მომენტი ჩვენი მოსაზრების დასტურად სხვა შემთხვევაში, დუმბაძესთან კი, უდავოდ გმირებთან ავტორის მჭიდრო და შინაგანი სიახლოვით არის გამოწვეული. მართლაც საოცარია, დუმბაძის გმირების სულიერი სიღრმეები, ავტორის მიერ ადამიანის შინაგანი სამყაროს ხედვის საოცარი ოსტატობა, რაც, რა თქმა უნდა, ბევრი ფიქრისა და ამ ფიქრთან შერწყმული კაცთმოყვარეობის გამუდმებული ურთიერთშერევის შედეგი უნდა იყოს. რომ არა თავად ავტორის უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება ადამიანის ფენომენტთან, სხვათათვის ჩვეულებრივი რეალობის ორიგინალური და თავისებური აღქმა, საკუთარი სულიერი სამყაროს ხშირი და გააზრებული მეთვალყურეობა, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა სხვათა სულის კუთხე-კუნჭულების ასეთი ზედმიწევნით ზუსტი გამომხეურების უნარი: „შენ ადამიანის სულის ლაბირინთებში ნათელმხილველივით იჭრები, შენ სპელეოლოგოგოვით დალაშქრე ყველა სიღრმე, უფსკრულებსა და მიწისქვეშა ბროლის დარბაზებში თავს არიადნას მაფის გარეშეც ლაღად გრძნობ, რადგან სიკეთითა ხარ აღსავსე და უკან დასაბრუნებელ გზას არავინ გადაგიჭრის.” [4; 516] ეს შეფასებაა, ასევე იდეალურადაა თანხვედრაში ჩვენს მოსაზრებებთან, რადგან სწორედ ადამიანის შინაგანი სამყაროს ხედვისა და მასში კიდევ უფრო ღრმად ჩახედვის უნარზეა საუბარი, კიდევ უფრო ღრმად უკეთესი ადგილების დასანახავად. ასეც მოძღვრავს მინისტრს ზაზა ნაკაშიძის დედა რომანში „თეთრი ბაირაღები“: „ადამიანი ფრესკა არ არის, შვილო, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება” [7,308-309]. ამიტომ არ შეუძლიათ ნოდარ დუმბაძის გმირებს ბოროტების კეთება, თუნდაც უკიდურესად გამწარებულებს - ვერ იმეტებს თეიმურაზ ბარამიძე აბიბოს, რომელმაც პრაქტიკულად გაწირა იგი. იმდენად შეუძლებელია ნოდარ დუმბაძის სულისათვის შურისგება, რომ ბედის ირონიით, ადამიანი ვისაც გმირი მოკვლით ემუქრება მის ხელში სასიკვდილოდ განწირული ვარდება, მას შეუძლია მხოლოდ უმოქმედობით, მხოლოდ არ დახმარებით გადაუხადოს სამაგიერო და გაეცალოს, ასე ხომ განმკითხავიც არ ეყოლება?! მაგრამ ნოდარ დუმბაძის გმირებს შინაგანი მორალი აქვთ, შინაგანი სათნოება რომელსაც ვერასოდეს გადააბიჯებენ. როსტომ ჩხეიძე მონოგრაფიაში „შურისგება“, ეხება რა „მზიანი ღამის” ამ მონაკვეთს, დეტალური ანალიზის შემდგომ ასეთ დასკვნას აკეთებს: „ისედაც ნათელია, თუ რატომ გადაიფიქრებს თეიმურაზ ბარამიძე სამუდგელი ადამიანის მოკვლას, რატომ არ მიენდობა შურისძიების მათრობელა გრძნობას, მაგრამ მწერალი მაინც საგანგებოდ გამოჰკვეთს, როცა რომანის ამ თავს ქრისტეს მცნებით დაასათაურებს: არა კაც ჰკლა.” მისი გმირებიც მასავით ათეისტურ საზოგადოებაში არიან აღზრდილნი და გარეგნულადაც ხშირად ათეისტური ნიშნებით არიან შეფუთულნი, თუმცა შინაგანად ქრისტიანული მორალი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

განხილული ორი მწერლის მაგალითის საფუძველზე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერალი, როგორც განსაკუთრებული სულიერი სამყაროს, განსაკუთრებული განცდების, გამორჩეული ხედვის მატარებელი, უცილობლად ანაწილებს საკუთარი პირადული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან განცდასა და მომენტს შემოქმედებაში. ბუნებრივია, ზოგი მათგანი ამას მკვეთრად და დიდი დოზით ახორციელებს, რაც ამ ფაქტის შემჩნევასა და ხაზგასმას ამარტივებს, ზოგი ავტორი კი, იმდენად დანაწევრებულად და შეფარვით (ზოგჯერ კი მხოლოდ ქვეცნობიერადაც) აკეთებს, რომ მათ შემოქმედებაში, ერთი შეხედვით, ეს ყოველივე არც ჩანს, თუმცა ფაქტია, რომ რაც უფრო უკეთ ვიცნობთ ავტორის ბიოგრაფიას, მით უფრო



ინფორმატიულია მისი შემოქმედება და, პირიქით, რაც უფრო კარგად ვიცნობთ შემოქმედებას კონკრეტული ავტორისას, მით უფრო ახლობელია ავტორის შინაგანი სამყარო და ფსიქოლოგიური პორტრეტი ჩვენთვის. ეს ყოველივე კი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს მიერ დასმული პრობლემა მნიშვნელოვანი და საინტერესოა სამომავლო კვლევებისთვისაც.

#### ლიტერატურა:

1. ლიტერატურის თეორია, „მეოცე საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, თბ., 2008;
2. მესხრიკაძე ნ., „ღვაწლი ივანე მაჩაბლისა“, თბ., 2011;
3. გამსახურდია კ., თხზ. ათტომეული, ტომი VII, თბ., 1983;
4. მადრაძე ელ., თხზ. ტ. II, თბ., 1983;
5. ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, №6, 2011;
6. ბაქრაძე აკ., თხზ. ტ. II, თბ., 2004;
7. დუმბაძე ნ., თხზ. ტ. 2., თბ., 1983.

### რეზიუმე

მოცემულ კვლევაში განვიხილავთ მეოცე საუკუნის სხვა მწერლებისგანაც და ერთმანეთისგანაც განსხვავებული ორი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და ნოდარ დუმბაძის მიერ, ცხოვრებისეული პასაჟების ინტერპრეტირებას შემოქმედებაში. ვფიქრობთ, რომ მწერალი, როგორც განსაკუთრებული სულიერი სამყაროს, განსაკუთრებული განცდების, გამორჩეული ხედვის მატარებელი, შენიღბულად თუ შეუნიღბავად, უცილობლად ანაწილებს საკუთარი პირადული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან განცდასა და მომენტს შემოქმედებაში. ამიტომ, რაც უფრო უკეთ ვიცნობთ ავტორის ბიოგრაფიას, მით უფრო ინფორმატიულია მისი შემოქმედება და, პირიქით, რაც უფრო კარგად ვიცნობთ შემოქმედებას კონკრეტული ავტორისას, მით უფრო ახლობელია ავტორის შინაგანი სამყარო და ფსიქოლოგიური პორტრეტი ჩვენთვის. ეს ყოველივე კი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს მიერ დასმული პრობლემა მნიშვნელოვანი და საინტერესოა სამომავლო კვლევებისთვისაც.

### INTERPRETATION OF VITAL PASSAGES FROM THE CREATIVE WORKS BY THE WRITER FOR COMPLETION OF PSYCHOLOGICAL PORTRAIT (KONSTANTINE GAMSAKHURDIA, NODAR DUMBADZE)

Giorgi Khorbaladze, Assistant Professor

#### RESUME

The work deals with the discussion of the interpretation of vital passages in their creative works by two different writers' of the twentieth century - Konstantine Gamsakhurdia and Nodar Dumbadze. The writers having special inner world, feelings, vision, disguised or obviously give personal emotions and significant moments from their own life in their creative works. So, as better we know the authors' biographies as informative are their creative works and on the contrary, as better we know the creative works of the authors as close are their inner worlds and psychological portraits. We can conclude that the problem set by us is significant and interesting for the further research.

*შენიშვნებისათვის*



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)